ძველი აღთქმის გამოკვლევა

shepherds
GLOBAL CLASSROOM

Copyright · 2016 Shepherds Global Classroom

პირველი გამოცემა [ქართული] ISBN: [_____]

ყველა უფლება დაცულია. ტესტებისთვის განკუთვნილი გვერდების გარდა, ამ წიგნის სხვა, ნებისმიერი ნაწილის ხელახალი გამოცემა ან გადაცემა ელექტრონულად, მექანიკურად, ქსეროასლით, ჩანაწერით ან სხვა ნებისმიერი ფორმით დაუშვებელია - "შეპერდს გლობალ კლასრუმ"-ის (SGC-ის) წერილობითი ნებართვის გარეშე. SGC-ს ინგლისურენოვანი სასწავლო გეგმის ყოველი შენაძენი, საშუალებას გვაძლევს ვთარგმნოთ და შემდეგ გავუზიაროთ იგივე სასწავლო პროგრამა ქრისტიან ლიდერებს მთელს მსოფლიოში. SGC-სთან დასაკავშირებლად ან ამ საინტერესო ხედვისთვის შესაწირავის გასაგზავნად, გადადით: ShepherdsGlobalClassroom.org - ზე.

მომზადებულია: დოქტორი რანდალ მაკელვეინის მიერ

დაბეჭდილია:

სარჩევი

მითითებები კლასის ლიდერებისთვის 5

(1) ძველი აღთქმის შესავალი 9

(2) დაბადება: დასაწყისში 15

(3) გამოსვლა-მეორე რჯული: ისრაელი ერის დასაბამი 27

(4) იესო ნავეს ძე - რუთი: ერთგულებისა და ორგულობის თვალსაჩინო მაგალითები 45

(5) მეფეთა (სამუელი)-ნეშტთა: ისრაელის მონარქიის აღზევება და დაცემა 59

(6) ეზრა-ესთერი: აღდგენის წიგნები 79

(7) იობი და ფსალმუნები: ებრაული პოეზია 95

(8) იგავები–ქებათა-ქება სოლომონისა: ებრაული სიბრძნე 113

(9) ესაია: მეხუთე სახარება 127

(10) იერემია და გოდება: მოტირალი წინასწარმეტყველი 137

(11) ეზეკიელი და დანიელი: წინასწარმეტყველები გადასახლებაში 149

(12) მცირე წინასწარმეტყველები 1: ოსია, იოველი, ამოსი 165

(13) მცირე წინასწარმეტყველები 2: წინასწარმეტყველები ერების მიმართ 179

(14) მცირე წინასწარმეტყველები 3: წინასწარმეტყველები გადასახლების შემდეგ 297

რეკომენდებული რესურსები 211

დავალებების ჩაწერა 219

მითითებები კლასის ლიდერებისთვის

ეს კურსი არის ძველი აღთქმის მიმოხილვა. თითოეული გაკვეთილი მოიცავს რამდენიმე დავალებას. გაკვეთილის გარეშე დავალებების შესასრულებლად განკუთვნილი დროის გარდა, დამატებით გაკვეთილს უნდა დაუთმოთ 90-120 წუთი.

გაკვეთილის სტრუქტურა

(1) გაკვეთილების უმეტესობა დაიწყება დავალებით - წაიკითხონ ბიბლიის წიგნი ან წიგნები, რომლების შესწავლაც არის გათვალისწინებული ამ გაკვეთილზე. ეს უნდა გაკეთდეს წინასწარ, გაკვეთილის ჯგუფურად შესწავლამდე. ეს უზრუნველყოფს, სტუდენტების მიერ სწავლის დაწყებამდე, წიგნის ძირითადი შინაარსის ცოდნას. უფრო დიდი მოცულობის წიგნის შემთხვევაში, როგორიცაა ფსალმუნები, შეიძლება დაგჭირდეთ უფრო დიდი დროის დათმობა, მის წასაკითხად.

(2) ყოველი გაკვეთილი დაიწყება წმიდა წერილის დამახსოვრების მოკლე დავალებით. ის შედგება ძირითადი მუხლებისგან შესასწავლი წიგნებიდან.

(3) თუ ჯგუფურად სწავლობთ, შეგიძლიათ მორიგეობით წაიკითხოთ მასალა. პერიოდულად უნდა შეჩერდეთ კლასთან განსახილველად. როგორც კლასის ხელმძღვანელი, თქვენ პასუხისმგებელი ხართ, რომ დისკუსია არ გადავიდეს შესასწავლი მასალიდან სხვა თემებზე. უმჯობესია თითოეული სადისკუსიო პერიოდისთვის დროის ლიმიტი დააწესოთ.

(4) როდესაც მსგავს ნიშანს ► წააწყდებით, დასვით შეკითხვა და საშუალება მიეცით სტუდენტებს განიხილონ პასუხი.

(5) ბევრი სქოლიო მოიცავს წმიდა წერილის ამონარიდებს. გთხოვთ, სთხოვეთ სტუდენტებს მოძებნონ მუხლები და წაიკითხონ ისინი ჯგუფში.

(6) თითოეული გაკვეთილი შეიცავს დავალებას. ჯგუფური პრეზენტაციების შემთხვევაში, პრეზენტაციების წარდგენას დრო დაუთმეთ მომდევნო გაკვეთილის სესიის დაწყებამდე.

(7) ყოველი გაკვეთილი შეიცავს სატესტო კითხვებს. ყოველი სესიის ბოლოს ლიდერს შეუძლია განიხილოს ეს კითხვები სტუდენტებთან ერთად. შემდეგი კლასის სესია უნდა დაიწყოს ამ კითხვებზე დაფუძნებული მოკლე ტესტით. ის შეიძლება ჩატარდეს ზეპირად ან წერილობით.

ძველი აღთქმის სამყაროს რუკა[1]

გთხოვთ, მიმართოთ ამ რუკას მთელი კურსის განმავლობაში.



(1) მცირე აზია	(8) ეგვიპტე	(15) ბაბილონი (ქალაქი)
(2) სირია	(9) არაბეთის უდაბნო	(16) ური (ქალაქი)
(3) მესოპოტამია	(10) სპარსეთი	(17) ხმელთაშუა ზღვა
(4) ასურეთი	(11) ხარანი (ქალაქი)	(18) შავი ზღვა
(5) მედია	(12) ნინევია (ქალაქი)	(19) კასპიის ზღვა
(6) ქანაანი	(13) დამასკო (ქალაქი)	(20) წითელი ზღვა
(7) ელამი	(14) იერუსალიმი (ქალაქი)	(21) სპარსეთის ყურე

[1] Map of the OT World" was created by SGC with open data from NED and Bible Geocoding (CC BY 4.0), available from https://www.flickr.com/photos/sgc-library/52344014341, public domain (CC0).

ძველი აღთქმის ქრონოლოგია	
თარიღი	**პიროვნება/მოვლენა**
4000 წლამდე ძვ. წ.	ადამი
2400 წ. ძვ. წ.	ნოე
2000 წ. ძვ. წ.	აბრაჰამი
1450 წ. ძვ. წ.	მოსე
1000 წ. ძვ. წ.	დავითი
950 წ. ძვ. წ.	სოლომონი
722 წ. ძვ. წ.	ისრაელის დაცემა (ჩრდილოეთის სამეფო)
586 წ. ძვ. წ.	იუდას დაცემა (სამხრეთ სამეფო)
500 წ. ძვ. წ.	ეზრა
400 წ. ძვ. წ.	მალაქია

ორიენტირება ძველი აღთქმის სამყაროზე

ძველი აღთქმის კითხვის სირთულის ნაწილს ადგილებისა და თარიღების ფართო სპექტრი წარმოადგენს. ორი ილუსტრაცია მოგცემთ ზოგად წარმოდგენას ძველი აღთქმის სამყაროს შესახებ. შეინახეთ ისინი, რათა მიმართოთ მათ ამ კურსის მომდევნო გაკვეთილების შესწავლისას.

გაკვეთილი 1
ძველი აღთქმის შესავალი

გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს, სტუდენტმა უნდა:
(1) გაათვითცნობიეროს შთაგონების დოქტრინა.
(2) განსაზღვროს სტანდარტები, რომლებიც განაპირობებდა ძველი აღთქმის კანონის ჩამოყალიბებას.
(3) ენდოს ძველი აღთქმის ტექსტს, როგორი სახითაც ჩვენამდე მოაღწია.

(4) დააფასეთ ძველი აღთქმის მნიშვნელობა ქრისტიანის ცხოვრებაში.

ამ გაკვეთილისთვის მომზადება

წაიკითხეთ ფსალმუნი 119.

დაიზეპირეთ ფსალმუნი 19:7-11.

შესავალი

► გასულ წელს, რამდენჯერ იქადაგეთ ძველი აღთქმიდან? რამდენად მნიშვნელოვანია ძველი აღთქმა თქვენს საეკლესიო მსახურებაში?

ქრისტიანული თეოლოგია გვასწავლის, რომ მთელი წმიდა წერილის შთაგონებულია ღვთის მიერ. თუმცა, პრაქტიკაში, ჩვენ ხშირად უგულებელვყოფთ ღვთის სიტყვის დიდ მონაკვეთებს. თუ ჩვენ ნამდვილად გვჯერა, რომ „მთელი წმიდა წერილი ღვთივსულიერია“,[2] ჩვენ უნდა დავაფასოთ ძველი აღთქმა ისევე, როგორც ვაფასებთ ახალ აღთქმას. ჩვენ უნდა შევისწავლოთ და ვიქადაგოთ ძველი აღთქმა, როგორც ღვთის სიტყვა.

ძველი აღთქმის სამყაროსა და 21-ე საუკუნის სამყაროს შორის ამხელა მანძილის გამო, ძველი აღთქმის აღქმა შესაძლოა რთული იყოს თანამედროვე მკითხველისთვის. ამ კურსის მიზანია ძველი აღთქმის თითოეული წიგნის წარდგენა უზრუნველყოს. მიუხედავად იმისა, რომ შეუძლებელია მთელი ძველი აღთქმის დეტალურად განხილვა ასეთ მოკლე კურსში, თქვენ შეისწავლით წინაპირობების და გარემოებების ფონურ ინფორმაციას, რომელიც დაგეხმარებათ ამ წიგნების გაგებაში და მიიღებთ ზოგად წარმოდგენას თითოეული წიგნის ძირითადი თემების შესახებ. ეს კურსი ყურადღებას გაამახვილებს ორ სფეროზე: როგორ უკავშირდება ძველი აღთქმა ახალი აღთქმის გზავნილს და როგორ ესაუბრება ძველი აღთქმა დღევანდელ ეკლესიას.

---

[2] 2 ტიმოთეს 3:16

ამ პირველ გაკვეთილზე ჩვენ შევისწვლით წინაპირობების ძირითად საკითხებს, რომლებიც გავლენას ახდენს ჩვენ მიერ ძველი აღთქმის გაგებაზე. ჩვენ განვიხილავთ სამ საკითხს, რომელიც ეხება ძველ აღთქმას:

- რა წიგნები შეიძლება მივიჩნიოთ ღვთის სიტყვად? კანონი.
- როგორ გადაეცა ძველი აღთქმა კაცობრიობას? შთაგონება.
- არის თუ არა ჩვენამდე მოსული ტექსტი ორიგინალურ ხელნაწერებთან შესაბამისი? ტექსტური ერთიანობა და სიზუსტე.

კანონი

წმიდა წერილის კანონი ქრისტიანისთვის მნიშვნელოვანი საკითხია. საიდან ვიცით, რომ ძველი აღთქმის წიგნები მართლაც ღვთის სიტყვაა? კანონის კონცეფცია პასუხობს კითხვას: რომელი წიგნები წარმოადგენს ღვთის ხალხისთვი ღვთის სიტყვას?"

ტერმინი კანონი მომდინარეობს ბერძნული ტერმინიდან, რაც ნიშნავს "წესს" ან "სტანდარტს". ძველი აღთქმის კანონი შედგება წიგნებისგან, რომლებიც იმ სტანდარტს შეესაბამება, რომელსაც ებრაელი რაბინები იყენებდნენ იმ ხელნაწერების დასადგენად, რომლებიც ნამდვილად ღვთის სიტყვა იყო. ეს სწავლულები სამ ტესტს იყენებდნენ იმ წიგნების მიმართ, რომლებიც მიიჩნეოდა, რომ ისინი წმიდა წერილს წარმოადგენდნენ. კანონიკური წიგნები სამივე სტანდარტს აკმაყოფილებდნენ.

1. **ავტორი**. წიგნი დაიწერა წინასწარმეტყველური ნიჭით დაჯილდოვებული ადამიანის მიერ. ეს წიგნები გადმოგვცემს ღვთის გზავნილს, უწყებას, რომელიც წარმოთქმულია ადამიანი-ავტორის მეშვეობით.
2. **აუდიტორია, ანუ მსმენელები**. წიგნი ეხებოდა და მიმართავდა ყველა თაობას. ისეთი წიგნებიც კი, როგორიცაა მცირე წინასწარმეტყველები, რომლებიც ღვთის გაფრთხილებას აწვდიან ადამიანთა კონკრეტულ ჯგუფს, შეიცავენ გზავნილს ყველა ადამიანისთვის და ყველა დროისთვის.
3. **გზავნილი, ანუ შეტყობინება**. წიგნის გზავნილი არ ეწინააღმდეგებოდა უწინდელ ბიბლიურ გამოცხადებას.

ებრაული ბიბლიის კანონი ფართოდ იყო მიღებული ძვ.წ. 165 წლისთვის, მაშინ, როცა იუდა მაკაბელმა შეადგინა ებრაული წმიდა წერილების სია. როდესაც რაბინები შეიკრიბნენ ჯამნიას კრებაზე ახ.წ. 90წ., კანონის განსახილველად, მათ დაადასტურეს სია, რომელიც მიღებულ იქნა 200 წელზე მეტი ხნის წინ.

ადრეულმა ეკლესიამ ასევე მიიღო ეს სია და მეოთხე საუკუნისთვის ქრისტიანულ ეკლესიებში გამოყენებული კანონი მოიცავდა ძველი აღთქმის ოცდაცხრამეტ წიგნს..

რაბინებმა ებრაული ბიბლია სამ ნაწილად დაყვეს:

(1) რჯული (თორა) მოიცავდა მოსეს ხუთ წიგნს.

(2) წინასწარმეტყველები დაყოფილ იქნა ორ ქვეკატეგორიად:

- წინანდელი წინასწარმეტყველები - იესო ნავეს ძე, მსაჯულები, სამუელი და მეფეები
- უკანასკნელი წინასწარმეტყველები - ესაია, იერემია, ეზეკიელი და „თორმეტი”[3]

(3) წერილები, ანუ ჰაგიოგრაფია მოიცავდა ებრაულ დღესასწაულებთან დაკავშირებულ წიგნებს და წიგნებს, რომლებიც არ მიეკუთვნებოდა პირველ ორ კატეგორიას:

- პოეტური წიგნები - ფსალმუნები, იგავები, იობი
- "ხუთი გრაგნილი" (*მეგილოთი*) – ქებათა-ქება, რუთი, გოდება, ესთერი და ეკლესიასტე
- ისტორიული წიგნები - დანიელი, ეზრა, ნეემია და ნეშტთა

ქრისტიანები ძველ აღთქმას ხუთ ნაწილად ყოფენ:[4]

1. **ხუთწიგნეული** შედგება მოსეს ხუთი წიგნისგან.
2. **ისტორიული წიგნები** მოიცავს წიგნებს იესო ნავეს ძე-დან ესთერის წიგნამდე.
3. **პოეტური და სიბრძნის წიგნები** მოიცავს იობის წიგნიდან - ქებათა-ქების ჩათვლით.
4. **დიდი წინასწარმეტყველები** ესაიადან - დანიელის ჩათვლით.
5. **მცირე წინასწარმეტყველები** ძველი აღთქმის ბოლო თორმეტი წიგნი.

შთაგონება

პავლე წერდა, რომ მთელი წმიდა წერილი არის „ღვთივსულიერი“; ის „ღვთის შთაგონებით მოგვეცა“.5 ეს მუხლი გვასწავლის, რომ ღმერთი არის მთელი წმიდა წერილის ავტორი. ღვთაებრივი შთაგონების დოქტრინა ნიშნავს, რომ ღმერთმა შთაბერა თავისი სიტყვები ბიბლიის ავტორებს, ანუ ადამიანთა გონებას და ისინიც წერდნენ ისე, როგორც ღმერთი შთააგონებდა.

ღვთიური შთაგონება უფრო მეტია, ვიდრე შთაგონება, რომელსაც მხატვარი ან კომპოზიტორი იღებს, როდესაც ისინი ხელოვნების ან მუსიკის შედევრებს ქმნიან. ბიბლიის შთაგონება ნიშნავს, რომ ღმერთმა თავისი სიტყვები წარმოთქვა ადამიანი-ავტორის ლექსიკონისა და სტილის გამოყენებით. ეს უფრო მეტია, ვიდრე ავტორის აზრების შთაგონება, თვითონ სიტყვებიც ღვთისგან არის შთაგონებული.

ღმერთმა სხვადასხვა დროს შთააგონა წმიდა წერილის სიტყვები სხვადასხვა გზით. ზოგჯერ ღმერთი ხმამაღლა საუბრობდა, კარნახობდა წმიდა წერილის სიტყვებს.[6] ზოგჯერ ღმერთი ლაპარაკობდა სიზმრებისა და ხილვების მეშვეობით.[7] ხშირ შემთხვევაში, ბიბლია არ გვეუბნება, როგორ შთააგონა ღმერთმა წიგნის დამწერი. პეტრემ დაწერა, რომ ბიბლიის ავტორები სულიწმიდის მიერ იყვნენ „აღძრულნი“.[8] წმიდა წერილის სიტყვები სანდოა, რადგან თავად ღმერთია სანდო.

---

[3] "თორმეტის წიგნი" შედგება ინგლისური ბიბლიის თორმეტი მცირე წინასწარმეტყველისგან.
[4] ძველ აღთქმაში ქრისტიანები აღიარებენ იგივე შთაგონებულ წიგნებს, რასაც იუდეური ებრაული ბიბლია. ჩვენ უბრალოდ განსხვავებულ კატეგორიებად ვყოფთ მათ.
[5] 2 ტიმოთეს 3:16
[6] ლევიანნი 1:1, მაგალითად
[7] დანიელი 7 და 8, მაგალითად
[8] 2 პეტრეს 1:21

შთაგონების ევანგელური მოძღვრება გვასწავლის, რომ ღმერთი ლაპარაკობდა ადამიანი-ავტორის პიროვნების მეშვეობით, მაგრამ მან წარმართა პროცესი ისე, რომ ამ ავტორთა მიერ ნათქვამი ყოველი სიტყვა, ღვთის სიტყვაა. იმის გამო, რომ ეს არის ღვთის სიტყვა, ბიბლია არის შეუმცდარი (შეცდომის გარეშე) და უტყუარი (არასოდე გამტყუნდება). ყოველი ფორმულირებული მტკიცება (როგორც დოქტრინალური, ასევე ისტორიული) უშეცდომოა წმიდა წერილის ორიგინალურ ხელნაწერებში.[9]

ტექსტური მთლიანობა

ზოგიერთი სკეპტიკოსი ამტკიცებს, რომ თუ ორიგინალური ხელნაწერები კიდეც იყო ჭეშმარიტი, ჩვენ ვერ ვენდობით ჩვენამდე მოსულ ტექსტებს. ისინი ამტკიცებენ, რომ შეცდომები დაშვებულია წმიდა წერილის გადაწერისას. ეს კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ თუნდაც, თუ ორიგინალური ტექსტი ღვთის მიერ შთაგონებული იყო, ჩვენ არ გვაქვს საშუალება დაზუსტებით ვიცოდეთ, რომ დღესაც გვაქვს ზუსტად გადმოცემული ბიბლია.

შეგვიძლია ვენდოთ ჩვენი ბიბლიის ტექსტურ სიზუსტეს? პასუხია: "დიახ!" მართალია, ძველი აღთქმის წიგნები ხელნაწერის სახით იყო გადაცემული და ისიც მართალია, რომ ხელნაწერების გადაწერისას შეცდომები შეიძლება ყოფილიყო დაშვებული. თუმცა, ვინაიდან ეს იყო ღვთის სიტყვა, გადამწერები თავიანთ საქმეს დიდი სიფრთხილით უდგებოდნენ.

თავდაპირველად, მღვდლები იყვნენ პასუხისმგებელნი ბიბლიური ტექსტების გადაწერაზე. ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაახლოებით 500 წლიდან გადამწერები აკეთებდნენ ტექსტების ასლებს. გადამწერებს, მემატიანეებს (რომლებიც ასევე „მთვლელებად“ მოიხსენიებდნენ) ეწოდათ ეს სახელი, რადგან ისინი მიმართავდნენ თორის ყოველი ასოს გადათვლას, როგორც ტექსტის სიზუსტის შემოწმების საშუალებას. გადამწერებს ზეპირად ერთი ასოც კი არ უნდა დაეწერათ; ყოველი ასო უნდა გადამოწმებულიყო ადრინდელ ასლთან შედარების გზით. გადაწერის წესები ძალიან მკაცრი იყო, რადგან მემატიანეები პატივს სცემდნენ წმიდა წერილს, როგორც ღვთის სიტყვას.

მკვდარი ზღვის გრაგნილები

1947 წელს, მკვდარი ზღვის მახლობლად, აღმოაჩინეს რამდენიმე უძველესი გრაგნილი.[10] ისინი შეიცავს ძველი აღთქმის ასლებს, რომლებიც შესრულებულია ჩვენს წელთაღრიცხვამდე 250 წლისა და ახ.წ. 135 წლის პერიოდის შუალედში. იმის გამო, რომ ისინი დაახლოებით 1000 წლით უფრო ძველია, ვიდრე უფრო გვიანდელი ეგზემპლარები, მკვდარი ზღვის გრაგნილები ღირებულია შემდგომი ასლების სიზუსტის შესამოწმებლად. ამ გრაგნილებში შედის ძველი აღთქმის ყველა წიგნის ნაწილი, ესთერის გარდა..

მკვდარი ზღვის გრაგნილების უფრო გვიანდელ ასლებთან შედარებისას, მეცნიერებმა საოცარი სიზუსტე აღმოაჩინეს. მაგალითად, ესაიას გრაგნილი 1200 წლით უფრო ძველია, ვიდრე ნებისმიერი

---

[9] ამ თემის შესახებ მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ წიგნი "მე მწამს", რომელიც ჩამოთვლილია ამ თავის ბიბლიოგრაფიულ განყოფილებაში. გარდა ამისა, შთაგონების გაკვეთილი შედის შეფერდს გლობალ კლასრუმ (SGC)-ის კურსში "ქრისტიანული მრწამსი.

[10] გარი კ. ბრენტლი, „მკვდარი ზღვის გრაგნილები და ბიბლიური მთლიანობა/სიზუსტე.” იხილეთ http://www.apologeticspress.org.

გვიანდელი ეგზემპლარი. ტექსტის ოთხმოცდათხუთმეტ პროცენტზე მეტი იდენტურია გვიანდელ ასლებთან. ვარიაციების მცირე რაოდენობა, უპირველეს ყოვლისა, არის ორთოგრაფიული ცვლილებები და გადამწერების აშკარა შეშლა, კალმის წაცდომა. არ არსებობს ცვლილებები, რომლებიც შექმნიდნენ მოძღვრებისეულ განსხვავებას.

ესაიას 53 თავი მკვდარი ზღვის გრაგნილებში

ესაიას 53-ე თავი გვიჩვენებს ძველი აღთქმის ტექსტის სიზუსტეს. ესაიას 53-ე თავი შეიცავს 166 ებრაულ სიტყვას. მკვდარი ზღვის გრაგნილებში ჩვიდმეტი განსხვავებული ასოა. ესენია:

- ათი ასო არის ორთოგრაფიული განსხვავება - სიტყვები, რომლებმაც შეიცვალეს მართლწერა 1200 წლის განმავლობაში
- ოთხი ასო არის სტილისტური განსხვავება - ტექსტის გამოხატვის სხვადასხვა ხერხი
- სამი ასო არის დამატებული სიტყვა („სინათლე“) მნიშვნელობის განსამარტად მე-11 მუხლში: „იხილავს თავისი ტანჯვის შედეგს (სინათლეს) და გაიხარებს.”[11]

ამ ცვლილებებს არ მოუხდენია გავლენა არც ერთ ბიბლიურ სწავლებაზე. ღმერთი ხელმძღვანელობდა 1200 წლის განმავლობაში ძველი აღთქმის ხელით გადაწერას, რათა შეენარჩუნებინა თავისი სიტყვა თავისი ხალხისთვის.

დასკვნა: ძველი აღთქმა და ქრისტიანი

დიახ, ძველი აღთქმა შეიძლება რთული გასაგები იყოს:

- ძველი აღთქმა წარმოადგენს ჩვენი სამყაროსგან ძალიან განსხვავებულ კულტურებს.
- ძველი აღთქმა მოიცავს დროის უზარმაზარ პერიოდს (მინიმუმ 1000 წელს).
- ძველი აღთქმა მოიცავს ოთხ მთავარ იმპერიას (ეგვიპტე, ასურეთი, ბაბილონი, სპარსეთი).
- ძველი აღთქმა მოიცავს 3000-ზე მეტ ადგილსა და ადამიანს.

ძველი აღთქმა შეიძლება იყოს რთული, მაგრამ ეს არის ღვთის სიტყვა ღვთის ხალხისთვის. იესო ძველი აღთქმიდან ქადაგებდა. მათ, ვისაც მასში ეჭვი ეპარებოდა, მან შეახსენა, წმიდა წერილები „მოწმობენ ჩემზე.”[12]

ძველი აღთქმა, ადრეული ეკლესიის მიერ განიხილებოდა, როგორც ღვთის სიტყვა. მეორე რჯული, ახალ აღთქმაში ციტირებულია ოთხმოცზე მეტჯერ. ადრეული ეკლესია ქადაგებდა, რომ იესო ქრისტეს ცხოვრება და მსახურება იყო ძველი აღთქმის შესრულება.

> "ძველი და ახალი აღთქმა არის ერთი ღმერთის ერთი წიგნი, რომელიც შთაგონებულია ერთი სულით, რომელიც მოწმობს ერთ ძეზე".
> - პერიფრაზირებულია ჯეფრი ბრომილის გამონათქვამიდან

ძველი აღთქმა დღესაც განაგრძობს ჩვენთან საუბარს:

---

[11] ესაია 53:11

[12] ინ. 5:39. „წმიდა წერილებზე“ საუბრისას, იესო გულისხმობს ძველი აღთქმის წერილებს.

- ძველი აღთქმიდან ვიგებთ ღვთის სიდიადესა და სიწმიდეს.
- ძველი აღთქმიდან ჩვენ ვიგებთ ადამიანის ცოდვის არსებობის და მხსნელის საჭიროების შესახებ.
- ძველი აღთქმიდან ჩვენ ვიგებთ ღვთის გეგმის შესახებ - შექმნას წმიდა ერი, რომელიც არჩეული და გამოყოფილია მის განსაკუთრებულ საკუთრებად.

ძველი აღთქმა არის ღმერთის სიტყვა ღვთის ხალხისთვის ყველა საუკუნეში.

1-ლი გაკვეთილის დავალება

გაიარეთ ამ გაკვეთილის ტესტი. ტესტი მოიცავს საზეპირო მუხლებს წმიდა წერილიდან.

1-ლი გაკვეთილის ტესტი

(1) რას ნიშნავს სიტყვა „კანონი“ ბიბლიასთან მიმართებაში?

(2) ჩამოთვალეთ სამი სტანდარტი, რომლებიც გამოყენებულია ძველი აღთქმის კანონის დასამკვიდრებლად.

(3) ჩამოთვალეთ ებრაული ბიბლიის სამი ნაწილი.

(4) ჩამოთვალეთ ქრისტიანული ძველი აღთქმის ხუთი ნაწილი.

(5) რას ნიშნავს ტერმინი „ღვთისულიერი“?

(6) რას ნიშნავს ტერმინები „შეუცდომელი“ და „უტყუარი“?

(7) როგორ ცხადყოფს მკვდარი ზღვის გრაგნილები ძველი აღთქმის ტექსტურ მთლიანობას და სიზუსტეს?

(8) ჩამოთვალეთ სამი გზა, როგორ გვესაუბრება ძველი აღთქმა დღეს.

(9) მეხსიერებით დაწერეთ ფსალმუნის 19:7-11.

გაკვეთილი 2
დაბადება: დასაწყისში

გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს, სტუდენტმა უნდა:
(1) შეძლოს დაბადებიდან ძირითადი თემების გამოკვეთა.
(2) დააფასოს ქმნადობის დოქტრინის მნიშვნელობა ქრისტიანული თეოლოგიისთვის.
(3) გაიაზროს აბრაამის აღთქმის როლი ხსნის ისტორიაში.
(4) იცოდეს დაბადების წიგნის მთავარი პერსონაჟების ვინაოდა.
(5) დაუკავშიროს დაბადების წიგნის არსი დღევანდელი ქვეყნიერების საჭიროებებს.

ამ გაკვეთილისთვის მომზადება

წაიკითხეთ დაბადება.

დაიზეპირეთ დაბადება 3:15 და 12:3

ხუთწიგნეული

ბიბლიის პირველ ხუთ წიგნს *Pentateuch,* ანუ ხუთწიგნეული ეწოდება.[13] ებრაულ ბიბლიაში მათ უწოდებენ თორას ანუ რჯულს/კანონს, რაც წარმოსდგება სიტყვიდან, რომელიც ნიშნავს „სწავლებას.”

ხუთწიგნეული არის ბიბლიის საფუძველი. ის უზრუნველყოფს ისტორიულ ჩარჩოს წმიდა წერილის დანარჩენი ნაწილისთვის.

- დაბადების 1–11-ში ღმერთი ქმნის სრულყოფილ სამყაროს და შემდეგ ადამიანის ცოდვას პასუხობს, როგორც მადლით, ასევე განკითხვით.
- დაბადების 12–50-ში ღმერთი ირჩევს აბრაამს, ისაკს და იაკობს, როგორც მესიანურ ხაზს, რომელთა მეშვეობითაც ის გამოისყიდის ყველაფერს.
- გამოსვლაში ღმერთმა გამოიყვანა ისრაელი ეგვიპტიდან და დაამყარა ურთიერთობა თავის ხალხთან.
- ლევიანებში წმიდა ღმერთი ასწავლის ისრაელს, როგორ იცხოვროს წმიდა ხალხად.
- რიცხვებში ღმერთი ავლენს თავის ერთგულებას თავისი ხალხისადმი, მიუხედავად მათი დაუმორჩილებლობისა.
- მეორე რჯულში ღმერთი ამზადებს თავის ხალხს აღთქმულ ქვეყანაში საცხოვრებლად.

---

[13] ბერძნულიდან: პენტე (*pente)* არის ხუთი და ტეუხოს (*teuchos)* არის გრაგნილი. ხუთწიგნეული ნიშნავს "ხუთ გრაგნილს" ან ხუთ წიგნს.

	თემა	**ღმერთი არის…**	**იესო არის…**	**ისრაელი არის…**
დაბადება	დასაწყისში	უზენაესი შემოქმედი	მეორე ადამი	რჩეული
გამოსვლა	გამოსყიდვა და ურთიერთობა	ღვთაებრივი მეომარი	პასექის კრავი	დახსნილი
ლევიანები	სიწმიდე	წმიდა განმანათლებელი	სრულყოფილი მსხვერპლი	გამოყოფილი
რიცხვნი	ხეტიალი	უბრალოდ დამხმარე/მხარდამჭერი	სპილენძის გველი (რიცხვნი 21:4-9; ინ. 3:14)	დაუმორჩილებელი
მეორე რჯული	განახლება	მოსიყვარულე უფალი	მომავალი წინასწარმეტყველი (მეორე რჯული 18:15-19; საქმეები 7:37)	მომზადებული

ხუთწიგნეულში ჩვენ ვხედავთ თემებს, რომლებიც გვხვდება ძველი აღთქმის დანარჩენ ნაწილშიც.

(1) ღვთის უზენაესობა. ქმნილებაში, ჭირში და ეგვიპტიდან გამოხსნაში, ისრაელის უდაბნოში ტარებისას ღმერთი ავლენს თავის ძალაუფლებას მის ქმნილებაზე. ისრაელის ისტორია იქცა ეტაპად, სადაც ვლინდება ღვთის უზენაესობა.

(2) ადამიანის ცოდვილობა. ადამიანის აჯანყება გავლენას ახდენს კაცობრიობის მთელს ისტორიაზე. წარღვნა, ბაბილონი და ისრაელის დაუმორჩილებლობა უდაბნოში, ყველაფერი აჩვენებს ადამიანის ცოდვილობას. თუმცა, დაბადების 3:15-დან დაწყებული, ღმერთი მოქმედებს ადამიანის დაცემის შედეგების შესაცვლელად.

(3) ღვთის გეგმა ხსნისთვის. ღმერთის აღთქმა აბრაამთან, ისაკის დაბადება, ისრაელის ეგვიპტიდან დახსნა, რჯულის მიცემა და აღთქმულ მიწაზე შესვლა ღვთის განზრახვის საფეხურებია ცოდვილი ადამიანის გადასარჩენად. გამოსვლაში პასექი ხდება ღვთის გამომსყიდველი საქმის მუდმივი სიმბოლო.

(4) სიწმიდე ღმერთი წმიდა ღმერთია; მას არ შეუძლია ცოდვის იგნორირება. ხუთწიგნეული გვიჩვენებს, თუ როგორ შექმნა ღმერთმა წმიდა ხალხი, რომელსაც შეუძლია მის თანდასწრებაში ცხოვრება. სიწმიდე არ არის ადამიანის სიკეთის შედეგი; ეს არის მოწყალე ღმერთის მოქმედება, რომელიც თავის ხალხს ცოდვილი ხალხიდან წმიდა ხალხად გარდაქმნის. ჩვენ წმიდანი ვართ მხოლოდ წმიდა ღმერთთან ურთიერთობის გაგრძელების საშუალებით.

ხუთწიგნეულის ავტორობა

მეთვრამეტე საუკუნემდე ხუთწიგნეულის ავტორობის შესახებ კამათი ძალიან ნაკლებად, ან საერთოდ არ ყოფილა. ყველა ქრისტიანმა მიიღო წმიდა წერილის მოწმობა მოსეს ავტორობის შესახებ. თანამედროვე კრიტიკის ზრდასთან ერთად, დღეს ბევრი მეცნიერი უარყოფს მოსეს, როგორც ავტორს.

თუმცა, ევანგელისტებისთვის, რომლებიც აღიარებენ წმიდა წერილის უტყუარობას, წმიდა წერილის მოწმობა ნათელია. ხუთწიგნეული თავად ასახელებს მოსეს ავტორად; ახალი აღთქმის მწერლებს მოჰყავთ მოსეს, როგორც ავტორის, ციტატები; იესომ მოსე დაასახელა ავტორად. ამის გამო, ჩვენ ვეთანხმებით, რომ ხუთწიგნეული შეადგინა მოსემ, სავარაუდოდ, ძვ.წ. XV საუკუნეში. სტუდენტებს, რომლებსაც ამ საკითხის უფრო დეტალურად შესწავლა სურთ, შეიძლება დაეხმაროს ამ თავისთვის რეკომენდებული რესურსები.

მნიშვნელოვანია გავიგოთ „ავტორობის“ ბუნება ძველ სამყაროში. დღეს თუ წერ წიგნს, ის დასრულებულია; მას არავინ შეცვლის, მის შემდეგ რაც გამოაქვეყნებთ. თუ მოსეს, ხუთწიგნეულის ავტორად მივიჩნევთ ისე, როგორც დღევანდელი ავტორები წერენ, ბევრი კითხვა გაგვიჩნდება. მაგალითად:

- მეორე რჯული 34-ე თავი გვიამბობს მოსეს სიკვდილისა და დაკრძალვის შესახებ.
- რიცხვნი 12:3 მოსეს დედამიწაზე ყველაზე თავმდაბალ კაცს უწოდებს. როგორც სტუდენტმა იკითხა: „თუ ადამიანი საკუთარ თავს უწოდებს ყველაზე თავმდაბალ ადამიანს დედამიწაზე, ის ნამდვილად თავმდაბალია?”
- დაბადების 11:28 მოიხსენიებს ურს, როგორც „ქალდეველთა“. ქალდეველები არ განაგებდნენ ურის მიმდებარე ტერიტორიას მოსეს გარდაცვალებიდან 700 წლის შემდგომ პერიოდამდე.

თითოეული ეს მაგალითი ცხადი ხდება, როდესაც გავერკვევით ძველი სამყაროს „ავტორობის“ ბუნებაში. მოსეს ხუთწიგნეულის ავტორად იდენტიფიცირება ნიშნავს, რომ მოსემ სულიწმიდით შთაგონებულმა დაწერა ამ ხუთი წიგნის ძირითადი შინაარსი. მოგვიანებით მწერალმა (შესაძლოა იესო ნავე ძემ) ასევე სულიწმიდის შთაგონებით, დაამატა მოსეს სიკვდილისა და დაკრძალვის ამბავი. სულიწმიდის ხელმძღვანელობითვე, უფრო მოგვიანებით, გადამწერმა მოსეს უწოდა ყველაზე თავმდაბალო კაცი დედამიწაზე. სულიწმიდის ხელმძღვანელობით გადამწერმა დაამატა „ქალდეველთა“, რათა დახმარებოდა მკითხველს განერჩია „ქალდეველთა ური“ სხვა ქალაქისგან, რომელსაც ასევე ური ერქვა.

ასეთი ცვლილებები ეჭვქვეშ არ აყენებს მოსეს, როგორც ხუთწიგნეულის ავტორს. სამაგიეროდ, ისინი გვეხმარებიან უფრო მეტი სიცხადით გავიაზროთ შთაგონების პროცესი.

დაბადება

თემა: “დასწყისში”

დაბადება არის საწყისების წიგნი. დაბადება ასახავს სამყაროს დასაწყისს (დაბადება 1–11), რასაც მოჰყვა ებრაელი ერის დაარსება და ხსნის ისტორია (დაბადება 12–50).

თანამედროვე სკეპტიკოსები უარყოფენ ამ თავების ისტორიულ ჭეშმარიტებას. თუმცა, ეს თავები საფუძველს წარმოადგენს წმიდა წერილის დანარჩენი წიგნებისთვის. ისინი გვაჩვენებენ ღმერთის უზენაეს მეუფებას სამყაროზე და მის მადლს ცოდვილი ადამიანის გამოსყიდვის საქმეში.

დაბადების მიმოხილვა

პირველყოფილი ისტორია: დაბადება 1–11

დაბადების 1–11-ს ხშირად უწოდებენ "პირველყოფილ ისტორიას". ეს თავები მოიცავს 2000 წელზე მეტს. დაბადების 1–11 გვიამბობს ოთხ მთავარ მოვლენას:

- ***ქმნადობა*** აჩვენებს ღმერთის უზენაეს მეუფებას მთელ სამყაროზე. რჯულის მიცემის ძალაუფლება ეფუძნება მის, როგორც სამყაროს შემოქმედის უზენაესობას.
- ***დაცემა*** გვიჩვენებს ადამიანის ცოდვილობას და ხსნის საჭიროებას. წმიდა წერილის დანარჩენი ნაწილი გვიჩვენებს ღვთის მადლისმიერ აღდგინების საშუალებას, დაცემის შედეგების აღმოსაფხვრელად.
- **წარღვნა** გვიჩვენებს ღვთის სიწმიდესა და სამართლიანობას. ჩვენ არასოდეს არ უნდა დავიჯეროთ სატანის ტყუილი, რომ ცოდვას არ მოჰყვება ღვთის განაჩენი. წარღვნა ასახავს პრინციპს„ცოდვილი კაცი კი მოკვდება.”[14]
- ***ბაბილონის გოდოლი*** გვიჩვენებს ადამიანის მუდმივ აჯანყებას და სიამაყეს. ედემის ბაღში სატანამ აცდუნა ევა დაპირებით - „ღმერთებივით იქნებით.”[15] ბაბილონში ადამიანის მცდელობა იყო - „შევიქმნით სახელს.”[16] ორივე შემთხვევაში ადამიანი სიამაყიდან მოქმედებს; ორივე შემთხვევაში ადამიანი ცდილობს მოირგოს ღმერთის როლი; ორივე შემთხვევაში, ადამიანის სიამაყეს მოაქვს ღვთის სამსჯავრო.

დაბადების 1-ლი თავი გვიჩვენებს სამყაროს შექმნას *ელოჰიმის*, სამყაროს ყოვლისშემძლე ღმერთის მიერ.

დაბადების მე-2 თავი ყურადღებას ამახვილებს ედემის ბაღში ადამიანის შექმნაზე და ურთიერთობაზე ადამსა და *იაჰვეს*, ღმერთს შორის, რომელმაც აღთქმა დადო.

დაბადების 1–2 თავები გვაჩვენებს, რომ ადამიანი ღირებულია, რადგან ჩვენ ღვთის ხატად ვართ შექმნილი.[17] დავითი მღეროდა:

---

[14] ეზეკიელი 18:20
[15] დაბადება 3:5
[16] დაბადება 11:4
[17] ღვთის ხატების მოძღვრების მნიშვნელობა ცხადი ხდება, როდესაც დაბადების ამბავს შევადარებთ ძველი ახლო აღმოსავლეთის ქმნადობის მითებს. *ატრაჰასისის* ბაბილონურ ფილაზე გადმოცემულის მიხედვით, ადამიანები თიხისგან შეიქმნენ ღმერთებისთვის თხრილების ამოსათხრელად. ღმერთებს არ სურთ მუშაობა, ამიტომ ადამიანები მონებად შექმნეს. *ატრაჰასისში* ღმერთები ეჭვიანები და მერყევები არიან; *ატრაჰასისში* ადამიანობა არ ფასობს. ამის საპირისპიროდ, დაბადება გვიჩვენებს, რომ წმიდა ღმერთმა შექმნა კაცობრიობა თავის ხატად და მსგავსად; ჩვენ უნდა ვიყოთ წმიდები, როგორც ღმერთია წმიდა.

როცა შენს ზეცას ვუმზერ - შენი თითების ნამოქმედარს, მთვარესა და ვარსკვლავებს, რომლებიც დააფუძნე, რა არის კაცი, რომ გახსოვს იგი ან - ადამიანის ძე, რომ ზრუნავ მასზე? ბევრად არ დაგიმცირებია იგი ანგელოზებზე, დიდება და ღირსება დაადგი გვირგვინად.[18]

დაბადება 1–3 გვაჩვენებს ადამიანის აჯანყებას ღმერთის წინააღმდეგ. ულამაზეს ბაღში, ყოველი სიკეთით გარშემორტყმულები, რაც ღმერთმა შექმნა, ღმერთთან უახლოესი მეგობრობით ტკბებოდნენ, მაგრამ ადამმა და ევამ ღმერთს ზურგი აქციეს და გველის ხმას მოუსმინეს. მიუხედავად ადამიანის აჯანყებისა, ეს თავები გვიჩვენებს ღვთის მადლის აღთქმას, ანუ დაპირებას მხსნელის და გამომსყიდველის შესახებ.[19]

და ბოლოს, დაბადება 1–11 გვიჩვენებს ადამიანის მზარდ აჯანყებას, რამაც გამოიწვია წარღვნა. წარღვნის შემდეგ ადამიანი კვლავ აჯანყდა ბაბილონში. ამ აჯანყებამ გამოიწვია ენების აღრევა და ერების მიმოფანტვა. ეს ამბები ასახავს გამოსყიდვის აუცილებლობას, რომელიც გათვალისწინებული და განპირობებულია აბრაამთან დადებული აღთქმით.

პატრიარქალური (მამამთავრების) ისტორია: დაბადება 12–50

დაბადება 1–11 მოიცავს 2000 წელზე მეტ ხანს და შეჯამებულია ოთხი მოვლენით. დაბადება 12-50 არის პატრიარქების (მამამთავრების) ამბავი. ეს თავები აღწერს ოთხი ადამიანის ცხოვრებას დაახლოებით 300 წლის განმავლობაში:

- აბრაამი (დაბადება 11–25)
- ისააკი (დაბადება 25–26)
- იაკობი (დაბადება 27–36)
- იოსები (დაბადება 37–50)

დაბადების 1–11 თავები მოგვითხრობს სამყაროს დასაწყისის შესახებ; დაბადების 12–50 თავები მოგვითხრობს ებრაელი ერის წარმოშობის ისტორიას. დაბადება იყენებს ფორმულას „ეს არის გენეალოგია…“ რათა მკვეთრი ფოკუსირებით გვაჩვენოს სამყაროს შექმნიდან („ასეთი იყო ცათა და მიწის დაბადება, უფალი ღმერთის მიერ ცათა და მიწის შექმნის დღეს”)[20], კაცობრიობის შექმნამდე ("ეს არის ადამის შთამომავლობის წიგნი”)[21], შემდეგ კი ნოეს, სემის, თერახის, აბრაამის, ისააკის და ბოლოს იაკობის გავლით („აი, იაკობის მოდგმა”).[22]

აბრაამთან აღთქმა ცენტრალურია გადარჩენის ისტორიაში. ეს აღთქმა ვლინდება სამ სცენაში:

- დაბადების 12:1–3-ში ღმერთი დაჰპირდა აბრაამს, რომ მისი შთამომავლებისგან დიდ ერს შექმნიდა. ის აკურთხებდა ისრაელის მაკურთხებლებს და დაწყევლიდა მათ მაწყევრებს.

---

[18] ფსალმუნი 8:3-5

[19] თეოლოგები დაბადების 3:15-ს უწოდებენ "პროტო-ევანგელიუმს", სახარების პირველ დაპირებას. ცოდვის საპასუხოდ, ღმერთმა ადამიანს გამოსყიდვა აღუთქვა; მან არ დაგვტოვა ჩვენს ცოდვაში.

[20] დაბადება 2:4

[21] დაბადება 5:1

[22] დაბადება 37:2

ღმერთმა აღუთქვა, რომ აბრაამის შთამომავლებს კურთხევად აქცევდა ყველა ერისთვის. ისრაელის რჩეულობა იყო *ხალხის* არჩევა, რომელიც კურთხევის საშუალება უნდა გამხდარიყო *ყველა ერისთვის.*

- დაბადების მე-15 თავი არის ღირსშესანიშნავი თავი ხსნის ისტორიაში. სხვა ძველი ახლო აღმოსავლეთის აღთქმებში, სუსტი მხარე დებს სისხლის ფიცს, რომელიც მოითხოვს ძლიერი მხარისადმი ერთგულებას. დაბადების მე-15 თავში ღმერთმა თვითონ შეჰფიცა აბრაამს და მარადიულ ერთგულება აღუთქვა.
- დაბადების მე-17 თავში მოცემულია წინადაცვეთის ნიშანი, რომლითაც აბრაამი და მისი შთამომავლები ავლენდნენ თავიანთ რწმენას აღთქმისადმი. ხსნა ძველ აღთქმაში, ისევე როგორც ახალ აღთქმაში, იყო რწმენით და არა საქმეებით. თავად წინადაცვეთა არასოდეს ყოფილა ხსნის საფუძველი; წინადაცვეთა იყო აღთქმის დაპირებებისადმი რწმენის ნიშანი.[23]

მესიანური ხაზის ღვთის უზრუნველყოფის ამბავი გრძელდება:

- ისაკის სასწაულებრივი დაბადებით.
- ღმერთის მიერ აბრაამის მორჩილების გამოცდით, ისაკის მსხვერპლად შეწირვისკენ მოწოდებით.
- ისაკის სანაცვლო ვერძის გამოჩენით.
- ღვთის მიერ იაკობის ოჯახის კურთხევით, იაკობის ხასიათის ნაკლოვანებების მიუხედავად.

დაბადების 37–50 თავები ინაცვლებს მესიანურ ხაზზე აქცენტირებიდან (აბრაამი - ისაკი - იაკობი - იუდა) და ფოკუსირდება იოსებზე. იოსებს ხშირად აღიქვამდნენ, როგორც ქრისტეს მსგავსს. ორივე, იოსებიც და იესოც უარყოფილნი იყვნენ ოჯახის მიერ, ორივე გაყიდეს, ორივემ მსხვერპლი გაიღო სხვებისთვის და ორივემ აპატია მათ, ვინც მათ შეურაცხყოფა მიაყენეს. იოსები, იესოს ადამიანური ბუნების, ძველ აღთქმისეულ მშვენიერ მაგალითს წარმოადგენს.

დაბადების წიგნის ბოლოში იოსების, როგორც მნიშვნელოვანი ფიგურის გამოჩენის ერთ-ერთი მიზეზი არის ის, რომ მისი ამბავი გვიჩვენებს, თუ როგორ შეინარჩუნა ღმერთმა მესიანური ხაზი შიმშილის წლებში. იოსების ისტორია იძლევა გადასვლას გამოსვლის წიგნზე და გვაჩვენებს, თუ როგორ აღმოჩნდნენ ისრაელის შვილები ეგვიპტეში. დაბადება მთავრდება იმით, რომ ისრაელი ეგვიპტეში კეთილგანწყობით სარგებლობდა. გამოსვლა იწყება 400 წლის შემდეგ, როდესაც ისრაელი ჩაგვრას განიცდის ეგვიპტეში.

მნიშვნელოვანი თემები დაბადების წიგნში

რჩეულობა

რჩეულობის თემა ძველ აღთქმაში ცენტრალურია. აბრაამი რჩეული იყო, რათა ღვთის კურთხევის არხად ყოფილიყო ყველა ერისთვის. ანალოგიურად, ისაკი და იაკობი რჩეულები არა თავიანთი

[23] რომაელთა 4:9-12

საქმეებისთვის გახდნენ, არამედ ღმერთმა თავისი აღთქმების გამტარებად აირჩია. პატრიარქები, ანუ მამამთავრები გახდნენ რჩეულნი, როგორც მესიანური ხაზის ნაწილი. ეს არ იყო ამორჩევა ინდივიდუალური გადარჩენისთვის; ეს იყო ამორჩევა მსახურებისთვის.

აღთქმაში ინდივიდუალური მონაწილეობა დაფუძნებული იყო ღვთის დანაპირების რწმენაზე. ამას ვხედავთ ისტორიულ წიგნებში. რახაბი არ იყო ისრაელის რჩეული ერის ნაწილი, მაგრამ მან დაიმკვიდრა ღვთის დაპირებები რწმენაში მორჩილების გამო. საპირისპიროა ყაქანის შემთხვევაში; მიუხედავად იმისა, რომ ის იყო რჩეული ერის ნაწილი, მან არ მიიღო ღვთის დაპირებები თავისი დაუმორჩილებლობისა და რწმენის ნაკლებობის გამო.

რჩეულობის მოძღვრება ძველ აღთქმაში	
ისრაელი რჩეულია	ყველა ერის გულისთვის
ისრაელი რჩეულია	მსახურებისთვის
ინდივიდების რჩეულობა	მხოლოდ ღვთის დაპირებების რწმენით

აღთქმა

ღმერთმა აღთქმა დადო ნოესთან (დაბადება 9). ამას მოჰყვა მისი აღთქმა აბრაამთან (დაბადება 12, 15, 17). შემდეგი ნაბიჯი აღთქმის ისტორიაში იქნება სინას მთაზე, როცა ღმერთი დებს აღთქმას მოსესთან (გამოსვლა 19). 2 სამუელის (2 მეფეთა) მე-7 თავში ღმერთი დადებს აღთქმას დავითთან. ყოველივე ეს მიუთითებს იესო ქრისტეს მსხვერპლშეწირვით განმტკიცებულ „ახალ აღთქმაზე“ (ლუკა 22:20).

ყოველი აღთქმა ეფუძნება წინა აღთქმის საფუძველს. წინა შეთანხმების ჩანაცვლების ნაცვლად, თითოეული აღთქმა ამატებს ახალ დეტალებს. ეს განმარტავს იესოს სიტყვებს მათეს 5:17-ში: „არ იფიქროთ, თითქოს რჯულის ან წინასწარმეტყველთა გასაუქმებლად მოვედი. გასაუქმებლად კი არა, აღსასრულებლად მოვედი“. ახალი აღთქმა არ ანაცვლებს ძველ აღთქმას; ის ეფუძნება ძველი აღთქმის საფუძველს.

დაბადება ახალ აღთქმაში

ახალი აღთქმის ისტორია იწყება დაბადების 3:15-ის დაპირებიდან. იესო ასრულებს ღვთის დაპირებას მხსნელის შესახებ, რომელიც დაამარცხებს გველს. დაბადების მე-3 თავის წყევლა სრულიად იცვლება გამოცხადებაში; დაბადების მე-3 თავის დაპირება სრულდება ქრისტეს მოვლინებით.

იესო ახალ აღთქმაში აღიქმება, როგორც მეორე ადამი, რომელიც აუქმებს პირველი ადამის წარუმატებლობას.[24] ის არის აბრაამის აღთქმული შთამომავალი, რომლის მეშვეობითაც იკურთხება დედამიწის ყველა ერი.[25]

[24] რომაელთა 5:12-21

[25] დაბადება 12:1-3; გალატელთა 3:15-22

ახლო ხედით დაკვირვება ქმნადობაზე

► რამდენად მნიშვნელოვანია ქმნადობის დოქტრინა ბიბლიური გზავნილის გასაგებად? მნიშვნელოვანია თუ არა, თუ დაბადების 1-2 თავები მითია და არა ფაქტობრივი ისტორია?

1998 წელს, შეზღუდული შეღწევადობის ქვეყანაში ვატარებდი სასწავლო კურსს პასტორებისთვის. ამ ქვეყნის მთავრობა კრძალავს ქრისტიანული ლიტერატურის გამოცემას. თუმცა, 1998 წელს ამ მთავრობამ დაუშვა ბიბლიური მოთხრობების საბავშვო წიგნის გამოცემა.

აღფრთოვანებული ვიყავი ამ ამბით - სანამ წიგნის ასლი არ ვნახე. მთავრობა დაჟინებით მოითხოვდა თითოეული გვერდის დამტკიცებას გამოქვეყნებამდე. პირველ გვერდზე გამოსახული იყო, თუ როგორ გააძევა ღმერთმა ადამი და ევა ედემიდან. მეორე სურათზე გამოსახული იყო ბავშვები, რომლებიც წარღვნის დროს მოვარდნილი წყლით შეშინებულები ყვიროდნენ. მესამეზე ნაჩვენები იყო აბრაამი, შვილზე მოღერებული დანით ხელში.

მთავრობამ აიძულა გამომცემელი გამოეტოვებინა შექმნისა და დაცემის ისტორიები. ბიბლია შექმნისა და დაცემის გარეშე იძლევა ღმერთის დამახინჯებულ სურათს. ბავშვებმა, რომლებიც კითხულობდნენ ამ ბიბლიას, დაინახეს გაბრაზებული ღვთაება, რომელიც ახრჩობს ბავშვებს და აიძულებს მამებს მოკლან თავიანთი ვაჟები. ამ ბიბლიური მოთხრობების წიგნს აკლია შექმნის ძირითადი ისტორია, რომელიც გვიჩვენებს, თუ რატომ აქვს ღმერთს ძალაუფლება ამ სამყაროზე.

შექმნის ისტორია არსებითია ქრისტიანული რწმენისთვის. შესაძლოა, ამიტომაა, რომ ამდენი სკეპტიკოსი იწყებს თავდასხმებს ქრისტიანულ რწმენაზე, სწორედ დაბადების ამბის ჭეშმარიტების უარყოფით. სამწუხაროდ, მრავალი ქრისტიანი მწერალიც კი ამტკიცებს, რომ დაბადების ისტორია არ არის სარწმუნო. ისინი ამტკიცებენ, რომ დაბადების 1-2 თავები არის მითი და არა ისტორია. თუმცა, დანარჩენი წერილი მოწმობს დაბადების წიგნში მონათხრობის ჭეშმარიტებას.

პრობლემის ნაწილი ის არის, რომ ბევრი ქრისტიანი სეკულარული აზროვნების ტყვედ იქცა, რომელიც ამტკიცებს, რომ მეცნიერება ეწინააღმდეგება ბიბლიას. მათ მიიღეს ათეისტი მეცნიერების არგუმენტები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ წმიდა წერილის ნდობა შეუძლებელია. თუმცა, ისტორიის მანძილზე უდიდესი მეცნიერები მიძღვნილი ქრისტიანები იყვნენ.[26] მეცნიერული ჭეშმარიტება არ ეწინააღმდეგება ბიბლიურ ჭეშმარიტებას; მეცნიერებაც და წმიდა წერილიც მიუთითებს ღმერთზე,

---

[26] დიდი მეცნიერები, რომლებიც თავდადებული ქრისტიანები იყვნენ:
+ ნიკოლაი კოპერნიკი (აღიარებდა, რომ მზე სამყაროს ცენტრშია)
+ გალილეო (მიჩნეულია "თანამედროვე მეცნიერების მამად")
+ იოჰანეს კეპლერი (ახსნა პლანეტების მოძრაობა)
+ სერ ისააკ ნიუტონი (ჩამოაყალიბა გრავიტაციის კანონი)
+ რობერტ ბოილი (ითვლება პირველ თანამედროვე ქიმიკოსად)
+ რენე დეკარტი (მეცნიერული რევოლუციის ერთ-ერთი მთავარი მოაზროვნე)
+ მაიკლ ფარადეი (გამორჩეული ქიმიკოსი)
+ ლუი პასტერი (გამოიგონა პასტერიზაცია და შექმნა ცოფისა და ჯილეხის საწინააღმდეგო პირველი ვაქცინები)
+ მაქს პლანკი (დააარსა კვანტური მექანიკა)

როგორც შემოქმედზე. სწორად გაგებისას, დაბადების 1–2 თავები არის სამყაროს შექმნის ისტორიული ანგარიში. სწორად აღქმის შემთხვევაში, მეცნიერება ხსნის ფანჯარას ღვთის შემოქმედების საოცრებებისკენ.

დაბადების 1–2 თავები ასწავლის, რომ:

- ღმერთმა სამყარო არაფრისგან შექმნა [27] (რაც უარყოფს როგორც **ძველ მითებს**, რომლებიც გვასწავლიან, რომ სამყარო სხვა ღმერთებმა შექმნეს, ასევე **თანამედროვე მითებს**, რომლებიც ასწავლიან, რომ სამყარო შემთხვევით წარმოიქმნა).
- არსებობს ერთი უზენაესი ღმერთი (რაც უარყოფს ძველი სამყაროს პოლითეიზმს)
- ადამიანი შექმნილია ღმერთის ხატად (რაც უარყოფს ევოლუციას, რომელიც ამბობს, რომ ჩვენ ვართ დროისა და შემთხვევითობის შედეგი).

არც ერთმა მორწმუნემ არ უნდა უარყოს დაბადების 1–2 თავების ეს არსებითი სწავლებები. დასაწყისში უზენაესმა ღმერთმა შექმნა ჩვენი სამყარო არაფრისგან. თავდაპირველად ღმერთმა კაცობრიობა თავის ხატად შექმნა. როდესაც შექმნა, კვირა დასრულდა. ღმერთმა დაინახა, რომ ეს ძალიან კარგი იყო. ქრისტიანები შეიძლება განსხვავდებოდნენ წმიდა წერილის დეტალების ინტერპრეტაციის, ანუ განმარტების მხრივ; მაგრამ ისინი უნდა თანხმდებოდნენ წმიდა წერილის ჭეშმარიტებაში.

დასკვნა: დაბადება ლაპარაკობს დღეს

დაბადება მნიშვნელოვანი წიგნია ოცდამეერთე საუკუნის ქრისტიანისთვის. ის ლაპარაკობს თანამედროვე ეკლესიის წინაშე არსებულ საკითხებზე.

ვინაიდან ღმერთმა შეგვქმნა თავისი ხატად და მსგავსად, **ადამიანის სიცოცხლე ძვირფასია**. თანამედროვე სოციალური საკითხები, როგორიცაა აბორტი და ევთანაზია, განხილულია დაბადების 1 და 2 თავების უძველეს მოწმობებში. თუ ჩვენ ღვთის ხატად ვართ შექმნილი, ყოველი სიცოცხლე წმიდა და ხელშეუხებელია და უნდა იყოს დაცული.

იმის გამო, რომ ადამიანს დაეკისრა დედამიწაზე მეურვეობა, ჩვენ ვართ პასუხისმგებელნი **ვიზრუნოთ ჩვენს სამყაროზე** და თუმცა ქრისტიანები აღიარებენ ადამიანის სიცოცხლის უპირატესობას ცხოვრების სხვა ფორმებთან შედარებით, მათ უნდა დააფასონ დედამიწის ყველა ასპექტი, როგორც ღვთის კარგი ქმნილება.

აბრაამთან დადებული აღთქმის გამო, ეკლესიას აქვს **მახარებლობისა და მოწაფეობის მანდატი**. იესომ დაავალა ეკლესიას აღესრულებინა ისრაელის მისია ერების წინაშე.[28] ისრაელმა ვერ შეასრულა თავისი მისია ძველ აღთქმაში; ჩვენ მაინც არ უნდა ჩავაგდოთ ჩვენი დღევანდელი მისიის შესრულება.

---

[27] თეოლოგები იყენებენ ტერმინს *creatio ex nihilo* რათა აღწერონ „არაფრისგან შექმნა.”
[28] მათე 28:18-20

მე-2 გაკვეთილის დავალებები

წარმოაჩინეთ თქვენ მიერ ამ გაკვეთილის აღქმა შემდეგი დავალებების შესრულებით:

(1) აირჩიეთ შემდეგი დავალებებიდან **ერთ-ერთი**:

ვარიანტი 1: ჯგუფური დავალებat

დაავალეთ თქვენი ჯგუფის თითოეულ წევრს დაბადების 1–11თავების ოთხი დიდი მოვლენიდან ერთ-ერთი. თქვენი ჯგუფის თითოეული წევრი მოამზადებს მოკლე რეზიუმეს, რომელშიც წარმოგიდგენთ:

- ბიბლიური ისტორიის შეჯამებას
- რამდენად მნიშვნელოვანი იყო ეს მოვლენა ბიბლიური ისტორიისთვის
- რას გვასწავლის ეს მოვლენა დღეს

ვარიანტი 2: ინდივიდუალური დავალება.

ამოირჩიეთ ერთი:

- დაწერეთ 1–2 გვერდიანი დეტალური მონახაზი ქადაგებისთვის ან ბიბლიის შესწავლის ჯგუფისთვის (საოჯახო ეკლესიისთვის) დაბადების 1–11თავების ოთხი დიდი მოვლენიდან ერთერთზე. თქვენმა ქადაგებამ უნდა წარმოაჩინოს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ეს მოვლენა ბიბლიის ისტორიაში და რას გვასწავლის ეს მოვლენა დღეს.
- დაწერეთ 1–2 გვერდიანი დეტალური მონახაზი ქადაგებისთვის ან ბიბლიის შესწავლის ჯგუფისთვის (საოჯახო ეკლესიისთვის) დაბადების 12–50 თავების ოთხი ძირითადი პერსონაჟიდან ერთერთზე. თქვენმა ქადაგებამ უნდა წარმოაჩინოს, თუ როგორ გვევლინება პერსონაჟი პოზიტიურ მაგალითად ან უარყოფით ჭრილში გაფრთხილებად მორწმუნეებისთვის დღეს.

(2) გაიარეთ ამ გაკვეთილის ტესტი. ტესტი მოიცავს საზეპირო მუხლებს წმიდა წერილიდან.

მე-2 გაკვეთილის ტესტი

(1) რას ნიშნავს ებრაული სიტყვა თორა?
(2) როგორ არის წარმოდგენილი იესო ხუთწიგნეულის თითოეულ წიგნში?
(3) ჩამოთვალეთ ძველი აღთქმის ოთხი თემა, რომლებიც წარმოდგენილია ხუთწიგნეულში.
(4) რა არის დაბადების წიგნის თემა?
(5) ჩამოთვალეთ დაბადების წიგნის ორი ძირითადი ნაწილი.
(6) ჩამოთვალეთ ოთხი ძირითადი მოვლენა დაბადების 1–11თავებიდან.
(7) ჩამოთვალეთ ოთხი მთავარი პერსონაჟი დაბადების 12–50 თავებიდან.
(8) თითოეულმა თითო წინადადებით შეაჯამეთ აბრაამთან დადებული აღთქმის სამი ასპექტი.
(9) ჩამოთვალეთ სამი რამ, რასაც დაბადების წიგნი გვასწავლის ქმნადობის შესახებ.
(10) ჩამოთვალეთ სამი გზა, რომლითაც დაბადება ელაპარაკება თანამედროვე ეკლესიას.
(11) დაწერეთ დაზეპირებული დაბადების 3:15 და 12:3.

გაკვეთილი 3
გამოსვლა-მეორე რჯული:

ისრაელი ერის დასაბამი

გაკვეთილის მიზნები
ამ გაკვეთილის ბოლოს, სტუდენტმა უნდა:
(1) შეძლოს ძირითადი თემების გამოკვეთა გამოსვლის წიგნიდან-მეორე რჯულამდე.
(2) იცოდეს გამოსვლიდან-მეორე რჯულის ჩათვლით წიგნების ძირითადი შინაარსი.
(3) შეძლოს წიგნების, გამოსვლა-მეორე რჯულის ძირითადი მოვლენების განსაზღვრა.
(4) გააცნობიეროს კავშირი რჯულსა და ქრისტიანს შორის.
(5) დაუკავშიროს ხუთწიგნეულის არსი დღევანდელი სამყაროს საჭიროებებს.

ამ გაკვეთილისთვის მომზადება

წაიკითხეთ გამოსვლიდან მეორე რჯულის ჩათვლით.

დაიზეპირეთ გამოსვლა 3:14; ლევიანები 20:7–8; მეორე რჯული 6:4–5.

შესავალი

წიგნები გამოსვლიდან - მეორე რჯულის ჩათვლით, მოგვითხრობენ ისრაელი ერის დაარსების დროინდელ მოვლენების შესახებ. ეს წიგნები მოგვითხრობს ისრაელის ეგვიპტიდან გამოხსნის, სინას მთაზე რჯულის მიცემის, უდაბნოში ხეტიალის წლებისა და აღთქმულ ქვეყანაში შესასვლელად მზადების შესახებ.

დაბადების მსგავსად, წიგნები გამოსვლიდან - მეორე რჯულის ჩათვლით, დაწერილია მოსეს მიერ. გამოსვლა იწყება ისრაელის ეგვიპტეში ყოფნის 400 წლის შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ თარიღთან დაკავშირებით გარკვეული უთანხმოება არსებობს, ეგვიპტიდან გამოსვლის სავარაუდო თარიღი არის ძვ. წ. 1446 წ.[29] მეორე რჯული მთავრდება, როდესაც ისრაელი ემზადება ქანაანში შესასვლელად დაახლოებით ძვ. წ. 1405 წ.

გამოსვლა

თემა: გამოსყიდვა და ურთიერთობა

გამოსვლა ორ ძირითად თემას ასახავს. გამოსვლა 1–15 თავები განიხილავს ღმერთის მიერ ისრაელის ეგვიპტიდან გამოხსნას. პასექი გვახსენებს ამ გამოსყიდვას. ისრაელის ისტორიის განმავლობაში,

---

[29] ევანგელისტები განიხილავდნენ გამოსვლის ორ შესაძლო თარიღს. 3 მეფეთა 6:1-სა და მსაჯულთა 11:26-ზე დაყრდნობით, ყველაზე სავარაუდო თარიღია ძვ. წ. 1446 წ. არქეოლოგიურ მონაცემებზე და 3 მეფეთა 6:1-ის სიმბოლურ გაგებაზე დაყრდნობით, ზოგიერთი ევანგელისტი მხარს უჭერს დაახლოებით ძვ. წ. 1275 წ. თუმცა, 3 მეფეთა და მსაჯულთა პირდაპირი წაკითხვით ვარაუდობენ, რომ ძვ. წ. 1446 წელია ყველაზე სავარაუდო თარიღი.

პასექის აღნიშვნა იქნება ყოველწლიური შეხსენება ღვთის მადლის შესახებ ისრაელის მონობიდან გასათავისუფლებლად.

გამოსვლა 16–40 ასახავს ღმერთის მადლიან ურთიერთობას ისრაელთან. რჯულის მიცემა სინას მთაზე ცენტრალური მომენტია ამ ურთიერთობის დამყარებაში.

გამოსვლა		
თავები 1-15	გამოხსნა ეგვიპტიდან	პასექი
თავები 16-40	ურთიერთობა იაჰვესთან	10 მცნება

გამოსვლის მიმოხილვა

გამოსყიდვა: გამოსვლა 1–15

გამოსვლა იწყება იმით, რომ ისრაელი ეგვიპტეში ჩაგვრას განიცდის. მიუხედავად იმისა, რომ ფარაონმა მიიღო იოსების ოჯახი, 400 წლის შემდეგ იაკობის შთამომავლები უკვე ეგვიპტის საფრთხედ აღიქმებიან. ღმერთმა ისმინა თავისი ხალხის ღაღადი და მოსე მოუვლინა მხსნელად.

ოთხი მოვლენა ასახავს ისრაელის გამოსყიდვას ეგვიპტიდან:

- *მოსეს სასწაულებრივი დაბადება და მოწოდება* არის ღმერთის პასუხი თავისი ხალხის ღაღადზე.
- *ათი ჭირი*/სასჯელი ცხადყოფს ღვთის უზენაესობას. ჭირი უფრო მეტია, ვიდრე ღვთის ძალის დემონსტრირება; ისინი პირდაპირი თავდასხმაა ეგვიპტის ცრუ ღმერთებზე. ეგვიპტელები აღიქვამდნენ ნილოსს, როგორც სიცოცხლის წყაროს; ღმერთმა წყალი სისხლად აქცია. ერთ-ერთი ეგვიპტური ქალღმერთი ბაყაყად იყო გამოსახული; ღმერთმა ბაყაყების ჭირი გამოგზავნა. ეგვიპტური ოჯახის ყოველი პირმშო ღმერთებს ეკუთვნოდა; ღმერთმა წაიყვანა პირმშო ვაჟები. ამ სასჯელებმა აჩვენა ეგვიპტესაც და ისრაელსაც, რომ იაჰვე უზენაესია და მეფობს ყველა ადამიანზე.
- *პასექი* აღნიშნავს ისრაელის, როგორც ღვთის რჩეული ხალხის პოზიციას. ეს დღესასწაული იქცა ღვთის ძლევამოსილი ხსნის აქტის მუდმივ მემორიალად.
- *წითელი ზღვის გადაკვეთამ* აჩვენა ღვთის ძალა თავისი ხალხის გადასარჩენად.

ურთიერთობა: გამოსვლა 16–40

ღმერთმა გამოისყიდა ისრაელი, რათა დაემყარებინა ახლო, ინტიმური ურთიერთობა თავის ხალხთან. გამოსვლის მე-16–40 თავების მოვლენები ხდება სინას მთაზე. იქ ღმერთი შეხვდა თავის ხალხს და გამოარჩია და აღნიშნა, როგორც თავისი „ძვირფასი საკუთრება.”[30]

[30] გამოსვლა 19:5

ორი სიმბოლო აღნიშნავს იაჰვესა და ისრაელს შორის ურთიერთობას:

(1) ***ათი მცნების*** **მიცემამ შექმნა აღთქმის სტრუქტურა ურთიერთობისთვის**. ისევე როგორც წინადაცვეთამ, აბრაამთან დადებულ აღთქმაში, რჯულის მორჩილებამ ვერ მოიტანა ხსნა. პირიქით, რჯულისადმი მორჩილება, იაჰვესთან ურთიერთობის შედეგი იყო.

(2) ***დავითის კარავი*** **წარმოადგენდა მის ხალხში ღვთის ყოფნის ვიზუალურ სიმბოლოს**. ბანაკის ცენტრში მდებარე კარავი იყო მუდმივი შეხსენება, რომ იაჰვე თავის რჩეულ ხალხს შორის ცხოვრობდა.



კარავი ასწავლიდა ისრაელს სიწმიდის ცნებას. როდესაც ისრაელიანები კარვისკენ მიდიოდნენ, მათ იცოდნენ, რომ ისინი გადადიოდნენ „უწმინდური“ სივრციდან (ბანაკს გარეთ) „წმიდა“ სივრცეში (ბანაკის შიგნით) თავად კარავში, რომელიც იყო „წმიდა“ და ღვთისთვის და მღვდლებისთვის გამოყოფილი. "წმიდათა წმიდა" იყო ღვთის სამკვიდრებლის თვალსაჩინო სიმბოლო. ეს აჩვენებდა ღვთის სიწმიდეს და მის მოლოდინებს წმიდა ხალხის მიმართ.

გამოსვლა ახალ აღთქმაში

ახალ აღთქმაში იესო არის სრულყოფილი პასექის კრავი.[31] მან აღასრულა პასექისა და კარვის აღთქმა. იოანე იყენებს ბერძნულ სიტყვას „კარავი,“ რათა აღწეროს „იესოს მსახურება დედამიწაზე“, როდესაც წერს: „და სიტყვა გახდა ხორცი და დამკვიდრდა (კარავში) ჩვენ შორის.” [32] როგორც კარავი განასახიერებდა ღვთის ყოფნას (თანდასწრებას) მის ხალხში, ასევე იესო იყო ღმერთის თანდასწრება მთელ კაცობრიობას შორის.

ლევიანები

წიგნი	რას ასწავლის ღმერთის შესახებ	სიმბოლო
გამოსვლა	ღმერთი წარმოდგენილია.	კარავი
ლევიანები	ღმერთი წმიდაა	მსხვერპლშეწირვები

თემა: სიწმიდე

სამწუხაროდ, ძალიან ბევრი ქრისტიანი უგულებელყოფს ლევიანების წიგნს. მიუხედავად იმისა, რომ ლევიანთა წიგნი აღწერს ჩვენთვის უცხო წეს-ჩვეულებებს, წიგნი შეიცავს მნიშვნელოვან გზავნილს: წმიდა ღმერთს სჭირდება წმიდა ხალხი. ლევიანთა წიგნი პასუხობს კითხვას: „როგორ უნდა ცხოვრობდეს ღვთის ხალხი წმიდა ღმერთის წინაშე? ლევიანთა წიგნის თემა - სიწმიდეა.

[31] 1 კორინთელთა 5:7

[32] იოანე 1:14. სიტყვა დამკვიდრდა სიტყვასიტყვით კარავს ნიშნავდა (კარავში ცხოვრება).”

მნიშვნელოვანია გავიგოთ ლევიანთა ადგილი ხუთწიგნეულში. ღმერთმა უკვე გამოისყიდა ისრაელი ეგვიპტიდან და თავის ერად მოუწოდა. მსხვერპლშეწირვა და რჯული არ არის გამიზნული ღვთის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად. პირიქით, მსხვერპლშეწირვები და წმიდა კოდექსის კანონები იძლევა ჩარჩოს წმიდა ღმერთის თანდასწრებაში ცხოვრებისთვის.

ლევიანთა წაკითხვის გასაღები არის ბალანსი, რომელიც ჩანს ლევიანთა 20:7–8-ში. „მომიძღვენით თავები და იყავით წმიდა, რადგან მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი. დაიცავით ჩემი წესები და აღასრულეთ ისინი, რადგან მე ვარ უფალი, თქვენი განმწმედი“. მაგრამ არასოდეს უნდა დაგვავიწყდეს, რომ ის არის „უფალი, თქვენი განმწმედი“.[33] ღმერთი, რომელმაც გამოისყიდა ისრაელი თავისი მადლით გამოსვლის წიგნში, არის ღმერთი, რომელიც განწმენდს ისრაელს ლევიანთა წიგნში. ღმერთი, რომელიც თავისკენ მოგვიწოდებს, არის ღმერთი, რომელიც გვწმენდს, ანუ წმიდაგვყოფს.

ლევიანების მიმოხილვა

მსხვერპლშეწირვის კანონები (ლევიანები 1–7)

რალფ ვუდმა, ბეილორის უნივერსიტეტის პროფესორმა, ერთხელ სტუდენტთა ჯგუფს სთხოვა შეედარებინათ ორი მაგალითი: თანამედროვე მეცნიერი, რომელიც ამბობს, რომ მოძღვრება ცოდვის შესახებ ცრუმორწმუნეობის მითია და წარმართი ბიჭი, რომელიც შორეულ სოფელში სამსხვერპლოზე ქათამს სწირავს. პროფესორმა ვუდმა ჰკითხა: "რომელი მათგანია შორს ჭეშმარიტებისგან?" სტუდენტები მალევე მიხვდნენ, რომ წარმართ ბიჭს, რაც არ უნდა პრიმიტიული იყოს, ესმის ის, რაც თანამედროვე მეცნიერს არ ესმის: ცოდვა მსხვერპლს მოითხოვს. ცოდვილებს გამოსასყიდი სჭირდებათ. მიუხედევად იმისა, რომ წარმართი ბიჭი არასწორად ითხოვდა პატიებას, წარმართსაც კი ესმის, რომ ცოდვა საჭიროებს გამოსყიდვას.[34]

მსხვერპლის საჭიროება მთელ წმიდა წერილში ჩანს:

- დაბადების 3:21-ში ღმერთმა ადამსა და ევას ტანისამოსი ცხოველის ტყავისგან გაუკეთა.
- დაბადების მე-4 თავში კაენის უღირსი მსხვერპლშეწირვა უარყოფილია.
- დაბადების 22:14-ში აბრაამმა მსხვერპლშეწირვის ადგილს უწოდა „იაჰვე ირე.”[35]
- ლევიანთა წიგნი განსაზღვრავს მსხვერპლშეწირვის სისტემას.
- ებრაელების 9 და 10 თავებში იესო განიხილება, როგორც „ერთხელ და სამუდამოდ“ შეწირული მსხვერპლი, რომელმაც მრავალის ცოდვა იტვირთა.

ლევიანები 1–7 წარმოადგენს მსხვერპლშეწირვის კანონებს. ეს მსხვერპლშეწირვა დაეხმარა ისრაელიანებს გაეგოთ, როგორ მიახლოვებოდნენ წმიდა ღმერთს.

---

[33] ლევიანნი 20:7-8

[34] პერიფრაზირებულია ჯილ კარატინის დან, “ღვთის კრავი“ უსასრულობის მონაკვეთი, 23 აპრილი, 2012. ხელმისაწვდომია: http://www.rzim.org

[35] “უფალი გამოაჩენს” მსხვერპლს შესაწირად.

- *ყოვლადდასაწველი შესაწირავი* (ლევიანი 1) ძველი აღთქმის ძირითადი შესაწირავი იყო. ცხოველის დაკვლის წინ მორწმუნე ცხოველს თავზე ხელს ადებდა, რითაც აჩვენებდა, რომ სიკვდილით დასჯას თავად ცოდვილი იმსახურებდა.[36] შემდეგ ცხოველი მთლიანად იწვებოდა სამსხვერპლოზე.

- *ჰურეული შესაწირავი* (ლევიანი 2) იყო ძღვენი, რომელსაც ხშირად თან ახლდა ყოვლადდასაწველი ან სამშვიდობო მსხვერპლი.

- *სამშვიდობო შესაწირავი* (ლევიანები 3) აღნიშნავდა თაყვანისმცემელსა და ღმერთს შორის თანაზიარებას. ის ადასტურებდა ღმერთსა და ისრაელს შორის აღთქმისეულ ურთიერთობას. ეს არის ერთადერთი შესაწირავი, რომლის გაყოფაც ხდებოდა თაყვანისმცემელს, მღვდელს და ღმერთს შორის.[37]

- *ცოდვისთვის შესაწირავი* (ლევიანები 4:1–5:13) მიეცათ რჯულის უნებლიე დარღვევის, ან რჯულის რომელიმე მოთხოვნის შეუსრულებლობის გამოსასყიდად. ცოდვამ გააუწმინდურა ადამიანი; ამ შესაწირავმა კი მათ სიწმიდე დაუბრუნა.

- *შეცოდების ან დანაშაულის გამოსასყიდი შესაწირავი* (ლევიანები 5:14–6:7) ასევე ეხებოდა რჯულის დარღვევას. ეს შესაწირავი ძალიან ჰგავს ცოდვისთვის შესაწირავს, მაგრამ, როგორც ჩანს, ეხება უფრო სერიოზულ დარღვევებს, განსაკუთრებით იმ დანაშაულებს, რომელიც მოითხოვდა საკუთრების დაბრუნებას და აღდგენას.

მიუხედავად იმისა, რომ მოგვიანებით ისრაელმა მსხვერპლშეწირვა უბრალო რიტუალად მიიჩნია, მსხვერპლშეწირვის სისტემა გამიზნული იყო ჭეშმარიტი მონანიების წარმოსახვისთვის. „ჰუბრისის ცოდვები“ (განზრახ დაუმორჩილებლობით ჩადენილი ცოდვები) არ იფარებოდა, (არ ეპატიებოდათ) ამ შესაწირავებით.[38] ღირსეული შესაწირავი უნდა გაკეთდეს გულწრფელად მონანიებული გულიდან.

მღვდელმსახურების დაარსება (ლევიანები 8–10)

იმის გამო, რომ ღმერთი წმიდაა, ყველა თაყვანისცემა უნდა აღსრულდეს ისე, როგორც მან განსაზღვრა და ბრძანა. გამოსვლის 32-ე თავი გვიჩვენებს, თუ რა შედეგი მოჰყვა, იაჰვეს და ეგვიპტის ოქროს ხბოს თაყვანისცემის შერწყმის მცდელობას.[39] ლევიანების მე-10 თავი გვიჩვენებს ღვთის სამსჯავროს

---

[36] ლევიანნი 1:4–5

[37] ის ნაწილი, რომელიც ღმერთს ეკუთვნოდა („ქონი“ – საუკეთესო ნაწილები) საცეცხლო შესაწირი იყო. დანარჩენი კი შემწირველს და მღვდელს უნდა შეეჭამა.

[38] რიცხვთა 15:30-31-ის თანახმად, მათთვის ვინც "თავხედურად მოიქცეოდა", ამპარტავნების ცოდვის გამოსასყიდი მსხვერპლი არ არსებობდა. ამის სანაცვლოდ ცოდვილი უნდა „მოეკვეთათ“. 51-ე ფსალმუნში დავითმა იცის, რომ მის მიერ ურიას განზრახ გათვლილი მკვლელობა არ იფარებოდა ცოდვის შესაწირავით. ამის ნაცვლად, ის ღვთის წყალობას მიენდო; „რადგან მსხვერპლი არა გსურს, რომ შემოგწირო და სრულადდასაწველს არ ინებებ. შესაწირი ღმერთისა - სული მოდრეკილი; მოდრეკილისა და მორჩილის გულს არ დაამცირებ, ღმერთო.”

[39] იხილეთ გამოსვლა 32:4 (“ესაა შენი ღმერთი, ისრაელო, რომელმაც ეგვიპტის ქვეყნიდან გამოგიყვანა”) და გამოსვლა 32:5 (“**უფლის** დღესასწაულია ხვალ”).

მათთვის, ვინც არასათანადოდ და არასწორად სცემს თაყვანს. წმიდა ღმერთი მოითხოვს, რომ მას მივუახლოვდეთ ისე, როგორც მან დაგვიწესა.

სუფთა და უწმინდურის რჯულის კანონები (ლევიანები 11–16)

400 წლის განმავლობაში ისრაელი ცხოვრობდა ეგვიპტეში, გარშემორტყმული წარმართებით, რომლებმაც არაფერი იცოდნენ სიწმიდის შესახებ. როდესაც ღმერთმა ისრაელს სიწმიდისკენ მოუწოდა, მათ უნდა ესწავლათ გარშემომყოფი ერების ცოდვებისგან გამოყოფა და განცალკევება. ამან ისრაელს საშუალება მისცა ღვთის წმიდა ბუნება წარმოეჩინა ერების წინაშე.

ღმერთმა გამოიყენა წმიდისა და უწმინდურის კანონები, რათა საგნობრივი გაკვეთილი მიეცა სისუფთავისა და სიწმიდის შესახებ. ყოველდღიური ცხოვრების ასპექტების გამოყენებით (საკვები, მშობიარობა, კანის დაავადებები და სხეულის გამონადენი), ღმერთმა აჩვენა, რომ მთელი ცხოვრება მას ეკუთვნის.

ზოგიერთი განსხვავება წმიდასა და უწმინდურს შორის გასაგები არ არის თანამედროვე მკითხველისთვის. ერთ-ერთი ყველაზე სავარაუდო განმარტება იმაში მდგომარეობს, რომ სუფთა ცხოველად ადამიანიის წარმოდგენაში ის მიიჩნეოდა, რომელიც მისი კლასიფიკაციის მიხედვით ითვლებოდა სუფთად. მაგალითად, წყალში მცხოვრები არსება ფარფლებისა და ქერცლის გარეშე უწმინდურად ითვლებოდა; მრავალფეხა მფრინავი მწერებიც უწმინდურად ითვლებოდა. [40] მიუხედავად იმისა, რომ კლასიფიკაციის მიზეზები ყოველთვის გასაგები არ არის, ძირითადი გზავნილი ნათელია: ღვთის ხალხმა უნდა განასხვავოს, რა არის სუფთა და რა უწმინდური.

სიწმიდის კოდი: სიარული ღმერთთან (ლევიანები 17–27)

ლევიანთა ბოლო ნაწილი გადადის მსხვერპლშეწირვის რიტუალებიდან - მღვდლობაზე, ხოლო რიტუალური სიწმიდიდან - წმიდა ცხოვრებაზე ფოკუსირებაზე. სიწმიდის კოდექსში ისრაელი მოწოდებულია, წარმოაჩინოს სიწმიდე ცხოვრების ყველა სფეროში: სოციალური ურთიერთობები, ოჯახი, სექსუალობა, დღესასწაულები და ღარიბებთან მოპყრობა. სიწმიდისკენ მოწოდება ეფუძნება ღვთის ბუნებას: „იყავით წმიდა, რადგან წმიდა ვარ მე, უფალი, თქვენი ღმერთი."[41] შეხსენება, რომ „მე ვარ უფალი" ან „მე ვარ უფალი, შენი ღმერთი" ორმოცდაშვიდჯერ გვხვდება ამ თავებში. ღვთის ხალხის სიწმიდე არის ღვთის სიწმიდის არეკვლა.

ლევიანები ახალ აღთქმაში

ლევიანების ბევრმა კონკრეტულმა დებულებამ შეწყვიტა მოქმედება ქრისტეს მოსვლის შემდეგ; მან აღასრულა რჯული, ანუ კანონი. [42] თუმცა, ლევიანებში ნასწავლი სიწმიდის პრინციპები კვლავაც

---

[40] მოსალოდნელია, რომ წყალში მცხოვრებ არსებას უნდა ჰქონდეს ფარფლები ან ქერცლი. მწერის ფეხები ასოცირდება ცოცვასთან და არა ფრენასთან. ამრიგად, ამ არსებებს ჰქონდათ ისეთი მახასიათებლები, რომლებიც არ შეესაბამებოდა მათი სახეობის კლასიფიის მოსალოდნელ ნიშნებს.

[41] ლევიანები 19:2. იგივე აზრი მეორდება ლევიანები 20:7, 26; 21:8-ში. ახალ აღთქმაში ის მეორდება 1 პეტრეს 1:15-16-ში და იგივე აზრი გვხვდება მათეს 5:48-ში.

[42] 1 კორინთელთა 9:21; გალატელთა 6:2

მოქმედებს. ეს კანონები ცხადყოფს ღმერთის სიწმიდეს, სიწმიდეს, რომელიც ქრისტეს მეშვეობით ყველა მორწმუნესთვის ხელმისაწვდომია.[43]

რჯულის კანონის უფრო ახლოს გაცნობა

► თუ მადლით ვართ გადარჩენილი, რა პრაქტიკულ როლს თამაშობს რჯული ჩვენს, როგორც ახალი აღთქმის მორწმუნეების ცხოვრებაში?

"რჯული" ხშირად არასწორად გამოიყენება დღევანდელ ეკლესიაში. ბევრისთვის რჯული მოძველებული და სრულიად უმნიშვნელოა ქრისტიანისთვის. ისინი ციტირებენ პავლეს გაფრთხილებებს, რომ არ უნდა ვეცადოთ ღვთის კეთილგანწყობის მოპოვებას რჯულის მორჩილებით,[44] ამავდროულად უგულებელყოფენ მის სხვა გამონათქვამებს, მაგალითად: „ხოლო ჩვენ ვიცით, რომ რჯული მაშინ არის კეთილი, თუ ვინმე კანონიერად იყენებს მას."[45] ორივე განცხადება გასათვალისწინებელია ძველი აღთქმის კანონის შესწავლისას, რადგან „მთელი წერილი… სასარგებლოა სასწავლებლად, სამხილებლად, გამოსასწორებლად და დასარიგებლად სიმართლეში."[46]

ზოგისთვის რჯულისადმი მორჩილება ხდება ღმერთის კეთილგანწყობის მოპოვების საშუალება. ისინი ამაყობენ კანონის ყველა დეტალის ზედმიწევნით დაცვით. მათ სჯერათ, რომ ეს მოაპოვებინებთ ღვთის კეთილგანწყობას; სწორედ ეს იყო დანაშაული, რომელშიც იუდაიზერები იყვნენ დამნაშავე.

როგორ უნდა მიუდგეს ქრისტიანი რჯულს? ბევრი ქრისტიანი ამას პასუხობს ძველი აღთქმის რჯულის სამ კატეგორიად დაყოფით. ისინი ამტკიცებენ, რომ მორალური კანონი (როგორიცაა ათი მცნება) დღესაც მოქმედებს. ისინი ამტკიცებენ, რომ *სამოქალაქო კანონი* (რჯული, რომელიც ეხება ისრაელს, როგორც ერს) და *ცერემონიალური კანონი* (მსხვერპლშეწირვის, მღვდლობისა და რიტუალური სიწმინდის კანონები) აღარ გამოიყენება.

მიუხედავად იმისა, რომ ეს საერთო დაყოფაა, ჩვენ ვაწყდებით გარკვეულ სირთულეებს იმის დადგენაში, თუ რომელი კანონები შეესაბამება თითოეულ კატეგორიას. წაიკითხეთ ლევიანთა მე-19 თავი და მიაკუთვნეთ თითოეული კანონი სამი კატეგორიიდან ერთ-ერთს. თქვენ აღმოაჩენთ, რომ ეს ძალიან სუბიექტურია. არის თუ არა კანონი მკის შესახებ (ლევიანები 19:9-10) სამოქალაქო კანონი, რომელიც ეხება მხოლოდ ისრაელს, როგორც ერს, თუ ეს მორალური ვალდებულებაა, ღარიბებზე ზრუნვა ყველა საზოგადოებაში? ლევიანების 19:36-ის სწორი საზომ-საწონის გამოყენების მოთხოვნა სამოქალაქო კანონია, თუმცა ასევე გამოხატავს პატიოსნების მორალურ პრინციპსაც.

ლევიანთა 19-ში მოსე არსად არ მიუთითებს რაიმე განსხვავებაზე სამოქალაქო, სარიტუალო და მორალურ კანონებს შორის. ვინაიდან არ არსებობს განსხვავება და რადგანაც ღვთის სიტყვა მარადიულია, რჯულისადმი უკეთესი მიდგომა შეიძლება იყოს მისი წაკითხვა, როგორც ღვთის ბუნების გაცხადება, რომელიც უძღვება ღმერთის ხალხს *ყველა დროში.*

---

[43] მათე 5:48
[44] გალატელთა 2:16-21, მაგალითად
[45] 1 ტიმოთეს 1:8
[46] 2 ტიმოთეს 3:16

ასეთი მიდგომისას რჯულისადმი ჩვენ ვსვავთ შეკითხვას: „რას ცხადყოფს ეს კანონი ღვთის წმინდა ბუნებასა და წმინდა ხალხისადმი მის მოთხოვნების შესახებ? შემდეგ ჩვენ ვკითხულობთ კანონს **ქრისტეს მოსვლის პრიზმაში** და ვუსადაგებთ მას დღევანდელ ვითარებას.

როგორ მივუდგეთ კანონს

1. წაიკითხეთ ძველი აღთქმის რჯული.
2. იპოვნეთ შესწავლილი პრინციპი ან ღმერთის ბუნების ასპექტის, რომელიც გაგიცხადდათ.
3. ეიძიეთ ცვლილებები გამოყენებაში, რაც განპირობებულია ქრისტეს მოსვლით.
4. განსაზღვრეთ მიმდინარე პრაქტიკა.

ამ მოდელის გამოსაყენებლად აიღეთ მკის შემდეგ ძირს დაბნეული თავთავის აკრეფის კანონის მაგალითი (ლევიანები 19:9-10):

1. უძველეს კანონში ნათქვამია: „ვენახსაც ნუ მოკრეფ მთლიანად, ძირს დაცვენილ ცალკეულ მარცვლებს ნუ აკრეფ: ღარიბისა და ხიზნისთვის დატოვე. მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი.”

2. კანონი დაფუძნებულია ღვთის ბუნებაზე: „მე ვარ უფალი, შენი ღმერთი“. ღმერთი ზრუნავს ღარიბებზე; მას უყვარს გაჭირვებული.[47]

3. იესო გაჭირვებულთა მიმართ ზრუნვას მთელი თავისი მიწიერი მსახურების განმავლობაში იჩენდა. იესოს არ შეუცვლია ეს კანონი; ამის ნაცვლად, ის პრაქტიკულად აჩვენებდა ამ პრინციპს ყოველდღიურ მსახურებაში.

4. სოფლის მეურნეობის მწარმოებელ საზოგადოებაში, თანამედროვე პრაქტიკა შეიძლება ძალიან ახლოს იყოს ისრაელის პრაქტიკასთან - საკვების დატოვება გაჭირვებულთათვის, მოსავლის აღებისას. ინდუსტრიულ საზოგადოებაში თანამედროვე პრაქტიკა შეიძლება მოიცავდეს ფულის გაცემას, ან პრაქტიკულ დახმარებას ღარიბებისთვის. მიდგომა შეიძლება განსხვავდებოდეს, მაგრამ პრინციპი ყველა საზოგადოებაში უცვლელი რჩება. ღვთის ხალხს უნდა უყვარდეს და ზრუნავდეს ღარიბებზე, ისევე როგორც თავად ღმერთს უყვარს და ზრუნავს ღარიბებზე. ეს მეორდება 1 იოანეს 3:17-18-სა და იაკობის 2:14-16-შიც. ამ უძველესი „სამოქალაქო“ კანონის პრინციპი დღესაც მოქმედებს.

ლევიანები 19 წარმოადგენს მოდელს, თუ როგორ შეიძლება განიმარტოს სრული სიწმიდის კოდი. ის მოუწოდებს ღვთის ხალხს სიწმიდისკენ ცხოვრების ყველა სფეროში. ლევიანთა 19-ის ზოგიერთი ასპექტი ათი მცნების ანარეკლია; ზოგი მსხვერპლშეწირვის კანონებს ეფუძნება; ზოგიერთი ეფუძნება სიწმიდისა და უწმინდურების იდეებს; ზოგი დაფუძნებულია მოყვასის მიმართ სიყვარულზე; ყველა გამოხატავს ჩვენს ვალდებულებას ვიყოთ წმიდანი, როგორც უფალი, ჩვენი ღმერთია წმიდა.

---

[47] პრინციპის საპოვნელად ხშირად უნდა დავსვათ კითხვა: „რატომ დაადგინა ღმერთმა ეს მცნება? მაგალითად, ღმერთი კრძალავს კრედიტორის მიერ წისქვილისა და დოლაბის გირაოდ აღებას (მეორე რჯული 24:6). რატომ? ეს კაცს საარსებო წყაროს წაართმევს. კონკრეტული მცნების მიზეზის აღქმა და გაგება, უნივერსალური პრინციპის პოვნაში გვეხმარება, რომელიც უნდა ვისწავლოთ.

რიცხვნი

თემა: დაუმორჩილებლობის შედეგები

რიცხვთა წიგნის ინგლისური სახელწოდება მომდინარეობს მოსახლეობის ორი აღწერიდან, რომლებიც წიგნის ნაწილს წარმოადგენენ; ერთი წიგნის დასაწყისში და ერთიც ბოლოში. ებრაული სათაური („უდაბნოში“) აღწერს უდაბნოში ხეტიალის ორმოც წელს მას შემდეგ, რაც ისრაელმა დატოვა სინაის მთა. რიცხვნი გვიჩვენებს ღვთის დაუმორჩილებლობის საშინელ შედეგებს. ისრაელის დაუმორჩილებლობის შედეგად მთელი თაობა დაიღუპა უდაბნოში ხეტიალისას ორმოცი წლის განმავლობაში.

ხუთწიგნეულის სხვა წიგნებისგან განსხვავებით, რიცხვნი არ მიჰყვება მკაფიო ლიტერატურულ მოდელს. წიგნი არის ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, მაგრამ სხვა ყოვლისმომცველი სტრუქტურა არ გააჩნია. და მაინც, ის იკითხება, როგორც სამოგზაურო ჟურნალი მრავალი სხვადასხვა ტიპის მასალით: თხრობა, პოეზია, წინასწარმეტყველება, კურთხევა, რჯული და ორი აღწერა.

მიუხედავად იმისა, რომ რიცხვთა წიგნი შეიცავს ბევრ სხვადასხვა სახის მასალას, მისი ძირითადი მიზანი ნათელია: აჩვენოს ისრაელის დაუმორჩილებლობის შედეგები და აჩვენოს ღმერთის მუდმივი ერთგულება ისრაელის მიმართ. “თუ ჩვენ არა გვწამს, იგი მაინც სარწმუნოდ რჩება, ვინაიდან საკუთარ თავს ვერ უარყოფს.”[48]

რიცხვთა წიგნის მიმოხილვა

ისრაელი სინაისთან (რიცხვნი 1:1-10:10)

რიცხვნი იწყება იმ ადამიანების აღწერით, რომლებიც ემზადებიან სინაის მთის დატოვებას აღთქმულ მიწაზე გასამგზავრებლად. აღწერას მოჰყვება ინსტრუქციები: ბანაკის მოწყობის, კანონების, რომლებიც ისრაელმა უნდა დაიცვას და გამგზავრებისთვის მზადების შესახებ.

ისრაელი უდაბნოში (რიცხვნი 10:11-21:35)

რიცხვთა წიგნის შუა ნაწილში დაწერილია უდაბნოში ხეტიალის წლების შესახებ, რაც კადეშში მათი დაუმორჩილებლობის შედეგი იყო. აღთქმულ მიწაზე შესვლამდეც კი, ისრაელის რწმენის ნაკლებობა ჩანს მათ წუწუნში თაბერაში,[49] წუწუნში მანნას შესახებ კიბროთ-ჰათაავაში,[50] და აარონისა და მირიამის აჯანყებაში მოსეს წინააღმდეგ.[51]

მას შემდეგ, რაც მზვერავებმა ქანაანში მათ მიერ ნანახის შესახებ შეატყობინეს, ხალხმა უარი თქვა ღმერთის აღთქმის დაჯერებაზე, რომ გამარჯვებას მოაპოვებინებდა. რისხვისას ღმერთმა მოღალატე მზვერავები ჭირით მოსპო და გამოაცხადა, რომ ვერავინ, გარდა ქალებისა და იესო ნავეს ძისა, ვინც ოცი წლის ზემოთ ასაკის იყო, ვერ შევიდოდა აღთქმულ მიწაზე.

---

[48] 2 ტიმოთეს 2:13
[49] რიცხვნი 11:1-3
[50] რიცხვნი 11:4-35
[51] რიცხვნი 12:1-16

ამ ნაწილის დარჩენილი მონაკვეთი მოიცავს მსხვერპლშეწირვის შესახებ კანონების რიგს, აჯანყებულ კორახის, დათანისა და აბირამის სამსჯავროს, აარონის სამღვდელო მიმართულებით გამწესებას და რჯულის კანონებს კარვისა და უწმინდურების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ეს თანმიმდევრობა შემთხვევითია, ეს მონაკვეთი გვაჩვენებს ღვთის მადლს ისრაელის მიმართ. იმით, რომ განკითხვის ამბავს მსხვერპლშეწირვის კანონების განახლების გზავნილი მოჰყვება, ღმერთი აჩვენებს, რომ მას არ მიუტოვებია თავისი ხალხი. ისევე, როგორც სინაის რჯული აჩვენებს ღვთის მადლსა და ზრუნვას თავისი ხალხის მიმართ, რიცხვთა წიგნში მოცემული კანონებიც აჩვენებს, რომ ღმერთი ზრუნავს ისრაელზე, მიუხედავად მათი დაუმორჩილებლობისა. ანალოგიურად, აარონის მღვდლად განმწესების ხაზის დადასტურება და კარვის შესახებ კანონები აჩვენებს კარვისა და მღვდლობის მუდმივ მნიშვნელობას ისრაელისთვის. ღმერთს არ დავიწყებია ისრაელი; ის გააგრძელებს ცხოვრებას თავისი ხალხის წიაღში.

21-ე თავში ამბოხის გამო ხალხი ცეცხლოვანი გველების მოვლინებით დაისაჯა.[52] ხალხის მონანიების საპასუხოდ ღმერთმა მოსეს ბრინჯაოს გველის აღმართვა დაავალა. გველზე შეხედვით დაკბენილი ადამიანი იცოცხლებდა. იოანეს სახარებაში იესომ აღნიშნა ეს, როგორც, მისმიერი გადარჩენის საქმის წინასახე, ყველასთვის ვინც მას რწმენით უყურებს.[53]

ისრაელი მოაბის ველზე (რიცხვნი 22:1-36:13)

რიცხვთა ბოლო ნაწილი გვიჩვენებს ისრაელის მეორე მომზადებას ქანაანში შესასვლელად. ამ თავებში აღწერილი მოვლენები ხდება ამ წიგნის დაწყებიდან დაახლოებით ორმოცი წლის შემდეგ. დაუმორჩილებლობის გამო თერთმეტ დღიანი გზის გავლას ორმოცი წელი დასჭირდა.[54]

განვლილი წლების მანძილზე ურწმუნო ისრაელიანების მთელი თაობა დაიხოცა. რიცხვთა 15 - 21 თავებში არც ერთი მათგანი არ გარდაცვლილა მტრის თავდასხმის შედეგად. ურწმუნო თაობის სიკვდილი ღვთის განკითხვის შედეგი იყო და არა ისრაელის მტრების სიძლიერის.[55]

სანამ ისრაელი მოაბის ველზე ელოდა, მოაბის მმართველმა ბალაკმა დაიქირავა ბალაამი ისრაელიზე წყევლის გამოსაცხადებლად. ღმერთმა ბალაამის წყევლა კურთხევად უქცია ხალხს. ბალაამის კურთხევა მოიცავს ძველი აღთქმის ერთ-ერთ დიდ მესიანურ წინასწარმეტყველებას. ისრაელის დაუმორჩილებლობის მიუხედავად, ღმერთი განაგრძობდა თავისი ერის დაცვას.

ღმერთის მიერ ისრაელის მფარველობის ამ ამბავს, მაშინვე მოსდევს სხვა, განკითხვის ამბავი. ისრაელი მიუბრუნდა მოაბის ღმერთებს და დაისაჯნენ ჭირით, რომელმაც მოსრა 24000 ისრაელიანი.[56] კვლავაც, დაუმორჩილებლობის შედეგები ცხადია.

---

[52] რიცხვნი 21:4-9. "ცეცხლოვანი გველები" სავარაუდოდ შხამიან გველებს გულისხმობს.
[53] იოანე 3:14-16
[54] მეორე რჯული 1:2-3
[55] ისევე როგორც იესო ნავეს ძეში, ჰაღაიში სიკვდილი დაეშვა ყაქანის ცოდვის გამო და არა ქალაქ ჰაღაის სიძლიერის გამო..
[56] რიცხვნი 25:1-9

ამას მოჰყვება მეორე აღწერა, მოაბის ველიდან წასასვლელად მზადება, მსხვერპლშეწირვის კანონების მიმოხილვა და მითითებები მიწის გაყოფის შესახებ. ღმერთმა არ დაივიწყა თავისი ხალხი.

ძველი თაობა (რიცხვნი 1-14)	ახალი თაობა (რიცხვნი 21-36)
პირველი აღწერა: 603,550 მეომარი (რიცხვნი 1)	მეორე აღწერა: 601,730 მეომარი (რიცხვნი 26)
მოგზაურობა სინაიდან კადეშამდე	მოგზაურობა კადეშიდან მოაბამდე
განწმენდის კანონები რჯული (რიცხვნი 4-9)	შეწირვისა და აღთქმის (ფიცის) კანონები (რიცხვნი 28-30)

რიცხვნი ახალ აღთქმაში

პავლემ მიუთითა ისრაელის ცოდვაზე მოაბში, მათ მიერ ძალაუფლების უარყოფასა და მათ წუწუნზე, როგორც გაფრთხილებაზე კორინთელებისთვის. ეს ახალი აღთქმის მორწმუნეები იგივე დანაშაულის ჩადენის საშიშროების წინაშე აღმოჩნდნენ. პავლემ გააფრთხილა: „ამიტომ, ვინც ფიქრობს, რომ დგას, ფრთხილად იყოს, რომ არ დაეცეს“. ამ გაფრთხილებასთან ერთად, პავლე ამხნევებდა თავის მკითხველებს: „არ შეგმთხვევიათ განსაცდელი, გარდა ადამიანურისა; ხოლო, ერთგულია ღმერთი, რომელიც არ დაუშვებს, რომ თქვენს შესაძლებლობაზე მეტად გამოიცადოთ, არამედ განსაცდელთან ერთად გამოსავალსაც გაგიჩენთ, რომ გადატანა შეძლოთ.”[57]

ებრაელთა მიმართ წერილში ავტორი აფრთხილებს ქრისტიანებს ურწმუნოების შესახებ, რამაც ხელი შეუშალა ისრაელს ქანაანში შესვლაში. იმის გამო, რომ ისრაელიანებმა გული გაიქვავეს, მათ აღთქმულ ქვეყანაში შესვლა აღეკვეთათ. ანალოგიურად, ებრაელთა მიმართ ეპისტოლეს მკითხველები, რომლებსაც აქვთ „ურწმუნოების ბოროტი გული“, ვერ შევლენ სახარების მიერ აღთქმულ შაბათის სიმშვიდეში.[58]

მეორე რჯული: აღთქმის განახლება

თემა

მეორე რჯული ძველი აღთქმის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წიგნია. ეს არის ხუთწიგნეულის კულმინაცია და ისტორიული წიგნების საფუძველი. ძველი აღთქმის დანარჩენ წიგნებში წინასწარმეტყველები შეაფასებენ ისრაელს მეორე რჯულის სწავლების პრინციპებთან მიმართებაში.

წიგნის სახელწოდება "მეორე რჯული" ნიშნავს "მეორე კანონს". ეს „მეორე კანონი“ ახალი არ არის, არამედ არის აღთქმის განახლება ახალ თაობასთან. უდაბნოში ისრაელის ორგულობის მიუხედავად,

[57] 1 კორინთელთა 10:1-13
[58] ებრაელთა 3:7-4:13

ღმერთს არ დავიწყებია თავისი ხალხი. მეორე რჯული გვიჩვენებს, რომ აბრაამთან და მოსესთან დადებული აღთქმები, ანუ შეთანხმებები ჯერ კიდევ ძალაშია.

მეორე რჯული და ძველი აღთქმა	
მეორე რჯული უბრუნდება	დაბადების - რიცხვთა წიგნებს
მეორე რჯული მიგვითითებს	იესო ნავეს ძეს – მეფეთა წიგნებზე

მეორე რჯულის მიმოხილვა

მეორე რჯული შეიცავს მოსეს სამ მიმართვას (სიტყვით გამოსვლას). მისი ეს მიმართვები მოიცავს, როგორც ისრაელის ისტორიის გახსენებას, ასევე მათი, როგორც ღვთის ხალხის მომავლის მოლოდინს.

მიმართვა 1 - ისტორიული: რა მოიმოქმედა ღმერთმა (მეორე რჯული 1-4)

თავის პირველ მიმართვაში მოსე მიმოიხილავს ისრაელის ისტორიას. ეს არ არის უბრალოდ ისტორიული მიმოხილვა; ეს არის ისტორიის თეოლოგია. ისრაელის ისტორიის მიმოხილვით, მოსე აჩვენებს აღთქმის დაცვის მნიშვნელობას. ის წარმოაჩენს ისრაელის დაუმორჩილებლობის შედეგებს, როდესაც მათ უარი თქვეს ქანაანში შესვლაზე. შემდეგ ის აჩვენებს ღვთის მფარველობას, როდესაც ისრაელი ემორჩილებოდა ღვთის მითითებებს. მოსე თავის თავზეც კი მიუთითებს, როგორც მაგალითზე ვისაც ქანაანში შესვლის უფლება არ მიეცა დაუმორჩილებლობის გამო. ისრაელმა არ უნდა დაივიწყოს აღთქმა.[59]

ეს პირველი მიმართვა მნიშვნელოვან თეოლოგიურ საფუძველს უყრის ძველი აღთქმის შემდგომ ისტორიას, მოძღვრებას „თესვისა და მკის შესახებ.”[60] ძველი აღთქმის დანარჩენი ისტორია ამ პრინციპის დემონსტრირებას მოახდენს. როდესაც ისრაელი ემორჩილება, ღმერთი აკურთხებს მას; როდესაც იგი კერპთაყვანისცემას იწყებს, ღმერთი მას გადასახლებაში აგზავნის.

მიმართვა 2 - რჯულისმიერი: რას მოითხოვს ღმერთი (მეორე რჯული 5-26)

მეორე რჯულის არსი არის აღთქმის მიმოხილვა. მეორე რჯულის 5 - 11თავებში მოსე განიხილავს რჯულის ზოგად დებულებებს; მეორე რჯულის 12 - 26 თავებში მოსე იყენებს აღთქმას ისრაელის საზოგადოების სპეციფიკურ პირობებთან მიმართებით. ეს თავები გვიჩვენებს, თუ როგორ მიესადაგება აღთქმა ისრაელის ცხოვრებას ქანაანში.[61]

---

[59] მეორე რჯული 4:9, 23

[60] ბიბლიის მკვლევარები ამას „რჯულის თეოლოგიის“ ანუ „შურისგების თეოლოგიის“ პრინციპს უწოდებენ. ეს არის ისტორიული და წინასწარმეტყველური წიგნების საფუძველი და ხელახლაა გადმოცემული გალატელების ეპისტოლეს 6:6-7-ში.

[61] ამის მაგალითია მეორე რჯული 22:8: „როცა ახალ სახლს აიშენებ, მოაჯირი გაუკეთე ბანს, რათა ვინმე არ ჩავარდეს და სისხლი არ დაიღვაროს შენს სახლში“. რჯულის ეს კანონი არ გვხვდება გამოსვლაში ან ლევიანებში. უდაბნოში მცხოვრებთათვის სახლის აშენებასთან დაკავშირებული კანონები არ იყო საჭირო. ამ კანონების

მოსეს მიერ რჯულის მიმოხილვა იწყება ათი მცნების მიმოხილვით. აღთქმას საფუძვლად ორი პრინციპი უდევს „ღვთის შიში“ და „ღვთის სიყვარული.”

მეორე რჯულის 5:29-ში ღმერთი ამბობს: „ნეტავ ისეთი გული ჰქონოდათ, რომ შინებოდათ ჩემი და მუდამჟამს დაეცვათ ჩემი ყოველი მცნება, რათა კარგად ყოფილიყვნენ თვითონ და მათი ძენი უკუნისამდე!" ღვთის სათანადო შიში დაიცავს ისრაელს.

მეორე რჯულის 6:4-5 შეიცავს აღთქმის არსს: „

ისმინე ისრაელ, უფალი, ჩვენი ღმერთი - ერთი უფალია. შეიყვარე უფალი, ღმერთი შენი, მთელი შენი გულით, მთელი შენი ძალითა და მთელი შენი არსებით.”[62] დროის შემდეგ იესო უწოდებს ამას „პირველ და უდიდეს მცნებას.”[63]

ეს ორი პრინციპი, ღვთის შიში და ღვთის სიყვარული, არ არის ანტაგონისტური. შიშიც და სიყვარულიც ურთიერთობის პირობებია. ძველ აღთქმაში „ღვთის შიში“ ნიშნავს მასთან სათანადო ურთიერთობაში ცხოვრებას. ღვთის შიში არ არის მონის მლიქვნელური შიში; ეს არის სათანადო გააზრება, თუ ვინ არის ღმერთი და ამაზე ჩვენი საპასუხო მოქმედება. შიში და სიყვარული ორივე დადებითი ტერმინია.

ამ სიტყვის დარჩენილი ნაწილი ავითარებს ამ ორ პრინციპს და იყენებს მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში. ათი მცნების მიმოხილვისა და ქანაანის ცხოვრებაში რჯულის გამოყენების გზით მოსე გვიჩვენებს, თუ როგორ ვლინდება ღვთის შიში და ღვთის სიყვარული ყოველდღიურ ცხოვრებაში. რჯული წესების და კანონების ჩამონათვალზე მეტი იყო; ეს იყო საშუალება, რომ მათ ეცხოვრათ სასიყვარულო ურთიერთობებში ღმერთთან.

მიმართვა 3 - წინასწარმეტყველური: რას გააკეთებს ღმერთი (მეორე რჯული 27-31)

მომავლისკენ მიმართული, მოსეს ბოლო მიმართვა ამზადებს ისრაელს, რომ ძალაუფლება იესო ნავეს ძეს გადაეცემოდა და მოუწოდებს ისრაელს დარჩეს აღთქმის ერთგული.

მეორე რჯულის 27-28 თავები შეიცავს მითითებებს აღთქმის განახლების ცერემონიისთვის, რომელიც უნდა შესრულდეს ისრაელის ქანაანში შესვლის შემდეგ. ამ ცერემონიაზე ისრაელმა უნდა ააგოს სამსხვერპლო შექემის მახლობლად, ქალაქ ებალის მთასა და გერიზიმის მთას შორის. ტომები გაიყოფა ორ ჯგუფად, ტომების ნახევარი ერთ მთაზე და ნახევარი მეორეზე. ლევიანები იგალობებენ აღთქმის გაფრთხილებებს, ხოლო ხალხი გამოეპასუხება აღთქმის კურთხევებითა და წყევლებით. ეს

გამოყენება საჭიროა ახლად დაარსებულ ქალაქებში ქანაანში. მიუხედავად იმისა, რომ გამოიყენება ახალი, პრინციპი ახალი არ არის. მეორე რჯული 22:8–ში გამოყენებულია ადრე გაცხადებული პრინციპი, „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“ (ლევიანები 19:18). ის ასევე ეხება გამოსვლის 20:13-ს, „არა კლა“. ამ ბრძანების შესრულება უფრო მეტია, ვიდრე მკვლელობის არარსებობა; ეს არის სხვა ადამიანების აქტიური დაცვა - პრინციპი, რომელიც იესომ გაიმეორა მათეს 5:21-24-ში.

[62] მეორე რჯული 6:4-5 „შმა“–ს უწოდებენ.

[63] მათე 22:38

ცერემონია შესრულდა იესო ნავეს ძის 8:30-35-ში. ეს იყო დრამატული საშუალება შეეხსენებინა ახალი თაობისთვის აღთქმის ვალდებულებები.

მეორე რჯულის 29-30 თავები შეიცავს მოსეს ბოლო მიმართვას. მას შემდეგ, რაც ისრაელს წარსულში ღვთის ერთგულების შესახებ შეახსენა, მოსემ იწინასწარმეტყველა, რომ ისრაელი სხვა ღმერთებს მიუბრუნდებოდა და გადასახლებაში მოხვდებოდა. თუმცა, ის ასევე წინასწარმეტყველებს ღვთის წყალობის შესახებ, რომ მათ თავიანთ მიწაზე დააბრუნებდა. მოსე ასრულებს ასეთი არჩევანით: „მოწმედ მოვუხმობ დღეს ცასა და მიწას, რომ: სიცოცხლე და სიკვდილი, კურთხევა და წყევლა დაგიდე წინ. ამოირჩიე სიცოცხლე, რათა იცოცხლოთ შენ და შენმა შთამომავლობამ."[64]

მეორე რჯულის 31-ში მოსე ნიშნავს იესო ნავეს ძეს თავის მემკვიდრედ და უზრუნველყოფს რჯულის წაკითხვას ყოველ შვიდ წელიწადში კარვების დღესასწაულზე. ეს ყველა თაობას შეახსენებს კანონის დებულებებს.

დანართები (მეორე რჯული 32-34)

ღვთის მითითებით მოსემ მიიღო ზომები იმისთვის, რომ ისრაელს ხსომებოდა აღთქმა. მოსემ ისრაელს ასწავლა სიმღერა, რომელიც მიმოიხილავდა აღთქმას. ეს სიმღერა საუბრობს ღვთის სიკეთეზე ისრაელის მიმართ, წინასწარმეტყველებს ისრაელის მომავალ ამბოხსა და გადასახლებაზე და ჰპირდება ღვთის პატიებასა და აღდგენას. სიმღერა მეორე რჯულის 32–ე თავში კიდევ ერთი შეხსენებაა აღთქმის დებულებების შესახებ.

მეორე რჯულის 33 თავი შეიცავს მოსეს ბოლო კურთხევას თითოეულ ტომზე. პატრიარქის მსგავსად, რომელიც აკურთხებს თავის ვაჟებს, მოსე აკურთხებს თითოეულ ტომს.[65]

მეორე რჯულის 34 თავი არის ნეკროლოგი, რომელიც სავარაუდოდ შედგენილია იესო ნავეს ძეს მიერ. მერიბაში მოსეს ცოდვის გამო, მას არ მიეცა უფლება შესულიყო აღთქმულ მიწაზე.[66] თუმცა, ღმერთმა უფლება მისცა მოსეს, ენახა აღთქმული მიწა ნებოს მთიდან. ღმერთმა დამარხა მოსე მოაბში და იესო ნავეს ძე გახდა ისრაელის ხალხის წინამძღოლი.

მეორე რჯული ძველი აღთქმის გვიან პერიოდში

აღთქმა მეორე რჯულში უზრუნველყოფს მოგვიანებით ისრაელის წინააღმდეგ „წინასწარმეტყველური სარჩელის" საფუძველს. ისრაელის წინასწარმეტყველები მეორე რჯულზე აპელირებენ, როდესაც ხაზს უსვამენ ისრაელის ორგულობას ღმერთის მიმართ. მეორე რჯულის სტრუქტურა იმ ნიმუშს მიჰყვება, რომელიც მიღებული იყო მოსეს დროს პოლიტიკური შეთანხმებებისა და ხელშეკრულებებისთვის. ეგვიპტიდან მოსული ეს ფორმა ნაცნობი უნდა ყოფილიყო ისრაელისთვის და დაეხმარებოდა მათ აღექვათ ღმერთთან დადებული აღთქმის სერიოზულობა.

---

[64] მეორე რჯული 30:19

[65] იხილეთ დაბადება თავი 49 იაკობის მიერ ტომების პარალელური კურთხევა.

[66] რიცხვნი 20

სამწუხაროდ, ისრაელმა მალე დაივიწყა აღთქმები და დაარღვია შეთანხმება. მსაჯულთა წიგნის მიხედვით, ისრაელმა უკვე დაიწყო აღთქმის მიტოვება. მსაჯულთა, მეფეთა და წინასწარმეტყველური წიგნები გვაჩვენებენ, რომ ისრაელი არ დარჩება მეორე რჯულის აღთქმის ერთგული.

ღმერთის აღთქმა ისრაელთან	
ახლო აღმოსავლეთის უძველესი ხელშეკრულებები	ღმერთის აღთქმა ისრაელთან
ხელშეკრულების შემოღების პრეამბულა	მეორე რჯული 1:1-5
ისტორიული პროლოგი, რომელიც მიმოიხილავს ორ მხარეს შორის ურთიერთობას	მეორე რჯული 1:6–4:49
აღთქმის დებულებები	მეორე რჯული 5:1–26:19
წყევლა და კურთხევა აღთქმის დარღვევის (ან დაცვის) შემთხვევაში	მეორე რჯული 27:1–28:68
აღთქმის პერიოდულად წაკითხვის უზრუნველყოფა	მეორე რჯული 31:9-29
აღთქმის მოწმეთა სია	მეორე რჯული 32:1-47

მეორე რჯული ახალ აღთქმაში

მეორე რჯული ოთხმოცზე მეტჯერ არის მოხსენიებული ახალ აღთქმაში. ის არის ძველი აღთქმის ერთ-ერთ ყველაზე ხშირად ციტირებული წიგნი. მეორე რჯულში არის დაპირება, რომ ღმერთი აღადგენდა მოსეს მსგავს წინასწარმეტყველს; ეს აღსრულდა იესოს მიწიერი მსახურებით.[67] იესომ არაერთხელ ახსენა მეორე რჯული, მათ შორის სატანის მიერ უდაბნოში მის ცდუნებაზე პასუხად.[68]

დასკვნა: ხუთწიგნეული ლაპარაკობს დღეს

ბევრი ეკლესიის მიერ ხუთწიგნეულის დიდი ნაწილი იგნორირებულია. ქმნადობისა და წარღვნის ისტორიები არის საფუძველი ბავშვებისთვის გაკვეთილების ჩასატარებლად და დებატებისთვის ქმნადობისა და ევოლუციის შესახებ. ათი მცნება საზეპიროა ხოლმე საკვირაო სკოლაში. თუმცა, გამოსვლის წიგნიდან დაწყებული მეორე რჯულის წიგნის ჩათვლით წერილების უმეტესი ნაწილი უგულებელყოფილია ბევრი ქრისტიანის მიერ. ეს სამწუხაროა, რადგან ეს წიგნები მნიშვნელოვანია 21-ე საუკუნის ქრისტიანებისთვის.

გამოსვლა ასახავს ღვთის გეგმას კაცობრიობის გამოსყიდვისა და მასთან ურთიერთობის დამყარების შესახებ. სწორად აღქმული რჯული ცხადყოფს ღმერთის სურვილს დაამყაროს და შეინარჩუნოს ურთიერთობა თავის ხალხთან. ჩვენ, ისევე როგორც ისრაელს, ღმერთი გვეუბნება: „"ნუ გეშინიათ,

[67] მეორე რჯული 18:14-22; მეორე რჯული 34:10-12; იოანე 6:14
[68] მეორე რჯული 6:13, 16; 8:3; მათე 4:1-10

თქვენს გამოსაცდელად მოვიდა ღმერთი, რომ მისი შიში გქონდეთ და არ შესცოდოთ."[69] ღმერთთან სწორი ურთიერთობა ნიშნავს, რომ სხვა არაფრის შიში არ უნდა გვქონდეს.

ლევიანები განასახიერებს სიწმიდეს. ის აჩვენებს, რომ წმიდა ღმერთს სჭირდება წმიდა ხალხი. მიუხედავად იმისა, რომ მსხვერპლშეწირვის სისტემა აღარ მოქმედებს, სიწმიდის პრინციპები მაინც მნიშვნელოვანია ღმერთთან სწორი ურთიერთობისთვის.

რიცხვნი აფრთხილებს ეკლესიას დაუმორჩილებლობის შესახებ. ძველ აღთქმაში ღვთის ხალხი განიკითხებოდა ურჩობისთვის. დღესაც ღვთის ხალხი გავსამართლდებით, თუ ურჩნი ვიქნებით.

მეორე რჯული იძლევა კანონის პრინციპების მოდელს ცვალებად სიტუაციებში გამოსაყენებლად. მეორე რჯულში მოსემ ასწავლა ისრაელს, როგორ გამოეყენებინათ რჯულის პრინციპები აღთქმულ მიწაზე. მიუხედავად იმისა, რომ გარემოებები, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, შეიცვლება, ღვთის რჯულის პრინციპები არ შეიცვლება. მეორე რჯულის შესწავლა გვასწავლის, როგორ გამოვიყენოთ ბიბლიური პრინციპები ახალ სიტუაციებში.

[69] გამოსვლა 20:20

მე-3 გაკვეთილის დავალებები

წარმოადგინეთ თქვენ მიერ ამ გაკვეთილის აღქმის დემონსტრირება შემდეგი დავალების შესრულებთ:

(1) აირჩიეთ შემდეგი დავალებებიდან ერთ-ერთი:

ვარიანტი 1: დავალება ჯგუფისთვის

"კანონი უფრო ახლო ხედით" წაკითხვის შემდეგ, შეისწავლეთ ლევიანების მე-19 თავი. ამ თავში მოცემული თითოეული მცნებისთვის განსაზღვრეთ პრინციპი, რომელსაც ის გვასწავლის და შემდეგ განიხილეთ, როგორ შეიძლება ამ პრინციპის გამოყენება თანამედროვე სამყაროში. თქვენი ჯგუფის თითოეულმა წევრმა უნდა დაწეროს მოკლე თხზულება (ესე), რომელშიც ნაჩვენები იქნება ლევიტელთა მე-19 თავში ნახსენები პრინციპის მინიმუმ ერთ თანამედროვე გამოყენებას.

ვარიანტი 2: ინდივიდუალური დავალება.

"კანონი უფრო ახლო ხედით" წაკითხვის შემდეგ, შეისწავლეთ ლევიანების მე-19 თავი. დაწერეთ 1-2 გვერდიანი ესე, რომელშიც ჩამოთვლით ამ თავში მოცემულ თითოეულ, განსაზღვრულ პრინციპებს, რომელსაც ის გვასწავლის და შემდეგ წარმოაჩინეთ, როგორ შეიძლება ამ პრინციპის გამოყენება თანამედროვე სამყაროში.

(2) გაიარეთ ამ გაკვეთილის ტესტი. ტესტი მოიცავს საზეპირო მუხლებს წმიდა წერილიდან.

მე-3 გაკვეთილის ტესტი

(1) რომელია ეგვიპტიდან ისრაელის გამოსვლის სავარაუდო თარიღი?

(2) ჩამოთვალეთ თითოეული წიგნის თემა.

(3) დაასახელეთ გამოსვლის ორი ძირითადი ნაწილი.

(4) ჩამოთვალეთ გამოსვლის ოთხი მოვლენა, რომლებიც ასახავს ისრაელის გამოსყიდვას ეგვიპტიდან.

(5) დაასახელეთ გამოსვლაში ორი მოვლენა, რომელიც აღნიშნავს იაჰვესა და ისრაელს შორის ურთიერთობის დამყარებას.

(6) დაასახელეთ ლევიანთა მიერ მიტანილი თითოეული შესაწირავი.

_____: ძღვენი შესაწირავი, რომელიც ახლავს სხვა შესაწირავს

_____: ძველი აღთქმის პირველი შესაწირავი

_____: ეხება დარღვევებს, რომლებიც გამოსყიდვას საჭიროებენ

_____: გამოისყიდის რჯულის უნებლიე დარღვევებს

_____: აღნიშნავს თაყვანისმცემელსა და ღმერთს შორის ურთიერთობას

(7) ლევიანთა 17-27 თავები ასწავლიდა ისრაელს, როგორ ეცხოვრათ ისე, რომ მათი ყოველდღიური ცხოვრება სიწმინდის მაგალითი ყოფილიყო.

(8) ჩამოთვალეთ ოთხი საფეხური ძველი აღთქმის რჯულის დღევანდელობაში გამოსაყენებლად.

(9) ჩამოთვალეთ რიცხვთა წიგნის სამი ძირითადი ნაწილი.

(10) მოსეს სამი მიმართვა მეორე რჯულში: …

(11) გაიხსენეთ საზეპიროები და დაწერეთ გამოსვლის 3:14, ლევიანთა 20:7–8 და მეორე რჯულის 6:4–5.

გაკვეთილი 4
იესო ნავეს ძე - რუთი:

ერთგულებისა და ორგულობის თვალსაჩინო მაგალითები

გაკვეთილის მიზნები
ამ გაკვეთილის ბოლოს, სტუდენტმა უნდა:
(1) შეძლოს გამოკვეთოს ძირითადი თემები წიგნებიდან იესო ნავეს ძედან - რუთის ჩათვლით.
(2) იცოდეს დაპყრობის ძირითადი მოვლენები და მსაჯულთა პერიოდი.
(3) აცნობიერებდეს ლიდერობის გადასაცემად მომზადების მნიშვნელობას.
(4) ესმოდეს იაჰვეს (ანუ წმიდა) ომის კონცეფცია იესო ნავეს წიგნში.
(5) დაუკავშიროს იესო ნავეს ძის წიგნიდან - რუთის წიგნამდე გადმოცემული აზრი დღევანდელი სამყაროს საჭიროებებს.

ამ გაკვეთილისთვის მომზადება

წაიკითხეთ წიგნები იესო ნავეს ძედან - რუთის ჩათვლით.

დაიზეპირეთ იესო ნავეს ძე 1:8-9.

შესავალი

ისტორიული წიგნები		
თეოკრატია	იესო ნავეს ძე - რუთი	1405-1043 ძ.წ.
მონარქია	მეფეთა - ნეშტთა	1043-586 ძ.წ.
დაბრუნება გადასახლებიდან	ეზრა - ესთერი	536-420 ძ.წ.

ინგლისურ ბიბლიაში წიგნებს იესო ნავეს ძედან - ესთერამდე „ისტორიულ წიგნებს“ უწოდებენ. ისინი გვაცნობენ ისრაელის ისტორიას ქანაანის დაპყრობიდან, იერუსალიმის განადგურებით გაგრძელებული 586 წ. ძვ.წ. და დაბრუნების ჩათვლით, რომელიც ძ. წ.-ით 536 წელს დაიწყო.

ებრაულ ბიბლიაში ამ წიგნების უმეტესობას (იესო ნავეს ძე, მსაჯულები, (სამუელი) მეფეები) უწოდებენ "ყოფილ წინასწარმეტყველებს". „წინასწარმეტყველი“ გადასცემს ღვთის გზავნილს ხალხს. ისტორიული წიგნები უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ საინტერესო ამბები ისრაელის შესახებ; ისინი აცხადებენ ღვთის გზავნილს ღვთის ხალხის მიმართ.

იესო ნავეს ძესა და მსაჯულებში ღმერთი ასწავლის, რომ ის ახალისებს ერთგულებას და გმობს ორგულობას. მეფეთა წიგნში ღმერთი გვიჩვენებს, რომ გადასახლება ისრაელის აჯანყების შედეგი იყო. ეზრასა და ნეემიაში ღმერთი არწმუნებს ისრაელს, რომ არ დავიწყებია ისინი. ისტორიული წიგნები აჩვენებს ღმერთის ერთგულებას თავისი ხალხის მიმართ, მის „მარადიულ წყალობას“ ისრაელის მიმართ.

ეს წიგნები არის „ისტორია მიზნით/დანიშნულებით“. ისინი გვაჩვენებენ ღმერთს, რომელიც მოქმედებს ისრაელთან აღთქმის ისტორიაში. ამის გამო ეს წიგნები ღირებულია დღეს ქრისტიანი მკითხველისთვის; ისინი აჩვენებენ, თუ როგორ მოქმედებს ღმერთი კაცობრიობის ისტორიაში თავისი მიზნების შესასრულებლად.

პირველი სამი ისტორიული წიგნი აღწერს ისრაელის ადრეულ ისტორიას, როგორც თეოკრატიას (ღმერთის პირდაპირი მმართველობა), მოსეს და იესო ნავეს ძეს კი, ღვთის წარმომადგენლებად. ამ ტიპის მმართველობა წარმატებული იყო. სამწუხაროდ, ისრაელის ორგულობამ მსაჯულების დროს სოციალური პრობლემები გამოიწვია. ერის გასაერთიანებლად მონარქია (მეფის მმართველობა) გახდა საჭირო.

იესო ნავეს ძე

თემა: ქანაანის დაპყრობა

ისრაელის მონობიდან გამოსყიდვა იყო ღმერთის გეგმის დასაწყისი მისი ხალხისთვის; ქანაანის დაპყრობა იყო აბრაამთან დადებული ღვთის აღთქმის შესრულების შემდეგი ნაბიჯი. იესო ნავეს ძეში, ღვთის მებრძოლს შეყავს თავისი ხალხი აღთქმულ სიმშვიდეში. იესო ნავეს ძე აგრძელებს ამბავს, რომელიც დაიწყო გამოსვლაში და დროში გადავადდა, რიცხვთა წიგნში ასახული ისრაელის დაუმორჩილებლობის გამო.

იესო ნავეს ძე გვაჩვენებს ღმერთის ერთგულებას ისრაელის მიმართ, როდესაც ისინი არიან მისი ერთგულები. ღვთის მიმართ მორჩილებას მოაქვს მისი კურთხევა, ესაა პრინციპი, რომელსაც მეორე რჯული გვასწავლის. ეს წარმოჩინდა იერიხონში და იესო ნავეს ძის 10 თავში, მეფეთა კოალიციის წინააღმდეგ ბრძოლაში. ღმერთისადმი დაუმორჩილებლობას მოყვება მისი სასჯელი. ამგვარად, იესო ნავეს ძე მოასწავებდა ისრაელის შემდგომ ისტორიას.

ავტორი და თარიღი

იესო ნავეს ძის წიგნის მოვლენები მოხდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1405 წლიდან 1380 წლამდე. ამ პერიოდში ქანაანი ეგვიპტის ნომინალური კონტროლის ქვეშ იყო, მაგრამ ეგვიპტის უშუალო მმართველობის გარეშე. შედეგად ქანაანელებმა ვერ შეძლეს ერთიანი ძალით გამოსულიყვნენ ისრაელის თავდასხმის წინააღმდეგ.

მოვლენებიდან მალევე დაიწერა. იესო ნავეს ძის 24:26 გულისხმობს თვითონ იესო ნავეს ძეს, როგორც წიგნის ავტორს. ისევე როგორც მეორე რჯულში, ავტორის სიკვდილის აღსაწერად მუხლები მოგვიანებით დაემატა.[70]

იესო ნავეს ძეს მიმოხილვა

ქანაანის დაპყრობა: იესო ნავეს ძე 1-12 თავები

მიწაზე შესვლა (იესო ნავეს ძე 1-5 თავები)

---

[70] იესო ნავეს ძე 24:29-31

იესო ნავეს ძის წიგნი იწყება, მოსეს სიკვდილის შემდეგ, ღმერთის გამოცხადებით იესო ნავეს ძის წინაშე. ღმერთი დაჰპირდა, რომ იესო ნავეს ძესთან იქნებოდა, როგორც მოსესთან იყო.

დასაპყრობად მზადებისას იესო ნავეს ძემ მიწის, განსაკუთრებით იერიქონის დასაზვერად ორი მზვერავი გაგზავნა. მზვერავებს ქალაქის მეძავი, რახაბი მფარველობდა. რახაბმა მზვერავებს მისი დაცვა სთხოვა, როცა ისრაელი ქალაქს აიღებდა. მან დაამოწმა თავისი რწმენის შესახებ ისრაელის ღმერთისადმი. მადლით, რწმენის მეშვეობით ხსნის ძველ აღთქმისეულ მაგალითში, ამ წარმართმა მეძავმა მემკვიდრეობით მიიღო ისრაელისთვის მიცემული აღთქმები და გახდა მესიანური ხაზის ნაწილი.[71]

იმის ნაცვლად, რომ ისრაელი სამხრეთიდან (ყველაზე პირდაპირი გზით) შესულიყო ქანაანში, ღმერთმა იესო ნავეს ძეს უთხრა, რომ ისრაელის ტომები მდინარე იორდანეს გადაღმა გაეყვანა. ამ სასწაულმა, რომელიც იმეორებდა მოსეს წითელ ზღვაში გავლას, განამტკიცა იესო ნავეს ძის, როგორც თავისი ხალხის ღვთის რჩეული ლიდერის ავტორიტეტი.[72]

იორდანეს გადაკვეთის შემდეგ იესო ნავეს ძემ აღადგინა აღთქმის ორი სამახსოვრო ნიშანი. პირველი, მრავალი წლის ხეტიალის შემდეგ, რომლის დროსაც ისრაელმა უგულებელყო წინადაცვეთის პრაქტიკა, მოხდა მამაკაცების წინადაცვეთა. მეორე, პასექის დღესასწაული პირველად აღინიშნა აღთქმულ მიწაზე.

მიწის აღება (იესო ნავეს ძე 6-12 თავები)

ქანაანის დაპყრობა აჩვენებს, რომ, რადგან ისრაელი ღვთის ერთგული იყო, ღმერთმა მათ მტრებზე გამარჯვება მიანიჭა. დაემორჩილა რა ღვთის მითითებებს ევლოთ იერიხონის გარშემო, ისრაელმა დიდი გამარჯვება მოიპოვა. თუმცა, ყაქანის ცოდვის გამო, ისრაელი დამარცხდა ბევრად უფრო პატარა ქალაქ ჰაღაიში. მას შემდეგ, რაც ყაქანი დასჯილ იქნა, ღმერთმა ისრაელს გამარჯვება მოაპოვებინა ჰაღაიში და შემდეგ ბეთელში.

გაბაონელთა ამბავი წარმოადგენდა გაფრთხილებას წინამძღოლთათვის. ღვთის გეგმა იყო, რომ იესო ნავეს ძეს დაემარცხებინა ქანაანის ყველა მკვიდრი. ქანაანის ქალაქ გაბაონის წინამძღოლებმა მოატყუეს იესო ნავეს ძე, ვითომ ძალიან შორიდან იყვნენ მოსულნი. იესო ნავეს ძემ ღვთის მმართველობის ძიების გარეშე დადო აღთქმა გაბაონელებთან.[73] ამ უგუნური გადაწყვეტილების შედეგად ისრაელს ტანჯვის გადატანა მოუხდა ასობით წლის შემდეგ, დავითის მეფობის დროს.[74]

ხელშეკრულების უშუალო შედეგი იყო ის, რომ ქანაანელი მეფეები სამხრეთიდან თავს დაესხნენ გაბაონს. ხელშეკრულების გამო ისრაელი იძულებული გახდა მის გადასარჩენად დახმარებოდა გაბაონს. ღმერთი იბრძოდა ისრაელის სახელით და იმ დღეს, როცა „მზე გაჩერდა“, ღმერთმა დასეტყვა

---

[71] მათე 1:5

[72] იესო ნავეს ძე 3-4; შეადარეთ გამოსვლა 14-15. იხილეთ განსაკუთრებით იესო ნავეს ძე 4:14.

[73] იესო ნავეს ძე 9:1-27

[74] 2 მეფეთა (სამუელი) 21:1-14

ისრაელის მოწინააღმდეგეები. ღმერთის ძალის თემა მისი ხალხის მხარდასჭერად მეორდება იესო ნავეს ძის მე-10 თავში:

- „თავზარი დასცა მათ უფალმა“;
- „უფალი დიდ ქვებს უშენდა ზეციდან “;
- „უფალმა ამორელები ჩააგდებინა ხელში ისრაელიანებს“;
- „რადგან ისრაელისთვის იბრძოდა უფალი“ და ა.შ.

ქანაანელებზე გამარჯვება ღვთის ძალით იქნა მოიპოვებული და არა ისრაელის ძლიერებით.

იესო ნავეს ძეს მე-11 თავი მოგვითხრობს ჩრდილოეთ ქანაანზე გამარჯვების შესახებ. იესო ნავეს ძის მე-12 თავის ბოლოს, დაახლოებით შვიდწლიანი დამპყრობლური ბრძოლის შემდეგ, ისრაელი ქანაანის ტერიტორიის უმეტეს ნაწილს აკონტროლებს.

ქანაანში დასახლება: იესო ნავეს ძე 13-24 თავები

მიწის გადანაწილება (იესო ნავეს ძე 13-21 თავები)

მიუხედავად იმისა, რომ ისრაელს ახლა ქონდა ეფექტური კონტროლი მიწაზე, ადგილობრივი ხალხების წინააღმდეგობის ჯიბეები იყო. ცალკეულ ტომებს მიეცათ პასუხისმგებლობა დაპყრობის დასრულებაზე. სამწუხაროდ, მოსამართლეები აჩვენებენ, რომ ტომებმა ეს მისია ვერ შეასრულეს

მიუხედავად იმისა, რომ ისრაელმა უკვე მოიპოვა ეფექტური კონტროლი მიწაზე, მკვიდრი ერების წინააღმდეგობის კერები კვლავაც არსებობდა. ცალკეულ ტომებს დაეკისრათ დაპყრობის დასრულების პასუხისმგებლობა. სამწუხაროდ, მსაჯულებში ვხედავთ, რომ ისრაელის ტომებმა ეს მისია ვერ შეასრულეს.

იესო ნავეს ძის 14-19 თავები აღწერს მიწების გადანაწილებას ტომებს შორის. ისრაელის ისტორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ექვსი „თავშესაფარი ქალაქების“ დადგენას და ლევიანებისთვის ორმოცდარვა ქალაქის მიცემას. თავშესაფარი ქალაქები იფარებდა ადამიანებს, რომლებსაც ვინმე შემთხვევით შემოაკვდათ.[75] თავშესაფარ ქალაქში გაქცეული კაცი დაცული იყო მოკლულის ოჯახის უსამართლო შურისძიებისგან. ამავე დროს, ის ფაქტი, რომ მკვლელი თავშესაფარ ქალაქში უნდა დარჩენილიყო მღვდელმთავრის გარდაცვალებამდე, მოწმობდა მოსეს რჯულში სიცოცხლის მაღალ ღირებულებაზე; შემთხვევითი სიკვდილიც კი სერიოზულად აღიქმებოდა.

ლევიანებს არ მიუღიათ საკუთარი სამკვიდრო მიწა. სამაგიეროდ, ეს ტომი მიმოფანტული იყო მთელ ქვეყანაში, რათა ეცხოვრათ მთელს ერში და სულიერი წინამძღოლობა გაეწიათ მთელი ისრაელისთვის.

ღმერთისადმი მსახურება აღთქმულ მიწაზე (იესო ნავეს ძე 22-24 თავები)

ეს ნაწილი იწყება ერის ერთიანობის ამსახველი ამბით. ისრაელი არ იყო დამოუკიდებელი ტომების კონფედერაცია; ისინი იყვნენ ერთი ერი, რომელიც ერთ ღმერთს ემსახურებოდა. იესო ნავეს ძეს 23 და 24 თავებში ჩვენ ვხედავთ იესოს ბოლო გამოწვევას ხალხისადმი. მეორე რჯულში ხალხისადმი მოსეს

[75] რიცხვნი 35:9-15

ბოლო მიმართვის მსგავსად, იესო ნავეს ძე მოუწოდებს ისრაელიანებს, ხელახლა დაამტკიცონ თავიანთი ერთგულება ღმერთისადმი აღთქმის განახლების ცერემონიაზე. წიგნი სრულდება იესო ნავეს ძეს სიკვდილით 110 წლის ასაკში.

► როგორც ეკლესიის ლიდერს, როგორ შეგიძლიათ მოამზადოთ თქვენი ეკლესია ლიდერობის გადაბარებისთვის, ანუ ძალაუფლების გადაცემისთვის? განიხილეთ ამ გადაცემის პრაქტიკული ნაბიჯები.

მეორე რჯულის ბოლოს ვხედავთ, რომ მოსემ ხელი დაადო იესო ნავეს ძეს, რათა სიმბოლურად გამოეხატა ძალაუფლების გადაცემა. იესო ნავეს ძის წიგნის ბოლოს არ ჩანს იესოს მიერ ძალაუფლების სხვა ლიდერისთვის აშკარა გადაცემა. სამაგიეროდ, იესო ნავეს ძეში წერია ფრაზა, რომელიც მიანიშნებს მომავალ პრობლემებზე, რომლებიც მსაჯულებში განვითარდა: „ემსახურებოდა ისრაელი უფალს იეშუას სიცოცხლის დღეებში და უხუცესთა სიცოცხლის დღეებში, რომლებიც ცხოვრობდნენ იეშუას მერე და იცოდნენ უფლის ყოველი საქმე, რომლებიც მან მოიმოქმედა ისრაელისთვის.”[76] მსაჯულების დასაწყისი აჩვენებს, რომ იესო ნავეს ძის ღირებულებები არ გადაეცა მომავალ თაობას.

მეორე რჯული	იესო ნავეს ძე
მთავრდება აღთქმის განახლებით(29-32)	მთავრდება აღთქმის განახლებით(23-24)
მთავრდება დიდი ლიდერის, მოსეს გარდაცვალებით	მთავრდება დიდი ლიდერის, იესო ნავეს ძის გარდაცვალებით
ხელმძღვანელობის გადაცემის მომზადება-უზრუნველყოფა	ხელმძღვანელობის გადაცემისთვის მოუმზადებლობა

ახლო ხედი იაჰვეს ომზე

იაჰვეს ომი, ან წმინდა ომი, რეგულირდება მეორე რჯულის მე-20 თავში. ეს თავი იძლევა მითითებებს ისრაელის მიერ ომის საწარმოებლად.

ბოლო წლებში ორმა ფაქტორმა განაპირობა ის, რომ განახლებულიყო ღვთის ბრძანების განხილვა ქანაანელთა განადგურების შესახებ. პირველი, სკეპტიკოსები ამ ბრძანებაზე აპელირებენ იმის დასამტკიცებლად, რომ იაჰვე სისხლისღვრის მწყურვალი ღვთაება იყო, რომელიც უნდა დაიგმოს და არა თაყვანი სცენ. მეორე, ისლამური *ჯიჰადის,* ჰოლოკოსტისა და გენოციდის ფაქტებმა ისეთ ადგილებში, როგორებიცაა რუანდა და ბოსნია, ზოგიერთ ქრისტიანში წარმოშვა კითხვა: „*ჯიჰადი* იგივეა, რაც იესო ნავეს ძეს წიგნში ნახსენები წმინდა ომი? იყო თუ არა ძველი აღთქმის ისრაელი დამნაშავე იმავე სისასტიკეში, რასაც დღეს ალაჰის სახელით სჩადიან?”

[76] იესო ნავეს ძე 24:31

მიუხედავად იმისა, რომ ეს კითხვა სცილდება მოკლე გამოკითხვის ჩარჩოებს, იესო ნავეს ძეს შესწავლისას გასათვალისწინებელია რამდენიმე პრინციპი.[77]

1. **იაჰვეს ომი ასახავს ღვთის სამართლიანობას**. ქანაანელები (როგორც ყველა ადამიანი) იყვნენ ცოდვილები, რომლებიც ღვთის სამართლიან სასჯელს ექვემდებარებოდნენ. შეიძლება ითქვას, რომ გასაკვირი ის კი არ არის, რომ ღმერთმა გაანადგურა ქანაანელები, არამედ ის, რომ მან დაზოგა დანარჩენი კაცობრიობა.[78] ყველა ადამიანი იმსახურებს ღვთის სასჯელს.

   რახაბის მოწმობა ისრაელის მზვერავებისთვის ცხადყოფს, რომ ქანაანელებს სმენოდათ ღვთის ძალის შესახებ.[79] თუმცა, რახაბის გარდა, არც ერთ ქანაანელს არ მოუნანიებია და ღმერთისკენ არ მობრუნებულა. ღმერთის მზადყოფნა, შეეწყალებინა რახაბი (და შემდგომ თაობაში, ნინევე) გულისხმობს, რომ ქანაანელთა მონანიებას შესაძლოა ღვთის წყალობა განეპირობებინა.

2. **იაჰვეს ომი ასახავს ღმერთის უზენაესობას დედამიწაზე**. აღთქმული მიწა (როგორც მთელი დედამიწა) ღმერთს ეკუთვნის. ღმერთს ქანაანელებისთვის მიწა არ „წაურთმევია"; მიწა ღმერთს ეკუთვნოდა და შეეძლო მისი მიცემა, ვისაც თვითონ აირჩევდა. ძველ ახლო აღმოსავლეთში ნებისმიერი ომი წმინდა ომად ითვლებოდა, ომად ღმერთებს შორის.[80] ეგვიპტეზე სასჯელების მოვლინების შედეგად იაჰვე ეგვიპტის ღმერთებზე დიდი აღმოჩნდა; ქანაანელთა ქალაქების განადგურებისას იაჰვე ქანაანელთა ღმერთებზეც დიდი აღმოჩნდა. ისრაელის ომი ქანაანელთა წინააღმდეგ, იყო ომი ქანაანის ღმერთების წინააღმდეგ. ისრაელის გამარჯვებამ წარმოაჩინა ღმერთის უზენაესობა მთელ სამყაროში.

3. **იაჰვეს ომი ასახავს ღვთის სიწმიდეს**. წმიდა ღმერთი ცდილობდა დაეცვა თავისი ხალხი ქანაანელთა კერპთაყვანისმცემლობის ხრწნილებისაგან. ამ საკითხის სერიოზულობა ჩანს მსაჯულებში; გადარჩენილ ქანაანელთა ღმერთებმა მალევე მიიზიდეს და მოხიბლეს ისრაელიანები. მხოლოდ ქანაანელთა სრული განადგურება დაიცავდა ისრაელს განდგომისაგან. იესო ნავეს ძის წმინდა ომმა აუწყა ისრაელს და ყველა ერს ღვთის წმიდა ბუნების შესახებ.

---

[77] ამ საკითხზე მეტი ინფორმაციისთვის წაიკითხეთ:

+ სტენლი გუნდრი, არ გამოიჩინოთ წყალობა მათ მიმართ: ოთხი შეხედულება ღმერთზე და ქანაანელთა გენოციდზე, (გრანდ რაპიდსი: ზონდერვანი, 2003)

+ პოლ კოპანი, არის თუ არა ღმერთი მორალური მონსტრი?: ძველი აღთქმის ღმერთის გაგება, (ადა: ბეიკერის წიგნები, 2011 წ.)

[78] დენიელ გარდი სტენლი გუნდრის ნაშრომში, "არ გამოიჩინოთ წყალობა მათ მიმართ": ოთხი შეხედულება ღმერთზე და ქანაანელთა გენოციდზე, (გრანდ რაპიდსი: ზონდერვანი, 2003), 140.

[79] იესო ნავეს ძე 2:9-11.

[80] ძველი ასურეთის შემორჩენილი ხელოვნება ასახავს მეფეს და ასურელ ღმერთს აშურს მოზიდული მშვილდით ხელში, ასურეთის მტრებთან საბრძოლველად; ასურეთის მეფის გამარჯვება აშურის გამარჯვებად აღიქმება. აგრეთვე 1 მეფეთა (სამუელის) 5:2, სადაც ფილისტიმელები ისრაელზე გამარჯვებას განმარტავენ, როგორც დაგონის გამარჯვებას იაჰვეზე.

4. **იაჰვეს ომი ასახავს ღვთის სიყვარულს**. დაბადების 3:15-დან დაწყებული და ძველი აღთქმის ბოლო ნაწილამდე, ღმერთის მიზანი იყო გამოეგზავნა მესია აბრაამის შტოდან. აბრაამი და მისი შთამომავლები იკურთხნენ, რათა კურთხევად ქცეულიყვნენ ყველა ერისთვის. ამ მიზნის მისაღწევად ღმერთს უნდა დაეცვა ისრაელი ერი ქანაანელთა კერპთაყვანისმცემლობის ხრწნილებისაგან. რაც არ უნდა დაუჯერებლად გამოიყურებოდეს, ქანაანელთა განადგურება ასახავს ღვთის სიყვარულით განპირობებულ მიზანს ეხსნა ყველა ადამიანი.

იაჰვეს ომი მოხდა ისტორიის უნიკალურ დროს და არ წარმოადგენს ნიმუშს თანამედროვე ქრისტიანებისთვის. ის ვერ იქნება რელიგიის სახელით ჩადენილი თანამედროვე სისასტიკის გამართლება. მოსეს კანონი განასხვავებდა ბრძოლებს აღთქმული მიწის გარეთ და ბრძოლებს აღთქმული მიწის ფარგლებში; დღესდღეისობით არავინ არის ქანაანის დაპყრობის დროს მყოფი ისრაელის მდგომარეობაში.[81] როგორც ვნახეთ „რჯულის კანონის უფრო ახლოს გაცნობა“-ში, იესო ნავეს ძე უნდა წავიკითხოთ ქრისტეს მოსვლის პრიზმიდან.

და ბოლოს, სკეპტიკოსების პასუხად უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს არ იყო ეთნიკური წმენდა; ეს იყო რელიგიური ომი კერპთაყვანისმცემლობის წინააღმდეგ. არ არსებობს „ნეიტრალიტეტი“ ღმერთთან მიმართებაში; ადამიანი ან რწმენით მიმართავს ღმერთს, ან ჯანყით უარყოფს მას. ვინც უარყოფენ ღმერთს (როგორც ძველ აღთქმაში, ასევე ახალ აღთქმაში) მის საბოლოო სასჯელს იწვნევენ.

თავის შემდგომ ისტორიაში ისრაელი დაუბრუნდა კერპთაყვანისმცემლობას. ამის საპასუხოდ ღმერთმა საკუთარ ხალხს გამოუცხადა ომი.[82] ომი ქანაანელთა წინააღმდეგ საშინელი იყო; თუმცა, ეს არ იყო გენოციდი. რამდენადაც უსიამოვნოც არ უნდა იყოს ჩვენთვის, იესო ნავეს ძის ომი იყო წმინდა, სამართლიანი და მოსიყვარულე ღმერთის ანარეკლი, რომელიც არ შეიწყნარებს ცოდვას.

მსაჯულები

თემა: განდგომა ისრაელში

მსაჯულები იწყება ტომების თანამშრომლობით ქანაანის დაპყრობაში; წიგნი მთავრდება სამოქალაქო ომში ჩართული ტომებით ბენიამინის ტომის წევრების მიერ ჩადენილი საშინელი დანაშაულის შემდეგ. მსაჯულები იწყება ღმერთის მსახური ადამიანებით; წიგნი მთავრდება რელიგიური განდგომით და სოციალური ქაოსით.

ისრაელის დაცემის მიზეზი შეჯამებულია მსაჯულთა 2:6—11-ში. იესო ნავეს ძეში დაფიქსირებული დიდი გამარჯვებების შემდეგ და იესო ნავეს ძის ბოლოს აღთქმის განახლების შემდეგ, მსაჯულები გვაჩვენებს, თუ რამდენად სწრაფად ჩავარდა ისრაელი განდგომილებაში. შვიდჯერ: „ბოროტად იქცეოდნენ ისრაელის ძენი უფლის თვალში.”[83]

---

[81] მეორე რჯული 20:10-18
[82] იხილეთ მეორე რჯული 28:25; გოდება 2:5; ამოსი 9:7-8
[83] მსაჯულები 2:11; 3:7, 12; 4:1; 6:1; 10:6; 13:1

რა იყო ამ ტრაგიკული დაცემის მიზეზი? მსაჯულთა წიგნი ამ კითხვას ორი განცხადებით პასუხობს.[84] პირველი, „მეფე არ იყო ისრაელში“. მსაჯულები, სავარაუდოდ, დაიწერა მონარქიის პირველ ხანებში და აჩვენებს მეფის საჭიროებას ერის გასაერთიანებლად. მეორე, „თითოეული იმას აკეთებდა, რაც თვითონ მიაჩნდა სამართლიანად“. ღმერთის ერთგული მორჩილებით გაერთიანებული ერის ნაცვლად, თითოეული ადამიანი თავისი გზებით დადიოდა.

მსაჯულთა მიზანია გვაჩვენოს ისრაელის განდგომის შედეგები. მსაჯულები არაერთხელ აჩვენებს, რომ ღმერთმა ისრაელი მტრებს „გადასცა“ ისრაელის ცოდვის გამო. მეორე რჯულის 27-28-ის წყევლა მსაჯულებში სრულდება.

ავტორი და თარიღი

მსაჯულთა მოვლენები მოიცავს დაახლოებით 1380-1050 წლებს. თავად წიგნში ავტორი არ არის გამოვლენილი, თუმცა ებრაული ტრადიცია ავტორად სამუელს ასახელებს. ის სავარაუდოდ დაიწერა მონარქიის პირველ ხანებში, სანამ დავითი იებუსეველების იერუსალიმს აიღებდა.[85]

რას ნიშნავს მსაჯული?

„მსაჯული“ არ იყო იურიდიული თანამდებობის პირი, როგორც დღვანდელობაში მოსამართლეს აღვიქვამთ. მსაჯული არც პოლიტიკური თანამდებობის პირი იყო, როგორც მეფე, არც რელიგიური მოხელე, როგორიც მღვდელი. მსაჯულები იყვნენ სამხედრო ლიდერები, რომლებიც ღმერთმა თავისი ხალხის ჩაგვრისგან დასაცავად დაადგინა. მსაჯულები ცალკეულ ტომებს მართავდნენ და არა მთელ ერს. მსაჯულთა მმართველობა, სავარაუდოდ, ერთმანეთს ემთხვეოდა, როდესაც მსაჯული ერთ ტომს ან ტომთა ჯგუფს მართავდა, ამავდროულად მეორე მსაჯული მართავდა სხვა ტომს ან ტომთა ჯგუფს.

მოსამართლეთა მიმოხილვა

ისრაელის განდგომის საფუძვლები (მსაჯულები 1:1 – 3:6)

მსაჯულების დღეებში ისრაელის ტომები აკონტროლებდნენ მთიან ზონებს, ხოლო ქანაანელები აკონტროლებდნენ ზღვისპირა რეგიონებს; ისრაელმა ვერ დაასრულა იესო ნავეს ძის დროს დაწყებული დაპყრობა. მსაჯულებში დასახელებულია დაუსრულებელი დაპყრობის ორ მიზეზი. მსაჯულთა 1:19 გვიჩვენებს ადამიანურ გონებას; იუდამ „ბარის მკვიდრთა განდევნა ვერ შეძლო, რადგან რკინის ეტლები ჰქონდათ“. ადამიანური თვალსაზრისით, ქანაანელები ძალიან ძლიერები იყვნენ იუდასთვის.

თუმცა, შეიძლება ვიკითხოთ: „განა ღმერთი ქანაანელთა ეტლებზე ძლიერი არ არის? მსაჯულების მე-2 თავი ავლენს არასრული დაპყრობის, აღთქმული მიწის დამკვიდრების უფრო ღრმა მიზეზს. დამკვიდრების დღეებშიც კი, ისრაელი ბოლომდე არ ემორჩილებოდა ღმერთს. ღმერთმა დასაჯა მათი

---

[84] მსაჯულები 17:6; 19:1; 21:25
[85] მსაჯულები 1:21

დაუმორჩილებლობა იმით, რომ დატოვა ზოგიერთი მკვიდრი ერი ამ ქვეყანაში, რათა „ხუნდებად ექცნენ ისინი“ და ისრაელის გამოსაცდელად.[86]

განდგომისა და ხსნის ციკლები (მსაჯულები 3:7 – 16:31)

ეს თავები აღწერს განდგომისა და ხსნის ექვს ციკლს. ნიმუში წარმოდგენილია მსაჯულების მე-2 თავში და შემდეგ ილუსტრირებულია მსაჯულების ცხოვრებაში. ექვსჯერ:

- ისრაელის ძეები „ბოროტად იქცეოდნენ ისრაელის ძენი უფლის თვალში“.
- უფალმა „ხელში ჩაუგდო გარშემორტყმულ მტერს“.
- „დიდად შეაჭირვა ისინი“ და ღმერთს შეჰღაღადეს.
- უფალმა მსაჯულები დაუდგინა და „მტრებისაგან იფარავდა მათ.”[87]

მსაჯულთა წიგნი გვაჩვენებს მსაჯულთა სულიერობის ხარისხის მუდმივ ვარდნას. პირველ მსაჯულზე, ღოთენიელზე არაფერი უარყოფითი არაა ნათქვამი. „უფლის სული იყო მასზე“ და ღმერთმა გამოიყენა ისრაელის გამოსახსნელად.[88] თუმცა, შემდგომი მსაჯულები არ შეესაბამებიან ღოთენიელის აღწერას.

ეჰუდმა გამარჯვება მოტყუებით მოიპოვა.[89] დებორა - ერთგული ლიდერია, მაგრამ მისი გამარჯვების სიმღერა გვაჩვენებს, რომ ერი დაყოფილია მეტოქე ჯგუფებად.[90]

გედეონს უჭირს ერწმუნოს ღმერთს და, მოწოდების დასტურად, ღვთისგან სამ სასწაულს ითხოვს. მოგვიანებით მას ისრაელი ცრუ თაყვანისმცემლობაში შეჰყავს.[91]

ადრინდელი მსაჯულებისგან განსხვავებით, არ წერია, რომ ღმერთმა „დაადგინა“ იფთახი. ამის ნაცვლად, მას ხალხი ირჩევს გილყადის მეთაურად. იფთახი აღიქვამს ღმერთს, როგორც ღვთაებას, რომელთანაც მას გარიგების დადება შეუძლია. ის დებს სულელურ ფიცს ღვთის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად.[92]

უკანასკნელი მსაჯული, სამსონი, ლიდერობის ღვთიური ეტალონის მცოლოდ ჩრდილია. ის არღვევს მოწმიდარობის აღთქმას და დამნაშავეა ქანაანელთან უზნეო კავშირებში. საბოლოო ჯამში, სამსონი თავისი სიკვდილით უფრო წარმატებული იყო, ვიდრე მის სიცოცხლეში.[93]

ღმერთმა მსაჯულები თავისი ხალხის გამოსახსნელად გამოიყენა. თუმცა, მსაჯულთა წიგნის გამოკვლევა გვაჩვენებს ერის განუხრელ დაცემას სულიერ განდგომილებაში, მორალურ ხრწნასა და სოციალურ ქაოსში.

---

[86] მსაჯულები 2:1-3, 20-23; 3:1-4
[87] მსაჯულები 2:11-18
[88] მსაჯულები 3:9-11
[89] მსაჯულები 3:12-30
[90] მსაჯულები 4-5
[91] მსაჯულები 6-8; და განსაკუთრებით 8:22-27
[92] მსაჯულები 11:1-40
[93] მსაჯულები 13-16

ისრაელის საზოგადოების დაშლა (მსაჯულები 17 – 21)

მსაჯულები მთავრდება ორი ამბით, რომლებშიც ჩანს ისრაელის საზოგადოების კოლაფსი. დანის ტომის ამბავი, რომელმაც გაიტაცა მიქას კერპი და მისი მღვდელი, გვიჩვენებს რელიგიური ცხოვრების ჩამოშლას.[94] ახლა ისრაელია დამნაშავე კერპთაყვანისმცემლობაში, რამაც ღვთის რისხვა დაატეხაა ქანაანელებს. რატომ მოხდა ასეთი სულიერი ნგრევა? „იმ დღეებში მეფე არ იყო ისრაელში და თითოეული იმას აკეთებდა, რაც თვითონ მიაჩნდა სამართლიანად."[95]

ლევიტელის ხარჭის გაუპატიურებისა და მკვლელობის საშინელი ამბავი სოდომისა და გომორის ამბავს ჰგავს. ისრაელი დამნაშავეა იგივე სექსუალური ცოდვებსა და ძალადობაში, რასაც ქანაანელები სჩადიოდნენ. ბენიამინელთა დანაშაულის საპასუხოდ ისრაელში სამოქალაქო ომი ატყდა. რატომ მოხდა ასეთი მორალური და სოციალური გახრწნა და ნგრევა? „იმ დღეებში მეფე არ იყო ისრაელში და თითოეული იმას აკეთებდა, რაც თვითონ მიაჩნდა სამართლიანად."[96]

რუთი

თემა: ერთგულება განდგომის ხანაში

ორი ფრაზა აჩვენებს რუთის მნიშვნელობას ძველი აღთქმის ისტორიაში. პირველი, რუთის ამბავი მოხდა „იმ დღეებში, მსაჯულთა მმართველობის დროს." [97] ეს გვიჩვენებს, რომ რელიგიური განდგომის დროს, არსებობდა ახალგაზრდა ქალი, რომელიც ღვთის ერთგული დარჩა. საოცარია, რომ სათნოების ეს მოდელი მოაბელი იყო. იმ დროს როცა ისრაელიანები ქაოსში გადაეშვნენ, რაც ჩანს მსაჯულთა წიგნის დასასრულს, მოაბელი ქალი იაჰვეს ერთგული იყო.

მეორე, ბოყაზს და რუთს ვაჟი შეეძინათ: „და დაარქვეს სახელად ყობედი. ის იყო მამა იესესი, დავითის მამისა."[98] როგორც დავითის დიდი ბებია, რუთი მნიშვნელოვანია ისრაელის ეროვნულ ისტორიაში.

რუთი: ოთხ მოქმედებიანი დრამა

მოქმედება 1: ნაყომი და რუთი ბრუნდებიან ბეთლემში (რუთი 1)

რუთი მოცემულია მოთხრობის სახით, რომელიც მოკლე თავში წარმოგვიდგენს თავის პერსონაჟებს და მოქმედების გარემოს. მოქმედება ხდება "მსაჯულების დროში". ეს არის ბეთლემი და მოაბი. მთავარი გმირები არიან ჩვეულებრივი ისრაელიანები და მოაბელები.

ელიმელექი და მისი ოჯახი მიემგზავრებიან მოააბში, რათა თავი დააღწიონ შიმშილს იუდეაში. ისინი იქ ათი წელი იმყოფებიან და ამ დროის განმავლობაში ელიმელექის ორივე ვაჟი მოაბელ ქალებზე ქორწინდებიან. სამი კაცი მოაბში კვდება და ნაყომი ემზადება ბეთლემში მარტო დასაბრუნებლად.

---

[94] მსაჯულები 17-18
[95] მსაჯულები 17:6
[96] მსაჯულები 21:25
[97] რუთი 1:1
[98] რუთი 4:17

ყორფა, ერთერთი ქვრივი მოაბში დარჩა. მეორე ქვრივი, რუთი, დაჟინებით ითხოვს ბეთლემში დაბრუნებას დედამთილთან ერთად. მუდმივი ერთგულების შეფიცვისას რუთმა აღუთქვა, რომ იცხოვრებდა და მოკვდებოდა ნაყომისთან ერთად და, რომ ემსახურებოდა ისრაელის ღმერთს.

ორი ქალბატონი ბრუნდება ბეთლემში, მაგრამ ნაყომი ისე იტანჯება, რომ სთხოვს ქალაქის მოსახლეობას მას მარა დაუძახონ („სიმწარე“), ნაყომის ნაცვლად („სასიამოვნო”).

მოქმედება 2: რუთისა და ბოყაზის შეხვედრა (რუთი 2)

მოსავლის კანონის გამო,[99] რუთს შეუძლია შეაგროვოს საკვები ნაყომისთვის და საკუთარი თავისთვის. ის „შემთხვევით“ მოხვდა ელიმელექის, მისი გარდაცვლილი სიმამრის მდიდარი ნათესავის, ბოყაზის მინდორში.

როდესაც ბოყაზი ხედავს, რომ რუთი მუშაობს მის მინდორში, ის ყველაფერს აკეთებს მის დასაცავად და მეტი ქერით უზრუნველსაყოფად. და თუმცა, ბოყაზისა და რუთის შეხვედრა შემთხვევითად გამოიყურება, ნაყომიმ ამოიცნო ღვთის ხელი.[100] მან უთხრა რუთს, რომ დარჩენილიყო ბოყაზის მინდორში ქერისა და ხორბლის მოსავლის აღების დროს.

მოქმედება 3: რუთი სთავაზობს ბოყაზს დაქორწინებას (რუთი 3)

როგორც ელიმელექის ახლო ნათესავი, ბოყაზი აღმოჩნდა "გამომსყიდველი ნათესავის" პოზიციაში, რომელიც ასრულებს ძველი აღთქმის ლევირატების ქორწინების ტრადიციას.[101] ისრაელში მთელი მიწა უნდა დარჩენილიყო იმ ოჯახში, რომელსაც ის გადაეცა მისი მოპოვების შემდეგ. თუ ოჯახს გაჭირვების გამო უხდებოდა ქონების გაყიდვა რთულ პერიოდში, გამომსყიდველ ნათესავს ევალებოდა ქონების გამოსყიდვა და პირვანდელი ოჯახისთვის დაბრუნება. იმ იმედით, რომ ბოყაზი შეასრულებდა ამ როლს, ნაყომიმ შეიმუშავა გეგმა, რომლის თანახმადაც რუთმა ბოყაზს ქორწინება შესთავაზა.

ბოყაზის კალოზე რიტუალური მოქმედებით რუთმა ბოყაზს ქორწინება შესთავაზა. ის სიხარულით პასუხობს რუთის თხოვნას, თუმცა აღიარებს, რომ სხვა, მასზე უფრო ახლო ნათესავიც არსებობდა. ამ ნათესავს უნდა მისცემოდა საშუალება გამოესყიდა ნაყომის მემკვიდრეობა.

მოქმედება 4: ბოყაზი მოქმედებს როგორც რუთის გამომსყიდველი ნათესავი (რუთი 4)

მეორე დილით ბოყაზი მივიდა ქალაქის კარიბჭესთან, სადაც საქმეები განიხილებოდა. როდესაც ახლო ნათესავმა გამოიარა, ბოყაზმა ამცნო მას შესაძლებლობის შესახებ, რომ მას ეყიდა ელიმელექის კუთვნილი მიწა. ამ უსახელო ნათესავს სურს გამოისყიდოს ქონება. თუმცა, როდესაც ბოყაზი ეუბნება მას, რომ მას მოუწევს რუთთან ქორწინებაც, როგორც გამოსყიდვის ნაწილი, ნათესავს არ სურს საკუთარი მემკვიდრეობის „დაზარალება“. თუ ის დაქორწინდება რუთზე, მათ შვილებს ექნებათ

---

[99] ლევიანები 19:9; 23:22

[100] რუთი 2:20

[101] ლევირატული ქორწინება იყო ახლო ნათესავის ქორწინება გარდაცვლილი კაცის ქვრივზე პირველი ქმრის სახელისა და მემკვიდრეობის შენარჩუნების მიზნით. რუთის 4:6-ში დასახელებულ ნათესავს არ სურს რუთზე დაქორწინება, რადგან ეს დააზარალებს მის საკუთარ მემკვიდრეობის უფლებებს.

რუთის პირველი ქმრის სახელი და მემკვიდრეობა. ამან შეიძლება დააზარალოს მისი ქონება და გავლენა იქონიოს მისი შვილების მემკვიდრეობაზე. თავისი ქონების დასაცავად, ნათესავი უარს ამბობს შესაძლებლობაზე.

ეს უხსნის გზას ბოყაზსა და რუთს დასაქორწინებლად. ღმერთი მათ შვილს აძლევს, ნაყომი კი წიგნის ბოლოს მთავარი გმირი ხდება. მან დაკარგა ორი ვაჟი; ახლა კი მას ხელში უჭირავს რუთის და ბოყაზის ვაჟი.

როგორც ესთერის წიგნში, კიდევ ერთ ისტორიაში, სადაც რთულ სიტუაციაში ქალი ერთგულებას იჩენს, რუთის წიგნიც გვიჩვენებს ღმერთის უზენაესობას იმაში, რაც ერთი შეხედვით შემთხვევითობად გამოიყურებოდა. რუთი ხდება დავითის დიდი ბებია და საბოლოოდ იესო ქრისტეს წინაპარი.

დასკვნა

იესო ნავეს ძე – რუთი ახალ აღთქმაში

იესო, არის ახალი აღთქმისეული ბერძნული ვარიანტი ებრაული სახელისა "იეშუა". როგორც იესო ნავეს ძე მიუძღვებოდა ღვთის ხალხს ეგვიპტიდან ქანაანში, იესო მიუძღვება ღვთის ხალხს მონობიდან შაბათის სიმშვიდეში.[102]

ისრაელის საზოგადოების დაცემის მიუხედავად, რამდენიმე მსაჯული ებრაელების მე-11 თავში რწმენის მაგალითებად არიან მიჩნეულნი. გედეონი, ბარაკი, იფთახი და სამსონიც კი პატივდებულები არიან ღვთისადმი რწმენის გამო. მიუხედავად იმისა, რომ ეს ადამიანები ყოველთვის არ იყენებდნენ სრულად თავიანთ პოტენციალს, ღმერთი მათი მეშვეობით მუშაობდა თავისი მიზნების შესასრულებლად.

რუთი ერთ-ერთია იმ ოთხი ქალიდან, რომლებიც მოხსენიებულია იესოს გენეალოგიაში.[103] მოაბელი ქვრივის ერთგულებამ მას მესიის გენეალოგიაში მოაპოვებინა ადგილი. რუთის და მარიამის ამბებს შორის რამდენიმე მსგავსებაა. ორივე უკავშირდება ბეთლემში შობას. ორივე განეკუთვნება მცირე ავტორიტეტის მქონე ქალებს (მოაბელი და გაუთხოვარი ქალი, რომელიც დაორსულდა), რომლებიც ღვთის ერთგულები არიან. ორივემ გვაჩვენა, რომ ღმერთი აკურთხებს მის მიმართ ერთგულებს.

ეს წიგნები ასახავს მეორე რჯულში წარმოდგენილ თესვისა და მკის პრინციპებს. იესო ნავეს ძე და რუთი აჩვენებენ ღვთის კურთხევას ერთგულებზე. მსაჯულები აჩვენებენ ღვთის განკითხვას ურჩებზე.

იესო ნავეს ძე - რუთი მეტყველებენ დღეს

ქვეყნებში, სადაც მკვეთრი განხეთქილებაა, ისლამისა და ქრისტიანობის დაპირისპირების გამო, წმინდა ომის საკითხი კვლავ დგება ეკლესიის წინაშე. დღევანდელი კონფლიქტების ფონზე, ამ

---

[102] ებრაელთა 4:1-11
[103] მათე 1:5

ქვეყნებში მცხოვრებმა ქრისტიანებმა, უფრო გულდასმით უნდა შეისწავლონ „წმინდა ომი ახლო ხედით“ პრინციპები.

უფრო ფართო მასშტაბით, დღეს ქრისტიანები აწყდებიან იგივე ერთგულებისა და ორგულობის საკითხებს, რომლებსაც აწყდებოდნენ იესო ნავეს ძე, რუთი და მსაჯულების დროინდელი ხალხი. დღეს, როდესაც ჩვენ აღარ ვცხოვრობთ თეოკრატიაში, ღვთის პასუხი ხშირად არ არის ისეთი მყისიერი და ქვეყნიერებისთვის, ანუ საერო ხალხისთვის ხილული, როგორც ძველ აღთქმაში. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ორგულობა არ ისჯება, ან რომ ერთგულება არ ფასდება. იესო ნავეს ძის და რუთის მაგალითი, ისევე როგორც სამსონის უარყოფითი მაგალითი, გვახსენებს, რომ ღმერთი აგრძელებს მისი ერთგული ადამიანების ძიებას.

მე-4 გაკვეთილის დავალებები

მოახდინეთ ამ გაკვეთილში მოცემული მასალის სწორად აღქმის და გაგების დემონსტრირება შემდეგი დავალების შესრულებით:

(1) აირჩიეთ შემდეგი დავალებებიდან ერთ-ერთი:

ვარიანტი 1: ჯგუფური დავალება

გამოყავით ჯგუფის ერთი წევრი და დაავალეთ, რომ შეისწავლოს თითოეული ჩამოთვლილი მსაჯული: გედეონი, დებორა, იფთახი და სამსონი. განიხილეთ თითოეული მათგანის ძლიერი და სუსტი მხარეები.

ვარიანტი 2: ინდივიდუალური დავალება

დაწერეთ ქადაგება ერთ-ერთი მსაჯულის ცხოვრების შესახებ. ასახეთ მასში, თუ როგორ მოქმედებდა ღმერთი მსაჯულის მეშვეობით თავისი მიზნების მისაღწევად.

(2) გაიარეთ ამ გაკვეთილის ტესტი. ტესტი მოიცავს საზეპირო მუხლებს წმიდა წერილებიდან.

მე-4 გაკვეთილის ტესტი

(1) რა ეწოდება ისტორიულ წიგნებს ებრაულ ბიბლიაში?

(2) განმარტეთ სიტყვა "თეოკრატია".

(3) ჩამოთვალეთ თითოეული წიგნის თემა:

(4) იესო ნავეს ძეს ორი ძირითადი ნაწილია:

(5) რა არის იესო ნავეს ძეს წიგნის მთავარი მიზანი?

(6) რა იყო თავშესაფარი - ქალაქების დანიშნულება?

(7)ჩამოთვალეთ ოთხი პრინციპი, რომლებიც გასათვალისწინებელია იაჰვეს ომის შესწავლისას იესო ნავე ძეს წიგნში.

(8) რა არის მსაჯულების წიგნის მთავარი მიზანი?

(9) მსაჯულებში რომელია განდგომისა და ხსნის ციკლის ოთხი საფეხური?

(10) განმარტეთ „ლევირატული ქორწინება“.

(11) საზეპიროებიდან დაწერეთ იესო ნავეს ძეს 1:8-9.

გაკვეთილი 5
მეფეთა(სამუელი)-ნეშტთა

ისრაელის მონარქიის აღზევება და დაცემა

გაკვეთილის მიზნები
ამ გაკვეთილის ბოლოს, სტუდენტმა უნდა:
(1) შეძლოს სამუელის, მეფეების და ნეშტთა ძირითადი თემების გამოკვეთა.
(2) იცოდეს ყველაზე მნიშვნელოვანი მეფეები ისრაელის ისტორიაში.
(3) ცნობდეს სინოპსურ კავშირს მეფეებისა და ნეშტთა წიგნებს შორის.
(4) ესმოდეს მეორე რჯულის თეოლოგიის აღსრულება ისრაელის ისტორიაში.
(5) აფასებდეს ნეშტთა წიგნში აღმოჩენილი იმედის მომცემ შეტყობინებას.
(6) დაუკავშიროს სამუელის, მეფეთა და ნეშტთა წიგნების სათქმელი, ანუ შეტყობინება დღევანდელი ქვეყნიერების საჭიროებებზე.

ამ გაკვეთილისთვის მომზადება

წაიკითხეთ 1 და 2 მეფეთა (ანუ სამუელი), 3 და 4 მეფეთა (ანუ 1 და 2 მეფეთა), და 1 და 2 ნეშტთა.

დაიზეპირეთ 3 მეფეთა (ანუ ახალი გამოცემის 1 მეფეთა) 9:4-7 და 2 ნეშტთა 7:13-14.

შესავალი

მეფეთა (ახალ, 2015 წ. გამოცემაში სამუელის და მეფეთა) წიგნები ასახავს ისრაელის მონარქიის ისტორიას. 1 მეფეთა წიგნი (ანუ 1 სამუელი) მოგვითხრობს მონარქიის დასაწყისზე, საულის მეფობაზე. 2 მეფეთა (ანუ 2 სამუელი) დავითის მმართველობის ისტორიას გვიამბობს. 3 და 4 მეფეთა წიგნებში (ახალ გამოცემაში 1 და 2 მეფეთა), ბოროტმა მეფეებმა მიიყვანეს ისრაელი და იუდა განდგომამდე. ამის საპასუხოდ, მეორე რჯულის 27-28 თავებში დანაპირები სასჯელები დაატყდა თავს მთელს ერს. 4 მეფეთა (ახალ გამოცემაში 2 მეფეთა) ბოლოს ჩრდილოეთ სამეფო განადგურდა და იუდა გადასახლებულ იქნა ბაბილონში.

ნეშტთა წიგნი ისტორიის იმავე პერიოდს სხვა პერსპექტივიდან აშუქებს. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ დაწერილი ნეშტთა წიგნი ისრაელის ისტორიას აშუქებს ხსნის ამბის პერსპექტივიდან და გვაჩვენებს ღმერთის განზრახვას თავისი ხალხის მიმართ. ნეშტთა წიგნი ღვთის ხალხს არწმუნებს, რომ მომავლის იმედი არსებობს. ღმერთს არ დავიწყებია მისი აღთქმა თავის ხალხთან.

► ცდებოდა ისრაელი, როდესაც მეფეს ითხოვდა? განხილვისას გაითვალისწინეთ 1 მეფეთა (ანუ 1 სამუელის) 8:6-22 და მეორე რჯულის 17:14-20.

1 მეფეთა (1 სამუელი)

თემა: ისრაელის მონარქიის დასაწყისი

1 მეფეთა (1 სამუელი) ასახავს ისრაელის გადასვლას უკანასკნელი მსაჯულიდან, სამუელიდან, პირველ მეფეზე, საულზე. მოიცავს რა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1100-1011 წლებს, 1 სამუელი გვიჩვენებს მონარქიის ადრეულ დღეებს. თეოკრატიის ნაცვლად, რომელშიც ღმერთი პირდაპირ ლაპარაკობდა მსაჯულებისა და წინასწარმეტყველების მეშვეობით, ისრაელს ახლა უკვე მეფე მართავდა. წინასწარმეტყველურად, მოსემ აღწერა, როგორი მეფე უნდა მოეძია ისრაელს. თუმცა, დიდი დრო არ გასულა, რომ საული და მისი მემკვიდრეები საკმაოდ შორს აღმოჩნდნენ ღვთის გეგმისგან, რაც მას მეფისთვის ჰქონდა განზრახული. 1 მეფეთა (იგივე 1 სამუელი) გვიჩვენებს პირველი მეფის დაპირებას, ისევე როგორც მის ტრაგიკულ წარუმატებლობას თავისი, როგორც ღვთის ცხებულის, პოტენციალის რეალიზებაში.

1 მეფეთა (1 სამუელის) მიმოხილვა

მონარქიაზე გადასვლა (1 მეფეთა (1 სამუელის) 1–15 თავები)

მსაჯულთა მმართველობიდან მონარქიაზე გადასვლა სამუელის ისტორიით იწყება. ღვთისმოსავი დედის, ხანას ვაჟი, სამუელი, დაბადებიდანვე ღმერთს მიუძღვნეს ნაზირიტული აღთქმით.[104] ბავშვობაში ის წაიყვანეს ტაძარში ყელი მღვდელთან სამსახურებლად.

ამ გადასვლის სცენები მოიცავს:

ღვთის მიერ სამუელის მოწოდებას და ყელი მღვდლისა და მისი ოჯახის გასამართლებას (1 მეფეთა (1 სამუელი) 1–3 თავები)

1 მეფეთა (1 სამუელი) 1–7 თავები გვიჩვენებს მსაჯულებში დაწყებულ ისრაელის ეტაპობრივ დაცემას. სამღვდელოებაც კი გაირყვნა, რადგან ყელის ვაჟები შეურაცხყოფენ თავიანთ თანამდებობას სექსუალური უზნეობითა და მსხვერპლშეწირვის ბოროტად გამოყენებით.[105] შედეგად, ღმერთს სამუელის მეშვეობით მოაქვს შეტყობინება განკითხვის შესახებ.

ფილისტიმელთა მიერ კიდობნის ხელში ჩაგდება (1 მეფეთა (1 სამუელი) 4–7)

ისრაელის არასწორი მიდგომა აღთქმისადმი ჩანს მათ დამოკიდებულებაში აღთქმის კიდობნის მიმართ. როდესაც ფილისტიმელები თავს დაესხნენ, ისრაელიანებს კიდობანი მიაქვთ ბრძოლის ველზე და თვლიან, რომ ეს ღვთიური ნივთი დაიცავს მათ მტრებისგან. თუმცა, ისრაელის განდგომის გამო ღმერთი აღარ იცავს ამ ხალხს. კიდობანი ფილისტიმელებმა ხელში ჩაიგდეს და შვიდი თვის განმავლობაში მათ ეპყრათ. როცა კიდობანმა ფილისტიმელებს წყევლა დაატეხა თავს, მათ ის ბეთ-შემეშში დააბრუნეს.

---

[104] 1 მეფეთა (1 სამუელი)1:10-11; რიცხვნი 6:1-21
[105] 1 მეფეთა (1 სამუელი)2:12-25

საულის არჩევა მეფედ (1 მეფეთა (1 სამუელი) 8–12)

თავის სიბერეში სამუელმა თავისი ვაჟები ისრაელის მსაჯულებად დანიშნა. სამწუხაროდ, ყელის ვაჟების მსგავსად, სამუელის ვაჟებიც არ აღმოჩნდნენ ერთგულნი. ამის საპასუხოდ ისრაელის უხუცესებმა სთხოვეს სამუელს მეფე ეცხო მათთვის. მოსეს მიერ მეფეზე „რომელსაც უფალი, შენი ღმერთი ამოირჩევს“ უფრო ადრინდელ წინასწარმეტყველებასა[106] და ღვთის სამუელისთვის ნათქვამს შორის, რომ „შენ კი არა, მე უარმყვეს თავიანთ მეფედ!“ არსებობს წინააღმდეგობა.[107]

მთავარი, როგორც ჩანს, უხუცესების თხოვნის მოტივაციაა: “ დაგვიდგინე მეფე, რომ განგვსჯიდეს, **როგორც სხვა ხალხებშია**”.”[108] მიუხედავად იმისა, რომ მოსემ იწინასწარმეტყველა დღე, როდესაც მეფე გახდებოდა ღმერთის გეგმის ნაწილი, ისრაელის მოტივაცია იყო მათი სურვილი ყოფილიყვნენ სხვა ერების მსგავსი. სამწუხაროდ, ისრაელის მეფეები ხალხს თავიანთი მეზობლების გზაზე გაუძღვებიან; ისრაელიც მართლაც „როგორც ყველა ერი“ გახდება კერპთაყვანისმცემელი და უმართლო.

საულის ადრეული მეფობა (1 მეფეთა (1 სამუელი) 13–15)

თავიდან საული სანიმუშო მეფე იყო. არჩევისას გამოიჩინა თავმდაბლობა და სამხედრო წარმატებას მიაღწია ფილისტიმელების წინააღმდეგ. თუმცა, სამი მოვლენა ააშკარავებს საულის გულში არსებულ ღრმა პრობლემებს.

- საულმა თვითონ მოირგო სამუელის სამღვდელო როლი. დაპირისპირებისას კი, საულმა სამუელი დაადანაშაულა.[109]
- საულმა დაუფიქრებელი ფიცი დადო, რამაც კინაღამ იონათანის სიკვდილი გამოიწვია.[110]
- საული არ დაემორჩილა ღვთის ბრძანებას, რომ სრულად გაენადგურებინა ყამალეკი. როდესაც სამუელი დაუპირისპირდა, საულმა ხალხს დააბრალა.[111]

თითოეული ეს სცენა გვიჩვენებს, რომ საული არ იყო ის მეფე, რომელიც მოსემ აღწერა მეორე რჯულის წიგნში. შედეგად, სამუელს მოაქვს შეტყობინება ღვთის განკითხვის შესახებ: „როგორც შენ უარყავი უფლის სიტყვა, ისე უფალმაც უარყო შენი მეფობა.”[112]

საულის დაცემა და დავითის აღზევება (1 მეფეთა (1 სამუელი) 16–31)

1 მეფეთა (1 სამუელის) პირველი ნახევარი ასახავს თეოკრატიიდან მონარქიაზე გადასვლას; 1 მეფეთა (1 სამუელის) მეორე ნახევარი ასახავს მეფობის გადასვლას საულიდან დავითზე.

დავითის წარდგენა (1 მეფეთა (1 სამუელი) 16–17)

---

[106] მეორე რჯული 17:15
[107] 1 მეფეთა (1 სამუელი)8:7
[108] 1 მეფეთა (1 სამუელი)8:5
[109] 1 მეფეთა (1 სამუელი)13:8-14
[110] 1 მეფეთა (1 სამუელი)14:24-46
[111] 1 მეფეთა (1 სამუელი)15
[112] 1 მეფეთა (1 სამუელი)15:23

სამი ამბავი გვაცნობს დავითს. პირველი, დავითის ცხება ხაზს უსვამს მეფის გულის მნიშვნელობას. საული ხალხის მეფედ მოგვევლინა; დავითი კი ღმერთის მეფედ.[113]

მეორე ისტორია გვაცნობს საულისა და დავითის ურთიერთობას. ღმერთმა უარყო საულის მეფობა და ბოროტმა სულმა დაიწყო საულის ტანჯვა. გამოცდილი მუსიკოსის რეპუტაციის გამო, დავითი აირჩიეს რათა საულისთვის დაეკრა, რომ მისი სული დამშვიდებულიყო.[114]

მესამე ისტორია მოგვითხრობს დავითის გამარჯვების შესახებ ფილისტიმელ გიგანტზე, გოლიათზე. საულის მზარდი სიამაყისა და თავდაჯერებულობის ფონზე, ეს ამბავი გვიჩვენებს დავითის თავმდაბლურ მინდობას ღმერთზე.[115]

კონფლიქტი საულსა და დავითს შორის (1 მეფეთა (1 სამუელი) 18–27)

როდესაც საული ხედავდა, როგორ აქებდა ხალხი დავითს, გოლიათის მოკვლის შემდეგ, სულ უფრო მეტად შურდა ამ თავისი სავარაუდო მეტოქის. უარყოფილ მეფე საულსა და ღვთის რჩეულ მეფე დავითს შორის კონფლიქტის ისტორია მოიცავს ოთხ მთავარ სცენას:

- მზარდი მეგობრობა დავითსა და იონათანს შორის (1 მეფეთა (1 სამუელი) 18 თავი)
- საულის მცდელობა მოკლას დავითი (1 მეფეთა (1 სამუელი) 19–20 თავები)
- დავითის გაქცევა საულისგან და მისი უარი „უფლის ცხებულზე“ ხელის აღმართვაზე” (1 მეფეთა (1 სამუელი) 21–26 თავები)
- დავითის დროებითი თავშესაფარი ფილისტიმელებს შორის (1 მეფეთა (1 სამუელი) 27 თავი)

საულისა და მისი ვაჟების სიკვდილი (1 მეფეთა (1 სამუელი) 28-31 თავები)

საულის დაცემის ბოლო ნაბიჯი იყო მისი ვიზიტი ყენდორის ჯადოქართან, როდესაც ის ემზადებოდა ფილისტიმელებთან საბრძოლველად. ახლა ის მონაწილეობდა ოკულტურ პრაქტიკაში, რომლის განადგურებასაც ოდესღაც ცდილობდა.[116] სამუელი გამოეცხადა და განაჩენი გადასცა; ფილისტიმელები დაამარცხებდნენ ისრაელს და საული და მისი ვაჟები დაიხოცებოდნენ ბრძოლაში. როგორც ნაწინასწარმეტყველება იყო, საული და მისი ვაჟები მომდევნო დღეს დაიღუპნენ ბრძოლაში და 2 მეფეთა (2 სამუელის) წიგნი იწყება დავითის ტახტზე ასვლით.

---

[113] 1 მეფეთა (1 სამუელი)9:1-2; 16:7
[114] 1 მეფეთა (1 სამუელი)16:14-23
[115] 1 მეფეთა (1 სამუელი)17
[116] 1 მეფეთა (1 სამუელი) 28:8-10

2 მეფეთა (2 სამუელი)

თემა: დავით მეფის მეფობა

ოცდაათი წლის ასაკში დავითი გამეფდა. 2 მეფეთა (2 სამუელის) წიგნი მოიცავს 1011-971 წლებს, საულის სიკვდილიდან დავითის სიკვდილამდე. ეს წიგნი აღწერს წარმატებას დავითის მეფობის პირველ წლებში. ის ასევე ასახავს ბათ-შებაყთან დავითის ცოდვის ტრაგიკულ შედეგებს.

2 მეფეთას (2 სამუელის) მიმოხილვა

დავითის აღზევება ხელისუფლებაში (2 მეფეთა (2 სამუელი) 1–4 თავები)

2 მეფეთა (2 სამუელი) იწყება დავითის რეაქციით საულის სიკვდილზე. იმის ნაცვლად, რომ გახარებოდა მტრის სიკვდილი, დავითმა იგლოვა საულის სიკვდილი და დასაჯა ყამალეკელები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ საული მოკლეს. დავითი იყო იუდეის პირველი ცხებული მეფე; საულის ვაჟი, იშბოშეთი, ისრაელის მეფედ აკურთხეს. 2 მეფეთა (2 სამუელი) 3:1 says, "ხანგრძლივი ომი იყო საულისა და დავითის სახლებს შორის". შვიდი წლის შემდეგ იშბოშეთი მისმა ორმა მეთაურმა მოკლა და დავითი მთელი ისრაელის მეფედ აკურთხეს.

დავითის კეთილდღეობის წლები (2 მეფეთა (2 სამუელი) 5–10 თავები)

დავითის მეფობის პირველი წლები წარმატებული იყო. სამხედრო თვალსაზრისით დავითი იცავდა ისრაელის საზღვარს. პოლიტიკურად მან გააერთიანა ერი სამოქალაქო ომის შემდეგ. დედაქალაქის სამხრეთ ქალაქ ჰებრონიდან უფრო ცენტრალურ ქალაქ იერუსალიმში გადატანით მან შეძლო პოლიტიკური დაძაბულობის განმუხტვა.

რაც მთავარია, ამ წლებში დავითს სულიერი წარმატებები ჰქონდა. 2 მეფეთა (2 სამუელი) 7 თავი ძველი აღთქმის ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავია. ღმერთის აღთქმა დავითთან აგებულია აბრაამთან და მოსესთან დადებულ აღთქმებზე. დავითთან აღთქმა მოიცავს ხუთ დაპირებას:

- ღმერთი უზრუნველყოფს ისრაელს უსაფრთხო საცხოვრებლით (7:10-11).
- ღმერთი წამოაყენებს დავითის ძეს ტაძრის ასაშენებლად (7:12-13).
- ღმერთი სამუდამოდ დაამყარებს დავითის სამეფოს (7:13).
- ღმერთი დაამყარებს მამა-შვილურ ურთიერთობას დავითის შთამომავლებთან (7:14).
- ღვთის წყალობა არ დატოვებს დავითის შტოს (7:14-15).

ეს შეთანხმება მნიშვნელოვანია ისრაელის ისტორიის გასაგებად. ერთ-ერთი მთავარი კითხვა, რომელიც საფუძვლად უდევს 3 და 4 მეფეთა (1 და 2 მეფეთა) წიგნს უნდა იყოს, "რატომ აღარ არის ტახტზე მეფე დავითის შტოდან?" ისრაელის აღქმით ღმერთმა დაივიწყა დავითთან დადებული აღთქმა. 3 და 4 მეფეთა (ანუ 1 და 2 მეფეთა) იძლევა ღმერთის პასუხს ამ კითხვაზე.

დავითის აღთქმა ასევე მნიშვნელოვანია ახალი აღთქმის ისტორიისთვის. სახარებები გვიჩვენებს, რომ დავითის აღთქმა საბოლოოდ სრულდება იესო ქრისტეს მოსვლისას.[117]

დავითის ცოდვა და მისი შემდგომი შედეგები (2 მეფეთა (2 სამუელი) 11–24 თავები)

2 მეფეთა (2 სამუელი) 11 თავში ჩაწერილია ტრაგიკული მოვლენა, რომელმაც ჩრდილი მიაყენა დავითის მეფობას. დავითი ცდილობდა ურიას მოკვლით დაეფარა ბათშებაყთან მრუშობა. 2 მეფეთა (2 სამუელის) დანარჩენი ნაწილი გვაჩვენებს ღვთის სასჯელს დავითზე. 2 მეფეთა (2 სამუელი) 7:15-ში, ღმერთი დაჰპირდა, რომ „არ წაერთმევა მას ჩემი წყალობა და სიკეთე“; ეს კურთხევა აღთქმით ურთიერთობის ნაწილია. 2 მეფეთა (2 სამუელი) 12:10-ში, ღმერთი დაპირდა, რომ „მახვილი აღარ მოშორდება შენს სახლს,“; ეს განაჩენიც აღთქმისეული ურთიერთობის ნაწილია. ღმერთთან აღთქმა აკისრებს ანგარიშვალდებულებას ღმერთის წინაშე.

ახლო ხედით დაკვირვება ცოდვასა და მორწმუნეზე

დავითის და ბათშებაყის ამბავი ძველი აღთქმის ისტორიაში ერთ-ერთი ბნელი წერტილია. ეს ამბავი განსაკუთრებით რთულია მათთვის, ვისაც სჯერა ღვთის მოწოდების, თავისი შვილებისთვის, რომ მათ იცხოვრონ განზრახ ცოდვისგან თავისუფლებმა. თუმცა არ გვჯერა იმის *აუცილებლობის*, რომ მორწმუნე ცოდვაში უნდა ჩავარდეს, დავითის ისტორია გვაჩვენებს, რომ ღვთის შვილების დაცემა *შესაძლებელია.* ეს ამბავი მორწმუნეებს ღირებულ გაკვეთილებს ასწავლის; ის გვიჩვენებს, თუ რა უნდა გააკეთოს მორწმუნემ, თუ ის განზრახ ცოდვაში ჩავარდება.

(1) ჩვენ უნდა ვაღიაროთ ჩვენი ცოდვა.

როდესაც სამუელი წინ აღუდგა საულის ცოდვას, საული ცდილობდა თავი ემართლებინა („არ გამოჩნდი დანიშნულ დროზე…”).[118] როცა ნათანი დაუპირისპირდა დავითს მისი ცოდვის გამო, დავითმა მაშინვე აღიარა: „შევცოდე უფალს.”[119] აქ ვხედავთ განსხვავებას დავითს, ღვთის გულის კაცსა და საულს შორის, რომელიც ღმერთმა უარყო.

იქნება ეს „დიდი ცოდვა“, როგორიცაა მრუშობა თუ „მცირე ცოდვა“, როგორიცაა ჭორაობა, ჩვენ ვერ მივიღებთ ღვთის პატიებას, სანამ არ ვაღიარებთ ჩვენს ცოდვას. საულის მსგავსად, ზოგჯერ ჩვენც გვაქვს ცდუნება, გავამართლოთ ჩვენი ცოდვა, ან თუნდაც უარვყოთ ის, რომ მას „შეცდომა“ ან „სისუსტე“ ვუწოდოთ. თუმცა, როდესაც ღმერთი გვიცხადებს, რომ ჩვენ შევცოდეთ, ჩვენ უნდა ვაღიაროთ ჩვენი ცოდვა და პატიება ვითხოვოთ.

---

[117] მათე 1:1
[118] 1 მეფეთა (1 სამუელი)13:11
[119] 2 მეფეთა (2 სამუელი) 12:13

(2) ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ ჩვენი ცოდვის სიმძიმე.

როდესაც სამუელი დაუპირისპირდა საულს სამღვდელო მსხვერპლშეწირვის გამო, საული ცდილობდა გაემართლებინა თავისი ცოდვა. მან თქვა: „ვეღარ მოვითმინე და აღვავლინე სრულადდასაწველი."[120]

როდესაც ნათანი დაუპირისპირდა დავითს, მეფე მიხვდა, რომ მისი ცოდვის სიმძიმე არა მხოლოდ მის მოქმედებაში მდგომარეობდა. მისი ცოდვის სერიოზულობა იმაში იყო, თუ ვის წინააღმდეგ შესცოდა დავითმა. „შენ, მხოლოდ შენ შეგცოდე და ბოროტება ჩავიდინე შენს თვალში, ამიტომ მართალი ხარ შენს სიტყვებში და უმწიკვლო - შენს სამართალში."[121]

როდესაც ვაცნობიერებთ, რომ ჩვენი ცოდვა არის თავად ღმერთის შეურაცხყოფა, ჩვენ ვხვდებით, რომ არ არსებობს „მცირე" ცოდვა. ამიტომ თქვა ღმერთმა: „ცოდვილი კაცი კი მოკვდება."[122] ჩვენ უნდა ვაღიაროთ ჩვენი ცოდვის სიმძიმე; ცოდვა იმსახურებს სიკვდილს.

(3) ჩვენ უნდა გვწამდეს, რომ მივიღებთ ღვთის პატიებას.

დავითმა ილოცა: „მასხურე უსუპი და განვიწმიდები; განმბანე და თოვლზე მეტად გავსპეტაკდები". დავითმა იცოდა, რომ მსხვერპლშეწირვის სისტემაში არ იყო გათვალისწინებული წინასწარგანზრახული ცოდვა, როგორიც მან ჩაიდინა.[123] თუმცა მან საკუთარი თავი ღვთის წყალობას გადასცა: „რადგან მსხვერპლი არა გსურს, რომ შემოგწირო და სრულადდასაწველს არ ინებებ. შესაწირი ღმერთისა - სული მოდრეკილი; მოდრეკილისა და მორჩილის გულს არ დაამცირებ, ღმერთო."[124] დავითმა მოინანია იმ რწმენით, რომ მოწყალე ღმერთი მას ცოდვას აპატიებდა.

ახალ აღთქმაში იოანე წერს: "შვილებო! ამას გწერთ იმისთვის, რომ არ შესცოდოთ. ხოლო თუ ვინმე შესცოდავს, გვყავს შუამდგომელი მამის წინაშე - მართალი იესო ქრისტე."[125] როგორც ქრისტიანები, ჩვენ არ უნდა ჩავვარდეთ ცოდვაში; მაგრამ თუ ჩვენ ვცოდავთ, იოანე გვაუწყებს სასიხარულო ამბავს, რომ გვყავს შუამდგომელი და დამცველი.

31-ე ფსალმუნი სავარაუდოდ მალევე დაიწერა 50-ე ფსალმუნის შემდეგ. 50-ე ფსალმუნში დავითმა აღიარა თავისი ცოდვა. 31-ე ფსალმუნში მან გაიხარა ღვთის პატიებით. „ცოდვა ჩემი ვაღიარე და ბრალი ჩემი არ დამიმალავს. ვთქვი: ვაღიარებ ჩემს ცოდვებს უფლის წინაშე და შენ მომიტევე დანაშაული ჩემი ცოდვისა."[126]

---

[120] 1 მეფეთა (1 სამუელი)13:12
[121] ფსალმუნი 50:2-4
[122] ეზეკიელი 18:20
[123] რიცხვნი 15:30
[124] ფსალმუნი 50:7, 16, 17
[125] 1 იოანეს 2:1
[126] ფსალმუნი 32:5

(4) ჩვენ უნდა გვესმოდეს ჩვენი ცოდვის გრძელვადიანი საფასური.

რადგან დავითმა მოინანია, ღმერთმა აპატია ცოდვა. თუმცა იმ ღამემ ბათშებაყთან ერთად დავითის მეფობის დანარჩენ ნაწილზე გავლენა იქონია. დავითის ვაჟმა ამნონმა გააუპატიურა თამარი, ამნონის ნახევარდა. დავითის საყვარელი ვაჟი აბესალომი ხელმძღვანელობდა გადატრიალების მცდელობას. ბენიამინელი შება ხელმძღვანელობდა აჯანყებას. როცა დავითი სიკვდილის პირას იყო, მისი ვაჟები იბრძოდნენ ტახტისთვის. მახვილი არასოდეს შორდებოდა დავითის სახლს. იესოს გენეალოგიაშიც კი შევიდა დავითის ცოდვის შეხსენება: „მეფე დავითმა შვა სოლომონი ურიას ცოლისგან."[127] დავითის ამბავი შეხსენებაა ცოდვის საშინელი შედეგების შესახებ.

არასოდეს არ უნდა აღვიქვათ ცოდვა მსუბუქად. პავლემ გაგვაფრთხილა: „ნუ მოტყუვდებით; ღმერთი დასაცინი არ ხდება, ვინაიდან, რასაც თესავს კაცი, იმას იმკის! ვინც თავის ხორცისთვის თესავს, ხორცისგან მოიმკის ხრწნილებას."[128] ცოდვის სერიოზულობისა და ცოდვის საფასურის გაცნობიერება დაგვეხმარება მტკიცედ დავდგეთ ცდუნების მომენტში.

3 და 4 მეფეთა (1 და 2 მეფეთა)

თემა: ისრაელის მეფეების კრახი

მე-2 მეფეთა (2 სამუელი)7 თავში ღმერთი დაჰპირდა ისრაელს უსაფრთხო დასამკვიდრებელ ადგილს, ტაძარს იერუსალიმში და რომ დავითის შთამომავლები სამუდამოდ დარჩებოდნენ ისრაელის ტახტზე. 3 და 4 მეფეთა (ახალ გამოცემაში 1 და 2 მეფეთა) დაწერილია გადასახლების პერსპექტივიდან. როდესაც ეს წიგნები დაიწერა, ისრაელი გადასახლებაში იყო, ტაძარი დანგრეული იყო, ხოლო ტახტზე არ იყო მეფე დავითის სახლიდან.

მეფეთა წიგნები პასუხობენ კითხვას "რატომ?" რატომ არის აღთქმები შეუსრულებელი? დაივიწყა ღმერთმა თავისი აღთქმები? მარდუქი, ბაბილონის ღმერთი, უფრო ძლიერია, ვიდრე იაჰვე, ისრაელის ღმერთი? მეფეთა წიგნები პასუხობს ამ კითხვებს და მიუთითებს ისრაელის აღთქმისადმი ერთგულების კრახზე.

მეორე რჯულის თეოლოგიის ენის გამოყენებით, მეფეები გვიჩვენებს, რომ ისრაელი თავისი ცოდვისთვის სამართლიან სასჯელს იმკის. ეს წიგნები ისტორიულია, მაგრამ ისტორიაზე გაცილებით მეტია; ისინი განმარტავენ, თუ *რატომ* წარიმართა ისრაელის ისტორია ისე, როგორც წარიმართა. ამიტომაც ებრაული ბიბლია ამ წიგნებს „ყოფილ წინასწარმეტყველებად" მოიხსენიებს. ამ წიგნებს უფლის წინასწარმეტყველური სიტყვა მოაქვს: „ამიტომაც გამოვუტანე განაჩენი ჩემს რჩეულ ხალხს."

---

[127] მათე 1:6

[128] გალატელთა 6:7-8

რატომ?	
2 მეფეთა (2 სამუელი)-ს აღთქმა	2 მეფეთა (2 სამუელი)-ს რეალობა
„სამუდამოდ“ დასამკვიდრებელი ადგილი	გადასახლება ბაბილონში
ტაძარი იერუსალიმში	დანგრეული ტაძარი
„სამუდამოდ“ გამყარებული ტახტი	იერუსალიმში მეფე არ არის

ავტორი და თარიღი

ებრაულ ბიბლიაში 3 და 4 მეფეთა (1 და 2 მეფეთა) ერთი წიგნია. ებრაული ტრადიცია ავტორად იერემიას ასახელებს. თუმცა, მე-3 და მე-4 მეფეთა (1 და 2 მეფეთა) წიგნებში არაფერია მითითებული ავტორის იდენტიფიცირებისთვის. მეცნიერთა უმეტესობა წიგნს „ანონიმურად“ მოიხსენიებს.

4 მეფეთა (2 მეფეთა) წიგნის უკანასკნელი მოვლენა მოხდა ძვ.წ 561 წელს. მეფეთა წიგნში არ არის ნახსენები 539 წ. კიროსის ბრძანება, რომელმაც იუდას დაბრუნების საშუალება მისცა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „მეფეები“ სადღაც ამ ორ თარიღს შორის დაიწერა.

3 და 4 მეფეთა (ახალ გამოცემაში 1 და 2 მეფეთა) წიგნების სტრუქტურა

ისრაელის გაერთიანება სოლომონის მმართველობის ქვეშ (3 მეფეთა (1 მეფეთა) 1-11)

ეს თავები მოიცავს ძვ. წ. 971-931 წლებს. ისინი ასახავს დიდებას სოლომონის მეფობის დროს: მის სიბრძნეს, მის სიმდიდრეს და ღვთის კურთხევას ტაძარზე. ისინი ასევე აკვირდებიან სოლომონის განდგომას შემდგომ წლებში.

გაყოფილი სამეფო (3 მეფეთა (1 მეფეთა) 12 – 4 მეფეთა (2 მეფეთა) 17)

ეს თავები მოიცავს ძვ. წ. 931-722 წლებს, სოლომონის სიკვდილიდან ასურეთის მიერ ჩრდილოეთ სამეფოს განადგურებამდე. რეხაბყამის სულელური ქმედებების გამო სოლომონის სიკვდილის შემდეგ ერი ორ სამეფოდ გაიყო. ჩრდილოეთის ათი ტომი იერობყამს გაჰყვა; მხოლოდ იუდა და ბენიამინი დარჩნენ რეხაბყამისა და დავითის შტოს ერთგული. მეფეთა წიგნის ისტორია მონაცვლეობს ორ სამეფოს შორის, ასახავს ჩრდილოეთ სამეფოს სწრაფ განდგომას და იუდას თანდათანობით დაცემას.

ისრაელის ჩრდილოეთ სამეფო	იუდას სამხრეთ სამეფო
19 მეფე	19 მეფე; 1 დედოფალი
ყველა მეფე ბოროტი იყო	8 კარგმა მეფემ მოიტანა აღორძინების პერიოდები
დედაქალაქი არის შექემი, შემდეგ თირზა, შემდეგ სამარია	დედაქალაქი იერუსალიმია
თაყვანს სცემდნენ ბეთელსა და დანში	თაყვანს სცემდნენ იერუსალიმში, "დავითის ქალაქში"
განადგურდა ასურეთის მიერ ძვ. წ. 722 წ.	წაყვანილ იქნა ბაბილონის მიერ გადასახლებაში ძვ. წ. 586 წ.
სამეფო აღარ არსებობს	ბრუნდება გადასახლებიდან ძვ. წ. 536 წ.

იუდა ჩრდილოეთ სამეფოს დაცემის შემდეგ (4 მეფეთა (2 მეფეთა)18–25)

ეს თავები მოიცავს ძვ. წ. 722-561 წ.წ. ჩრდილოეთ სამეფოს დაცემიდან იეჰოიაქინის გათავისუფლებამდე ბაბილონის ტყვეობიდან. რამდენიმე კარგი მეფის მეფობის დროს გამოღვიძების პერიოდების გამო, იუდა ჩრდილოეთ სამეფოს განადგურების შემდეგ საუკუნეზე მეტ ხანს გადარჩა. თუმცა, მენაშეს ბოროტი მმართველობის გამო, ღმერთმა განაჩენი გამოუტანა იუდას.[129] აღორძინების ერთი ბოლო პერიოდი იყო იოშიას მეფობის დროს, მაგრამ 586 წ. ძვ. წ.-ით ბაბილონმა დაიპყრო იერუსალიმი, დაანგრია ტაძარი და ხალხი გადაასახლა.

4 მეფეთა (2 მეფეთა) მთავრდება იუდეის ისტორიით ბაბილონის მიერ დანიშნული მმართველის, გედალიაჰუს, დროს. ის მთავრდება ამბით, რომ ბაბილონის მეფემ გაათავისუფლა იეჰოიაქინი ციხიდან. ეს მოხდა ძვ. წ. 561 წ. და მეფეთა წიგნის ადრეული მკითხველებისთვის ეს იყო შეხსენება, რომ ღმერთი ფხიზლობდა დავითის შთამომავლებზე. ღმერთს არ დავიწყებია დავითისთვის მიცემული აღთქმა.

[129] 4 მეფეთა (2 მეფეთა) 21

მნიშვნელოვანი თარიღები, მეფეები და მოვლენები [130]

ისრაელის ჩრდილოეთ სამეფო			იუდას სამხრეთ სამეფო	
931-910	იერობყამ I-მა შეიყვანა ისრაელი კერპთაყვანისმცემლობაში		**931-913**	რეხაბყამმა გამოიწვია ისრაელის დაყოფა
885-874	ყომრის დედაქალაქი სამარიაში გადააქვს		**911-870**	ასა ღვთისმოსავი მეფეა
874-853	ახაბი და იეზებელი		**872-848**	იოშაფატი, კარგი მეფეა, მაგრამ კავშირს ამყარებს ახაბთან
875-848	ელიას მსახურება			
760-750	ამოსის მსახურება		**792-740**	ყუზია კეთრით დაავადდა მღვდელმსახურების კანონების დარღვევის გამო
753-715	ოსიას მსახურება			
732-722	ოსია – ჩრდილოეთ სამეფოს უკანასკნელი მეფე		**716-687**	ეზეკიელი
			740-681	ესაიას მსახურება
722	ასურეთის მიერ ჩრდილოეთ სამეფოს განადგურება		**641-609**	იოშია - იუდეის უკანასკნელი ღვთისმოსავი მეფე
			627-586	იერემიას მსახურება
			609-598	იეჰოიაკიმის მეფობა, რომელმაც უარყო იერემიას გაფრთხილებები
			597-586	ციდკია - იუდას უკანასკნელი მეფე
			586	იერუსალიმის განადგურება

[130] თარიღები სავარაუდოა. დაფუძნებულია ე.რ. თიელის, ებრაელი მეფეების იდუმალი რიცხვები (გრანდ რაპიდსი: ზონდერვანი, 1983).

მნიშვნელოვანი თემები 3 და 4 მეფეთა (ანუ 1 და 2 მეფეთა) წიგნებში

მეფეები

ის, თუ როგორ ასახავს 3 და 4 მეფეთა (1 და 2 მეფეთა) წიგნები ისრაელის მმართველებს, მსგავსიცაა და განსხვავებულიც ჩვეულებრივი ისტორიის წიგნებისგან. სხვა ისტორიული წყაროების მსგავსად, მე-3 და 4 მეფეთა (1 და 2 მეფეთა) წიგნებში წარმოდგენილია ძირითადი ბიოგრაფიული ცნობები: მეფის ტახტზე ასვლის ასაკი, ოჯახური წარმომავლობა, მისი მმართველობის ხანგრძლივობა, დაკრძალვის ადგილი, მემკვიდრე და მეფის შესახებ ინფორმაციის წყარო.

ბაალი, წვიმისა და ჭექა-ქუხილის მბრძანებელი. ისრაელმა ყოვლისშემძლე იაჰვეს თაყვანისცემა ამ უძლურის თაყვანისცემაზე გაცვალა! იერემია 2:11

სხვა ისტორიული წყაროებისგან განსხვავებით, მეფეთა წიგნის მთავარი ინტერესის სფერო მეფის ღმერთისადმი ერთგულების შეფასებაა. თითოეულ მეფეზე ავტორიი ამბობს: „და დადიოდა ყველა იმ ცოდვაში, რომელიც მასზე უწინ მამამისს ჰქონდა ჩადენილი. მისი გული ისე არ ყოფილა მინდობილი უფალზე, როგორც მამამისის, დავითის გული იყო”[131] ან „ მთელი მისი სიცოცხლე ერთგული იყო უფლისადმი.”[132]

ყოველი მეფე ფასდება ღმერთისადმი ერთგულების საფუძველზე და არა უმთავრესად მისი პოლიტიკური თუ სამხედრო წარმატებების მიხედვით. მაგალითად, საერო ისტორიაში ყომრი ისრაელის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მეფეა. მეფე მეშის სტელა (მე-19 საუკუნეში ცნობილი როგორც "მოაბის ქვა", რომელიც ახლა ლუვრის მუზეუმშია, მოგვითხრობს ყომრის სამხედრო დაპყრობებზე. ყომრის სიკვდილიდან დიდი ხნის შემდეგ, ასურული წყაროები ისრაელს „ყომრის მიწას“ უწოდებდნენ. ყომრი ცნობილი მეფე იყო, მაგრამ 3 მეფეთაში (1 მეფეთა) მხოლოდ ექვსი მუხლი ეძღვნება ყომრის. ბიბლიის ავტორისთვის: „ბოროტად იქცეოდა ყომრი უფლის თვალში; იმათაც გადააჭარბა, რომლებიც მასზე უწინ იყვნენ.”[133] ბიბლიის წიგნის ავტორისთვის ყომრის ცოდვა აჭარბებდა მისი მმართველობის ნებისმიერ პოლიტიკურ მნიშვნელობას. მეფეთა წიგნი არის აღთქმისეული ისტორია; ის ასახავს ისრაელის ისტორიას აღთქმის ერთგულებასთან მიმართებით.

წინასწარმეტყველები

როგორც ისრაელის დაცემის სურათის ნაწილი, 3 და 4 მეფეთა (1 და 2 მეფეთა) წიგნები ხაზს უსვამენ წინასწარმეტყველთა როლს. მიუხედავად იმისა, რომ ყომრი თითქმის არ არის ნახსენები მეფეთა წიგნში, მისი ვაჟის ახაბის მეფობა დეტალურად არის ასახული.

---

[131] 3 მეფეთა (ანუ 1 მეფეთა) 15:3
[132] 3 მეფეთა (ანუ 1 მეფეთა) 15:14
[133] 3 მეფეთა (ანუ 1 მეფეთა) 16:25

ამის ორი მიზეზი არსებობს. ერთი ის არის, რომ ახაბის ბოროტმა მმართველობამ გამოიწვია ჩრდილოეთის სამეფოს განადგურება.[134] მეორე მიზეზი არის ელიას კონფლიქტი ახაბთან. ელიასა და ახაბს შორის კონფლიქტი ცხადყოფს ღმერთის ერთგულებას ისრაელის მიმართ, რათა გააფრთხილოს მისი ცოდვის შესახებ. ქარმელის მთაზე დაპირისპირებამ ისრაელი მის განდგომასთან პირისპირ დააყენა. ელიას მიერ გამოცხადებულმა გვალვამ ისრაელს თვალი აუხილა განდგომის საფასურზე.[135]

წინასწარმეტყველები აჩვენებენ ღვთის ერთგულებას თავისი ხალხის მიმართ. ელიასა და ელისეს მეშვეობით ჩრდილოეთში და ესაიასა და მისი თანამედროვეების მეშვეობით იუდეაში, ღმერთმა არაერთხელ გააფრთხილა ისრაელი მისი ცოდვის შესახებ. სამწუხაროდ, ღმერთის ერთგულების მიუხედავად, ისრაელი აგრძელებდა აჯანყებას.

მეორე რჯულის თეოლოგია

ელიასა და ახაბს შორის კონფლიქტი ცხადყოფს არა მხოლოდ ღმერთის ერთგულებას ისრაელის გასაფრთხილებლად, არამედ ისრაელის ჯიუტ უარს მონანიებაზე. გადასახლების თვალსაზრისით, მეფეთა წიგნის ავტორი გვიჩვენებს, რომ იუდამ და ისრაელმა განიცადეს ღვთის სამართლიანი რისხვა.

ამ მონაკვეთის დასაწყისში დასმულ კითხვებს მეფეთა წიგნის ავტორი პასუხობს: „არა, მარდუქი არ არის იაჰვეზე ძლიერი. არა, ღმერთს არ დავიწყებია თავისი აღთქმა და დაპირებები. იუდა და ისრაელი განიცდიან აღთქმისადმი ორგულობის შედეგებს. აღთქმით მიცემული დაპირებაა - კურთხევა ერთგულებზე და სასჯელი ორგულებზე. ღმერთი აკეთებს იმას, რაც აღუთქვა."[136]

მეორე რჯულისა და მეფეების ურთიერთკავშირი რამდენიმე კონკრეტულ შემთხვევაში ჩანს.

- მეორე რჯული ისრაელს ავალებდა თაყვანი ეცათ „ადგილზე, რომელსაც უფალი, თქვენი ღმერთი, ამოირჩევს". იერობოყამმა დააწესა ახალი თაყვანისმცემლობის ადგილები დანსა და ბეთელში.[137]
- მეორე რჯულმა დაგვანახა, თუ როგორი მეფე განიზრახა ღმერთმა ისრაელისთვის. მეფეთა წიგნი გვიჩვენებს, თუ როგორ არ აკმაყოფილებდნენ ისრაელის მეფეები მეფის ღვთიურ სტანდარტებს.[138]
- მეორე რჯულში წარმოდგენილია გამოცდა ჭეშმარიტი წინასწარმეტყველისთვის. ელიასა და ელისეს მსახურებამ აჩვენა ამ გამოცდის სისწორე.[139]

---

[134] 3 მეფეთა (ანუ 1 მეფეთა) 16:33

[135] 3 მეფეთა (ანუ 1 მეფეთა) 17. გამოსვლის შესწავლისას ვნახეთ, რომ სასჯელები ეგვიპტის ცრუ ღმერთებზე თავდასხმა იყო. ელიას დღეებში გვალვა მსგავსი თავდასხმაა ბაალზე. ბაალი იყო ფინიკიური ნაყოფიერების ღმერთი, რომელიც ისრაელში იზებელმა შემოიტანა. ბაალს უწოდებდნენ "წვიმისა და ჭექა-ქუხილის მბრძანებელს". ელია აცხადებს, რომ იაჰვე, სამყაროს შემოქმედი, ერთადერთია, ვისაც აქვს ძალაუფლება ბუნებაზე.

[136] 4 მეფეთა (2 მეფეთა) 17:7-23

[137] მეორე რჯული 12:5; 3 მეფეთა (ანუ 1 მეფეთა) 12:26-30

[138] მეორე რჯული 17:14-20

[139] მეორე რჯული 18:21-22

- მეორე რჯული წინასწარ აფრთხილებდა კონკრეტული წყევლების შესახებ, თუ ისრაელი დაარღვევდა აღთქმას. სწორედ ეს წყევლები ტრაგიკულად აღსრულდა დეტალებში მეფეთა წიგნში.[140]

1 და 2 ნეშტთა

თემა: იმედის მესიჯი (გზავნილი)

1 და 2 ნეშტთა დაიწერა საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ 3 და 4 მეფეთა (1 და 2 მეფეთა) წიგნის დაწერიდან. ნეშტთა იწყება ისრაელის ისტორიის რთული მომენტიდან. კიროსმა ხალხს დაბრუნების ნება დართო - მაგრამ ბაბილონში უფრო მეტი ებრაელი ცხოვრობს, ვიდრე იერუსალიმში. ტაძარი აღადგინეს - მაგრამ ის უფრო პატარა და ნაკლებად შთამბეჭდავია ვიდრე სოლომონის ტაძარი. ტახტზე არ არის მეფე დავითის შტოდან. მესია არ გამოჩენილა. ნეშტთა დაიწერა ხალხისთვის, რომელსაც უნდა სცოდნოდათ, რომ „ღმერთს არ დავვიწყებივართ. ჩვენ ისევ მისი ხალხი ვართ. იმედი არის!"

უძველესი ტრადიცია ეზრას მიაწერს ნეშტთა წიგნის ავტორობას. ეს ნაწილობრივ იმიტომ ხდება, რომ 2 ნეშტთას ბოლო ორი მუხლი მეორდება ეზრას წიგნში და გვევლინება როგორც მისი პირველი ორი მუხლი. თავად ნეშტთა წიგნში არ მიუთითებს ავტორზე. ამის გამო ავტორს ჩვეულებრივ „მემატიანედ", ანუ „ჟამთააღმწერად“ მოიხსენიებენ."

ებრაულ ბიბლიაში ნეშტთა, კანონის ბოლო წიგნია. ეს მართებულია იმის გამო, რომ ნეშტთას, ძველი აღთქმის ერთ-ერთი ბოლო წიგნის, დაწერის სავარაუდო თარიღია 450-დან 400 წლამდე. ასევე მართებულია ნეშტთას მიზნიდან გამომდინარე. ნეშტთა არ არის უპირველეს ყოვლისა ისტორიული წიგნი, თუმცა ისტორია ნეშტთაში ზუსტია. მისი მთავარი მიზანია იმედის გზავნილის მოტანა ისრაელის ისტორიის ახალ ჭრილში დასანახად. ნეშტთა წიგნები ასახავს ისრაელისადმი ღვთის აღთქმული დაპირებების მომავალ აღსრულებას, დაპირებების, რომლებიც შესრულდება იესო ქრისტეს მოსვლისას.

ნეშტთა და მეფეთა წიგნები

ნეშტთა და მეფეთა ურთიერთკავშირი სამი სინოპტიკური სახარების ურთიერთკავშირის მსგავსია; ისინი ერთსა და იმავე მასალას კონტრასტული თვალსაზრისით აშუქებენ. ნეშტთა იკვლევს იმავე ისტორიას, რასაც მეფეთა წიგნები. თუმცა, ის ამ მოვლენებს ახალი პერსპექტივიდან ასახავს. მეფეთა წიგნი სვამს კითხვას: "რატომ არ შესრულდა აღთქმის დანაპირები?" ნეშტთაში კი შემდეგი კითხვა ისმის: „არსებობს თუ არა მომავლის იმედი? აქვს თუ არა ღმერთს მიზანი თავისი ხალხისთვის?"

ნეშტთა წიგნის დანიშნულება ჩანს მისი მასალის შერჩევაში. ის არ იძლევა ისრაელის სრულ ისტორიას. ამის ნაცვლად, ის ირჩევს მასალას, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ მოქმედებდა ღმერთი ისრაელის ისტორიაში თავისი მიზნების შესასრულებლად. ავტორი არ ცდილობს უარყოს ბნელი დრო ისრაელის ისტორიაში; მისმა მკითხველმა კარგად იცოდა ის ბნელი დრო. თუმცა, ნეშტთას მიზანი არ არის ღვთის სასჯელის ახსნა; ნეშტთას მიზანია სასოწარკვეთილი ხალხისთვის იმედის მიცემაა.

---

[140] მეორე რჯული 28

კიროსის განაცხადით დასრულებული ნეშტთა წიგნი მთავრდება იმედის გზავნილით; ღმერთი კვლავ იცავს თავის ხალხს.

მეფეთა	ნეშტთა
რატომ დასაჯა ღმერთმა თავისი ხალხი?	ღვთის ხალხს აქვს მომავალი?
მოიცავს საულის მეფობის ისტორიას	მოიცავს მხოლოდ საულის სიკვდილს
ორივე სამეფოს ისტორია	იუდას ისტორია
აქცენტი წინასწარმეტყველებზე	აქცენტი მღვდლებზე და ტაძარზე
"გაჰყვა მეფე დავითის გზას?"	"იყო თუ არა მეფე ტაძარში თაყვანისცემის ერთგული?"
ღვთის სამართლიანი სამსჯავრო	ღვთის მარადიული წყალობა

ნეშტთას მიმოხილვა

> რჩევა ახალი ქრისტიანებისთვის:
> ნუ დაიწყებთ ბიბლიის კითხვას 1 ნეშტთა 1-9-ით!
> რჩევა მოწიფული ქრისტიანებისთვის:
> ნუ უგულებელყოფთ 1 ნეშტთა 1-9-ს!

გენეალოგიები (1 ნეშტთა 1-9)

გენეალოგიები? მოსაწყენია! დიახ, ეს თავები შეიძლება იყოს მოსაწყენი, მაგრამ ისინი მნიშვნელოვანია. რატომ? გენეალოგიები ახსენებენ ღვთის ხალხს, რომ ღმერთს არ დავიწყებია ისინი.

მე-5 საუკუნეში ისრაელის ტომების გენეალოგია უაზროდ გამოიყურებოდა. ჩრდილოეთ სამეფოს ათი ტომი გაანადგურა ასურეთმა და ვეღარასოდეს დაიბრუნეს თავისი იდენტობა. იუდას ხალხი მიმოფანტული იყო ეგვიპტეში, ბაბილონსა და სპარსეთში.

ამ სიტუაციაში გენეალოგიებს მნიშვნელოვანი გზავნილი ჰქონდათ: „ღმერთმა არ დაგვივიწყა. ჩვენ მისი რჩეული ხალხი ვართ. ჩვენ ჯერ კიდევ ვიცით ვინ ვართ; ჩვენ შეგვიძლია მივყვეთ ჩვენს გენეალოგიას ადამამდე". მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოეთი სამეფო გაქრა, ნეშტთას მემატიანეს სურს იუდას ახსოვდეს, რომ ღმერთმა აირჩია „მთელი ისრაელი" და არ დაივიწყა ისინი.[141]

ერთი ამონარიდი გვაჩვენებს, თუ როგორ ემსახურება გენეალოგიები ნეშტთას მიზანს. ებრაულად სახელი იაყბეცი ტკივილის აღმნიშვნელი სიტყვის მსგავსია. ის იყო კაცი, რომელსაც არ გააჩნდა დიდი მემკვიდრეობა, მაგრამ „მოუხმო იაყბეცმა ისრაელის ღმერთს... და მისცა ღმერთმა, რაც სთხოვა."[142] იაყბეცის ლოცვა არ არის ღვთისგან რაღაცეების მიღების ჯადოსნური ფორმულა. იაყბეცის ლოცვა არის შეხსენება, რომ ღმერთი უსმენს მათ, ვინც მას მოუხმობს, მაშინაც კი, როდესაც მათ არ აქვთ

[141] ფრაზა „მთელი ისრაელი" ორმოცდაორჯერ არის გამოყენებული ნეშტთაში. ის სცნობს ღვთის განგრძობად განზრახვას ერისთვის, იმის მიუხედავად, რომ ის მიმოფანტული იყო. ღვთის გამოსყიდვის მიზანი შესრულდება ჩრდილოეთ სამეფოს განადგურების მიუხედავად.
[142] 1 ნეშტთა 4:10

პირადი ან ოჯახური უპირატესობები. იაყბეცის ამბავი აღძრავდა ნეშტთას ადრეულ მკითხველებს, რომ შეევედრებოდნენ ღმერთს; ბნელ დღეებშიც კი ის ისმენდა მათ ღაღადს.

დავითის მეფობა (1 ნეშტთა 10–29)

საული შედის გენეალოგიებში, მაგრამ საულის შესახებ ერთადერთი დეტალური ინფორმაცია მის სიკვდილზეა. საულის მეფობა ნეშტთას ნაკლებად აინტერესებს. ნეშტთას ინტერესი საულის მიმართ ამ სიტყვებშია შეჯამებული: „ასე მოკვდა საული თავისი დანაშაულის გამო, რომელიც ჩაიდინა უფლის წინააღმდეგ… ამიტომაც მოაკვდინა იგი უფალმა და დავითს, იესეს ძეს გადასცა სამეფო.”[143]

ნეშტთას ყურადღება გამახვილებულია დავითზე და მის სამეფო შტოზე. ნეშტთა მოგვითხრობს დავითსა და მასთან ერთად მყოფ ძლიერ ადამიანებზე. ის არ მოგვითხრობს დავითის ცოდვაზე ბათშებაყთან. ნეშტთას მკითხველებმა უკვე იცოდნენ დავითის ცოდვის ამბავი; ეს არ იყო მნიშვნელოვანი ნეშტთას წიგნისთვის.

საინტერესოა, მიუხედავად იმისა, რომ ბათშებაყის ამბავი არ შედის ნეშტთაში, დავითის ცოდვა ნახსენებია ხალხის აღრიცხვის ამბის აღწერისას. რატომ? ეს ამბავი მნიშვნელოვანია ნეშტთას დამწერ მემატიანესთვის, რათა ფოკუსირება გაეკეთებინა ტაძარზე. მონანიებისას დავითმა იყიდა ორნანის კალო სამსხვერპლოს ასაგებად. ეს გახდა ტაძრის ადგილი.[144]

ნეშტათვის ტაძარი მნიშვნელოვანია. დავითის მიერ ჩატარებული აღწერის ამბის შემდეგ 1 ნეშტთა 21-ე თავში, მისი დამწერი მოგვითხრობს დავითის გეგმის შესახებ აეშენებინა ტაძარი და თავი მოეყარა ლევიანებისთვის, მღვდლებითვის, მუსიკოსებისთვის, კარიბჭის მცველებისა და ტაძრის ხაზინადარებისთვის. ნეშტთას წიგნი შეახსენებს გულგატეხილ ხალხს, რომ ტაძარი ცენტრალურია მათი ვინაობისთვის და თვითმყოფადობისთვის; ის დაიწერა, რათა წაეხალისებინა ერთგულება ტაძარში თაყვანისცემისადმი.

სოლომონის მეფობა (2 ნეშტთა 1–9)

სოლომონის მეფობა ნეშტთათვის მნიშვნელოვანია ტაძრის გამო. ნეშტთაში გამოტოვებულია სოლომონის განდგომა, სამაგიეროდ ექვსი თავი ეთმობა ტაძრის მშენებლობას, აღჭურვასა და მის ღმერთისთვის მიძღვნას. ნეშთა წიგნები გვიჩვენებს ღვთის პასუხს ტაძრის მიძღვნაზე: „და ვეღარ შეძლეს მღვდლებმა უფლის სახლში შესვლა, რადგან უფლის დიდებამ აავსო იგი. როცა დაინახეს ისრაელის ძეებმა სახლზე გადმოსული ცეცხლი და უფლის დიდება, პირქვე დაემხნენ ქვაფენილზე და თაყვანისცეს. და აქებდნენ უფალს, რადგან კეთილია იგი, რადგან უკუნისამდეა წყალობა მისი.”[145]

მოგვიანებით ამ თავში ღმერთი სოლომონს ჰპირდება, რომ „თუ დავახშობ ცას, რომ აღარ იწვიმოს ან კალიას ვუბრძანებ ქვეყნის გადაჭმას, ან შავ ჭირს მოვუვლენ ჩემს ხალხს; და ჩემი ხალხი, რომელიც

---

[143] 1 ნეშტთა 10:13-14
[144] 1 ნეშტთა 21:18-28; 2 ნეშტთა 3:1
[145] 2 ნეშტთა 7:2-3

ჩემი სახელით იწოდება, ქედს მოიდრეკს, ილოცებს, ჩემს სახეს მოძებნის და შემობრუნდება თავისი ბოროტი გზიდან - მაშინ მოვუსმენ ზეციდან, ცოდვას მივუტევებ და განვკურნავ მათ მიწას."[146]

ღმერთის ეს დაპირება მნიშვნელოვანია ისრაელისთვის გადასახლების შემდეგ. ის არწმუნებს მათ, რომ ღმერთმა არ მიატოვა თავისი ხალხი. აღთქმის დაპირებები შეუსრულებელი რჩება, მაგრამ თუ ისრაელი მოუხმობს ღმერთს, ის მოისმენს ზეციდან და განკურნავს მათ მიწას. ეს მონაკვეთი თანხვედრაშია მალაქიას გზავნილთან, რომელიც დაახლოებით იმავე დროს წერდა, როდესაც ნეშტთა იწერებოდა. რადგან ცოდვის ჭეშმარიტი მონანიება და ღვთის მცნებების ერთგულება ღვთის კურთხევას მოუტანს დაბრუნებულ გადასახლებულებს.

იუდას სამეფო (2 ნეშტთა 10–36)

მეფეები თვალყურს ადევნებს როგორც ჩრდილოეთ სამეფოს, ასევე იუდას, ისრაელის გაყოფის შემდეგ; ორივე სამეფო აჩვენებს ღვთის სამსჯავროს შედეგებს. ნეშტთას კი იმედის გზავნილი აინტერესებს; მხოლოდ იუდა აჩვენებს ღვთის აღთქმას მომავლის შესახებ. ისრაელის გაყოფის შემდეგ, ნეშტთა მხოლოდ იუდას ისტორიას ასახავს.

და კვლავ ამ მონაკვეთში მემატიანეს დანიშნულებამ განსაზღვრა მასალის შერჩევა. მეფეთა წიგნში ხიზკიაჰუს სულიერი რეფორმები განხილულია ერთ მუხლში.[147] ნეშტთაში ხიზკიაჰუს რეფორმების დეტალებს სამი თავი ეძღვნება.[148] ნეშტთა ხაზს უსვამს ხიზკიაჰუს მიძღვნას ტაძრისადმი და მის ერთგულებას ღმერთისადმი.

კიდევ ერთი საინტერესო კონტრასტი ნეშტთასა და მეფეთას შორის ჩანს მენაშეს ამბავში. მეფეთა წიგნი მენაშეს, იუდას ყველაზე ცუდ მეფედ წარმოაჩენს, რომლის ცოდვამაც გარდაუვალი გახადა გადასახლება.[149] ნეშტთა გვიამბობს, რომ ტყვეობაში ყოფნისას მენაშემ მოინანია. მენაშე გაათავისუფლეს ბაბილონიდან და ის დაბრუნდა იერუსალიმში. მან გაანადგურა კერპები ტაძარში.[150]

მეფეთა წიგნის ავტორისთვის მენაშეს მმართველობის მთავარი გზავნილია ის, რომ ცოდვას მოაქვს ღვთის სასჯელი. ნეშტთას ავტორისთვის მენაშეს მმართველობის მთავარი გზავნილია ის, რომ მონანიებას ღვთის პატიება მოაქვს. ორივე გზავნილი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ისრაელის ისტორიის გასაგებად. ნეშტთა უფრო მეტია ვიდრე მხოლოდ მეფეთა წიგნის გადმოცემის გამეორება; ის არის მეფეთას პარალელური წიგნი, რომელიც აშუქებს ღვთის სიტყვის სხვა ასპექტს თავისი ხალხისთვის.

---

[146] 2 ნეშტთა 7:13-14
[147] 4 მეფეთა (2 მეფეთა) 18:4
[148] 2 ნეშტთა 29-31
[149] 4 მეფეთა (2 მეფეთა) 21:11-15.
[150] 2 ნეშტთა 33:10-20

დასკვნა

1 მეფეთა (სამუელი) - ნეშტთა წიგნი ახალ აღთქმაში

დავითის აღთქმა წარმოადგენს ისტორიულ საფუძველს იესოს, ანუ მესიის მსახურებისთვის. დავითს ღმერთმა აღუთქვა, რომ მეფე დავითის შტოდან დაჯდებოდა ისრაელის ტახტზე. მიუხედავად ამისა, 3 მეფეთას ბოლოს, მეფე არ არის ტახტზე. ეს მდგომარეობა გრძელდება, რადგან ისრაელს მართავენ სპარსელები, ბერძნები და რომაელები.

ღმერთმა აღუთქვა დავითს მის ტაძარში დამკვიდრება. თუმცა მე-3 მეფეთა ბოლოს ტაძარი არ არსებობს. მაშინაც კი, როცა ტაძარი ხელახლა აშენდა, მას აღარ აქვს პირველი ტაძრის სიდიადე და სილამაზე.

სახარების ავტორები გვაჩვენებენ, რომ იესო არის დავითისთვის მიცემული აღთქმების შესრულება. ის არის, ვინც დავითის ტახტზე უნდა დამჯდარიყო. მიუხედავად იმისა, რომ იგი უარყოფილი იყო მიწიერი მსახურების დროს, ის დაბრუნდება, რათა იმეფოს სამუდამოდ. ის არის ის, ვინც ავლენს ღვთის დიდებას ტაძარში.

აღთქმა დავითის მიმართ არ არის დავიწყებული. მიუხედავად იმისა, რომ ისრაელი არ იყო ერთგული, ღმერთი თავისი აღთქმების ერთგული დარჩა. ნეშთაში დანახული იმედი იესო ქრისტეს, ანუ მესიის მოსვლით აღსრულდა.

1 მეფეთა (სამუელი) - ნეშტთა წიგნები გვესაუბრება დღეს

მეოცე საუკუნეში მოძრაობა სახელწოდებით „ქრისტიანული რეკონსტრუქციონიზმი“ ამტკიცებდა, რომ ძველი აღთქმის კანონი, რომელიც მართავდა ისრაელს, უნდა ყოფილიყო მოდელი თანამედროვე პოლიტიკური სტრუქტურისთვის. ნაკლებად კატეგორიულად განწყობილი ბევრი ქრისტიანი განიხილავდა პოლიტიკურ ასპარეზს, როგორც სულიერი გამოღვიძების საშუალებას.

მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანებს აქვთ სამოქალაქო მმართველობაში მონაწილეობის უფლება, ჩვენ არ ვცხოვრობთ თეოკრატიაში. არც ქრისტე გვირჩევდა ამის გაკეთებას. ამის ნაცვლად, ისრაელისადმი მიცემული აღთქმები ეკლესიის მსახურების მეშვეობით სრულდება. ძველ აღთქმაში ღმერთმა „აკურთხა ყველა ერი“ ისრაელის პირდაპირი გავლენით. სულთმოფენობის შემდეგ კი ღმერთი აკურთხებს ყველა ერს სახარების გავრცელებით ეკლესიის მეშვეობით.

ძველი აღთქმის ისტორიული წიგნები არა ქრისტიანული პოლიტიკური სტრუქტურის დასამყარებელ მოდელს იძლევა, არამედ მოწმობს ღმერთის ერთგულებაზე თავისი ხალხის და მომავალი მესიის შესახებ მიცემული აღთქმის დაცვაში.

მე-5 გაკვეთილის დავალებები

(1) აირჩიეთ შემდეგი დავალებებიდან ერთ-ერთი:

ვარიანტი 1: ჯგუფური დავალება

დაავალეთ თითოეულ წევრს იუდას რომელიმე მნიშვნელოვანი მეფის შესწავლა. დაწერეთ მეფის მმართველობის ერთგვერდიანი შეჯამება. შეაფასეთ მეფის ერთგულება ღმერთისადმი და შემდეგ წარმოაჩინეთ, როგორი ზეგავლენა იქონია მისმა მმართველობამ იუდაზე, კარგი თუ ცუდი. აირჩიეთ ერთერთი ამ მეფეთაგან: რეხაბყამი, იოშაფატი, ხიზკიაჰუ, მენაშე, იოშია ან ციდკიაჰუ.

ვარიანტი 2: ინდივიდუალური დავალება. აირჩიეთ ერთ-ერთი.

- დაწერეთ 1-2 გვერდიანი (450-800 სიტყვა) ესე (ანუ ნარკვევი), რომელშიც იუდას ქვემორე ჩამოთვლილ მეფეთაგან ერთმანეთს შეადარებთ ორს. შეაფასეთ მეფის ერთგულება ღმერთისადმი და შემდეგ წარმოაჩინეთ, როგორი ზეგავლენა იქონია მისმა მმართველობამ იუდაზე, კარგი თუ ცუდი. აირჩიეთ ერთერთი ამ მეფეთაგან: რეხაბყამი, იოშაფატი, ხიზკიაჰუ, მენაშე, იოშია ან ციდკიაჰუ.
- დაწერეთ ქადაგების დეტალური მონახაზი ღვთის ერთგულების შესახებ, რომელიც დაეფუძნება ნეშტთას. გამოიყენეთ მაგალითები ნეშტთადან, რომლებიც ცხადყოფს ღმერთის ერთგულებას თავისი ხალხის მიმართ.

(2) გაიარეთ ამ გაკვეთილის ტესტი. ტესტი მოიცავს საზეპირო მუხლებს წმიდა წერილებიდან.

მე-5 გაკვეთილის ტესტი

(1) ჩამოთვალეთ თითოეული წიგნის თემა.

- 1 მეფეთა (1 სამუელი): _____
- 2 მეფეთა (2 სამუელი): _____
- 3 (1 მეფეთა) და 4 მეფეთა (2 მეფეთა): _____
- 1 და 2 ნეშტთა: _____

(2) ჩამოთვალეთ სამი მოვლენა საულის მეფობის დასაწყისში, რომლებიც ცხადყოფს, რომ ის ვერ იქნებოდა ღმერთის სასურველ მეფე.

(3) ჩამოთვალეთ ხუთი აღთქმა დავითის მიმართ.

(4) ჩამოთვალეთ ოთხი პრინციპი დავითის ცოდვიდან გამომდინარე, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს ცოდვაში ჩავარდნილმა მორწმუნემ.

(5) 3 მეფეთა (1 მეფეთა) და 4 მეფეთა (2 მეფეთა) წიგნები რომელ წლებს მოიცავს?

(6) ისრაელის დაყოფის შემდეგ რომელი ტომები დარჩნენ დავითის შტოს მეფის ერთგული?

(7) როგორ ფასდებიან მეფეები 3 და 4 მეფეთა (1 და 2 მეფეთა) წიგნებში?

(8) შეადარეთ ნეშტთა და მეფეთა შინაარსი იუდას მეფეებთან დაკავშირებით.

9) რა თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი სოლომონის მეფობა ნეშტთათვის?

(10) შეადარეთ ნეშტთა და მეფეთა წიგნების შინაარსი მენაშესთან მიმართებით.

(11) დაწერეთ დამახსოვრებული საზეპირო მუხლები: 3 მეფეთა (1 მეფეთა) 9:4-7 და 2 ნეშტთა 7:13-14.

გაკვეთილი 6
ეზრა-ესთერი: აღდგენის წიგნები

გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს, სტუდენტმა უნდა:
(1) შეძლოს ეზრას, ნეემიას და ესთერის ძირითადი თემების გამოკვეთა.
(2)გააცნობიეროს ეზრას, ნეემიას და ესთერის ქრონოლოგიური ურთიერთკავშირი.
(3)იცოდეს აღდგენის პერიოდის ძირითადი მოვლენები.
(4)ესმოდეს ლიდერობის პრინციპები ნეემიას ცხოვრებიდან.
(5)აფასებდეს ღვთის განგებულებას ესთერის წიგნში.
(6)დაუკავშიროს ეზრას, ნეემიას და ესთერის მთავარი გზავნილი დღევანდელ ქვეყნიერებას..

ამ გაკვეთილისთვის მომზადება

წაიკითხეთ ეზრა, ნეემია და ესთერი.

დაიზეპირეთ ნეემია 2:17 და ესთერი 4:14.

აღდგენის წიგნები

ბოლო სამი ისტორიული წიგნი მოიცავს კიროსის მიერ ბრძანების გაცემის შემდგომ წლებს, რომლის შედეგადაც ებრაელებს იერუსალიმში დაბრუნების უფლება მიეცათ.[151] ისინი ასახავს გადასახლებულთა იერუსალიმში დაბრუნებას, ტაძრისა და იერუსალიმის კედლების აღდგენას და იმ სირთულეებს, რომლებიც დაბრუნებულ დევნილებს შეექმნათ ქალაქის აღდგენისას. ეს წიგნები მნიშვნელოვანია აღთქმის ისტორიაში ორი მიზეზის გამო.

- ეზრა და ნეემია გვაჩვენებენ, თუ რა სირთულეებს აწყდებოდა ღვთის ხალხი სულიერი და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისას. ტაძრის აღდგენა და გამოღვიძება ეზრას წიგნში აღადგენს ისრაელის სულიერ იდენტობას. კედლების აღდგენა ნეემიაში მნიშვნელოვანი ნაბიჯია ისრაელის ეროვნული იდენტობის აღსადგენად.

- ეს წიგნები გვიჩვენებს, თუ როგორ ზრუნავს ღმერთი თავის ხალხზე გადასახლების შემდგომ წლებში. ეზრა და ნეემია გვაჩვენებენ ღვთის მზრუნველობას დაბრუნებულებზე; ესთერი გვაჩვენებს ღვთის მზრუნველობას მათზე, ვინც ჯერ კიდევ სპარსეთში იმყოფებოდა.

---

[151] 2 ნეშტთა 36:22-23; ეზრა 1:1-4

მოვლენების ქრონოლოგია აღდგენის წიგნებში	
თარიღი	**მოვლენა**
538 წ. ძვ. წ.	პირველი დაბრუნება - ზერუბაბელის ხელმძღვანელობით (ეზრა 1-4)
516 წ. ძვ. წ.	ტაძარი დასრულდა (ეზრა 5-6)
483-473 ძვ. წ.	ღმერთი ზოგავს ებრაელებს სპარსეთში (ესთერი)
458 წ. ძვ. წ.	მეორე დაბრუნება - ეზრას ხელმძღვანელობით (ეზრა 7-12)
444 წ. ძვ. წ.	ნეემია აღადგენს იერუსალიმის კედლებს

ეზრა-ნეემიას ერთობა

ებრაულ ბიბლიაში ეზრა და ნეემია ერთი წიგნია. ქრისტიანულ ბიბლიებში ისინი არ იყო დაყოფილი მეოთხე საუკუნემდე. ამ წიგნებს ბევრი რამ აქვთ საერთო:

- მათ აქვთ ერთი და იგივე ისტორიული გარემო.
- ორივე ეხება იერუსალიმში დაბრუნებას სპარსეთში არტაქსერქსე I-ის მეფობის დროს.
- ორივე შეიცავს ებრაელი ხალხის სიებს.
- ნეემია 7-12 აჯამებს როგორც ეზრას, ასევე ნეემიას რეფორმებს.

სპარსელი მმართველები აღდგენის პერიოდში	
კიროსი 559-530 წ. ძვ. წ.	ზერუბაბელის დაბრუნება (ეზრა 1-2)
კამბისე 530-522 წ. ძვ. წ.	
ბარდია 522 წ. ძვ. წ.	
დარიოს 522-486 წ. ძვ. წ.	ტაძრის მშენებლობის მხარდაჭერა (ეზრა 3-6)
ქსერქსე I (ახაშვეროში) 486-465 წ. ძვ. წ.	ესთერი
არტაქსერქსე I 465-423 წ. ძვ. წ.	ეზრა და ნეემია (ეზრა 7-ნეემია 12)

ეზრა

თემა: გადასახლებიდან დაბრუნება

თარიღი: 538 – 458 წ. ძვ. წ.

ეზრას წიგნი ორ დაბრუნებას ასახავს. ის გვიჩვენებს ტაძრის აღდგენას, ისევე როგორც გამოწვევებს, რომლებსაც დაბრუნებულები აწყდებიან.

ეზრა: გადასახლებიდან დაბრუნება		
თავები	ხელმძღვანელი	წელი
ეზრა 1-6	ზერუბაბელი	538 წ. ძვ. წ.
ეზრა 7-10	ეზრა	458 წ. ძვ. წ.

ტრადიციულად, ეზრა აღიარებული იყო ეზრა-ნეემიას წიგნების ავტორად, ისევე როგორც 1 და 2 ნეშტთას შესაძლო ავტორად. ის, რომ კიროსის ბრძანება მეორდება მე-2 ნეშტთას ბოლოს და ეზრას დასაწყისში, აჩვენებს ამ წიგნების ერთიანობას.

ეზრა ლევიანი იყო, აარონის შთამომავალი.[152] ის ემსახურებოდა თავის თანამემამულე ებრაელებს ტყვეობაში და შემდეგ, 458 წელს ძვ. წ. გაუძღვა ჯგუფს იერუსალიმისკენ. ის სულიერ წინამძღოლად მსახურობდა, როდესაც 444 წელს ძვ. წ. ნეემია დაბრუნდა. მათ ერთად განახორციელეს სულიერი, ეთიკური და მორალური აღორძინება. ეზრა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ხალხის ღვთის სიტყვისკენ მობრუნებაში.

ეზრას სტრუქტურა

ზერუბაბელის დაბრუნება (1–6)

დაბრუნება (1–2)

ბაბილონის აღების შემდეგ კიროსმა ებრაელებს იერუსალიმში დაბრუნების უფლება მისცა. ისტორიულად, ეს შეესაბამება სპარსეთის მმართველების პოლიტიკას. სპარსეთის მმართველები ხშირად აძლევდნენ დამარცხებულ ხალხებს სამშობლოში დარჩენის უფლებას. ღმერთი მოქმედებდა წარმართი მმართველის მეშვეობით, რათა განეხორციელებინა თავისი სუვერენული განზრახვა თავისი ხალხისთვის. იგივე ნიმუშს ვხედავთ ახალ აღთქმაში, როდესაც ღმერთმა მესიის დაბადებისთვის კეისარ ავგუსტუსის მეშვეობით მიიყვანა იოსები და მარიამი დავითის ქალაქში, ბეთლემში.

[152] ეზრა 7:1-5

იმპერიების პოლიტიკა დაპყრობილი ერების მიმართ		
ასურეთი	ანადგურებდნენ დაპყრობილი ხალხების ეროვნულ თვითმყოფადობას სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოყვანილი ტყვეების ერთმანეთში შერევით.	გაანადგურა ისრაელის ჩრდილოეთ სამეფო.
ბაბილონი	გადაჰყავდათ დაპყრობილი ერები ბაბილონში, მაგრამ საშუალებას აძლევდნენ, შეენარჩუნებინათ თავიანთი იდენტობა გადასახლებაში.	დაიპყრო იუდეა.
სპარსეთი	დაპყრობილ ერებს სამშობლოში დარჩენის საშუალება მისცეს.	უფლება მისცა იუდას დაბრუნებულიყო იერუსალიმში.

ეზრას წიგნი იწყება დაბრუნებით ზერუბაბელის ხელმძღვანელობით, მათ შორის 49 697 დაბრუნებულის აღწერით. ზერუბაბელი, დავითის შტოს წევრი, სპარსელებმა განაწესეს ხელმძღვანელ თანამდებობაზე და დაბრუნებული გადასახლებულთათვის იმედის სიმბოლოდ იქცა.

საქმიანობა: ტაძრის აღდგენა (3–6)

იერუსალიმში ჩასვლის შემდეგ ხალხმა დაიწყო ტაძრის მშენებლობა (536 წ. ძვ. წ.; ეზრა 3). მათ აღადგინეს ღვთისმსახურება და ჩაუყარეს საფუძველი ტაძარს. თუმცა, იერუსალიმის მახლობლად მცხოვრები სამარიელები ეწინააღმდეგებოდნენ აღმშენებლობას და შეძლეს სამუშაოს შეჩერება (ეზრა 4).[153]

ეზრას მე-4 თავსა და მე-5 თავს შორის დაახლოებით 15 წელია შუალედი. ეზრას მე-4 თავი მთავრდება დაახლოებით 534 წლით ძვ. წ. როდესაც სამარიელთა წინააღმდეგობამ შეაჩერა ტაძრის მშენებლობის სამუშაოები. ეზრას მე-5თავი იწყება მუშაობის განახლებით 520 წ. ძვ. წ. „ტაძრის წინასწარმეტყველების“ ანგიასა და ზაქარიას გამხნევებით. ტაძარი დასრულდა 516 წ. ძვ. წ.; ეზრას მე-6 თავში აღნიშნულია ტაძრის მიძღვნის დღესასწაული.

ეზრას დაბრუნება (7-10)

დაბრუნება (7-8)

---

[153] ეზრა არ ასახავს ყველაფერს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. ეზრა 4:6-23 კიროსის დროიდან პირდაპირ გადადის ორმოცდაათი წლის შემდეგ პერიოდზე, სამარიელებთან დაპირისპირებაზე არტაქსერქსეს დროს. მთელს თავს აერთიანებს აღდგინებისადმი სამარიელთა წინააღმდეგობის თემა. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ეს დაპირისპირება უფრო მეტი იყო, ვიდრე დროებითი კონფლიქტი. ეზრას მე-4 თავის სტრუქტურაა:
ა. ეზრა 4:1-5 – ტაძრის აღდგენისადმი წინააღმდეგობა კიროსის დროს (536 წ. ძვ. წ.)
ბ. ეზრა 4:6-23 – დაპირისპირება მოგვიანებით პერიოდშიც კედლების აღდგენის წინააღმდეგ (შესაძლოა ეზრას დაბრუნების შემდეგ 458 წ. ძვ. წ.)
ა. ეზრა 4:24 – ტაძრის აღდგენის წინააღმდეგობა კიროსის დროს (536 წ. ძვ. წ.)

ზერუბაბელის დაბრუნებიდან ოთხმოცი წლის შემდეგ ეზრამ 1758 ადამიანი დააბრუნა იერუსალიმში. „ეზრამ გული დადო, რომ შეესწავლა უფლის კანონი და შეესრულებინა ის, რომ ესწავლებინა მისი დადგენილებები და წეს-ჩვეულებები ისრაელში.”[154] მან ღვთის ხალხში სულიერი გამოღვიძება გამოიწვია.

საქმიანობა: სოციალური რეფორმები (9-10)

დაბრუნებულთა პირველი ჯგუფის გამოწვევა ტაძრის აღდგენა იყო. ეზრა სხვა გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა: ებრაელებსა და მეზობელ ხალხს შორის ქორწინება. ეს არ იყო რასებს შორის ქორწინების საკითხი; ეს იყო რელიგიური საკითხი. მსაჯულებში და სოლომონის ცხოვრებაში ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ მიიყვანა ურწმუნოებთან ქორწინებამ ისრაელი რელიგიურ განდგომამდე. ორი მიზეზის გამო, აღდგენითი საზოგადოებისთვის ეს იყო განსაკუთრებული პრობლემა:

- იერუსალიმი ურწმუნოებით იყო გარშემორტყმული. კერპთაყვანისმცემლობა იყო მუდმივი ცდუნება.
- სპარსეთი სინკრეტული იმპერია იყო.[155] ფილოსოფია, რომელიც კიროსს გაუადვილებდა ებრაელების სამშობლოში დაბრუნების ნებას, იყო, ამავე დროს, ფილოსოფია, რომელიც აადვილებდა მრავალი რელიგიური მრწამსის მიღებას. სპარსელები არ იყვნენ ერთგული რომელიმე რელიგიური სისტემის მიმართ. ამის ნაცვლად, სპარსელებმა შეურიეს მრავალი მრწამსი ერთმანეთში. ამ გარემოში ებრაელებს ადვილად შეეძლოთ დაეთმოთ თავიანთი, როგორც ღმერთის ხალხის იდენტობა.

ამის გამო ეზრა მაშინვე დაუპირისპირდა შერეული ქორწინების საკითხს. მისმა აღსარების ლოცვამ თვალსაჩინო გახადა ამ საკითხის სერიოზულობა და განაწყო ხალხი მონდომებით დაპირისპირებოდნენ ამ პრობლემას. ეზრას მე-10 თავი ასრულებს წიგნს ეზრას გეგმით შერეული ქორწინებების გაუქმების შესახებ.

ნეემია

თემა: კედლების აღდგენა

თარიღი: 445 – 432 წ. ძვ. წ.

დანიელის მსგავსად, ნეემია იყო დევნილი ებრაელი, რომელმაც სპარსეთის იმპერიაში მაღალი თანამდებობა დაიკავა. მწდე ისეთი თანამდებობა იყო, რომელიც სანდოობას მოითხოვდა. მეფის სიცოცხლისთვის საშიშროების გამო მწდეს ევალებოდა მისი მოწამვლისგან დაცვა. გარდა ამისა, მეფესთან მუდმივი წვდომის გამო, მწდე ხშირად დიდ გავლენას ახდენდა პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე.

445 წ. ძვ. წ., ნეემია დაბრუნდა იერუსალიმში და მომდევნო ოცი წლის დიდი ნაწილი იერუსალიმში გაატარა. ეზრა იყო ლევიანი, რომელიც სულიერ განახლებას უძღვებოდა; ნეემია კი საერო ლიდერი

---

[154] ეზრა 7:10.

[155] სინკრეტიზმი არის სხვადასხვა რელიგიური რწმენის ერთ სისტემაში შერწყმა.

იყო, რომელიც ქალაქის კედლების აღდგენას ხელმძღვანელობდა. ორივე ღვთის მოწოდებისა და ღვთის ხალხის ერთგული იყო. მალაქიას წინასწარმეტყველური მსახურება შესაძლოა ემთხვეოდეს ნეემიას იერუსალიმში ყოფნის წლებს; მალაქიას წიგნი ეხება იმავე ბოროტებას, რომელიც ნეემიას ბოლო ნაწილში იყო ნახსენები.

► წაიკითხეთ ნეემიას ლოცვები ნეემიას 1:4-11; 4:4-5; და 13:29-ში. განიხილეთ ლოცვის მნიშვნელობა მის მსახურებაში და ლოცვის როლი თქვენს მსახურებაში. მნიშვნელოვანია თუ არა ლოცვა თქვენს მსახურებაში, როგორც ეს ნეემიას მსახურებაში იყო?

ნეემიას სტრუქტურა

კედლების აღდგენა (1-6)

ეზრა აღწერს ტაძრის აღდგენის პროექტს, რომელიც დასრულდა ძვ.წ. 516 წელს. თუმცა, ეზრას მე-4 თავში დაწერილი წინააღმდეგობის გამო, კედლების მშენებლობა არ დასრულებულა. შედეგად, ქალაქი მტრების მხრიდან მუდმივი საფრთხის ქვეშ იყო.

ნეემიამ ორგანიზება გაუწია აღმშენებლობის პროცესს, შთააგონა ხალხი ემუშავათ, დაუპირისპირდა წინააღმდეგობას და მიაღწია მიზანს საოცარ ორმოცდათორმეტ დღეში. ნეემიას წიგნი ბიბლიური ლიდერობის ღირებული სახელმძღვანელოა.

ლოცვა ნეემიას მსახურების მნიშვნელოვანი ნაწილი იყო. ნეემიას წიგნი კვლავ და კვლავ აღწერს მის ლოცვებს კრიზისის დროს. როცა ნეემიამ გაიგო იერუსალიმის მდგომარეობის შესახებ, „დაჯდა და ატირდა, მრავალ დღეს გლოვობდა, მარხულობდა და ლოცულობდა ცათა ღმერთის წინაშე."[156] ვიდრე მეფესთან მიიტანდა თხოვნას ნეემია „ევედრებოდა, უფალს, ცათა ღმერთს."[157] როდესაც სანბალატი და მისი თანამოაზრეები ეწინააღმდეგებოდნენ კედლების აღდგენას, ნეემია ღვთის მფარველობისთვის ლოცულობდა.[158] ნეემია გასაჭირის დროს მრავალგზის მიმართავდა ლოცვას.

ხალხის აღდგენა (7-13)

ნეემიას მეორე ნახევარი ყურადღებას ამახვილებს სულიერ რეფორმებზე, რომლებსაც ეზრა და ნეემია უძღვებოდნენ. დაბრუნებულ გადასახლებულთა სია ემთხვევა ეზრას მე-2 თავში მოყვანილ აღწერას. ნეშტთას გენეალოგიების მსგავსად, ეზრასა და ნეემიას გადასახლებულთა სიები გვაჩვენებს, რომ ღმერთი მფარველობს და იცავს თავის ხალხს.

ნეემიას ბოლო ნაწილი ეძღვნება სულიერ რეფორმებს. ნეემიას 1-6 თავებში აღწერილია ღვთის ქალაქის გარშემო ფიზიკური კედლის აღდგენა; ნეემიას 7-13 თავები გვიჩვენებს სულიერი კედლის აღდგენას ღვთის ხალხის გარშემო. იერუსალიმის ისტორია გვიჩვენებს, რომ ფიზიკური კედელი ვერ იქნება დაცვა, თუ ღვთის ხალხი ღვთის რჯულის ერთგული არ არის.

---

[156] ნეემია 1:4
[157] ნეემია 2:4
[158] ნეემია 4:4-5, 9; 6:9

ნეემია მე-8-10 თავები ეხება ეზრას მსახურებას. მოსეს განკარგულების თანახმად ხალხს რჯული წაუკითხეს აღთქმის განახლების ცერემონიაზე.[159] ხალხმა აღიარა თავისი ეროვნული დანაშაული და აღთქმის ერთგულების ფიცი დადო. ნეემიას მე-11 და მე-12 თავებში მოცემულია კიდევ ერთი აღწერა, რასაც მოჰყვა ანგარიში კედლის მიძღვნის შესახებ.

რაღაც მომენტში ნეემია ცოტა ხნით შუშანში დაბრუნდა. როდესაც ის კვლავ იერუსალიმში დაბრუნდა, აღმოაჩინა, რომ ხალხი ბილწავდა შაბათს. თითქმის ამავდროულად ამ საკითხს მალაქია მიუბრუნდა. გარდა ამისა, ზოგიერთებმა იქორწინეს ქალებზე ირგვლივ მყოფი (ურწმუნო) ერებიდან, ეს საკითხი ეზრამ ორი ათეული წლის წინ განიხილა. ნეემიას მე-13 თავი გვაუწყებს, როგორ უმკლავდება ნეემია ამ პრობლემებს.

ახლო ხედი სულიერ ლიდერობაზე

მრავალი წიგნი სულიერი ლიდერობის შესახებ ეფუძნება ნეემიაში გადმოცემულ პრინციპებს.[160] ლიდერობის გაკვეთილები ნეემიას წიგნიდან მოიცავს:

(1) სულიერი ლიდერები ხედვის ადამიანები უნდა იყვნენ.

ნეემიას შეეძლო დაენახა მიზანი და მის მისაღწევად საჭირო ნაბიჯები. ღამით იერუსალიმის გავლის შემდეგ მან უთხრა მმართველებს: „წავიდეთ და ავაშენოთ იერუსალიმის კედელი."[161] იქ, სადაც სხვები მხოლოდ ნანგრევებს ხედავდნენ, ნეემია კედელს ხედავდა.

სულიერი ლიდერი **ეძებს ღვთის ხედვას**. ნეემიას აქცენტი ლოცვაზე, მნიშვნელოვანია რადგან ის გვაჩვენებს, რომ იგი პოულობდა ღვთის გეგმას. ღმერთზე მუდმივი დანდობის გარეშე, ნეემიას შეეძლო ჩაენაცვლებინა საკუთარი ხედვით. სულიერი ლიდერი უნდა ეძებდეს ღვთის ხედვას იმ ორგანიზაციისთვის, რომლის ხელმძღვანელობისთვისაც მოწოდებულია.

მთელი წიგნის განმავლობაში ნეემია ავლენს თავის **უნარს გადასცეს თავისი ხედვა სხვებს**. მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთ ყველაზე ბნელ დღეს, უინსტონ ჩერჩილი შევიდა კაბინეტში და თქვა: „ბატონებო, მე ეს საკმაოდ შთამაგონებლად მიმაჩნია". ჩერჩილმა იცოდა როგორ გადაეცა ხედვა თავისი მიმდევრებისთვის, რომ შთაეგონებინა ისინი წინსვლისთვის. დიდმა ლიდერებმა იციან როგორ მოუწოდონ თავიანთ მიმდევრებს გამძლეობისკენ რთულ დროს.

(2) სულიერმა ლიდერებმა ფრთხილად უნდა დაგეგმონ.

ხედვის მქონე ლიდერი, რომელსაც ვერ გამოსდის გულდასმით დაგეგმვა, იშვიათად აქცევს თავის ხედვას რეალობად. ნეემია იყო დაგეგმვის ოსტატი. როდესაც მეფემ ჰკითხა მისი თხოვნის შესახებ,

---

[159] მეორე რჯული 31:10-11

[160] ნეემიას და ლიდერობის გაღრმავებულად შესასწავლად სასარგებლო იქნება შემდეგი წიგნები:
+ ჯინ გეტსი. ნეემია: გახდი მოწესრიგებული ლიდერი. (ნეშვილი: ბროდმენ და ჰოლმენ ფაბლიშერს,1995 წ).
+ ჯ.ი. პეკერი. სწრაფვა ერთგულებისთვის: სიბრძნე ნეემიას წიგნიდან. (უიტონი: ქროსვეი, 1995).
+ დევიდ მაკკენა. გახდე ნეემია: მნიშვნელოვანი წინამძღოლობა. (კანზას სიტი: ბიკონ ჰილ პრესი, 2005).
+ ჯ.ოსვალდ სანდერსი. სულიერი ლიდერობა. (ჩიკაგო: მუდი ფაბიშერს, 2007).

[161] ნეემია 2:17

ნეემიამ კონკრეტული თხოვნა წარუდგინა: სასახლის მოვალეობებისგან გათავისუფლება, კედლებისთვის მასალები, მოგზაურობის ნებართვა.[162] ნეემიას არ უთქვამს უბრალოდ: „ეს ღვთის საქმეა, ამიტომ ღმერთი იზრუნებს დეტალებზე."

ნეემიამ საგულდაგულოდ დაგეგმა პროექტის თითოეული ნაბიჯი, ხალხს სამუშაოს უნაწილებდა. მან გაამწესა მუშები იმ სფეროებში, რომლებიც მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, მნიშვნელოვანი მოტივაციური სტრატეგიაა.[163] სულიერი ლიდერები ეძებენ ღვთის ხედვას, შემდეგ კი ეძებენ ღვთის მმართველობას პროექტის დაგეგმვისას.

(3) სულიერი ლიდერები უნდა იყვნენ მამაცები.

როდესაც ისრაელმა მშენებლობა დაიწყო, წინააღმდეგობაც გაჩნდა. სანბალატი და ტობია დასცინოდნენ პროექტს; მოგვიანებით მათ ნეემიას საფრთხე შეუქმნეს. მათ შეთქმულება მოაწყვეს, რომ ნეემია მიეწვიათ შეხვედრაზე, სადაც მისთვის ზიანის მიყენებას შეძლებდნენ. ნეემიას პასუხი არის საუკეთესო მაგალითი ლიდერის უნარისა, წინააღმდეგობის ფონზე ფოკუსირება მოახდინოს ხედვაზე: "დიდ საქმეს ვაკეთებ და არ შემიძლია ჩამოსვლა; რატომ უნდა შეჩერდეს საქმე, როცა მივატოვებ და ჩამოვალ თქვენთან?"[164] ნეემიამ უარი თქვა მოწყვეტოდა საქმეს. მაშინაც კი, როცა მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა, ის ასრულებდა ხედვას, რომელიც ღმერთმა მისცა. სულიერი ლიდერი მამაცი პიროვნება უნდა იყოს.

(4) სულიერ ლიდერებს აქვთ მსახურების სული და არა უფლებების სული.

იმ დღეებში, როდესაც ლიდერები ხშირად იყენებენ თავიანთ პოზიციას საკუთარი თავის წინსვლისთვის, ნეემიას მაგალითი ძლიერია. იერუსალიმში ზოგიერთმა ლიდერმა თავისი პოზიცია პირადი სარგებლობისთვის გამოიყენა. ნეემია ამბობს: „ღვთის მოშიშობის გამო, მე ასე არ მოვქცეულვარ. პირიქით, კედლის შენებას ვჩქარობდი და ყველა ჩემი მსახური იქ იკრიბებოდა სამუშაოდ. მიწები არ მიყიდია."[165] სულიერი ლიდერი თავის თანამდებობას იყენებს იმ ადამიანების სასიკეთოდ, რომლებსაც ემსახურება და არა საკუთარი წინსვლისთვის.

რობერტ მორისონი, დიდი მისიონერი ჩინეთში, წერდა: „ჩვენი მისიების დიდი დანაშაული ისაა, რომ არავის უყვარს იყოს მეორე."[166] სულიერი ლიდერები ეძებენ მსახურების შესაძლებლობებს და არა თვითრეკლამის. ისინი თავიანთ პოზიციას იყენებენ იმ ადამიანების სასიკეთოდ, რომლებსაც ხელმძღვანელობენ.

(5) სულიერმა ლიდერებმა იციან ლოცვის მნიშვნელობა.

ლოცვა ცენტრალური იყო ნეემიას ლიდერობაში. ის არ იღებდა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ლოცვის გარეშე. იესო ნავეს ძეში ვნახეთ შედეგი, როდესაც იესო ნავეს ძემ ღვთის მმართვლობის

---

[162] ნეემია 2:4-8

[163] ნეემიამ მისცა დავალებები, რომლებიც მნიშვნელოვანი იყო მუშაკებისთვის; ეს მათ თავიანთ ნაშრომზე საკუთრების უფლებას აძლევდა.

[164] ნეემია 6:3.

[165] ნეემია 5:15-16.

[166] ციტატა ჯ. ოსვალდ სანდერსის, სულიერი ლიდერობა-დან, (ჩიკაგო: მუდი ფაბლიშერს, 2007 წ.), 63

ძიებამდე დადო შეთანხმება გაბაონთან.[167] ნეემიამ თავიდან აიცილა ეს შეცდომა; ყველა გადაწყვეტილება ლოცვის შემდეგ იქნა მიღებული.

ლუკას სახარება სულიერ ლიდერებს ლოცვის მნიშვნელობის ძლიერ ილუსტრაციას აძლევს. „იმ დღეებში მთაზე სალოცად ავიდა იგი (იესო) და მთელი ღამე ღმერთისადმი ლოცვაში გაატარა. დილა რომ გათენდა, მოიხმო თავისი მოწაფეები და მათგან თორმეტი ამოირჩია, რომელთაც მოციქულები უწოდა."[168] სანამ თორმეტს აირჩევდა, იესომ ღამე ლოცვაში გაატარა. თუ ღვთის ძე ხედავდა ლოცვის მნიშვნელობას მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებამდე, რამდენად უფრო მეტი უნდა ვილოცოთ ჩვენ, ლიდერული გადაწყვეტილების მიღებამდე!

(6) სულიერი ლიდერები უნდა მოერგონ თითოეული სიტუაციის საჭიროებებს.

დიდი ლიდერი ომის დროს, შეიძლება კატასტროფული ლიდერი იყოს მშვიდობიან დროს. პასტორი, რომელიც აშენებს ახალგაზრდულ ეკლესიას, შეიძლება გაწვალდეს უფრო მოწიფულთა ეკლესიის ხელმძღვანელობისას. ორგანიზაციებს სჭირდებათ სხვადასხვა ტიპის ლიდერობა მათი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე.

ნეემია მსგავსი გამოწვევის წინაშე მდგომ ლიდერებს ნიმუშით უზრუნველყოფს. სულიერ ლიდერებს უნდა ჰქონდეთ გამჭრიახობა, რათა მოერგონ თითოეული სიტუაციის საჭიროებებს. "ეფექტური ლიდერია ის, ვინც უძღვება სიტუაციის კარნახის მიხედვით. ადამიანი, რომელიც ერთ სიტუაციაში ერთი გზით უძღვება, აუცილებლი არ არის, რომ იმავე გზით წაუძღვეს მეორე სიტუაციაში."[169]

ნეემია, როგორც მწდე, გავლენის პოზიციაზე იმყოფებოდა. იქ მისი გავლენა ეფუძნებოდა მის უნარს მოესმინა და რჩევები მიეცა მეფისათვის. მეფე პატივს სცემდა ნეემიას რჩევებს და შეთავაზებებს; მაგრამ ის ნეემიას ბრძანებებს არ მიიღებდა.

იერუსალიმის კედლების აღდგენისას ნეემიას განსხვავებული მიდგომა უნდა ჰქონდეს. აქ მისი ლიდერობა ეფუძნება ორგანიზების და შთაგონების უნარს. ის ვერ გააკეთებს მშვიდ წინადადებებს; მან უნდა განკარგულებები გასცეს და გაამხნევოს იერუსალიმის სასოწარკვეთილი ხალხი.

მოგვიანებით ნეემია მსახურობდა მმართველად (ნეემია 7-13). ხალხმა დაარღვია შეთანხმება და ნეემია უნდა გაძღოლოდა მათ ძალაუფლებითა და რწმენით. ამას ვხედავთ ნეემიას მე-13 თავში; "ვუბრძანე"; „დავტუქსე წინამძღოლნი"; მე ისინი „თავ-თავის ადგილებზე დავაყენე". ეს იყო განსხვავებული, მმართველის სტილი, ვიდრე მწდეს ან მშენებელს მოეთხოვება. სულიერ ლიდერებს უნდა ჰქონდეთ გამჭრიახობა, რომ იცოდნენ, როგორ გაუძღვნენ ორგანიზაციას ნებისმიერ სიტუაციაში.

---

[167] იესო ნავეს ძე 9
[168] ლუკა 6:12-13
[169] ელ ლონგი, ლიდერობის სამფეხა, (ინდიანაპოლისი: ფავერ პაბლიშინგი, 2005), 33

როგორც ეკლესიის ან მსახურების ლიდერი, თქვენ დიდად ისარგებლებთ თუ გულდასმით შეისწავლით ნეემიას და მის ლიდერობისადმი მიდგომას. ნეემია ნამდვილი სულიერი ლიდერობის მაგალითია.

ესთერი

თემა: ღმერთი ყოველივეს აკონტროლებს

სავარაუდო თარიღი: 483-473 წწ. ძვ. წ.

► ესთერის წიგნი გვიჩვენებს ღვთის „განგებას“, რომელიც იცავს თავის ხალხს. შეგიძლიათ მოიყვანოთ ღვთის განგებულების მაგალითი თქვენს ცხოვრებაში ან თქვენი ეკლესიის ცხოვრებაში?

ესთერის წიგნის მოვლენები ხდება ეზრას მე-6 თავსა და მე-7 თავს შორის. იმ დროს, როცა ღმერთი იცავდა თავის ხალხს იერუსალიმში, ის ასევე იცავდა თავის ხალხს, რომლებიც ჯერ კიდევ სპარსეთში იყვნენ. იერუსალიმში თუ სპარსეთში, ღმერთი აკონტროლებს.

ესთერის ავტორი უცნობია. ზოგიერთმა ავტორად მორდოქაი დაასახელა, მაგრამ თავად ესთერის წიგნში ავტორი არ არის მითითებული.

ესთერის მოვლენები სავარაუდოდ დაახლოებით ძვ. წ. 483-473 წწ. ვითარდებოდა ახაშვეროშის მეფობის დროს[170] სპარსეთის დედაქალაქ შუშანში.

რუთის წიგნის მსგავსად, ესთერის წიგნი არის ამბავი, რომელშიც წარმოდგენილია ახალგაზრდა ქალი, რომელიც უბედურების წინაშე ერთგულების ნიმუშია. რუთი არის მოაბელი, რომელიც იაჰვეს ერთგულია და ისრაელში ცხოვრობს; ესთერი ებრაელია, რომელიც იაჰვეს ერთგულია და სპარსეთში ცხოვრობს. რუთის ერთგულება განაპირობებს მის ჩართულობას მესიის გენიალოგიაში; ესთერის ერთგულება იხსნის ღვთის ხალხს განადგურებისგან.

ესთერის შინაარსი

ზოგიერთი მწერალი ეჭვქვეშ აყენებს ესთერის წიგნის ღირებულებას. ისინი მას აღიქვამენ, როგორც საერო წიგნს, რომელიც დაკავშირებულია საერო ებრაულ დღესასწაულთან, პურიმთან.[171] ესთერის წიგნში არასოდეს არის ნახსენები ღმერთი, ლოცვა ან აღთქმა. ის არასოდეს არის ციტირებული ახალ აღთქმაში და არც მკვდარი ზღვის გრაგნილებშია ნაპოვნი. თუმცა, მორწმუნეთათვის ეს დიდი გამხნევების წიგნია. ესთერი უგზავნის ღვთის ხალხს იმედის მძლავრ გზავნილს. ესთერის წიგნი გვასწავლის:

---

[170] ახაშვეროში ჩვეულებრივ ცნობილია თავისი ბერძნული სახელით, ქსერქსე I. ის მართავდა სპარსეთს 486-465 წწ ძვ. წ.

[171] პურიმი დღესაც აღინიშნება მარტის თვეში. ის მომდინარეობს სიტყვიდან pur, ანუ "წილი". ამანმა წილისყრით აირჩია დღე იუდეველთა გასანადგურებლად. პურიმზე ებრაელები წესით ზეიმობენ თავიანთი მტრებისგან გათავისუფლებას.

ღმერთის უზენაესობას

მიუხედავად იმისა, რომ ღვთის სახელი არ არის ნახსენები, ის არის ესთერის წიგნის „უსახელო ცენტრალური პერსონაჟი“. რასაც ზოგმა შეიძლება უწოდოს შემთხვევითობა ან დამთხვევა, სინამდვილეში არის „განგება“, ღვთის მოქმედი ხელი. განვიხილოთ ზოგიერთი "დამთხვევა" ამ ისტორიაში:

- სამეფოს ყველა გოგოდან, ესთერი, ებრაელი, "შემთხვევით" აირჩიეს დედოფლად.[172]
- მორდოქაი "შემთხვევით" მოხვდა სწორ დროს საჭირო ადგილას, რათა მოესმინა შეთქმულება მეფე არტაქსერქსეს მოსაკლავად. ის ესთერის უმხელს შეთქმულებას, რომელიც ამის შესახებ მეფეს ეუბნება.[173]
- ახაშვეროშს უძილობა „შემთხვევით“ აწუხებს იმ ღამეს, სანამ ესთერი გეგმავს როგორ გაუმხილოს მეფეს ჰამანის შეთქმულების შესახებ.[174]
- ყველა ჩანაწერიდან, რომელიც ახაშვეროშისთვის შეიძლებოდა წაეკითხა, რათა მას დაძინებაში დახმარებოდა, წამკითხველმა „შემთხვევით“ გადაშალა ჩანაწერი მორდოქაის მიერ მეფისადმი გაწეული სამსახურის შესახებ.[175]
- ჰამანი „შემთხვევით“ შედის მეფის ოთახში, როდესაც ახაშვეროში ფიქრობს, როგორ დააჯილდოვოს მორდოქაი.[176]

როგორც რუთი მიიყვანა უზენაესმა ღმერთმა ბოყაზის ველზე, ასევე უზენაესი ღმერთი იცავდა თავის ხალხს სპარსეთში. მორდოქაიმ დაინახა ღვთის ხელის მოქმედება: „ვინ იცის, იქნებ ამ ჟამისთვის ეწიე დედოფლობას?”[177]

ერთგულების მნიშვნელობა

ესთერის მთელ წიგნში ხაზგასმულია ღვთის მსახურთა ერთგულება. ესთერის ისტორია ბევრ მსგავსებას შეიცავს იოსების ისტორიასთან. ორივეში ასახულია ახალგაზრდა, რომელიც უცხო ქვეყანაში ერთგულია. ორივე პერსონაჟი წამოიწია გავლენის პოზიციებზე ხელისუფლებაში. ორივე პერსონაჟს ღმერთი იყენებს თავისი ხალხის გადასარჩენად საფრთხის დროს.

ესთერის ღმერთისადმი ერთგულება მთელ ისტორიაში ჩანს. მისი განცხადება, „თუ დავიღუპები, დავიღუპო“, არის მიძღვნა, რომ ერთგულად განახორციელოს მისი პასუხისმგებლობა, მიუხედავად შედეგისა.[178]

---

[172] ესთერი 2:1-18
[173] ესთერი 2:19-23
[174] ესთერი 6:1
[175] ესთერი 6:1-3
[176] ესთერი 6:6
[177] ესთერი 4:14
[178] ესთერი 10:3

ბოროტების უგუნურობა

პურიმის თანამედროვე დღესასწაულის დროს პიესები ასახავენ ესთერის ისტორიას. ყოველ ჯერზე, როცა ისმის ჰამანის სახელი, აუდიტორია დასცინის და აბუჩად იგდებს ღვთის ხალხის ამ მტერს. თუმცა დღესასწაული საერო ხასიათისაა და მიუხედავად იმისა, რომ ბევრმა, ვინც პურიმს აღნიშნავს, შესაძლოა დაივიწყა ღმერთის უზენაესობა ამ ამბავში, დღესასწაულის წესიც კი ასახავს ესთერის გზავნილის ნაწილს - უმართლობის უგუნურებას, ანუ ბოროტების აბსურდულობას.

არტაქსერქსეც და ჰამანიც ამ ამბავში დაცინვის ობიექტები გახდნენ. არტაქსერქსე 127 პროვინციის ძლიერი მმართველია. ის 180 დღის განმავლობაში მართავს ფესტივალს თავისი სიმდიდრისა და ძალაუფლების აღსანიშნავად, მაგრამ ცოლს ვერ აკონტროლებს.

ჰამანი აღმოაჩენს, რომ მისი ბოროტი შეთქმულებები მის საწინააღმდეგოდ შემობრუნდა. ჰამანი ცდილობდა საკუთარი თავისადმი პატივისცემა მოეხვეჭა, მაგრამ განაწესეს მორდოქაისთვის, მისი მტრისთვის პატივის მისაგებად.[179] ჰამანი ცდილობს გაანადგუროს ებრაელები, მაგრამ ანადგურებს საკუთარ თავს და ოჯახს.[180] როგორც იგავები გვასწავლის, ღმერთი „დამცინავთ დასცინის."[181]

ეზრა, ნეემია და ესთერი ახალ აღთქმაში

4 მეფეთა (2 მეფეთა) დასრულდა ებრაელების გადასახლებით, დანგრეული ტაძრით, ტახტზე მეფის არყოფნით და მესიის რაიმე ნიშნის არარსებობით. აბრაამისადმი დაპირება თითქოს ფუჭი აღმოჩნდა. ეზრა და ნეემია აჩვენებენ ამ დაპირების აღორძინებას. მიუხედავად იმისა, რომ მეფე არ ყავდათ, ისრაელი დაბრუნდა სამშობლოში და ყველაფერი მომზადდა მესიის მოსვლისთვის. ესთერი მნიშვნელოვანია, რადგან როგორც დაბადების ბოლოს იოსების ამბავი, მისი ისტორიაც გვიჩვენებს, თუ როგორ შეინარჩუნა ღმერთმა მესიანური ხაზი. მიუხედავად იმისა, რომ ამ წიგნებს არ აქვთ დიდი კავშირი ახალ აღთქმასთან, ისინი მნიშვნელოვანია მესიის დაბადებისთვის. ეზრას (მღვდლის), ნეემიას (მწდეს) და ესთერის (წარმართული ქვეყნის დედოფლის) მეშვეობით ღმერთმა მოამზადა გზა თავისი ძის დაბადებისთვის.

ისტორიული წიგნები დღეს ლაპარაკობენ

მე-4 თავში ჩვენ ვნახეთ, რომ ებრაული ბიბლია ისტორიულ წიგნებთან მიმართებით იყენებს სათაურს „ყოფილი წინასწარმეტყველები". ეს გვიჩვენებს მათ მიზანს: ღვთის გზავნილის მიტანა ღვთის ხალხისთვის. თითოეულ ისტორიულ წიგნს დღეს აქვს გზავნილი ჩვენთვის.

მსაჯულები და მეფეები (სამუელი და მეფეები) გვაჩვენებენ **თესვისა და მკის პრინციპს**. როდესაც ღვთის ხალხი იყო აღთქმის ერთგული, მათ განიცადეს ღვთის კურთხევა; როდესაც მათ დაარღვიეს აღთქმა, მათ განიცადეს ღვთის სასჯელი. ეს პრინციპი ზოგჯერ არასწორად გამოიყენება ეკლესიაში. ჩვენ ფრთხილად უნდა ვიყოთ, როდესაც ისრაელი ერის ისტორიას სხვა სიტუაციაში ვიყენებთ. ზოგიერთი განმმარტებელი იყენებს ამ წიგნებს, რათა ასწავლოს, რომ ქრისტიანს, რომელიც

---

[179] ესთერი 6:1-11
[180] ესთერი 7:7-10; 9:10
[181] იგავები 3:34

ერთგულად ემორჩილება ღმერთს, გარანტირებული აქვს ფინანსური კეთილდღეობა და ფიზიკური ჯანმრთელობა. იობის წიგნი და გლოვის ფსალმუნები ცხადყოფს, რომ შესაძლოა ღვთისმოსავი ადამიანები იტანჯებოდნენ. თუმცა, ძირითადი პრინციპი რჩება უცვლელი; ღვთის კეთილგანწყობა და კურთხევა ივანებს მათზე, ვინც მისი ერთგულია

იესო ნავეს ძე, რუთი, ნეემია და ესთერი გვაჩვენებენ **ღვთისადმი ერთგულების მნიშვნელობას**. ღმერთი უზენაესია, მაგრამ ის ადამიანების, როგორც იარაღების მეშვეობით მოქმედებს. ორივე ჭეშმარიტება უნდა ვაღიაროთ, თუ გვინდა ღვთის სიტყვის მოძღვრების ერთგული დავრჩეთ. მორდოქაიმ ეს ჭეშმარიტება გამოთქვა, როცა ესთერს უთხრა: „რადგან თუ დადუმდები ასეთ დროს, მაშინ შვება და ხსნა სხვა მხრიდან მოვა ებრაელთათვის, შენ და მამაშენის სახლი კი დაიღუპებით; ვინ იცის, იქნებ ამ ჟამისთვის ეწიე დედოფლობას?”[182] მორდექაიმ აღიარა ღვთის უზენაესობა; ღმერთი გადაარჩენს თავის ხალხს რაიმე გზით. თუმცა, მორდექაიმ ასევე აღიარა ესთერის პასუხისმგებლობა ერთგულებაზე. ციტატა, რომელსაც იგნატიუსს (იგნაციუსს) მიაწერენ, ამბობს, რომ თქვენ უნდა „ილოცოთ ისე, თითქოს ყველაფერი ღმერთზეა დამოკიდებული და იმოქმედოთ ისე, თითქოს ყველაფერი თქვენზეა დამოკიდებული.”

რას გვეუბნება ეს დღეს? იესო ნავეს ძის, რუთის, ნეემიას და ესთერის მსგავსად, ჩვენც მთელი გულით უნდა ვიყოთ მიძღვნილები ღვთის მსახურებაში და არაფერი დავზოგოთ. მაშინ, ისევე როგორც ეს წმინდანები, ჩვენც უნდა დავემორჩილოთ მის ნებას. ესთერის მსგავსად, ჩვენც ვინარჩუნებთ ღვთის განზრახვებისადმი მორჩილების სულს: „თუ დავიღუპები, დავიღუპო.”

საბოლოოდ, ისტორიული წიგნები იმედის გზავნილს გადმოგვცემს. ეზრა, ნეემია და ნეშტთა წიგნები გვაჩვენებს, რომ გადასახლებაშიც კი ღმერთს არ მიუტოვებია თავისი ხალხი. დღეს ჩვენ შეგვიძლია თავი იმით გავიმხნევოთ, რომ ღმერთი კვლავაც ახორციელებს თავის განზრახვებს. ისტორიული წიგნები გვახსენებს ღმერთის უზენაესობას მისი ღვთაებრივი ნების აღსრულებაში. ჩვენ შეგვიძლია მომავალს თავდაჯერებულად შევეგებოთ; ღმერთი ყოველივეს აკონტროლებს.

---

[182] ესთერი 4:14

მე-6 გაკვეთილის დავალებები

(1) აირჩიეთ შემდეგი დავალებებიდან ერთ-ერთი:

ვარიანტი 1: ჯგუფური დავალება

წაიკითხეთ ნეემიას წიგნი და შეადგინეთ ლიდერობის პრინციპების ჩამონათვალი. თქვენ შეგიძლიათ დაიწყოთ ამ თავში გაზიარებული პრინციპებით, მაგრამ ნეემიაში კიდევ ბევრია ასეთი. ჯგუფურად განიხილეთ თქვენ მიერ ნაპოვნი პრინციპები. წარმოაჩინეთ, თუ როგორ გამოიყენებთ ამ პრინციპებს მსახურებაში.

ვარიანტი 2: ინდივიდუალური დავალება. აირჩიეთ ერთ-ერთი.

- დაწერეთ 1-2 გვერდიანი (450-800 სიტყვა) ესე თემაზე „აღორძინება“ ეზრასა და იერუსალიმში მის აღორძინებაზე დაყრდნობით.
- დაწერეთ 1-2 გვერდიანი (450-800 სიტყვა) ესე თემაზე „სულიერი ლიდერობა“ ნეემიაზე დაყდნობით. ამ თავში ჩამოთვლილთა გარდა, იპოვეთ ლიდერობის მინიმუმ 2-3 პრინციპი. წარმოაჩინეთ, როგორ გამოიყენებთ ამ პრინციპებს მსახურებაში.
- დაწერეთ 1-2 გვერდიანი (450-800 სიტყვა) ესე თემაზე „ღვთის განგებულება“ ესთერის მიხედვით.

(2) გაიარეთ ამ გაკვეთილის ტესტი. ტესტი მოიცავს საზეპირო მუხლებს წმიდა წერილებიდან.

მე-6 გაკვეთილის ტესტი

(1) ჩამოთვალეთ აღორძინების პერიოდის ძირითადი მოვლენების თარიღები.

- პირველი დაბრუნება ზერუბაბელის დროს: _____
- ტაძრის დასრულება: _____
- მოვლენები ესთერის წიგნში: _____
- მეორე დაბრუნება ეზრას ხელმძღვანელობით: _____
- ნეემია ბრუნდება:_____

(2) მიუთითეთ თემა თითოეული წიგნისთვის.

- ეზრა: _____
- ნეემია: _____
- ესთერი: _____

(3) დაასახელეთ ორი მსგავსება ეზრასა და ნეემიას წიგნებს შორის.

(4) _____ იმპერია დაპყრობილ ხალხებს სამშობლოში დარჩენის საშუალებას აძლევდა.

(5) _____ და _____ უწოდეს "ტაძრის წინასწარმეტყველები", რადგან ისინი ხელს უწყობდნენ ტაძრის აღდგენას.

(6) რატომ იყო ებრაელებსა და მათ მეზობლებს შორის ქორწინება სერიოზული პრობლემა ეზრასა და ნეემიაში?

(7) რომელი მცირე წინასწარმეტყველი სვამს იმავე კითხვებს, რასაც ნეემია?

(8) ჩამოთვალეთ ლიდერობის სამი პრინციპი ნეემიას წიგნიდან.

(9) დაასახელეთ სამი ძირითადი გაკვეთილი, რომელსაც ესთერი გვასწავლის.

(10) ებრაული დღესასწაული, რომელიც დაკავშირებულია ესთერის წიგნთან არის _____.

(11) დაწერეთ საზეპიროები ნეემიას 2:17 და ესთერის 4:14.

გაკვეთილი 7
იობი და ფსალმუნები: ებრაული პოეზია

გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს, სტუდენტმა უნდა:
(1) იცოდეს იობის წიგნის ძირითადი თემა და გზავნილი.
(2) ესმოდეს ღმერთის მიერ იობისთვის საკუთარი თავის გაცხადება.
(3) შეეძლოს ბიბლიური პოეზიის ბუნების ამოცნობა.
(4) შეეძლოს ფსალმუნების წიგნის სტრუქტურის აღწერა.
(5) შეაფასოს წყევლის (შერისხვის) ფსალმუნების გამოყენება ქრისტიანისთვის.
(6) დაუკავშიროს იობისა და ფსალმუნის გზავნილი დღევანდელი ქვეყნიერების საჭიროებებს.

ამ გაკვეთილისთვის მომზადება

წაიკითხეთ იობი და ფსალმუნები 1-29, 51-92, და 119-150.

დაიზეპირეთ ფსალმუნი 119:1-8.

ებრაული პოეზიის კითხვისას

ძველი აღთქმის პოეტურ წიგნებს მიეკუთვნება იობი, ფსალმუნები, იგავები, ეკლესიასტე და ქებათა ქება. ძველი აღთქმის მრავალი სხვა წიგნიც შეიცავს რაღაც დონით პოეზიას, მაგრამ ეს წიგნები ძირითადად პოეტურია.

ინგლისური პოეზიისგან განსხვავებით, ებრაული პოეზია არ ემყარება რითმას. ებრაული პოეზიის მახასიათებლების გაგება დაგეხმარებათ უკეთ შეაფასოთ პოეტური წიგნების სილამაზე.

პარალელიზმი

პარალელიზმი ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია ებრაულ პოეზიაში. პარალელიზმში ორ სტრიქონში იყენებენ სხვადასხვა სიტყვებს ერთი და იგივე აზრის გამოსახატავად. ებრაელი პოეტი ამბობს რაღაცას და შემდეგ იმეორებს ოდნავ განსხვავებული პერსპექტივიდან. პარალელიზმის სამი ტიპია:

სინონიმური პარალელიზმი: მეორე სტრიქონი აძლიერებს პირველ სტრიქონს მსგავსი სიტყვებით.

- "შენი გზები შემაცნობინე უფალო და მასწავლე შენი ბილიკები."[183]
- "სიმართლის გზაზე სიცოცხლეა; სიკვდილი არ არის მის ბილიკებზე."[184]

---

[183] ფსალმუნი 24:4
[184] იგავები 12:28

ანტითეტიკური პარალელიზმი: პირველი სტრიქონი კონტრასტულია მეორე სტრიქონთან მიმართებაში. ეს ფორმა გამოყენებულია იგავებში, რათა კონტრასტული იყოს ბრძენის გზა უგუნურის გზასთან შედარებით.

- "ბრძენი შვილი მამას ახარებს, უგუნური შვილი კი დედის დარდია."[185]
- "კურთხეულია მართლის სახსენებელი, ბოროტეულთა სახელი კი დალპება."[186]

სინთეზური პარალელიზმი: მეორე ხაზი ავსებს პირველი ხაზის აზრს.

- "უფალი ჩემი მწყემსია, არაფერი მომაკლდება."[187]
- "ყველაფერზე მეტად დაიცავი შენი გული, რადგან მისგან მოედინებიან სიცოცხლის წყაროები."[188]

მეტყველების ფიგურები

მიუხედავად იმისა, რომ ყველა ბიბლიური წიგნი შეიცავს მეტყველების ფიგურებს, ეს ხატოვანება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოეტურ წიგნებში. მეტყველების ფიგურები, რომელსაც ამ წიგნებში ვპოულობთ, მოიცავს:

- **მეტაფორა** ადარებს ორ მსგავსს. "უფალი ჩემი მწყემსია" [189] ბევრად უფრო დასამახსოვრებელი და ხატოვანია, ვიდრე „ღმერთი კარგად ზრუნავს ჩემზე."

- **ჰიპერბოლა** იყენებს მიზანმიმართულ გაზვიადებას აზრის ხაზგასასმელად. გლოვის ფსალმუნში დავითი აღწერს თავის მწუხარებას: „ყოველღამ ცრემლით ვასველებ (ინგლისურში "ვტბორავ") ჩემს საწოლს."[190]

- **პერსონიფიკაცია** ანიჭებს ადამიანურ თვისებებს იმას, რაც არ არის ადამიანური. „ზღვამ დაინახა და უკუიქცა, იორდანე უკან გაბრუნდა."[191]

- **ანთროპომორფიზმი** იყენებს ადამიანურ მახასიათებლებს ჭეშმარიტების გადმოსაცემად ღვთის ბუნების შესახებ. ღმერთი „თავისი თვალით უმზერს ადამის შვილებს და ქუთუთოებით ამოწმებს."[192]

აკროსტიქული პოეზია

აკროსტიქულ პოეზიაში ყოველი სტროფი იწყება ანბანის მომდევნო ასოთი. ეს ფორმა გამოხატავს სისრულეს ("ანი-დან ჰოე-მდე...") ორი ყველაზე ცნობილი ებრაული აკროსტიქაა 118-ე ფსალმუნი, ღვთის კანონის შესახებ და იგავების 31 თავი, სათნო ქალის შესახებ. 118-ე ფსალმუნში თითოეული

---

[185] იგავები 10:1
[186] იგავები 10:7
[187] ფსალმუნი 22:1
[188] იგავები 4:23
[189] ფსალმუნი 22:1
[190] ფსალმუნი 5:6
[191] ფსალმუნი 113:3
[192] ფსალმუნი 10:4

სტროფი შეიცავს 8 სტრიქონს, რომლებიც იწყება ებრაული ანბანის შესატყვისი ასოებით. იგავების 31-ე თავში ყოველი მუხლი იწყება ებრაული ანბანის მომდევნო ასოთი.

იობის წიგნის წინაპირობა

► განიხილეთ თქვენი „ტანჯვის თეოლოგია“. იმსჯელეთ საღვთისმეტყველო საკითხებზე, როგორიცაა "რატომ უშვებს ღმერთი უდანაშაულოების ტანჯვას?" ასევე პასტორალური კითხვები, როგორიცაა: „როგორ დავეხმაროთ უდანაშაულო ადამიანს თავის ტანჯვასთან გამკლავებაში?”

იობის თარიღი და ავტორი

იობის წიგნში თარიღი არ არის მითითებული, მაგრამ მოვლენები, სავარაუდოდ, პატრიარქების ეპოქაში მოხდა. მამა მსხვერპლს სწირავს თავისი ოჯახის ნაცვლად; სიმდიდრე იზომება პირუტყვით; მაგრამ იობის სიცოცხლე ხანგრძლივია. ეს ფაქტები და იობის წიგნში ასახული მოვლენები მიუთითებს პატრიარქების პერიოდზე.

როგორც თარიღი, ასევე არც ავტორია მითითებული. სავარაუდო ავტორებად განიხილებიან იობი, ელიჰუ, მოსე, სოლომონი ან ესაიას თანამედროვე რომელიმე პირი.

იობის თემა

ერთი შეხედვით, იობის თემა ტანჯვაა. წიგნში მთავარი მოვლენა არის იობის მიერ ქონების, ოჯახისა და ჯანმრთელობის დაკარგვა. დიალოგი მიმდინარეობს იობის ტანჯვის საკითხის ირგვლივ. გარდა ამისა, არსებობს იობის მსგავსი ძველი ახლო აღმოსავლური სხვა ნაწარმოებებიც, რომლებიც ასევე ტანჯვის საკითხს განიხილავენ.[193]

თუმცა, იობი თავის თემად ტანჯვას არ გვთავაზობს. თავად იობი არ სვავს კითხვას მისი ტანჯვის მიზეზის შესახებ და ღმერთიც არასოდეს ახსენებს იობის ტანჯვას თავის პასუხში. წიგნი უპირველეს ყოვლისა ტანჯვას რომ ეხებოდეს, ჩვენ უნდა გვქონოდა მოლოდინი, რომ ღმერთი გაგვცემდა პასუხს ტანჯვის მნიშვნელობაზე. ამის საპირისპიროდ, ღმერთი არასოდეს ახსენებს იობის ტანჯვას.

იობის გზავნილის ნაწილია სიმართლე (უმწიკვლობა) და ერთგულება ტანჯვის დროს. იობი მოწმობს თავისი ერთგულების და სიმართლის შესახებ.[194] ღმერთმაც დაადასტურა იობის უმწიკვლოება სატანასთან ლაპარაკის დროს.[195] იობის უმწიკვლობა წიგნის მნიშვნელოვანი ასპექტია.

იობის მთავარი თემაა „ღვთის ძიება“. იობი არ ითხოვს ქონების აღდგენას ან თუნდაც განკურნებას; მისი თხოვნაა: „ო, ნეტავ ვიცოდე, სად ვიპოვო იგი და მის სამყოფლამდე მივიდოდი!”[196] იობი ახლოს

---

[193] ორი უძველესი ახლო აღმოსავლური დიალოგი ტანჯვაზე მოდის ძვ. წ. 1300-1000 წწ. „ვადიდებ სიბრძნის უფალს“ არის მესოპოტამიური მონოლოგი, რომელშიც დიდგვაროვანი ბაბილონელი განიცდის დიდ უბედურებას, ამის შემდეგ კი, მას ღმერთი მარდუქი აღდგენს. ბაბილონური თეოდიცეა (ანუ უფლის გამართლება), არის დიალოგი ტანჯვაში მყოფსა და მის მეგობარს შორის, რომელიც ცდილობს ახსნას ტანჯვა.
[194] იობი 27:5 და 31:6
[195] იობი 2:3
[196] იობი 23:3

იცნობდა ღმერთს; ახლა კი ის თავს ღმერთისგან განცალკევებულად გრძნობს. მისი ძიება არა ტანჯვის მიზეზის განმარტების, არამედ ღმერთის გამოცხადების მისაღებად იყო.

ამ თემას ადასტურებს იობის პასუხი ღვთის გამოცხადების შემდეგ: "ყურმოკვრით გიცნობდი; ახლა კი გხედავენ ჩემი თვალები."[197] როცა ღმერთს ხედავს, იობი კმაყოფილდება. იობის პასუხი არ არის ტანჯვის მიზეზის ახსნა; იობის პასუხი თავად ღმერთია.

იობის მიმოხილვა

იობის წიგნი დაყოფილია სამ დიდ ნაწილად:

1. პროლოგი (იობი 1–2)
2. პოეტური დიალოგი (იობი 3 – 42:6)
3. ეპილოგი (იობი 42:7-17)

პროლოგი (იობი 1–2)

პროლოგში ვიგებთ, რომ იობი უდანაშაულო, უმანკო კაცია; ის არის „უბიწო და წრფელი". იობის ტანჯვა არ არის გამოწვეული მისი მხრიდან რაიმე ცოდვით. ის არის ერთგული და მართალი ადამიანი, რომელზეც ღმერთს შეუძლია მიუთითოს, როგორც რწმენის ნიმუშზე. ქონებისა და ოჯახის დაკარგვის, ფიზიკური ტანჯვისა და ცოლის სასოწარკვეთის მომგვრელი რჩევის მიუხედავად, იობს „ბაგით არ შეუცოდავს."

პროლოგში ჩვენ ვიგებთ სატანის ძალის საზღვრებს. იობზე თავდასხმისას სატანას არ შეუძლია იმაზე შორს წასვლა, ვიდრე ღმერთი ინებებს. ფართოდ გავრცელებული წარმოდგენის მიუხედავად, სატანა და ღმერთი თანასწორები არ არიან; სატანას არ შეუძლია გასცდეს ღმერთის მიერ დადგენილ საზღვრებს.

პროლოგში ვიგებთ, რომ არსებობს კავშირი ფიზიკურ, ხილულ სამყაროსა და სულიერ, ჩვენთვის უხილავ სამყაროს შორის. მიუხედავად იმისა, რომ იობმა არ იცის ღმერთისა და სატანის საუბრის შესახებ, ეს სულიერი კონფლიქტი უდევს საფუძვლად იობის განსაცდელებს.

დიალოგი იობს და მის სამ მეგობარს შორის (იობი 3–27)

პროლოგის ბოლოს ვეცნობით სამ მეგობარს, რომლებიც იობის სანუგეშებლად მოდიან. ერთი კვირა ჩუმად სხედან და გლოვობენ იობთან ერთად. კვირის ბოლოს იობი დუმილს გოდებით არღვევს, სადაც ის წყევლის თავის დაბადების დღეს და ითხოვს სიკვდილით შვებას. პასუხად მეგობრები ცდილობენ ახსნან, თუ როგორ მოქმედებს ღმერთი სამყაროში.[198]

იობისა და მისი მეგობრების დიალოგი პოეტურ ფორმითაა გადმოცემული. ამ სტილის გამო, შეიძლება რთული იყოს მისი წაკითხვა. მასში ბევრი გამეორება და გახანგრძლივებული დიალოგებია.

---

[197] იობი 42:5

[198] თეოდიცეა არის მცდელობა გაამართლო ღმერთის გზები სამყაროში. იობის წიგნი ყველაზე დიდი თეოდიცეაა ბიბლიაში. აბაკუმიც ეხება ამ საკითხს დიალოგში წინასწარმეტყველსა და ღმერთს შორის.

თუმცა, თავისი არსით დიალოგი მარტივია: მეგობრები ამტკიცებენ, რომ იობის ტანჯვა მის ცხოვრებაში ცოდვით არის გამოწვეული; იობი კი ამტკიცებს, რომ ის უდანაშაულოა.

მიუხედავად იმისა, რომ თითოეული მეგობარი თავისებურად განმარტავდა თავის მოსაზრებას, მათი მთავარი არგუმენტი ასეთია:

- ტანჯვა ეშვება როგორც სასჯელი ან გამოსყიდვა ცოდვისთვის.
- ღმერთი სამართლიანი ღმერთია.
- ამიტომ, იობი რაღაც ცოდვაში უნდა იყოს დამნაშავე, რისთვისაც ღმერთი სჯის მას.

თითოეული მეგობარი სხვადასხვაგვარად მსჯელობს. ელიფაზი ყველაზე ფრთხილი მოსაუბრეა. ის მოუწოდებს იობს მიიღოს შესწორება ღვთისგან. ელიფაზი დარწმუნებულია, რომ ღმერთი აღადგენს იობს, თუ ის მოინანიებს. ბილდადი მიუთითებს ტრადიციულ ორთოდოქსურ სწავლებაზე, რომ სამართლიანმა ღმერთმა უნდა დასაჯოს ცოდვა; ამიტომ იობი რაღაც ცოდვაში უნდა იყოს დამნაშავე. ცოფარი მეგობრებს შორის ყველაზე ნაკლებად თანაუგრძნობს და ამბობს, რომ იობი "ლაყბობს."[199] მართლაც, ის ამტკიცებს, რომ ღმერთი მოწყალე იყო იობის მიმართ; ხოლო იობი იმსახურებდა იმაზე მეტ სასჯელსაც, ვიდრე მიიღო.

თითოეული მეგობრის მსჯელობის საპასუხოდ იობი დაჟინებით ამტკიცებს თავის უდანაშაულობას. იობს სჯერა, რომ ღმერთი მას უსამართლოდ დევნის; მაგრამ მას ასევე სჯერა, ღვთის წინაშე რომ შეძლებოდა თავის დაცვა, ღმერთი მას მოუსმენდა და გაამართლებდა.

ეს საუბარი იობს და მის მეგობრებს შორის დიალოგების სამ ციკლს მოიცავს. მეგობრები სულ უფრო ბრაზდებიან იმის გამო, რომ იობი უარს ამბობს უმართლობის აღიარებაზე; იობი განაგრძობს საკუთარი უდანაშაულობის დაჟინებით მტკიცებას.

იობის საუბრები (იობი 28–31)

28 თავში წიგნის სტილი იცვლება. იობის 28–31 თავები შედგება იობის ოთხი მონოლოგისგან.

1. **იობის 28-ე თავი წარმოადგენს პოემას სიბრძნეზე.** იობი აფასებს სიბრძნის ფასეულობას, გვიჩვენებს, რომ ადამიანის მცდელობები იპოვნოს სიბრძნე ამაოა და ამტკიცებს, რომ მხოლოდ ღმერთს აქვს გზა ჭეშმარიტი სიბრძნისკენ. იობისთვის ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯია ღვთის პასუხის ძიებაში.
2. **იობის 29-ე თავი არის იობის მიერ საკუთარი თავის აღწერას მის წარსულ ცხოვრებაში,** ანუ მისი ცხოვრების, პროლოგის მოვლენებამდე. ის ყოველმხრივ კურთხეული და პატივდებული იყო თავის საზოგადოებაში.
3. **იობის 30-ე თავი არის იობის მიერ საკუთარი თავის ასახვა ამჟამინდელი ტანჯვის დროს.** ისინი, ვინც წარსულში პატივს სცემდნენ, ახლა დასცინიან მას.
4. **იობის 31-ე თავი არის იობის მოწმობა თავისი უმწიკვლოების შესახებ.** მეგობრების ბრალდებების საპასუხოდ იობი ამტკიცებს, რომ არაფერში არ არის დამნაშავე. ის თავის

[199] იობი 11:3

განცხადებას უდანაშაულობის აღიარების ხელმოწერით ამთავრებს: „ნეტავი ვინმე მომისმენდეს! (აი ჩემი ხელმოწერა! მიპასუხოს ყოვლადძლიერმა!)" 200 იობის 31-ე თავის კითხვისას უნდა გვახსოვდეს, რომ თავად ღმერთმა დაამოწმა იობის უდანაშაულობაზე იობის 1:8-ში. იობი უგუნურად არ ლაპარაკობს; მან ნამდვილად იცხოვრა ფრთხილი და ღვთისმოსავი ცხოვრებით.

ელიჰუს საუბრები (იობი 32–37)

ელიჰუ არის ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც უსმენს თითოეული წინამორბედის მოსაზრებას. ის გაბრაზებულია იობზე, რადგან იობი თავის მართლებას ცდილობს. ის გაბრაზებულია მეგობრებზე, რადგან მათ ვერ დაარწმუნეს იობი მის დანაშაულში.

ელიჰუ ამტკიცებს, რომ ღმერთი ლაპარაკობს ტანჯვისა და ტკივილის მეშვეობით; იობმა თავმდაბლობით უნდა მიიღოს ღვთის შესწორება. ელიჰუ ამტკიცებს, რომ ღმერთი სამართლიანია და იობი არასწორად იქცევა, როდესაც კითხვებს უსვამს მას. თავის ბოლო მონოლოგში ელიჰუ ამტკიცებს, რომ ღმერთი იმდენად მაღლა დგას კაცობრიობაზე, რომ მასზე გავლენას არ ახდენს დედამიწაზე განვითარებული მოვლენები. ჩვენი როლი უნდა იყოს თავმდაბლური მორჩილება.

მიუხედავად იმისა, რომ ელიჰუს მოსაზრებების ზოგიერთი ასპექტი ემთხვევა ღმერთის პასუხს (განსაკუთრებით მის მიერ აღწერილი სურათი ღმერთის ბუნებაზე ბატონობის შესახებ), ელიჰუ ახალს არაფერს ამბობს. იობმა უკვე იცის, რომ ღმერთი უზენაესია; იობმა უკვე იცის, რომ ღმერთი ტანჯვის მეშვეობით ლაპარაკობს; იობის მონოლოგში სიბრძნის შესახებ უკვე ითქვა, რომ ღმერთი არის ჭეშმარიტი სიბრძნის ერთადერთი წყარო. მიუხედავად იმისა, რომ ელიჰუ მიუთითებს ჭეშმარიტების ზოგიერთ ასპექტზე, მან, ისევე როგორც სხვა მეგობრებმა, ვერ ამოიცნო იობის მთავარი მცდელობა: იობი თვლის, რომ ის ისჯება ცოდვისთვის, რომელშიც ის დამნაშავე არ არის.

ღმერთი ლაპარაკობს (იობი 38–42)

თუ იობს ვკითხულობთ, პირველ რიგში, როგორც ტანჯვის შესწავლას, ღვთის პასუხს დიდი აზრი არ აქვს. ის არასოდეს ახსენებს იობის ტანჯვას. ის არასოდეს პასუხობს იობის კითხვებს. ამის ნაცვლად, ღმერთი სვამს უამრავ კითხვას, რომლებშიც თავს უცხადებს იობს. კითხვები მიუთითებს იობს მის შეზღუდულ ცოდნაზე. შემდეგ კი ღმერთის კითხვები მიუთითებს იობს ღვთის ძალასა და სიბრძნეზე, მართოს სამყარო. ისინი აჩვენებენ, რომ იობს შეუძლია ენდოს ღმერთს მაშინაც კი, თუ მას არ ესმის ღვთის გზები. ამის პასუხად იობი კმაყოფილებას გამოთქვამს: „ყურმოკვრით გიცნობდი; ახლა კი გხედავენ ჩემი თვალები". იობი ინანიებს ღმერთის დადანაშაულებას და თავს ინუგეშებს ღმერთის უფრო ღრმა, ემპირიული შეცნობით.

---

[200] იობი 31:35

ეპილოგი (იობი 42:7-17)

ეპილოგში ღმერთი იობის მეგობრებს ცრუ არგუმენტებისთვის საყვედურობს და აღადგენს იობის სიმდიდრეს და მის კეთილდღეობას. სატანა არ არის ნახსენები ეპილოგში; მისი საქმე უარყოფილია. მართლაც არის ადამიანი, რომელიც მხოლოდ სიყვარულის გამო ემსახურება ღმერთს.

იობი ახალ აღთქმაში

ახალ აღთქმაში იობი წარმოდგენილია, როგორც შეუპოვრობის მაგალითი.[201] იობში წამოჭრილი კითხვები ახალ აღთქმაშიც აწუხებთ ადამიანებს. მოწაფეებმა დასვეს კითხვა, ისჯებოდა თუ არა ბრმად შობილი ცოდვის გამო;[202] პავლე ებრძვის „ეკალს სხეულში“, რომელსაც ღმერთი არ აშორებს;[203] ებრაელთა მე-11თავის რწმენის გმირები აღთქმულის მიღების გარეშე დაიხოცნენ.

ტანჯვა მუდმივი პრობლემაა მორწმუნეებისთვის. თუმცა, რომაელთა 8:28-29 გვარწმუნებს, რომ ღმერთი ყველაფერს, რაც მისი შვილების ცხოვრებაში ხდება, მათ სასიკეთოდ იყენებს. მისი საბოლოო მიზანია, მოგვამსგავსოს მისი ძის ხატებას. ეს მიიღწევა ყველაში, ვისაც უყვარს ღმერთი და მისი განზრახვით არის მოწოდებული.

იობი საუბრობს დღევანდელობაში

იობის მკითხველები ხშირად ყურადღებას ამახვილებენ კითხვაზე: „რატომ იტანჯებიან მართალნი? იობი ამ კითხვას არ პასუხობს. უფრო მნიშვნელოვანი კითხვაა: "რატომ ემსახურებიან მართალნი ღმერთს?" სატანისთვის პასუხი იყო: „იობი გემსახურება კურთხევების გამო, რომელსაც ის იღებს. წაიღე კურთხევა და ის უარყოს შენ." მეგობრებისთვის, ღმერთისადმი მსახურების მოტივაცია უბედურების თავიდან აცილებაა. ისინი თვლიან, რომ ღმერთისადმი ერთგული მორჩილება თავიდან აგვარიდებს ტანჯვას.

იობისთვის პასუხი ბევრად უფრო სხვაგვარია. ის მხოლოდ სიყვარულით ემსახურება ღმერთს. მიუხედავად იმისა, რომ არ ესმის რა მოხდა, იობი უარს ამბობს რწმენის მიტოვებაზე. ამ იობი ღვთისადმი ნამდვილი სიყვარულის ნიმუშს იძლევა. დანიელის მეგობრებმა მოწმობდნენ: „ჩვენს ღმერთს, რომელსაც ვემსახურებით, შეუძლია ცეცხლით გავარვარებული ღუმლიდანაც გვიხსნას…. **მაგრამ ასეც რომ არ მოხდეს**, დაე, ცნობილი იყოს შენთვის მეფევ, რომ მაინც არ მოვემსახურებით შენს ღმერთებს.”[204] თუნდაც არ გვიხსნას ღმერთმა, ჩვენ მას მაინც არ უარვყოფთ.

ებრაელთა მე-11თავი მოგვითხრობს რწმენის გმირებზე, რომლებმაც ნახეს მათ სასასარგებლოდ მოქმედი ღვთის ძალა: ენოქი, აბრაამი, მოსე და რახაბი. ის ასევე მოგვითხრობს „სხვებზე“, რომლებიც ვერ იქნენ დახსნილნი განსაცდელისგან. „ზოგმა გინება და გვემა, ბორკილები და საპყრობილეები დაითმინა, მათ ქოლავდნენ, ხერხავდნენ, აწამებდნენ; მახვილით იხოცებოდნენ, დაეხეტებოდნენ

[201] იაკობი 5:11
[202] იოანე 9:2
[203] 2 კორინთელთა 12:7-9
[204] დანიელი 3:17-18

ცხვრისა და თხის ტყავებით, განიცდიდნენ ნაკლოვანებას, შევიწროებას, ტანჯვას." ეს ხალხიც რწმენის ადამიანები იყვნენ, მაგრამ მათ „ვერ მიიღეს აღთქმული."[205]

ეს წმინდა წერილები გვაიძულებს ვიფიქროთ: „რატომ ვემსახურები ღმერთს?" ვემსახურები მას კურთხევის გამო? ვემსახურები თუ არა მას ტანჯვის თავიდან ასაცილებლად? თუ მხოლოდ სიყვარულის გამო ვემსახურები? იობი, დანიელის მეგობრები და ებრაელთა მე-11 თავის „სხვები ანუ ზოგნი" წარმოადგენენ მათ, ვინც ღმერთს მხოლოდ სიყვარულის გამო ემსახურებოდა. დღეს, ისევე როგორც მათ დროს, ღმერთი ეძებს ადამიანებს, რომლებიც ემსახურებიან მას უანგარო სიყვარულით, ადამიანებს, რომლებსაც უყვართ ღმერთი მთელი გულით.

ფსალმუნების წიგნის წინაპირობა

სიტყვა "ფსალმუნი" მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან, რაც ნიშნავს "სიმღერას". ამ წიგნის ებრაული სათაური ნიშნავს „დიდებას", ეს სათაური ასახავს წიგნის დანიშნულებას. გლოვის ფსალმუნებიც კი ქებით მთავრდება. ფსალმუნების წიგნში მოცემულია სიტყვები, რომლებითაც ღვთის ხალხს შეუძლია გამოხატოს თავისი ქება და განდიდება ღმერთისადმი.

სათაურები ფსალმუნებში

100-ზე მეტ ფსალმუნს აქვს სათაური, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ფსალმუნის შესახებ. ეს სათაურები შეიცავს დეტალებს ავტორის, ისტორიული გარემოს და მუსიკალური ინსტრუქციების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არ ვიცით, იყო თუ არა სათაურები თავდაპირველ ხელნაწერებში, ისინი გვხვდება ძალიან ადრეულ ეგზემპლარებში.

ბევრი ფსალმუნი შეიცავს **ავტორის სახელს**. სამოცდაცამეტია დასათაურებული, როგორც „დავითის ფსალმუნი". 49-ე და 72-82-ე ფსალმუნები მიეწერება ასაფს, „წამყვან მუსიკოსს", რომელიც დავითის მმართველობის დროს საჯარო თაყვანისმცემლობაში მსახურებოდა. როგორც ჩანს, „კორახის ვაჟები", რაც გამოყენებულია ათი ფსალმუნის სათაურში, იყვნენ ტაძრის მგალობელთა გილდიის წევრები. სოლომონს მიაწერენ ორ ფსალმუნს. 89-ე ფსალმუნი არის „ლოცვა მოსესი."

დანარჩენი სათაურები გვაწვდიან ინფორმაციას ფსალმუნის **ისტორიული გარემოს** შესახებ. მე-3 ფსალმუნი დაიწერა, როდესაც დავითი გაურბოდა აბესალომს, თავის ძეს. როცა ბევრი მხარს უჭერდა აბესალომის აჯანყებას, დავითს გაახსენდა: „და შენ, უფალო, ჩემი ფარი ხარ, ჩემი დიდება და ამმაღლებელი ჩემი თავისა."[206] დავითმა დაწერა 51, 53, 55, 56 და 58 ფსალმუნები, იმ წლებში როდესაც საულს გაურბოდა.[207] ყველაზე ცნობილი, რაც დავითმა დაწერა, არის მონანიების დიდი ლოცვა 50-ე ფსალმუნში მას შემდეგ, რაც ნათანი დაუპირისპირდა მას ბათშებაყთან მრუშობის გამო.

თანამედროვე მკითხველისთვის ყველაზე ბუნდოვანია სათაურები, რომლებიც მუსიკალურ და ლიტურგიულ ინსტრუქციებს იძლევა. სათაურები, როგორიცაა: „რვაძალიან საკრავზე," [208]

---

[205] ებრაელთა 11:36-38
[206] ფსალმუნი 3:3
[207] ამ ფსალმუნების ისტორიული გარემო გვხვდება 1 მეფეთა (1 სამუელი) 19-23 თავებში.
[208] ფსალმუნები 6 და 11

“ყალამოთის ხმაზე,”[209] და “მუს ლაბენ”-ზე, (რაც ითარგნება, როგორც „ძის სიკვდილზე“, ან „ლაბენის სიკვდილზე“, ასევე "ახალგაზრდა ბიჭების ხმებით", ან შეიძლება აღნიშნავდეს კონკრეტულ მუსიკალურ ინსტრუმენტს აკომპანიმენტისთვის)[210] იყო მუსიკალური ინსტრუქციები. ზოგიერთი სათაური მიუთითებს გამოსაყენებელ ინსტრუმენტებზე. სხვა სათაურები ეხება მელოდიის ჟღერადობას, რომლითაც სრულდება ფსალმუნი: “გითითის ხმაზე,”[211] “ალტაშხიტ”, (რაც ითარგმნება როგორც “ნუ მოსპობ”, თუმცა ასევე ეს შეიძლება ყოფილიყო მინიშნება ძველ სიმღერაზე, რომლის მელოდია გამოყენებული უნდა ყოფილიყო ფსალმუნების გალობისას) [212] და “ცისკრის აღმობრწყინებისას.”[213]

ფსალმუნთა წიგნის სტრუქტურა

მრავალი თვალსაზრისით, ფსალმუნების წიგნი თანამედროვე საგალობლების მსგავსია. ეს იყო სიმღერებისა და ლოცვების კრებული, რომელიც გამოიყენებოდა როგორც ტაძარში საერთო ღვთისმსახურებისთვის, ასევე ცალკეული ისრაელიანების პირადი თაყვანისმცემლობისთვის.

ფსალმუნების წიგნი დაყოფილია ხუთ ნაწილად. თითოეული ნაწილი დოქსოლოგიით, ანუ დიდებისმეტყველებით მთავრდება.

წიგნი 1 (ფსალმუნები 1–40) მთავრდება: „კურთხეულია უფალი, ღმერთი ისრაელისა უკუნითი უკუნისამდე. ამინ, ამინ!”

წიგნი 2 (41–71) მთავრდება: „კურთხეულ იყოს უფალი ღმერთი, ღმერთი ისრაელისა, მხოლოდ ის ახდენს სასწაულებს.... ამინ, ამინ! დასრულდა ლოცვანი დავითისა, იესეს ძისა.”

წიგნი 3 (72–88) მთავრდება: „კურთხეულ იყოს უფალი უკუნისამდე. ამინ და ამინ!”

წიგნი 4 (89–105) მთავრდება: „კურთხეულია უფალი, ღმერთი ისრაელისა, ამიერიდან და უკუნისამდე! და თქვას მთელმა ხალხმა: ამინ! ალელუია!”

წიგნი 5 (106–150) მთავრდება 150-ე ფსალმუნით, დოქსოლოგიით, რომელიც ასრულებს ფსალმუნებს ქება-დიდებით.

როგორც ჩანს, ამ ხუთი კრებულიდან თითოეული შეიკრიბა ისრაელის ისტორიის სხვადასხვა დროს. ზოგიერთი (როგორიცაა წიგნები 1 და 2) ძირითადად შედგება დავითის ფსალმუნებისაგან და არის ძალიან ადრეული კრებული. წიგნი 5 ეხება გადასახლებას და, სავარაუდოდ, მოგვიანებით შედგინდა.[214] ეს კრებულები ერთად გვაძლევს საშუალებას, ძველ ისრაელთან ერთად, განვადიდოთ ღმერთი, ლოცვით მივმართოთ მას გაჭირვების დროს და თაყვანი ვცეთ მას, როგორც ჩვენს შემოქმედს და გამომსყიდველს.

---

[209] ფსალმუნი 45
[210] ფსალმუნი 9
[211] ფსალმუნები 8, 80, 83
[212] ფსალმუნები 56-58, 74
[213] ფსალმუნი 22
[214] იხილეთ ფსალმუნი 137

ფსალმუნების სახეობები

ფსალმუნების წიგნი შეიცავს რამდენიმე სხვადასხვა სახეობის (ან ჟანრის) საგალობელს. მიუხედავად იმისა, რომ ფსალმუნების საერთო თემა არის განდიდება, ყველა ფსალმუნი არ არის ქება-დიდების. ფსალმუნების სტილში დიდი მრავალფეროვნებაა. ფსალმუნების წიგნი შეიცავს ფსალმუნებს:

- ერთობლივი ქება-დიდებისთვის (ფსალმუნი 135)
- პირადი გოდებისთვის (ფსალმუნი 55)
- განსწავლისთვის (ფსალმუნი 1 და 118)
- მეფის პატივსაცემად (ფსალმუნი 71)
- სამეფო ქორწილის აღსანიშნავად (ფსალმუნი 44)
- იერუსალიმში მომლოცველობისთვის (ფსალმუნი 119-133)

"ადვილი მისახვედრია, რატომ არის ფსალმუნების წიგნი ყველა წმინდანის საყვარელი წიგნი. ნებისმიერ ადამიანს ყველანაირ შემთხვევაში შეუძლია იპოვნოს ფსალმუნები, რომლებიც შეესაბამება მის საჭიროებებს, რომლებიც მას იმდენად მიესადაგება, თითქოს ისინი ამ წიგნში მხოლოდ მისთვისაა განთავსებული."
- მარტინ ლუთერი, ფსალმუნების წინასიტყვაობა

ფსალმუნების ამ მიმოხილვაში ჩვენ გადავხედავთ ფსალმუნების რამდენიმე ძირითად კატეგორიას.

სადიდებელი საგალობლები

ზოგიერთი საგალობელი არის ინდივიდუალური განდიდებისთვის; ზოგიერთი არის ერთობლივი ქება-დიდებისთვის. ორი მაგალითი გვიჩვენებს, თუ როგორ ადიდებენ მეფსალმუნეები ღმერთს.

მაგალითი 1: მე-18 ფსალმუნი არის ინდივიდუალური განდიდების საგალობელი. საგალობელი ვითარდება სამ სტროფად.

სტროფი 1 (1-6): ღმერთი გაცხადდა მის ქმნილებაში

ქმნილება, ანუ შემოქმედება მოწმობს შემოქმედის ძალასა და დიდებულებაზე. თავად ცა მოწმობს ღვთის დიდებას. ამ მუხლებში დავითი იყენებს სახელს „ღმერთი" (ებრაულად ელოჰიმი), რაც გვამცნობს ღვთის სიდიადესა და დიდებულებაზე.

სტროფი 2 (7-10): უფალი გაცხადდა თავის რჯულში (კანონში)

ღმერთის უფრო პირადი გამოცხადება ჩანს მის სიტყვაში. უფლის „კანონის", „მოწმობის", „წესდების", „მცნების", „შიშის" და „განსჯის" მეშვეობით ჩვენ ვხედავთ მის გამოცხადებას საკუთარი თავის შესახებ. ამ მონაკვეთში დავითი იყენებს სახელს „უფალი" (იაჰვე ებრაულად). იაჰვე არის პირადი, აღთქმის სახელი, რომლითაც ღმერთმა საკუთარი თავი გაუცხადა ისრაელს გამოსვლის 3:14-ში. ღვთის კანონი მორწმუნესთვის ტვირთი არ არის; ის თაფლზე ტკბილი და ოქროზე უფრო სასურველია.

სტროფი 3 (11-14): თაყვანისმცემლის პასუხი გამომსყიდველს

ღვთის გამოცხადების საპასუხოდ დავითი ლოცულობს განწმენდისა და ცოდვისგან განთავისუფლებისთვის. ის ლოცულობს, რომ მისი სიტყვები და აზრები მისაღები იყოს უფლისთვის, რომელსაც ასე მიმართავს: „ბურჯო და გამომსყიდველო ჩემო."

მაგალითი 2: 135-ე ფსალმუნი არის ერთობლივი განდიდების საგალობელი. მას მღეროდნენ, როგორც საპასუხო სიმღერას. წამყვანი ყოველი სტროფის პირველ ნახევარს მღეროდა; ხალხი კი ეპასუხებოდა უპასუხა: "რადგან უკუნისამდეა წყალობა მისი!" ღმერთის ქმნილებაში (1-9) და ისრაელისადმი კეთილგანწყობაში (10-26) ვლინდება ღვთის მარადიული წყალობა.

მადლიერების ფსალმუნები

სამადლობელი ფსალმუნები ეხება ღვთის ხსნის კონკრეტულ შემთხვევებს. სამადლობელ ფსალმუნებში ფსალმუნის ავტორი აღწერს წარსულ კრიზისს და შემდეგ მადლობას უხდის ღმერთს კრიზისიდან მისი დახსნისთვის. სამადლობელი ფსალმუნის მაგალითად შეგიძლიათ გაეცნოთ მე-17 ფსალმუნს, რომელშიც დავითი ხარობს ღვთის მფარველობით, საულის მიერ მისი დევნის დროს.

გლოვის/გოდების ფსალმუნები

ორმოცდაათამდე ფსალმუნი არის გლოვის, ანუ გოდების. გოდება ჩვეულებრივ შეიცავს ოთხ ელემენტს, თუმცა ყოველთვის ერთნაირი თანმიმდევრობით არ გვხვდება:

- **ჩივილის აღწერა**. ბევრ გოდებაში მტერია ნახსენები; ზოგში მეფსალმუნის პრობლემაა აღწერილი. მე-12 ფსალმუნში არის ჩივილი, რადგან ღმერთმა, თითქოს თავისი სახე დაფარა, ხოლო დავითის მტრები აღზევებულნი არიან.
- **ვედრება ღმერთის მიმართ**. აქ მეფსალმუნე შეჰღაღადებს ხსნისთვის. ხშირად ჩანს კონკრეტული მოთხოვნა. მე-12 ფსალმუნში დავითი სთხოვს ღმერთს, მომხედე და „სინათლე მოჰფინე ჩემს თვალებს".
- **ღმერთისადმი ნდობის განცხადება**. მე-12 ფსალმუნში, ღვთის დახმარების მოხმობის შემდეგ, დავითი ამბობს: „მე კი შენი წყალობის იმედი მაქვს“. ამ ფრაზით ფსალმუნი უიმედო სიტუაციიდან რწმენის განმტკიცებაზე გადადის.
- **ღმერთის განდიდება**. გოდების უმეტესობა ღვთის დიდებით მთავრდება. მე-12 ფსალმუნი მთავრდება სიტყვებით: „ვუგალობებ უფალს, ჩემს კეთილისმყოფელს“. დასკვნითი ქება-დიდება ბიბლიური გოდების განუყოფელი ელემენტია და ღვთისადმი ჩვენი ღაღადის ნიმუშად გვევლინება.

როდესაც ვახმოვანებთ ჩვენს ჩივილებსა და საჭიროებებს, არ უნდა შევეწინააღმდეგოთ ღვთის განზრახვებს. ღმერთისადმი ნდობის განცხადება და ღმერთის განდიდება ბოლოში უზრუნველყოფს, რომ ჩვენ ღვთის უზენაესობისადმი მორჩილებას ვინარჩუნებთ. მე-12 ფსალმუნში მე-4 მუხლიდან მე-5-მდე არაფერი იცვლება დავითის ცხოვრებაში. მისი გარეგნული ვითარება იგივე რჩება, როგორც 1-2 მუხლებში. ცვლილება შინაგანში ხდება; დავითს გადაწყვეტილი აქვს მიენდოს ღვთის წყალობას და უგალობოს უფალს. ამ მოდელმა უნდა წარმართოს ჩვენი ლოცვები: **სრული გულახდილობა** ჩვენი საჭიროებების გამოხატვისას და **სრული მორჩილება** ღვთის საბოლოო მიზნებისადმი ჩვენს ცხოვრებაში..

გოდების ფსალმუნები ვარაუდობენ, რომ სამყაროში არის სწორი და არასწორი, რომ ღმერთს შეიძლება მიენდო ჭეშმარიტების დაცვაში და დამოწმებაში, რომ მეფსალმუნე ჭეშმარიტების მხარესაა. ამის გამო მეფსალმუნე დარწმუნებულია, რომ ღმერთი ჩაერევა მის სასარგებლოდ.

სინანულის ფსალმუნები დაკავშირებულია გლოვის ფსალმუნებთან. თუმცა, ამ ფსალმუნებში მეფსალმუნე ცოდვის მიტევებას სთხოვს ღმერთს. ყველაზე ცნობილი მონანიების ფსალმუნი არის 50-ე ფსალმუნი, რომელშიც დავითი ლოცულობს ღვთის წყალობის მისაღებად ბათშებაყთან ცოდვის შემდეგ. სხვა სინანულის ფსალმუნები შეიცავს მე-5, 31, 37 და 129 ფსალმუნებს.

განდიდების ფსალმუნები ახლო ხედით

იესოს დავალების შეპირისპირება წყევლის (შელოცვის) ლოცვასთან	
"ბაბილონის ასულო, გამაპარტახებელო! კურთხეულ იქნება ის, ვინც სამაგიეროს მოგიზღავს. კურთხეულ იქნება ის, ვინც აიღებს და კლდეს მიანარცხებს შენს ჩვილებს." (ფსალმუნი 136:8-9)	"მე კი გეუბნებით: გიყვარდეთ თქვენი მტრები, ილოცეთ თქვენი მაწყევრებისთვის, კეთილი უყავით თქვენს მოძულეებს და ილოცეთ მათთვის, ვინც გავიწროებთ და გდევნით." (მათე 5:44).

პრობლემა

ფსალმუნთა წიგნი შეიცავს სულ მცირე ოცდათხუთმეტ შერისხვის (წყევლის) ლოცვას, ფსალმუნებს, რომლებიც სთხოვენ ღმერთს რისხვა გადმოღვაროს მეფსალმუნის მტრებზე. ქრისტიანებს სირთულე აქვთ ამ ლოცვებთან. როგორ შეესაბამება ეს ლოცვები, იესოს დავალებას - გიყვარდეს შენი მტრები?

ზოგიერთმა კომენტატორი ამბობს, რომ ეს ასახავს განსხვავებას ძველ აღთქმასა და ახალ აღთქმას შორის. თუმცა, ძველი აღთქმაც კი გვასწავლის, რომ ჩვენი მტრები უნდა გვიყვარდეს.[215] გარდა ამისა, ახალი აღთქმაც შეიცავს შერისხვის მაგალითებს უმართლოების მიმართ.[216] როგორ ვკითხულობთ წყევლის (შერისხვის) ფსალმუნებს ჩვენ, ქრისტიანები?

წყევლის ფსალმუნების კითხვის პრინციპები

1. **ისინი ეფუძნება თესვისა და მკის პრინციპს.** მეორე რჯული, იგავები და გალატელები გვასწავლის, რომ „ადამიანი რასაც დათესავს, იმას მოიმკის." [217] ეს პრინციპი ილუსტრირებულია ისტორიულ წიგნებში და ნაქადაგებია წინასწარმეტყველურ წიგნებში. შერისხვის ფსალმუნები ღმერთს სთხოვს გამოავლინოს თავისი სამართლიანობა. გადასახლებიდან დაბრუნებულები სთხოვენ ღმერთს, „გადაუხადოს" ბაბილონს ის საზღაური, რასაც ბაბილონელები სამართლიანად იმსახურებდნენ.[218]

---

[215] გამოსვლა 23:4-5, მაგალითად
[216] 2 ტიმოთეს 4:14, მაგალითად
[217] გალატელთა 6:7
[218] ფსალმუნი 137:8

2. **ისრაელის მტრები საბოლოოდ ღმერთის მტრები არიან.** როგორც მეფე, დავითი არის ღვთის ცხებული წარმომადგენელი. მისი მტრები ეწინააღმდეგებიან ღვთის განზრახვებს ისრაელთან დაკავშირებით. წყევლის ლოცვები ღვთის სამართლიანობის მტკიცებულების ძიებაა.
3. **მეფსალმუნეები არ იღებენ საქმეს საკუთარ ხელში.** დავითი ევედრებოდა ღმერთს მის მტრებზე შურისძიებას, მაგრამ უარი თქვა საულზე პირად შურისძიებაზე. დავითმა თავისი მტრები ღვთის ხელთ გადასცა.

შეგვიძლია დღეს წყევლის ფსალმუნებით ვილოცოთ?

მაშინაც კი, როცა ვაღიარებთ, რომ წყევლის (შერისხვის) ფსალმუნები შეესაბამება ბიბლიურ სამართლიანობას, მაინც უნდა ვიკითხოთ, როგორ გამოვიყენოთ ეს ფსალმუნები ღვთისმსახურებაში დღეს. შერისხვის ფსალმუნებზე არსებობს ორი საპირისპირო რეაქცია:

1. ზოგიერთ ქრისტიანს სჯერა, რომ იესოს სწავლება, მის მიერ მთაზე ქადაგების თანახმად, კრძალავს ახალი აღთქმის მორწმუნეების მიერ წყევლის (შერისხვის) ლოცვების გამოყენებას.
2. ზოგიერთი ქრისტიანი ხშირად იყენებს წყევლის ლოცვებს, როგორც სულიერი ბრძოლის ელემენტს.

ორივე შეხედულება გვაჩვენებს სიმართლის გარკვეულ ასპექტს. ეს ფსალმუნები ასახავს ბიბლიურ ჭეშმარიტებას, მაგრამ იესო გვასწავლიდა გვიყვარდეს ჩვენი მტრები. ყველას, ვინც ცდილობს ილოცოს შერისხვის ფსალმუნებით, უნდა დაუსვათ სამი კითხვა, რათა დადგინდეს შერისხვის მოტივაცია.

1. **ღვთის სიმართლით ვარ მოტივირებული თუ ჩემი ბრაზით?** მეფსალმუნეები ფიქრობდნენ ღმერთზე და მის სასუფეველზე. პავლემ დაწერა: „ განრისხდით, და ნუ შესცოდავთ" [219] სამართლიანი რისხვა რეაგირებს შეცოდებაზე ღმერთის წინააღმდეგ; ეგოცენტრული რისხვა რეაგირებს პირად უგულებელყოფაზე. ის, რამაც ჩემი რისხვა უნდა აღძრას, არის შეცოდებები ღვთის სამეფოს წინააღმდეგ და არა ჩემი სამეფოს უგულებელყოფა."
2. **მე ღვთიურ სამართლიანობას ვეძებ, თუ პირად შურისძიებას?** ბიბლიური წყევლის ლოცვები მიზნად ისახავდა სამართლიანობის ხელშეწყობას, [220] ღვთის უზენაესობის ჩვენებას, [221] და ბოროტების აღსაძრავად, რომ ეძიონ ღმერთი. [222] თანამედროვე წყევლა (შერისხვა) ზოგჯერ შურისძიების სურვილით არის შთაგონებული.
3. **რა მომანიჭებს მეტ სიხარულს: ჩემი მტრის მონანიება თუ მისი დასჯა?** იონა ეძებდა სამსჯავროს და არ ტოვებდა მონანიებისა და ღვთის წყალობის ადგილს. ბიბლიური წყევლა მტერს ღვთის ხელში გადასცემს. ამიტომ, ჩვენ შეგვიძლია გავიხაროთ, როდესაც ჩვენი მტერი ინანიებს და იღებს ღვთის პატიებას.

---

[219] ეფესელთა 4:26
[220] ფსალმუნი 7:6-11
[221] ფსალმუნი 58:13
[222] ფსალმუნი 82:16-18

მიუხედავად იმისა, რომ ეს მითითებები ტოვებს ადგილს ლოცვებისთვის ბიბლიური წყევლის თანახმად, ისინი მკაცრად ზღუდავენ ამ ლოცვების გამოყენებას ჩვენს ცხოვრებაში. როცა შეურაცხგვყოფენ, ბიბლია (წყევლის ფსალმუნებში, იესოს სწავლებაში და დავითის მსგავსი ადამიანების პიროვნული ნიმუშებით) გვასწავლის, მივმართოთ სიტუაცია ღმერთისკენ, რომელიც ყოველივეს თავისი შვილების სასიკეთოდ შემოაბრუნებს.[223]

ფსალმუნების სახეობები (გაგრძელება)

სიბრძნის ფსალმუნები

სიბრძნის ფსალმუნები, იგავების მსგავსად, პრაქტიკულ რჩევებს იძლევიან ყოველდღიურ ცხოვრებაში. ისინი ასწავლიან მკითხველს, როგორ იცხოვროს ღვთის მოსაწონად. იგავების მსგავსად, ფსალმუნების წიგნი გვასწავლის: „უფლის შიში სიბრძნის სათავეა."[224]

სიბრძნის ფსალმუნებში ხშირად გვხვდება ორი გზის შეპირისპირება: ბოროტეულთა გზის და მართალთა გზის. 1-ლი ფსალმუნი არის სიბრძნის ფსალმუნის მაგალითი.

ეკლესიასტესა და იობის მსგავსად, სიბრძნის ფსალმუნების ავტორები ეწინააღმდეგებიან ბოროტეულთა კეთილდღეობასა და მართალთა ტანჯვას. 71-ე ფსალმუნში ასაფმა კინაღამ დაკარგა რწმენა, ბოროტეულთა კეთილდღეობის გამო. მაგრამ პასუხი ასაფისთვის, ისევე, როგორც იობისთვის, ღმერთის ხილვა იყო. როდესაც ასაფი იდგა საწმიდარში, მიხვდა, რომ ბოროტეულთა დასასრული იყო განადგურება და გაპარტახება. ის ასრულებს ფსალმუნს რწმენის განცხადებით: „ჩემთვის კი სასიკეთოა ღმერთთან სიახლოვე; უფალი ღმერთი გავიხადე ჩემს თავშესაფრად. ყველა შენს საქმეზე ვილაპარაკებ."[225]

სამეფო ფსალმუნები

სამეფო ფსალმუნები ისრაელის მეფეს ღვთის ცხებულად ასახავს. ისრაელის მმართველი არ ჰგავდა ირგვლივ მყოფი ერების მეფეებს; ის იყო ღვთის მსახური, რომელიც წარმოადგენდა ღვთის მეფობას.[226]

მე-2 ფსალმუნი შეიძლება იყოს ახალი მეფის კორონაციის ფსალმუნი. ქვეყნიერების მეფენი დაუპირისპირდნენ ღმერთს "და მის ცხებულს", მაგრამ ღმერთმა უპასუხა "მე დავადგინე ჩემი მეფე სიონზე - ჩემს წმიდა მთაზე". ღმერთი დაადგენს მეფეს; და ამ მეფეს ისე მოექცევა, როგორც თავის ძეს; და მისცემს მას გამარჯვებას ისრაელის მტრებზე. ღმერთი არის ის, ვინც აძლიერებს ისრაელის ღვთისმოსავ მეფეებს.

---

[223] რომაელთა 8:28
[224] ფსალმუნი 110:10
[225] ფსალმუნი 72:28
[226] მეორე რჯული 17:14-20

მესიანური ფსალმუნები

ხშირ შემთხვევაში, სამეფო ფსალმუნები აღწერს უნივერსალურ წესს, რომელიც არასოდეს ყოფილა დაცული ისრაელის ისტორიაში. არც ერთი ისრაელის მეფე არ ყოფილა „ქვეყნის კიდეებს" მფლობელი.[227]

მესიანური ფსალმუნები წინასწარმეტყველებს მეფის მოსვლას, რომელიც *სრულყოფილად* შეასრულებს იმ წესს, რომელიც *ნაწილობრივ* შესრულდა ისრაელის მიწიერ მეფეებში. ისრაელის მეფე იყო „ცხებული", რომელიც მეფობდა ისრაელზე; იესო მოვიდა, როგორც „ცხებული" (მესია), რომელმაც სრულად შეასრულა ღვთიური განზრახვა ისრაელის მეფის შესახებ.

21-ე ფსალმუნი არის მაგალითი ფსალმუნისა, რომელიც აღსრულდა იესოს ცხოვრებაში. თუმცა დავითმა თავდაპირველად ეს ფსალმუნი პირადი სასოწარკვეთილების გამო დაწერა, იესომ შეასრულა ეს წინასწარმეტყველური სიტყვები ჯვარზე ტანჯვის დროს.[228]

ფსალმუნები საუბრობენ დღეს

ფსალმუნები დღეს ქრისტიანული თაყვანისმცემლობის მოდელს იძლევა. თაყვანისმცემლობასთან დაკავშირებული მრავალი საკითხის საპასუხოდ, რომელიც ქრისტიანებს ჰყოფს, ფსალმუნები უზრუნველყოფს წონასწორობას.

ფსალმუნები გვაჩვენებს, რომ ჩვენი თაყვანისცემა უნდა მოიცავდეს როგორც ღვთის განდიდებას (ქება-დიდების ფსალმუნები) და მითითებებს ღვთის ხალხისთვის (სიბრძნის ფსალმუნები). ჩვენი თაყვანისცემა უნდა მოიცავდეს როგორც ინდივიდუალურ, ისე ერთობლივ თაყვანისცემას. ჩვენი თაყვანისცემა მოიცავს როგორც მადლიერებას იმისთვის, რაც ღმერთმა გააკეთა პირადად ჩვენთვის, ასევე დიდებას იმისთვის, თუ ვინ არის ღმერთი ყველა ადამიანისთვის.

ფსალმუნებში ნაჩვენებია გლოვისა და ქების წონასწორობას. ისინი გვაჩვენებენ, რომ თაყვანისმცემლობისას ჩვენ შეგვიძლია თავისუფლად მივიტანოთ ჩვენი ჩივილები და პრობლემები ღმერთთან. ისინი ასევე გვაჩვენებენ, რომ ეს ჩივილები ღვთის სუვერენულ, უზენაეს მიზნებს უნდა დავუმორჩილოთ. გლოვის ფსალმუნები ქებით მთავრდება. ღმერთი მოუწოდებს თავის ხალხს სრული გულწრფელობისა და მისი მიზნებისადმი სრული მორჩილებისკენ.

---

[227] ფსალმუნი 2:8

[228] ფსალმუნი 21:1; მათე 27:46

მე-7 გაკვეთილის დავალებები

მოახდინეთ ამ გაკვეთილში მოცემული მასალის სწორად აღქმის და გაგების დემონსტრირება შემდეგი დავალების შესრულებით:

(1) აირჩიეთ შემდეგი დავალებებიდან ერთ-ერთი:

ვარიანტი 1: ჯგუფური დავალება

დაავალეთ თქვენი ჯგუფის თითოეულ წევრს იობის წიგნის ერთ-ერთი პერსონაჟის საუბრის წაკითხვა (ელიფაზი, ბილდადი, ცოფარი და ელიჰუ). წაიკითხეთ თქვენთვის დავალებული პერსონაჟის მოსაზრებები და განიხილეთ ამ პერსონაჟის არგუმენტის ძლიერი და სუსტი მხარეები.

ვარიანტი 2: ინდივიდუალური დავალება

დავალებული ფსალმუნების წაკითხვისას შეადგინეთ ღვთის თვისებების ნუსხა, რომლებიც ჩანს ფსალმუნებში. თითოეული თვისებისთვის დაასახელეთ 8-10 მუხლი, რომელიც ასახავს ამ თვისებას.

(2) გაიარეთ ამ გაკვეთილის ტესტი. ტესტი მოიცავს საზეპირო მუხლებს წმიდა წერილებიდან.

მე-7 გაკვეთილის ტესტი

(1) განსაზღვრეთ ებრაული პარალელიზმის სამი ტიპი.

(2) განსაზღვრეთ აკროსტიკული პოეზია.

(3) რა არის იობის წიგნის მთავარი თემა?

(4) რა სამი ძირითადი პუნქტი იკვეთება იობის მეგობრების მსჯელობაში?

(5) რა იყო იობის მონოლოგების თემები იობის 28-31-ე თავებში?

(6) რა სამი სახის ინფორმაცია შეიძლება ვიპოვოთ ცალკეული ფსალმუნების სათაურებში?

(7) რომელ ოთხ ელემენტს შეიცავს გოდების ფსალმუნების უმეტესობა?

(8) ჩამოთვალეთ სამი პრინციპი წყევლის (შერისხვის) ფსალმუნების გასაგებად.

(9) რა კავშირია სამეფო და მესიანურ ფსალმუნებს შორის?

(10) დაწერეთ საზეპირო მუხლი - ფსალმუნის 118:1-8.

გაკვეთილი 8
იგავები – ქებათა-ქება სოლომონისა:

ებრაული სიბრძნე

გაკვეთილის მიზნები
ამ გაკვეთილის ბოლოს, სტუდენტმა უნდა:
(1) იცოდეს სოლომონის თითოეული წიგნის ძირითადი გზავნილი.
(2) ამოიცნოს სიბრძნისა და სიბრიყვის ბუნება ბიბლიაში.
(3) ათვითცნობიერებდეს იგავებსა და ეკლესიასტეში ასახულ ორ გზას.
(4) აფასებდეს სოლომონის წიგნების ლიტერატურულ სტილს.
(5) უკავშირებდეს სოლომონის წიგნების გზავნილს დღევანდელი სამყაროს საჭიროებებს.

ამ გაკვეთილისთვის მომზადება

წაიკითხეთ იგავები, ეკლესიასტე, და ქებათა-ქება.

დაიზეპირეთ იგავები 1:7; ეკლესიასტე 12:13-14.

ებრაული სიბრძნის კითხვა

იობი, იგავები, ეკლესიასტე და ფსალმუნების ნაწილი ცნობილია როგორც პოეტური წიგნები, ასევე, როგორც სიბრძნის ლიტერატურა. სიბრძნის ლიტერატურა ასწავლის მკითხველს როგორ მიაღწიოს ჭეშმარიტ ბიბლიურ სიბრძნეს. იგავები გვასწავლის, რომ უფლის შიში სიბრძნის დასაწყისია; ფსალმუნები გვასწავლის, რომ ჩვენ ვიძენთ გულს სიბრძნეს „ჩვენი დღეების დათვლით“, ჩვენი დროის სწორად გამოყენებით.[229] სიბრძნის შეძენ ყველა ადამიანისათვის მნიშვნელოვანი საქმეა. ჭეშმარიტი სიბრძნე მიიღწევა განსწავლით, დაკვირვებით და გამოცდილებით.[230]

მე-16 საუკუნის თეოლოგი ჯონ კალვინი წერდა, რომ ჭეშმარიტი სიბრძნე ორი რამისგან შედგება: ღმერთისა და საკუთარი თავის შემეცნებისგან. სიბრძნის წიგნები ასახავს სიბრძნის ორივე ასპექტს. იობი იძენს ახალ ცოდნას ღმერთის შესახებ. იგავები ასწავლის ახალგაზრდას საკუთარი თავის შეცნობას და ღმერთის შიშს. ეკლესიასტე დასკვნას აკეთებს სემდეგი გზავნილით: „გეშინოდეს ღვთისა და დაიცავი მისი მცნებანი, რადგან ეს არის უმთავრესი ყველა ადამიანისთვის.”[231]

> "ჭეშმარიტი სიბრძნე თითქმის მთლიანად ორი ნაწილისაგან შედგება: ღმერთის შემეცნების და საკუთარი თავის შემეცნებისგან.
> - ადაპტირებულია ჯონ კალვინის, ქრისტიანული რელიგიის ინსტიტუტებიდან

[229] იგავები 9:10; ფსალმუნი 90:12
[230] იგავები 22:17-21; 6:6-8; და 12:1
[231] ეკლესიასტე 12:13

ეს წიგნები აჩვენებს, რომ სიბრძნე არის როგორც ვერტიკალური („უფლის შიში სიბრძნის დასაწყისია“) ასევე ჰორიზონტალური (იგავები ეხება ქორწინებას, შვილებს და თემთან, ანუ საზოგადოებასთან ურთიერთობას). ამ წიგნების შესწავლით ჩვენ უფრო ღრმა ცოდნას ვიძენთ ღმერთისა და საკუთარი თავის შესახებ.

იგავების განმარტება

იგავი განსხვავებულად გადმოგვცემს აზრს, ვიდრე მცნება. იქ, სადაც კანონი კრძალავს: „არ...“, იგავი გვასწავლის ცხოვრების ზოგად პრინციპებს. იგავი არის ჭეშმარიტების დასამახსოვრებელი და მოკლე ფორმით უწყება. იგავის ბუნების გაგება გვეხმარება იგავთა წიგნის განმარტებაში. იგავის მახასიათებლები მოიცავს:

1. **იგავი გადმოსცემს ზოგად პრინციპს, რომელიც მიესადაგება და გამოიყენება მრავალ განსხვავებულ სიტუაციაში.**
2. **იგავი ეფუძნება ცხოვრებისეულ გამოცდილებას.** იგავს ხშირად დასკვნა გამოაქვს დროით გამოცდილ ჭეშმარიტებაზე, რაც ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარეობს.
3. **იგავი აღთქმა არ არის; ეს არის ზოგადი,** ცხოვრებისეული დაკვირვება. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთმა მკითხველმა მიიღო ისეთი მუხლები, როგორიცაა იგავთა 22:6, როგორც აბსოლუტური დაპირება (აღთქმა), დანარჩენი იგავები გვიჩვენებს, რომ სწორად აღზრდილ შვილს, შეუძლია უგუნურის გზა აირჩიოს.
4. **იგავი არ არის მცნება.** იგავების წიგნი არ არის წესების ერთობლიობა, რომელსაც უნდა დაემორჩილო; ეს არის პრინციპების კრებული, რომელიც მიუძღვება ადამიანს ჭეშმარიტი სიბრძნისკენ.

როდესაც რაბინები კანონს განიხილავდნენ, ისინი კამათობდნენ იგავების 26:4-5-ის აშკარა ურთიერთწინააღმდეგობაზე. „ბრიყვს მისი სიბრიყვისამებრ ნუ უპასუხებ, რათა არ დაემსგავსო მას. ბრიყვს მისი სიბრიყვისამებრ უპასუხე, თორემ თავი ბრძენი ეგონება." მე-4 მუხლი ეუბნება მკითხველს, რომ ბრიყვს არ უნდა უპასუხოს მისი სიბრიყვისამებრ; მე-5 მუხლი კი ამბობს, რომ უნდა უპასუხოს.

რაბინებმა აღიარეს, რომ ბრძენმა ადამიანმა უნდა იცოდეს ბრიყვის ბუნება. „უბრალო“ ბრიყვს შეიძლება ასწავლო და მას უნდა უპასუხონ ისე, რომ „თავი ბრძენი“ არ ეგონოს. თუმცა, „დამცინავ“ ბრიყვს თავი უნდა აარიდო, რადგან ის უარს ამბობს სწავლაზე; ადამიანი, რომელიც ამ ბრიყვისთვის პასუხის გაცემას შეეცდება, მის დონეზე დავა. რაბინები მიხვდნენ, რომ არც ეს მუხლებია აბსოლუტური მცნება; სამაგიეროდ, ისინი უზრუნველყოფენ პრინციპს, რომელიც უძღვება და ეხმარება გონიერ ადამიანს უგუნურებთან ურთიერთობაში.

წიგნის მთავარი მუხლია იგავების 25:11: „მოვერცხლილი ოქროს ვაშლებია - დროულად ნათქვამი სიტყვა.“ სწორ გარემოებებში ნათქვამი სწორი სიტყვა ისეთივე ლამაზია, როგორც მოვერცხლილი ოქროს ორნამენტები. სიბრძნე სიტუაციისთვის შესაფერისი სიტყვის ცოდნაში მდგომარეობს.

► იმსჯელეთ პრობლემაზე, რომელიც მსახურებაში თქვენთვის გამოწვევას წარმოადგენს, შემდეგ იგავებში იპოვეთ ჭეშმარიტებები, რომლებიც მიესადაგება ამ პრობლემას. განიხილეთ პრინციპები, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია თქვენს სიტუაციაში.

იგავების გზავნილი

იგავების წიგნი მოიცავს ხუთ ძირითად კრებულს. თითოეული კრებული ფოკუსირებულია სიბრძნის განსხვავებულ ასპექტებზე.

კრებული 1: საუბრები სიბრძნის შესახებ (1–9)

იგავთა წიგნის მიზნის განმაზოგადებელი შესავლის შემდეგ,[232] პირველი კრებული გვიჩვენებს განსხვავებას სიბრძნესა და სიბრიყვეს შორის. ამ კრებულის დიდი ნაწილი წარმოდგენილია „მსჯელობის იგავების“, გრძელი აბზაცებს სახით სიბრძნის ბუნებაზე.

იგავები 1:7 ერთმანეთს უპირისპირებს ორ გზას: სიბრძნის და უგუნურების. კრებულის დანარჩენი ადგილები ურჩევს ახალგაზრდას სიბრძნის გზას გაჰყვეს და სიბრიყვის გზას აერიდოს. 1-ლი კრებული აცნობს მკითხველს ამ ორ გზას.

კრებული 2: სოლომონის იგავები (10:1 – 22:16)

იგავები 10:1 წარმოგვიდგენს ამ კრებულს სახელწოდებით „სოლომონის იგავები“. ეს კრებული ძირითადად შედგება ორსტრიქონიანი იგავებისგან, რომლებიც მკითხველს აცნობენ და ურჩევენ სიბრძნის პრაქტიკულ ასპექტებს.[233] ამ იგავების უმეტესობა ურთიერთსაპირისპირო პარალელებს წარმოადგენს; ისინი ბრძენის გზას უპირისპირებენ ბრიყვის გზას.

ამ კრებულში განხილული თემები მოიცავს ცხოვრების ბევრ პრაქტიკულ ასპექტს: ფული, მეტყველება, დისციპლინა და სამუშაო. ამ განყოფილების აშკარად შემთხვევითი სტრუქტურა ასახავს იმას, თუ როგორ ვაწყდებით რეალურ ცხოვრებაში არსებულ პრობლემებს. სიბრძნე აღჭურვავს ადამიანს, რომ გაუმკლავდეს სიტუაციებს, როდესაც ისინი წარმოიქმნება.

კრებული 3: “ბრძენთა სიტყვები” (22:17 – 24:34)

ეს კრებული შესავალი სიტყვით იწყება: „განა არ მოგწერე, რჩევითა და ცოდნით სავსე ოცდაათი გამონათქვამი, რომ მეჩვენებინა შენთვის, რა არის ჭეშმარიტი და მართალი?”[234] ეს განაცხადი გვიჩვენებს კავშირს ამ კრებულსა და ეგვიპტური სიბრძნის კრებულს შორის, რომელსაც *ამენმოპეს მითითებები* ჰქვია. ეს ურთიერთ კავშირი გვიჩვენებს მნიშვნელოვან პრინციპს იგავების წიგნში: სიბრძნე მრავალი წყაროდან მოდის. როდესაც ებრაელმა სიბრძნე აღმოაჩინა ეგვიპტურ წყაროებში, მან წაიკითხა იგი ღვთაებრივი ჭეშმარიტების პრიზმაში და გამოიყენა ის ყოველდღიურ ცხოვრებაში. მან გააცნობიერა, რომ „ყველა ჭეშმარიტება ღვთის ჭეშმარიტებაა.”

---

[232] იგავები 1:1-7
[233] ორსტრიქონიან იგავს ორტაეპედი, ანუ დისტიქი ეწოდება.
[234] იგავები 22:20-21

ეგვიპტური სიბრძნე შეიცავდა რამდენიმე ელემენტს, რომლებიც იგავთა სიბრძნის მსგავსია. თუმცა, ბიბლიური სიბრძნე განსხვავდებოდა ერთი გადამწყვეტი ასპექტით მთელი ამქვეყნიური სიბრძნისაგან; ბიბლიური სიბრძნე დაფუძნებულია ღვთის შიშზე. ერთი შედარება წარმოაჩენს ამ განსხვავებას.

> სასაზღვრო ქვა არ გადააადგილო დამუშავებული მიწის საზღვარზე და არ დაარღვიო ქვრივის საზღვრები, რომ საშინელებამ არ გაგიტაცოთ (ამენემოპეს მითითებები).235
>
> ნურც ძველ საზღვარს გადასცდები და ნურც ობოლთა მინდვრებზე გადახვალ, ვინაიდან ძლიერია მათი გამომსყიდველი, ის შეგედავება მათ საქმეზე (იგავები 23:10).

ორივე ტექსტი გვაფრთხილებს ქონების ქურდობის წინააღმდეგ. განსხვავება მდგომარეობს მორჩილების მოტივაციაში. იგავებში ეს პრინციპი დაფუძნებულია არა რაღაც ბუნდოვან „საშინელებაზე“, არამედ ღმერთის ბუნებაზე. ობოლთა გამომსყიდველი „ძლიერია“; ის განამტკიცებს და გვერდში დაუდგება სუსტებს. ეს შეესაბამება, ანუ პარალელურია ლევიანების მე-19 თავის სწავლებასთან. ღვთის ხალხი უნდა ცხოვრობდეს ისე, რომ ასახავდეს ღვთის ბუნებას: „იყავით წმიდა, რადგან წმიდა ვარ მე, უფალი, თქვენი ღმერთი.”[236]

კრებული 4: სოლომონის სხვა იგავები (25–29)

ეს კრებული შეიცავს „სოლომონის იგავებს, რომლებიც გადაწერეს იუდას მეფის ხიზკიაჰუს კაცებმა.” [237] ამ ნაწილში წარმოდგენილია პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაფუძნებული რეკომენდაციები ლიდერობისთვის.

კრებული 5: აგურის (30) და ლემუელის (31) გამონათქვამები

იგავების ბოლო თავები მოიცავს „რიცხობრივი გამონათქვამების“ სერიას, იგავებს, რომლებიც იწყება ნაცნობიდან და გადადის უცნობიზე. ეს ასახავს ჭეშმარიტი სიბრძნის ბუნებას; ის საშუალებას გვაძლევს გავეცნოთ უცნობს ცხოვრებისეული გამოცდილებიდან მიღებული სიბრძნის გამოყენებით.

► წაიკითხეთ იგავები 30:24-28. იპოვეთ პრინციპი, რომელიც აერთიანებს აგურის მიერ მოყვანილ ოთხ მაგალითს. იმსჯელეთ, როგორ უნდა გაგვიძღვეს ეს პრინციპი სიბრძნის გამოყენებისას.

როგორც შეეფერება წიგნს, რომელიც განკუთვნილია ახალგაზრდების სასწავლებლად, იგავები მთავრდება აკროსტიქით კარგი ცოლის სიკეების შესახებ. იგავების მთელს წიგნში ავტორი აფრთხილებს მკითხველს უგუნურ ქალებთან ურთიერთობის შესახებ. წიგნი მთავრდება იმით, რომ გვიჩვენებს, თუ რამდენად კურთხეული იქნება ახალგაზრდა მამაკაცი, როცა სათნო ცოლს იპოვის.

---

[235] ციტირებულია ბილ ტ. არნოლდის და ბრაიან ი. ბეიერის წიგნიდან, შეხვედრა ძველ აღთქმასთან, (ადა: ბეიკერ აკადემიკ, 2015), 319.
[236] ლევიანები 19:2
[237] იგავები 25:1

იგავების წიგნის ინტერპრეტაცია

იმის გამო, რომ იგავები ძველი აღთქმის სხვა წიგნებთან შედარებით განსხვავებული სტილით არის დაწერილი, თქვენ ის სხვაგვარად უნდა შეისწავლოთ, ვიდრე ხუთწიგნეული ან წინასწარმეტყველური წიგნები.[238] იგავთა წიგნის წაკითხვისას უნდა დაისვას შემდეგი კითხვები:

1. **"ეს იგავი სიბრძნეზე მიუთითებს, თუ სისულელეზე?"** იგავების წიგნი უპირისპირებს ამ ორ გზას.
2. **"რას ამატებს იგავის მეორე ნაწილი პირველ ნახევარს?"**
3. **"რა არის სიბრძნის წყარო ამ იგავში?"** ჭეშმარიტება მომდინარეობს ბიბლიური გამოცხადებიდან, პირადი გამოცდილებიდან, უძველესი ტრადიციებიდან, სამყაროზე დაკვირვებიდან, თუ მათი კომბინაციიდან?
4. **"როგორ ეხება ეს იგავი ჩემს სიტუაციას?"** იგავი არ არის აღთქმა, რომელიც გამოიყენება ყველა ვითარებაში.
5. **არის თუ არა სხვა მუხლები იგავებში, რომლებიც ეხება იმ თემას, რომელსაც მე ახლა ვსწავლობ?** იპოვეთ მრავალი იგავი, რომელიც ეხება თქვენს სიტუაციას.
6. **„ბიბლიის სხვა წიგნები ეხება თუ არა იმ თემას, რომელსაც მე ვსწავლობ?**
7. **„არსებობს თუ არა ბიბლიური პერსონაჟი, რომელიც განასახიერებს იგავს, რომელსაც მე ვსწავლობ?"**

იგავების განმარტება: მაგალითი

"მოვა ამპარტავნობა და მოჰყვება შერცხვენა, თავმდაბლობას კი სიბრძნე ახლავს" (იგავები 11:2).

1. იგავების 11:2 მიუთითებს ორ მიმართულებაზე: სიამაყეს სირცხვილი მოაქვს; თავმდაბლობას მივყავართ სიბრძნემდე.
2. იგავის პირველი ნაწილი გვაჩვენებს სიამაყის ნაყოფს: ეს არის - სირცხვილი. მეორე ნახევარი კი გვაჩვენებს თავმდაბლობის ნაყოფს - სიბრძნეს.
3. ეს ჭეშმარიტება ჩანს ბიბლიურ სწავლებაში, ძველ ტრადიციაში და შეიძლება დანახულ იქნას ამაყების ცხოვრებაზე დაკვირვებით. ამ გაკვეთილის სწავლა საკუთარ გამოცდილებაზე მტკივნეულია.
4. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა მათი სირცხვილი მაშინვე არ ჩანდეს, ეს იგავი მაინც ასრულდება ამაყთა ცხოვრებაში.

---

[238] ეს მონაკვეთი ადაპტირებულია ტრემპერ ლონგმან III-დან, როგორ წავიკითხოთ იგავები. (დაუნერს გროუვ ინტერვარსიტი პრეს, 2002 წ).

5. სიამაყე არის იგავების ძირითადი თემა. სხვა იგავები, რომლებიც ეხება სიამაყეს, მოიცავს 13:10; 16:5, 18 ; 18:12 ; და 29:23.

6. სიამაყე ბევრ სხვა მუხლშია მოხსენიებული, მათ შორის ფსალმუნების 9:4 და 137:6; ესაია 2:11; 1 კორინთელები 13:4 ; და იაკობი 4:6.

7. მეფე საულის დაცემა იგავების 11:2-ში ჩაწერილი ჭეშმარიტების ტრაგიკულ ილუსტრაციას იძლევა. ღვთისმიერ მეფე დავითის კურთხევა ასახავს ამ მუხლის ბოლო ნაწილს.

იგავების წიგნი გველაპარაკება დღეს

შესაძლებელია თუ არა ქრისტიანი იყოს მართალი სიბრძნის გარეშე? ბიბლია ვარაუდობს, რომ ეს შესაძლებელია. ლოტი მართალი იყო; მაგრამ არ ყოფილა ბრძენი.[239] მიუხედავად იმისა, რომ ლოტს შეეძლო სამოთხისთვის მიეღწია, მას თავისი უგუნურება ოჯახის წევრების სიცოცხლედ დაუჯდა, გაანადგურა მისი გავლენა სხვებზე და გულისტკივილი მოუტანა მას.

არაერთხელ გაქარწყლდა ქრისტიანების მოწმობა, იმის გამო, რომ ქრისტიანები ვერ მოქმედებდნენ გონივრულად. ეკლესიები გაიყო; ოჯახები დაინგრა და ახალგაზრდებმა მიატოვეს რწმენა, ეკლესიის ლიდერების უგუნური ქმედებების გამო. პიროვნულ დონეზე, ოჯახური პრობლემები, ფინანსური და ინტერპერსონალური სირთულეები უარესდება სიბრძნის ნაკლებობით.

იგავების წიგნს შეუძლია ქრისტიანების წარმართვა გონივრული ცხოვრებისკენ. იგავები გვაჩვენებს კავშირს შინაგან ღვთისმოსაობასა და ჩვენს გარშემო არსებულ სამყაროს შორის.[240] იგავები გვეხმარება ვიცხოვროთ ისე, რომ ქრისტიანის ცხოვრება სამყაროსთვის კურთხევა გახდეს.

უგუნური ახლო ხედით

იგავებში სიტყვა „უგუნური“ მოიცავს ოთხ განსხვავებულ ებრაულ ტერმინს. თითოეული ტერმინი აღწერს სხვადასხვა ტიპის უგუნურებას. ამის გამო, თითოეული ტიპის უგუნურზე ჩვენი რეაქცია განსხვავებული უნდა იყოს.

„უგუნური"-ს აღმნიშვნელი ებრაული ტერმინები

გულუბრყვილო

იგავებში ახალგაზრდები ხშირად არიან მოხსენიებულნი, როგორც „გულუბრყვილონი.” [241] გულუბრყვილოები ჩამოუყალიბებელი და მიამიტები არიან. ისინი უგუნურებას ჩადიან და ხანდახან ერთიანდებიან უგუნურებთან. ისინი უპასუხისმგებლო და მოუმწიფებლები არიან. რადგან ისინი ვერ

[239] 2 პეტრეს 2:7-8

[240] გ.რ. ფრენჩი. „იგავები ემყარება ურთიერთქმედებას შინაგან ღვთისმოსაობასა და ჩვენს გარშემო არსებულ სამყაროს შორის.”

[241] იგავები 1:4

ხედავენ საშიშროებას, რომელიც მათ გადაწყვეტილებებს მოყვება,[242] ისინი ადვილად ცდებიან გზას.[243]

განსხვავება გულუბრყვილოსა და უგუნურს, ბრიყვს შორის არის გამოხატული სიტყვებით: სწავლის უნარი. ბრიყვებს „სძულთ სიბრძნე და დარიგება,"[244] მაგრამ გულუბრყვილო მოისმენს. იგავების მიზანია გულუბრყვილოს სიბრძნისკენ უბიძგოს.

ბრიყვი

არსებობს ორი ებრაული სიტყვა, რომლებიც ითარგმნება როგორც „ბრიყვი". პირველი სიტყვა მიგვანიშნებს ჯიუტ, მოუთმენელ და სიბრძნის ძიების სურვილის არმქონე ადამიანზე. მას „სძულს ცოდნა"[245] და ჯიუტობს და რჩება უგუნურებაში.[246] ვინაიდან ის არ აფასებს სიბრძნეს, ბრიყვი არასოდეს ეცდება სიბრძნის მოპოვებას.[247]

მეორე სიტყვა, რომელიც აღწერს ბრიყვს, კიდევ უფრო მკვეთრია. ეს ბრიყვი მორალურად გარყვნილია; მან უარყო უფლის შიში.[248] ის „იცინის ცოდვაზე."[249]

სიბრიყვის ფესვი არის მორალური და არა ინტელექტუალური. ხალხის წარმოდგენით ბრიყვი არის ადამიანი, რომელიც ჭკვიანი არ არის. წმინდა წერილში კი ბრიყვია ადამიანი, რომელიც უარყოფს უფლის შიშს.

მქირდავი

იგავებში სულელის ყველაზე სასტიკი ტიპი არის მქირდავი, ანუ დამცინავი. ეს ტერმინი ჩვიდმეტჯერ არის გამოყენებული იგავებში. დამცინავი არა მხოლოდ უარყოფს სიბრძნეს, მას სიამოვნებს სხვების სიბრიყვემდე მიყვანა. მას სძულს ისინი, ვინც მას ასწორებს[250] და სადაც არ უნდა მიდიოდეს, მიაქვს უთანხმოება.[251] მქირდავის განაჩენი მკაცრია; რადგან მქირდავი უარყოფს სიბრძნეს, სიბრძნეც უარყოფს ამ ღვთისმგმობელს.[252]

---

[242] "წინდახედული ხედავს საფრთხეს და თავს არიდებს, გულუბრყვილონი კი აგრძელებენ სიარულს და ისჯებიან." იგავები 27:12.
[243] იხილეთ განსაკუთრებით იგავები 7:6-27. ეს ახალგაზრდა კაცი ცდუნებას არ ეძებს; ცდუნება პოულობს მას.
[244] იგავები 1:7
[245] იგავები 1:22
[246] იგავები 26:11
[247] იგავები 17:16
[248] იგავები 1:7, 29; 12:15
[249] იგავები 14:9
[250] იგავები 9:8
[251] იგავები 22:10
[252] იგავები 3:34

სიბრიყვის განკურნების საშუალება

სიბრიყვის განსაკურნებლად უნდა გვესმოდეს სიბრიყვის მიზეზი: ბრიყვმა აირჩია ღმერთისადმი უნდობლობა და საკუთარი სიბრძნეზე მინდობა.[253] საკვანძო ამონარიდში ეს ორი ვარიანტი ერთმანეთის გვერდით არის. ჩვენ შეგვიძლია ან ვენდოთ უფალს მთელი გულით, ან დავეყრდნოთ საკუთარ აღქმას; ორივეს ვერ გავაკეთებთ.[254] უფალზე მინდობას სიბრძნისკენ მივყავართ; საკუთარ თავზე დანდობა კი სიბრიყვეს იწვევს.

ასე რომ, სულელის კურნება უფლის შიშშია. სიბრიყვის მიზეზი სულიერია; სიბრიყვის წამალიც სულიერია. ბრიყვის პრობლემა ღმერთის წინააღმდეგ განწყობილი გულია, ადამიანის შინაგანია. ბრიყვის დასახმარებლად მშობელმა, მასწავლებელმა ან პასტორმა შინაგანზე უნდა იმუშაოს. უგუნურს ჩვენ ვერ გამოვასწორებთ; ამის ნაცვლად, მისი გული ღმერთმა უნდა გარდაიქმნას.

ეკლესიასტეს წინაპირობა

ავტორი და თარიღი

მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიასტეში სოლომონი პირდაპირ არ არის დასახელებული ავტორად, საწყისი ფრაზა მიუთითებს სოლომონზე: „სიტყვანი ეკლესიასტესი, დავითის ძისა, მეფისა იერუსალიმში“. ავტორის სიმდიდრისა და მიღწევების აღწერაც შეესაბამება იმას, რაც ვიცით სოლომონის შესახებ. შესაძლოა „ეკლესიასტე“ დაიწერა სოლომონის სიცოცხლის ბოლოს, სავარაუდოდ განდგომიდან დაბრუნებისას. ეს მიაკუთვნებს ამ წიგნს ძვ. წელთაღრიცხვით 935 წელს.

სიბრძნის სწავლება

სანამ ეკლესიასტეს თემის გარკვევას შევეცდებით, სასარგებლო იქნება ებრაული სიბრძნის შესახებ სწავლების ბუნება გავიგოთ. დღეს გვაქვს მოლოდინი, რომ მასწავლებელი წაიკითხავს ლექციებს, რომლებიც სტუდენტების შეკითხვებს გასცემს მკაფიო პასუხს. ძველად, ებრაელი მასწავლებლები სწავლების განსხვავებულ სტილს იყენებდნენ. ისინი სვამდნენ კითხვებს და აღწერდნენ სიტუაციებს, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვდა პასუხების მოძიებას. იგავების 30-ე თავის მრავალრიცხოვან გამონათქვამებში, აღწერილობების სერია მოითხოვს მოსწავლისგან იპოვნოს საერთო პრინციპი. მასწავლებლის მოვალეობა არა პასუხის გაცემაა, არამედ მოსწავლის მიერ პასუხების მოძიებაში ხელმძღვანელობაა.[255]

ღვთის პასუხი იობისადმი ამ ტიპის სწავლებას იყენებს. ღმერთი არ ეუბნება იობს: „აი ჩემი ბუნების სამპუნქტიანი აღწერა“. ამის ნაცვლად, ღმერთი სვამს კითხვებს, რომლებიც უცხადებს იობს მის ბუნებას. კითხვები არის ის მიმათითებლები, რომლებიც იობს ჭეშმარიტებისკენ უძღვება.

ეკლესიასტე სწავლების იმავე სტილს იყენებს. ის ცხადყოფს ცხოვრებისეულ სირთულეებს, რომლებსაც გონიერი ადამიანი აწყდება. პასუხების გაცემის ნაცვლად ეკლესიასტე სვამს კითხვებს და

---

[253] იგავები 1:22-25; 12:15

[254] იგავები 3:5-7

[255] ამ თემის შესასწავლად წაიკითხეთ კერტის, ედვარდ მ. და ჯონ ლ. ბრუგალეტა. სიბრძნის გზის აღმოჩენა. (მიჩიგანი: კრეგელ აკადემიკ, 2004).

აყენებს საკითხებს. შემდეგ ის გამოწვევას სთავაზობს მკითხველს, იპოვოს პასუხი ცხოვრებისეულ სირთულეებზე. იობის მიმართ ღმერთის კითხვების მსგავსად, ეკლესიასტეში არსებული სირთულეები მიზნად ისახავს გაუძღვეს მკითხველს სიბრძნისკენ.

ეკლესიასტეს გზავნილი

ეკლესიასტეს გზავნილი დიდი ხანია წარმოადგენს განხილვის თემას. მრავალჯერ გამეორებული ტერმინის „ამაოების“ გამო, ბევრი კომენტატორი მიიჩნევს ამ წიგნს, უარყოფითად, თითქმის უიმედოდ. ბევრმა მკითხველმა იკითხა: „რატომ არის ასეთი სასოწარკვეთილი წიგნი ბიბლიაში? ებრაული სწავლების სტილის გაგება გვეხმარება იმის დანახვაში, რომ ეკლესიასტე სიბრძნის ძიებისკენ გვიბიძგებს. ორი მოტივი არის ამ სიბრძნის ძიების ნაწილი.

მოტივი 1: ამაოება

ეკლესიასტესში განმეორებადი მოტივი არის სიცოცხლის ამაოება. წიგნი იწყება სასოწარკვეთილი ფრაზით: "ამაოებათა ამაოება” - ამბობს ეკლესიასტე. - "ამაოებათა ამაოება, ყოველივე ამაოებაა!”[256] ტერმინი ამაოება მთელ წიგნში მეორდება.

ამაოება რაღაც **დროებითს** გულისხმობს. ფსალმუნი 143:4 გვიჩვენებს სიცოცხლის ხანმოკლეობას: „ადამიანი ამოსუნთქვასავითაა, ჩრდილივით წარმავალია მისი დღეები“. ეკლესიასტე გვამცნობს, რომ სიამოვნება, სიმდიდრე, თვით სიცოცხლეც კი დროებითია.

ამაოება ზოგჯერ **აბსურდულობას ან უსამართლობას** გულისხმობს. „აჰა, ამაოება, ქვეყნად რომ ხდება: არიან მართლები, ბოროტეულთა საქმეებისამებრ რომ ეზღვებათ და არიან ბოროტეულნი, მართალთა საქმეებისამებრ რომ ეზღვებათ. ვთქვი - ესეც ამაოებაა.”[257]

ამაოება ზოგჯერ **უაზროობას** გულისხმობს. „ეკლესიასტეს“ ავტორი სიამოვნებაში ეძებდა საზრისს და აღმოაჩინა, რომ ეს ამაოება იყო; მას არ გააჩნია მუდმივი მნიშვნელობა.[258]

ებრაულ ლიტერატურაში ფორმა „x-დან x“ აღნიშნავს აღმატებით ხარისხს. „წმიდათა წმიდათა“ არის უწმინდესი ადგილი; „ქებათა-ქება“ საუკეთესოა ყველა საქებარ სიმღერას შორის. „ამაოება ამაოებათა“ გულისხმობს ყველაზე ცარიელს, ყველა ცარიელს შორის ყველაზე უაზროს, ყოველგვარ აზრს მოკლებულ რამეს. და რა არის ეს ყველაზე ცარიელი რამ? ”ყოველივე ამაოა.” თავად ცხოვრებაც ამაოებაა. ეს გვიჩვენებს ამ მოტივის სრულ უიმედობას.

მოტივი 2: სიხარული

„ამაოება“ არ არის ეკლესიასტეს ერთადერთი გზავნილი. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის მიღწევები ამაოა, ეკლესიასტე ასევე შეიცავს ცხოვრების პოზიტიურ მხარეებს. ეს ჩანს მეორე მოტივში, რომელიც ვლინდება მთელს ეკლესიასტეს წიგნში, „სიხარულის" მოტივი.

---

[256] ეკლესიასტე 1:2
[257] ეკლესიასტე 8:14
[258] ეკლესიასტე 2:1-12

ეკლესიასტეს 1-ლ და მე-2 თავებში ამაოების ასახვის შემდეგ, ავტორი ასკვნის: „კაცისთვის არაფერია იმაზე უკეთესი, რომ ჭამოს, სვას და თავისი ნაშრომის სიკეთით დატკბეს; ვიხილე ეს და ვთქვი - ესეც, ღმერთის ხელიდანაა.”[259] გზავნილი, რომ სიცოცხლე ღვთის საჩუქარია, მეორდება მთელს წიგნში. გზავნილი სიხარულის შესახებ ძირითადია ეკლესიასტეში.[260]

ეკლესიასტეს თემა: ცხოვრების საზრისის ძიება

ორი მოტივი, ამაოება და სიხარული, შეიძლება ურთიერთგამომრიცხავი გვეჩვენებოდეს. თუმცა, არის კიდევ რამდენიმე ფრაზა, რომელიც მეორდება მთელს წიგნში. ეკლესიასტე ოცდაცხრაჯერ იხსენიებს ფრაზას სიცოცხლე „მზისქვეშეთში“. ცხოვრება "მზისქვეშეთში" არის ცხოვრება, რომელიც მხოლოდ მიწიერი თვალსაზრისით განიხილება. "მზისქვეშეთში" სიცოცხლე ხშირად მოხსენიებულია "ამაოებასთან" ერთად.”

ეკლესიასტე ხუთჯერ მოიხსენიებს „ღვთის საჩუქარს“ ანუ სიცოცხლეს, რომელიც „ღმერთმა მისცა“. ის ხშირად ნახსენებია სიტყვებთან: "იმხიარულე" ან "ისიამოვნე".

ეს ფრაზები ერთად მიუთითებს თემაზე, რომელიც აერთიანებს ამ წიგნს. იგავების მსგავსად, ეკლესიასტე გვთავაზობს ორ გზას. იგავებში არჩევანი არის სიბრძნე ან უგუნურება. ეკლესიასტეში არჩევანი არის ამაოება (ცხოვრება მზისქვეშეთში), ან სიხარული (ცხოვრება, როგორც ღვთის საჩუქარი.) ცხოვრება, რომელიც მხოლოდ მიწიერი თვალსაზრისით განიხილება, უაზრო და ამაოა. ღვთის შიშით ცხოვრება - სიხარულია.

ცხოვრებაზე განსხვავებული შეხედულებების შეპირისპირება ეკლესიასტეში	
ცხოვრება, როგორც “ღვთის საჩუქარი”	სიხარული
ცხოვრება “მზისქვეშეთში”	ამაოება

ცხოვრებისეული პერსპექტივების შეპირისპირება ეკლესიასტესში.” [261] ღმერთმა ამცნო ადამიანს მარადისობისა და ჭეშმარიტი სიხარულის შესახებ. თუმცა, ჩვენ ვერასდროს ვიპოვით ამ სიხარულს საკუთარი ძალისხმევით. ჭეშმარიტი სიხარული გვეძლევა მხოლოდ ღმერთთან ურთიერთობაში, ღვთის მოშიშებაში.

ორი გზის თემა შეჯამებულია შესავალში („ამაოებათა ამაოება“) და დასკვნაში („გეშინოდეს ღვთისა და დაიცავი მისი მცნებანი, რადგან ეს არის უმთავრესი ყველა ადამიანისთვის“). „ეკლესიასტე“ არ არის სასოწარკვეთილების წიგნი; ეს არის სიბრძნის წიგნი, რომელიც მიუთითებს ჭეშმარიტ სიხარულზე.

---

[259] ეკლესიასტე 2:24

[260] გზავნილი სიხარულის შესახებ არ არის ერთჯერადი გამონაკლისი ამაოების თემიდან. სიხარულისკენ მოწოდება გვხვდება ეკლესიასტეში 2:24-26; 3:12, 22; 5:18; 8:15; 9:7-9; და 11:9-10.

[261] ეკლესიასტე 3:11

ეკლესიასტე ახალ აღთქმაში

ეკლესიასტეს გზავნილი ახალ აღთქმაშიც მეორდება. უღმერთოდ ცხოვრების ამაოება ჩანს იესოს გაფრთხილებებში სიმდიდრისკენ სწრაფვის საწინააღმდეგოდ.[262] ამავდროულად, იესო გვპირდება, რომ ყოველივე, რაც აუცილებელია ცხოვრებისთვის, უზრუნველყოფილი იქნება მათთვის, ვინც უპირველეს ყოვლისა სასუფეველს, ანუ მის სამეფოს ეძებს.[263] ცხოვრება მიწიერი სიკეთეების მისაღებად - ამაოებაა; ხოლო ისეთი სიცოცხლით ცხოვრება, რომელიც ღვთის საჩუქარია შენთვის, ნამდვილი სიხარულის მომტანია.

ქებათა-ქება

სახელწოდება

ამ წიგნს უწოდებენ ქებათა-ქებას ან "სოლომონის სიმღერას": "ქების სიმღერა სოლომონისა."[264] სახელწოდება "ქებათა-ქება" ნიშნავს, რომ ეს სიმღერა საუკეთესოა ყველა ქების სიმღერას შორის. ხოლო სახელწოდება „სოლომონის სიმღერა“ აკავშირებს ამ წიგნს მეფე სოლომონთან.

ქებათა-ქების განმარტება

ქებათა-ქებასთან დაკავშირებული ყველაზე დიდი კითხვაა "როგორ განვმარტოთ ეს წიგნი?" ამ წიგნის წაკითხვის ორი ძირითადი მიდგომა არსებობს: ალეგორიული და პოეტური.

ალეგორიული განმარტება

მკითხველები ხშირად სვამენ კითხვას, რატომ არის წიგნი რომანტიული სიყვარულის შესახებ წმინდა წერილის ნაწილი. ამის გამო არსებობს ქებათა-ქების ალეგორიული განმარტების ხანგრძლივი ტრადიცია. კომენტატორები, მესამე საუკუნეში ორიგენედან დაწყებული, მეოცე საუკუნეში ჰადსონ ტეილორის ჩატვლით, წერდნენ ქებათა-ქების ალეგორიულ კომენტარებს.

ქებათა-ქებისადმი ალეგორიული მიდგომა ხედავს ამ პოემას, როგორც ღვთის სიყვარულის სურათს თავისი ხალხის მიმართ. ებრაელმა მკითხველებმა წიგნში დაინახეს ღვთის სიყვარულის სურათი ისრაელისადმი; ქრისტიანი კომენტატორები ამას ხედავენ, როგორც ეკლესიისადმი ღვთის სიყვარულის გამოხატულებას.

ისინი, ვინც უარყოფენ ალეგორიულ მიდგომას, ორ არგუმენტს იშველიებენ. ჯერ ერთი, თავად ქებათა-ქება არ მიუთითებს ალეგორიულ ინტერპრეტაციაზე. მეორეც, ალეგორიულ მიდგომას ხშირად აკლია მკაფიო მნიშვნელობა. როდესაც ადამიანი კითხულობს კომენტარებს ქებათა-ქებაზე, ცხადი ხდება, რომ თითოეული კომენტატორი განსხვავებულად განმარტავს პოეტურ გამოხატულებას. ალეგორიულ ინტერპრეტაციას შეუძლია ყველა მკითხველს დაუტოვოს შესაძლებლობა, რომ მან თავად განმარტოს ღვთის სიტყვა საკუთარი შეხედულებით.

---

[262] ლუკა 12:16-21, მაგალითად
[263] მათე 6:33
[264] ქებათა-ქება 1:1

პოეტური განმარტება

ქებათა-ქებისადმი პოეტური მიდგომით, ეს წიგნი აღიქმევა, როგორც ადამიანური სიყვარულის გამოხატულება.[265] იქნება ის აღქმული დრამად, რომელიც კულმინაციას აღწევს ქორწინებაში, თუ ყოველგვარ ნარატიულ სტრუქტურას მოკლებულ სასიყვარულო ლექსების კრებულად, ეს მიდგომა წიგნს განიხილავს, როგორც სასიყვარულო ლექსების კრებულს.

ეკლესიის ისტორიის დიდი ნაწილისთვის პოეტური მიდგომა ნაკლებად პოპულარული იყო, ვიდრე ალეგორიული განმარტება. მეოცე საუკუნეში პირდაპირი ინტერპრეტაცია უფრო გავრცელებული გახდა.[266]

ამ მიდგომით, ქებათა-ქება განიხილება, როგორც რომანტიული სიყვარულის პოეტური სურათი. ბუნების პეიზაჟების წარმოსახვის გამოყენებით ქებათა-ქება გვიჩვენებს შეყვარებულისა და მისი სატრფოს სიყვარულს; ეს არის ქალისა და მამაკაცის სიყვარულის სურათი. ზოგიერთი მწერალი მიიჩნევს, რომ ქებათა-ქება თანცვედრაშია იგავების 31-ე თავთან. იგავების 31-ე თავი გვიჩვენებს ქორწინების პრაქტიკულ მხარეს; ქებათა-ქება გვიჩვენებს ქორწინების რომანტიკას.

ვინაიდან თავად ტექსტში არ არის მითითება, რომ წიგნი ალეგორიაა, პოეტური ინტერპრეტაციის მომხრეები ამტკიცებენ, რომ წიგნი სიტყვასიტყვით უნდა იქნას განმარტებული. ისინი, ვინც ეწინააღმდეგებიან პოეტურ ინტერპრეტაციას, ეჭვქვეშ აყენებენ რომანტიკული პოეზიის არსებობას წმინდა წერილში. ისინი ამტკიცებენ, რომ წიგნი უფრო მისაღებია, როგორც ღვთის სიყვარულის ალეგორია თავისი ხალხის მიმართ.

ქებათა-ქების გზავნილი

ბევრ მკითხველს აინტერესებს, "რატომ არის ეს წიგნი ბიბლიაში?" მიზეზი მაინც შეიძლება კაცობრიობის ღირებულების ჩვენება იყოს. ეკლესიასტე გვიჩვენებს, რომ სიცოცხლის კურთხევები არის ღვთის საჩუქარი, რომელიც მოცემულია მის მოშიშთათვის; ანალოგიურად, ქებათა-ქება გვიჩვენებს, რომ ადამიანური სიყვარული ღვთის საჩუქარია, რომელიც დასაფასებელია.

ღმერთი დაინტერესებულია ადამიანით მთლიანად. ზოგიერთი ადრეული ბერძენი ფილოსოფოსი, როგორიცაა პლატონი, სულს კარგად მიიჩნევდა, ხოლო ხორცს - ბოროტებად. ზოგიერთ ქრისტიანს ზოგჯერ მსგავსი შეხედულება აქვს. ეს შეხედულება ამბობს, რომ სხეული ბოროტებაა; სული კი კარგია. თუმცა, დაბადების წიგნი გვასწავლის, რომ მას შემდეგ რაც ღმერთმა შექმნა ადამიანი, „იხილა ღმერთმა ყოველივე, რაც შექმნა, და აჰა, კარგი იყო ფრიად."[267] მიუხედავად იმისა, რომ დაცემამ

---

[265] ამას ასევე შეიძლება ეწოდოს "პირდაპირი" (სიტყვასიტყვით) განმარტება. ამასთან, პირდაპირი მიდგომაც კი აღიარებს, რომ პოეზია იყენებს მეტაფორებს, რომლებიც სიტყვასიტყვით არ უნდა იქნას განმარტებული. ამის გამო, "პოეტური" განმარტება უკეთესი გამოხატვის საშუალებაა.

[266] არის რამდენიმე ადრინდელი კომენტატორი, რომლებიც ხელს უწყობდნენ ქებათა-ქების პოეტურ წაკითხვას. ესენია იოსებ ფლავიუსი I საუკუნეში და თეოდორე მოფსუესტიელი IV საუკუნეში. ადამ კლარკიც და ჯონ კალვინიც პოეტურ ინტერპრეტაციებს ემხრობოდნენ, თუმცა ორივე ხედავდა ტექსტში ზოგიერთ ალეგორიულ ასპექტს.

[267] დაბადება 1:31

შელახა ქმნილება, ღმერთი მაინც აფასებს მის მიერ შექმნილ სამყაროს. მათ კი, ვიც ადრეულ ეკლესიაში კრძალავდნენ ქორწინებას, პავლემ უპასუხა: „რადგან ღვთის გაჩენილი ყოველივე კარგია და არაფერია უარსაყოფი, თუ მადლიერებით იქნება მიღებული."[268] ქებათა-ქება არის ადამიანური სიყვარულის ღირებულების ბიბლიური მოწმობა. ქორწინების ფარგლებში, ფიზიკური სიყვარულით უნდა დატკბეთ, როგორც ღვთის საჩუქრით.

ქებათა-ქება ლაპარაკობს დღეს

მეორე მსოფლიო ომის დროს, დიტრიხ ბონჰოფერი, გერმანელი პასტორი, რომელიც ადოლფ ჰიტლერის წინააღმდეგ ქრისტიანულ ოპოზიციას ხელმძღვანელობდა, დაქორწინდა მარია ფონ ვედემეიერზე. ზოგიერთი მისი თანამოაზრე პასტორი ეჭვქვეშ აყენებდა მის გადაწყვეტილებას დაქორწინების შესახებ, ასეთი ეროვნული არეულობის დროს. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ბონჰოფერი „სულიერ საზრუნავზე" ფოკუსირებული უნდა დარჩენილიყო. თუმცა, ბონჰოფერი ამტკიცებდა, რომ ქორწინება სწორი იყო განსაკუთრებით არეულობის დროს. დაბადებასთან, ეკლესიასტესთან და ქებათა-ქებასთან ერთად, მას სჯეროდა, რომ ღვთის კარგი ქმნილება უნდა განდიდებულიყო.ბონჰოფერი არ უგულებელყოფდა ღვთისგან ბოძებულ სიხარულს, როგორც „არასულიერს". ბონჰოფერმა თქვა, რომ ჩვენი „თანხმობა ღმერთისადმი" იყო „თანხმობა" ღვთის მიერ შექმნილი სამყაროს სიკეთეებზეც. [269]

დღეს ქორწინება მრავალი მხრიდან არის თავდასხმის ქვეშ. საერო სამყაროში ("ქვეყნიერებაზე") ქორწინება განიხილება, როგორც მოძველებული ინსტიტუტი. ფართოდ გავრცელებული განქორწინება, ერთსქესიანთა ქორწინება და დაუქორწინებელი წყვილების თანაცხოვრება ძირს უთხრის ქორწინების სიწმინდეს. ბევრ ქრისტიანულ ოჯახში ქორწინება შენარჩუნებულია, მაგრამ მას არ ახლავს სიხარული, ან რომანტიულობა. ქებათა-ქება გამოხატავს რომანტიკულ სიყვარულს, როგორც ღვთის საჩუქარს, რომლითაც ღვთის შვილები უნდა დატკბნენ. ქრისტიანული ქორწინება ამ სიხარულის მაგალითი უნდა იყოს ჩვენი სამყაროსთვის. მიუხედავად იმისა, რომ არცერთი ქორწინება არ არის უპრობლემო, ქრისტიანებმა უნდა აჩვენონ, რომ ბიბლიურ პრინციპებზე დაფუძნებული ქორწინება შეიძლება იყოს მთელი ცხოვრების სიხარული ორივე მეუღლისთვის. მოსიყვარულე ქრისტიანული ოჯახი ძლიერი მოწმობაა ჩვენი სამყაროსთვის. ის ქებათა-ქების მემკვიდრეობის ნაწილია.

---

[268] 1 ტიმოთეს 4:4

[269] ერიკ მეტაქსასი, ბონჰოფერი (ნეშვილი: თომას ნელსონი, 2011), 468

მე-8 გაკვეთილის დავალებები

მოახდინეთ ამ გაკვეთილში მოცემული მასალის სწორად აღქმის და გაგების დემონსტრირება შემდეგი დავალების შესრულებით:

(1) აირჩიეთ შემდეგი დავალებებიდან ერთ-ერთი:

ვარიანტი 1: ჯგუფური დავალება

მიეცით თემა თქვენი ჯგუფის თითოეულ წევრს (ფული, საუბარი, ქორწინება და ა.შ.). იგავების წაკითხვისას ჩამოთვალეთ მოცემულ თემასთან დაკავშირებული ყველა მუხლი. დასასრულს ჩაუტარეთ ჯგუფს მოკლე პრეზენტაცია თემაზე „იგავების სწავლება...-თემაზე"

ვარიანტი 2: ინდივიდუალური დავალება

აირჩიეთ თემა როგორიცაა ფული, საუბარი, ქორწინება და ა.შ. იგავების წაკითხვისას ჩამოწერეთ თქვენთვის მოცემულ თემასთან დაკავშირებული ყველა მუხლი. დაწერეთ ერთგვერდიანი (450 სიტყვა) ესსე სათაურით, „იგავების სწავლება...-თემაზე"

(2) გაიარეთ ამ გაკვეთილის ტესტი. ტესტი მოიცავს საზეპირო მუხლებს წმიდა წერილებიდან.

მე-8 გაკვეთილის ტესტი

(1) ჯონ კალვინის თანახმად, რა ორი რამისგან შედგება ჭეშმარიტი სიბრძნე?

(2) ჩამოთვალეთ ამ გაკვეთილში მოცემული იგავის ოთხი მახასიათებლიდან ორი.

(3) რომელია იგავების ყველაზე გავრცელებული ტიპი 1 კრებულში (იგავები 1–9)?

(4) ჩამოთვალეთ იგავების განსამარტად ამ გაკვეთილზე მოცემული შვიდი კითხვიდან ოთხი.

(5) რა არის მთავარი განმასხვავებელი „გულუბრყვილოსა" და „ბრიყვს" შორის იგავებში?

(6) რა არის ეკლესიასტეს მთავარი თემა?

(7) რომელი ორი მოტივი იკითხება მკაფიოდ ეკლესიასტეში?

(8) ქებათა-ქების განმარტების რომელი ორი გზა არსებობს?

(9) დაწერეთ ზეპირად ნასწავლი მუხლები: იგავების 1:7 და ეკლესიასტეს 12:13–14.

გაკვეთილი 9
ესაია: მეხუთე სახარება

გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს, სტუდენტმა უნდა:
(1) იცოდეს ესაიას დაწერის სავარაუდო თარიღი და ისტორიული გარემო.
(2) შეეძლოს ესაიას ძირითადი თემების და მიზნების განსაზღვრა.
(3) სცნობდეს ბიბლიური წინასწარმეტყველების ბუნებას.
(4) აფასებდეს ესაიას მესიანურ დაპირებებს.
(5) ესმოდეს არგუმენტები, იმის სასარგებლოდ, რომ ესაიას წიგნს ერთი ავტორი ყავდა.
6) დაუკავშიროს ესაიას გზავნილი დღევანდელი ქვეყნიერების საჭიროებებს.

ამ გაკვეთილისთვის მომზადება

წაიკითხეთ ესაია.

დაიზეპირეთ ესაია 9:6-7.

წინასწარმეტყველური წიგნების შესავალი

► როგორი იყო ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა მსახურება? მათი გზავნილის რა ნაწილი იყო ნათელი მათი მსმენელებისთვის ხოლო რა იყო დაფარული მომავალში გაცხადებამდე?

ძველი აღთქმის წინასწარმეტყველური წიგნები მოიცავს "დიდ" წინასწარმეტყველებს (ესაია, იერემია, ეზეკიელი და დანიელი) და ასევე თორმეტ "მცირე" წინასწარმეტყველს (ოსია, იოველი, ამოსი, აბდია, იონა, მიქა, ნაუმი, აბაკუმი, სოფონია, ანგია, ზაქარია და მალაქია). ცალკეული წიგნების შესწავლამდე, უმჯობესი იქნება შევისწავლოთ წინასწარმეტყველის როლი, ძველი აღთქმის ისრაელში.

„კლასიკური“ ანუ „ჩაწერილი“ წინასწარმეტყველები მსახურობდნენ დაახლოებით ძვ. წ.-ით 800 წ.-დან. 450 წ.-მდე. ადრინდელ წინასწარმეტყველებს, როგორებიც იყვნენ ელია და ელისე, არ დაუტოვებიათ თავიანთი ქადაგების წერილობითი ჩანაწერები. თექვსმეტი წინასწარმეტყველი ახსოვთ, მათი სახელით დაწერილი წიგნებით.

ებრაულ ბიბლიაში სამი სიტყვა გამოიყენებოდა წინასწარმეტყველის აღსანიშნავად. ეს ტიტულები აჩვენებს წინასწარმეტყველის როლს ისრაელში. პირველი ორი სიტყვა (ჰოზეხ და როეხ) მომდინარეობს ფუძიდან, რომელიც ნიშნავს "დანახვას". ეს სიტყვები გვეუბნება, რომ წინასწარმეტყველი იყო „მხილველი“, ვინც ხედავდა ღვთის საქმეებს. მესამე სიტყვა (ნაბი) ნიშნავს "მოწოდებულს". ეს ეხება ადამიანს, რომელსაც ღმერთმა მოუწოდა, რათა ღვთის გზავნილი მიეტანა ადამიანებისთვის.

წინასწარმეტყველურ წიგნებში ნაჩვენებია წინასწარმეტყველთა რამდენიმე მახასიათებელი:

1. **წინასწარმეტყველები არ ლაპარაკობდნენ საკუთარი გზავნილის შესახებ; ისინი ამცნობდნენ ღვთის გზავნილს**. 350-ზე მეტი წინასწარმეტყველური წიგნი შეიცავს ფრაზას „ასე ამბობს უფალი“. წინასწარმეტყველები მოწოდებულნი იყვნენ, რომ ღვთის სიტყვა მიეტანათ ღვთის ხალხისთვის.
2. **წინასწარმეტყველები ღვთის გზავნილს გადასცემდნენ თავიანთ თაობას**. მათი გზავნილი პირველ რიგში გადაეცემოდა საკუთარ ხალხს. როცა წინასწარმეტყველებს ვკითხულობთ, უნდა ვიკითხოთ: „როგორ ესმოდა წინასწარმეტყველის უშუალო აუდიტორიას მისი გზავნილი? იმის ცოდნა, თუ როგორ გაიგო წინასწარმეტყველის გზავნილი პირველმა აუდიტორიამ, გვეხმარება უკეთ გავიგოთ მისი გზავნილი დღეს.
3. **წინასწარმეტყველები გადასცემდნენ ღვთის გზავნილს მომავალ თაობებს**. წინასწარმეტყველები იყვნენ „მხილველნი“. ესაიას პირველი სიტყვები მრავალი წინასწარმეტყველის სიტყვების მსგავსია: „ესაიას, ამოცის ძის ხილვა“.[270] ხილვებისა და განსაკუთრებული გამოცხადებების მეშვეობით ღმერთი უცხადებდა თავის წინასწარმეტყველებს მომავალ ჭეშმარიტებებს. წინასწარმეტყველებმა იხილეს როგორც მომავალი სამსჯავრო, ასევე მომავალი აღდგინებაც.

წინასწარმეტყველური წიგნების შესწავლისას ჩვენ დავინახავთ, რომ გარკვეული თემები ხშირად მეორდება. ამ წიგნებში სამი თემა იკითხება:

აღთქმისადმი ერთგულება

წინასწარმეტყველებმა არაერთხელ შეახსენეს თავიანთ აუდიტორიას, ანუ მსმენელებს, რომ ისრაელი იყო მოწოდებული ღვთის რჩეულ ხალხად. სინაზე ისრაელმა ღმერთთან აღთქმა, ანუ შეთანხმება დადო. ეს შეთანხმება რიტუალებზე და მსხვერპლშეწირვაზე უფრო მეტი იყო; ის მოითხოვდა პიროვნულ სიწმინდეს ღვთის წინაშე და სამართლიანობას სხვა ადამიანების მიმართ. ისეთი წინასწარმეტყველები, როგორიც იყო მიქა და ამოსი, დაუპირისპირდნენ ისრაელს, რადგან ერი არ ემორჩილებოდა აღთქმას.

უფლის დღე

წინასწარმეტყველებმა ოცზე მეტჯერ მოიხსენიეს „უფლის დღე“. უფლის დღე წინასწარმეტყველთა მიერ სამგვარად გამოიყენება:

- უფლის დღე ურწმუნოთა განკითხვის დრო იქნება.
- უფლის დღე ღვთის ხალხის განწმენდის დრო იქნება.
- უფლის დღე ხსნის დრო იქნება მათთვის, ვინც ერთგულია.

[270] ესაია 1:1

მესიის მოსვლა

წინასწარმეტყველთა მნიშვნელოვანი გზავნილია დაპირება მესიის შესახებ. ბიბლიის მკვლევარებმა აღმოაჩინეს ძველი აღთქმის 300-მდე წინასწარმეტყველება, რომლებიც მიუთითებენ მესიის მოსვლაზე.

ესაიას წინაპირობა

ესაია ერთი შეხედვით	
ავტორი	ესაია
სამიზნე აუდიტორია	იუდა
თარიღი	740-680 წწ. ძვ. წ.
თემა	მეხუთე სახარება
მიზანი	იუდას გაფრთხილება მომავალი სამსჯავროს შესახებ
	იუდასთვის აღთქმა(დაპირება) მომავალი ხსნის შესახებ
სახარება ესაიაში	მესია ქალწულისგან დაიბადება.
	ის ემსახურება წარმართებს.
	ის მოკვდება ცოდვილთა გამოსასყიდად.
	მესიის მეშვეობით ღვთის სამეფო გაიღება ყველა ერისთვის.

ისტორიული გარემო

ესაია, ამოცის ძე, მსახურობდა იუდას სამეფო კარზე ძვ. წ. VIII საუკუნის ბოლოს. ესაიას სახელი ნიშნავს "უფალმა გადაარჩინა", სახელი, რომელიც მოასწავებდა ესაიას მსახურების მთავარ თემას, ღვთის ხალხის ხსნას.

ესაიას მოწოდება წინასწარმეტყველურ მსახურებაზე მოხდა „მეფე ყუზიას სიკვდილის წელს."[271] მან აღწერა სანხერიბის გარდაცვალება ძვ. წ. 681 წელს.[272] ეს ესაიას წიგნის ათარიღად განსაზღვრავს დაახლოებით 740-680 წწ. ძვ. წ.-ით.

ესაია მსახურობდა იოთამის, ახაზის, ხიზკიაჰუს და მენაშეს მეფობის დროს. ებრაული ტრადიცია ამბობს, რომ მენაშემ მოკლა ესაია, მისი შუაზე გახერხვით.

ესაიას მსახურების პირველ წლებში ტიგლათ-ფილესერ III-მ გააფართოვა ასურეთის იმპერია. ჩრდილოეთის სამეფოს მეფე ფეკაჰმა შეუტია იუდას, რადგან ახაზმა უარი თქვა ასურეთის

[271] ესაია 6:1. მეფე ყუზია გარდაიცვალა დაახლოებით 740 წ. ძვ. წ.
[272] ესაია 37:38

წინააღმდეგ მოკავშირეობაზე. ესაიას წინააღმდეგობის გამო ახაზმა ასურეთს მიმართა. ესაიას გზავნილმა მისცა ნიშანი უახლოესი მომავლისთვის და წინასწარმეტყველება მესიის დაბადების შესახებ.[273]

ახაზის სიკვდილის შემდეგ მისი ვაჟი აუჯანყდა ასურეთს და მოკავშირეობდა ეგვიპტესთან. საპასუხოდ ასურეთის მმართველი სანხერიბი თავს დაესხა იუდას ძვ. წ. 701 წ. ხიზკიაჰუ პირველად დამარცხდა და იძულებული გახდა ხარკი გადაეხადა ასურეთისთვის.[274] მოგვიანებით ხიზკიაჰუ აჯანყდა სანხერიბის წინააღმდეგ. ხიზკიაჰუს ლოცვის საპასუხოდ, ღვთის ანგელოზი თავს დაესხა ასურელთა ჯარს, მოკლა 180 000 კაცი და განდევნა ასურელები იუდეიდან. ხიზკიაჰუს მეფობის დანარჩენი პერიოდი მშვიდობიანი იყო.[275]

მიზანი

ჩრდილოეთ სამეფოს დაცემით იუდა გამოცდის წინაშე აღმოჩნდა. გაჰყვებოდა თუ არა ის ისრაელს განდგომაში, თუ ღმერთის ერთგული იქნებოდა? ესაიამ გააფრთხილა მსჯავრის შესახებ იუდას ცოდვისთვის. მან ხსნის დაპირებით გაამხნევა იუდა, თუ ის დაბრუნდებოდა აღთქმაში.

ესაიას მიმოხილვა

ესაიას ზოგჯერ „მინიატურულ ბიბლიად“ მიიჩნევენ. პირველი ოცდაცხრამეტი თავი (შეესაბამება ძველი აღთქმის ოცდაცხრამეტ წიგნს) გვიჩვენებს ღვთის სამართლიანობას იუდას და მის მიმდებარედ არსებული ერების განსჯისას. ვინაიდან ღმერთი წმინდა ღმერთია, მას არ შეუძლია უგულებელყოს ცოდვა. ბოლო ოცდაშვიდი თავი (შეესაბამება ახალი აღთქმის ოცდაშვიდ წიგნს) ანუგეშად იუდას მომავალში მესიას პირდება.

წიგნი, რომელიც მოიცავს სამოც წელს, ოთხ მეფეს, ორ დიდ იმპერიას (ასურეთი და ბაბილონი) და ასობით წლის მოვლენებს წინასწარმეტყველებს, რთულია შეაჯამო რამდენიმე აბზაცში. ესაიას კითხვისას, ეს მონახაზი მთელი წიგნის განმავლობაში დაგეხმარებათ. თემების ეს შეჯამება მნიშვნელოვან აზრებს მოგაწვდით, რომლებსაც შეგიძლიათ გაჰყვეთ.

ესაიას სქემა, ანუ მოკლე მონახაზი

(1) წინასწარმეტყველებები სამსჯავროს შესახებ (ესაია 1–35)

- აქცენტი სამსჯავროზე
- უპირველეს ყოვლისა, ესაიას დროის მეამბოხე ხალხის მიმართ იყო

---

[273] ესაია 7:10-17 გვიჩვენებს, თუ როგორ იყო წინასწარმეტყველის გზავნილი მიმართული, როგორც მის თანამედროვეებისადმი, ასევე მომავალი თაობებისადმი. 735 წელს ძვ.წ,-ით ესაიამ უთხრა ახაზს, რომ სანამ იმ დღეს დაბადებული ვაჟი არჩევის ასაკს მიაღწევდა, სირია და ეფრემი (ჩრდილოეთის სამეფო) განადგურდებოდა. ეს ნაწილობრივ შესრულდა სირიის დაცემით ძვ.წ.-ის 732 წელს. და ჩრდილოეთის სამეფოს დაცემით ძვ.წ.-ის 722 წელს. ქალწულისგან შობილი „ემანუელის“ აღთქმის საბოლოო განხორციელება აღსრულდა მესიის, ანუ იესოს დაბადებით (მათე 1:20-23).

[274] 4 მეფეთა (2 მეფეთა)18:14-16

[275] ესაია 37

- გაფრთხილება, რომ ასურეთი დაამარცხებდა ისრაელის ჩრდილოეთ სამეფოს
- გზავნილები მრავალი ერის განკითხვაზე, მათ შორის ისრაელის, ასურეთის, ბაბილონის, ფილისტიმელების, მოაბის, დამასკოს, ქუშის, ეგვიპტის, ედომის, იუდეისა და ტვიროსის სამსჯავროებზე
- ხსნა ერთგულთათვის (ესაია 35)

(2) ისტორიული ინტერლუდია, ანუ ჩანართი (ესაია 36–39)

- სანხერიბის საფრთხე და ღვთის ხსნა (ესაია 36–37)
- სანხერიბის ამბით სრულდება ესაიას 1–35 თავების ასურული აქცენტი. ეს ხდება ძვ. წ.-ის 701 წ. და გვაჩვენებს, რომ ღმერთის რწმენას მოაქვს ღვთის კურთხევა.
- ხიზკიაჰუს ავადმყოფობა და სასწაულებრივი გამოჯანმრთელება (ესაია 38)
- ხიზკიაჰუს უგუნურება ბაბილონელი მეროდახ-ბალყადანის სტუმრობისას (ესაია 39)

მეროდახ-ბალყადანის სტუმრობის ამბით ძვ. წ.-ის 711 წ. იწყება ბაბილონის დომინირება ესაიას 40-66 თავებში. იუდას ცოდვები ბაბილონში გადასახლებას გამოიწვევს.[276]

(3) ნუგეშის მესიანური წინასწარმეტყველებები (ესაია 40–66)

- აქცენტი აღდგენასა და დაპირებებზე (აღთქმულზე)
- მიმართავდა ყველა თაობის ერთგულ ადამიანებს
- ნუგეში და ხსნა იუდასთვის (ესაია 40–48)
- მომავალი მსახური უზრუნველყოფს გამოსყიდვას (ესაია 49–55)
- ღმერთი აღადგენს ყველას, ვინც აღთქმის ერთგულია (ესაია 56–66)

მნიშვნელოვანი თემები ესაიაში

ნატამალი

ღმერთი შეინახავს ნატამალს, რომელიც ერის განდგომის მიუხედავად, ღვთის ერთგულია.[277] ესაიამ თავის ერთ-ერთ ვაჟს დაარქვა „შეარ-იაშუბი“, როგორც წინასწარმეტყველური გზავნილი, რომ ღმერთი გადასახლების შემდეგ იერუსალიმში დააბრუნებდა ერთგულ ნატამალს.[278]

---

[276] ესაია 38:6 გვაჩვენებს, რომ ესაია 38–39 თავების მოვლენებს ადგილი ჰქონდათ took ესაია 36–37 თავებში მომხდარ მოვლენებამდე. წიგნის თანმიმდევრობა, ალბათ, გამიზნულია ესაიას თემატური სტრუქტურის ხაზგასასმელად. ესაიას 36–37 თავებში მთავრდება ასურული აქცენტი; ესაიას 38–39 თავებში იწყება ბაბილონის ხაზგასმა. წინასწარმეტყველურ წიგნებში გავრცელებულია არაქრონოლოგიური სტრუქტურა.
[277] ესაია 1:9
[278] ესაია 7:3 და 10:20-21. შეარ-იაშუბი ნიშნავს „ნატამალი დაბრუნდება“.

ღმერთი, ისრაელის წმიდა

წინასწარმეტყველური მსახურების დასაწყისში ესაიამ იხილა „უფალი, დიდებულ და აღზევებულ ტახტზე მჯდარი“. ღმერთი გარშემორტყმული იყო სერაფიმებით, რომლებიც გასძახოდნენ ერთიმეორეს და ამბობდნენ: "წმიდაა, წმიდაა, წმიდაა ცაბაოთ უფალი! სავსეა მისი დიდებით მთელი დედამიწა!”[279] ამ ხილვამ შეცვალა ესაიას ცხოვრება და მსახურება. ესაიამ ოცდაცხრაჯერ გამოიყენა გამოთქმა „ისრაელის წმიდა“, სახელი, რომელიც აჩვენებს ღვთის სიწმინდეს.[280] ესაიას გზავნილის მნიშვნელოვანი ასპექტია ის, რომ ისრაელი სამსჯავროს წინაშე დგას, რადგან მათ უგულებელყვეს ღმერთის სიწმიდე, რომლზეც ამბობდნენ, რომ თაყვანს სცემდნენ.

ისრაელის წმიდის უზენაესობა ჩანს მის მიერ ისრაელის მტრების განკითხვაში. ღმერთმა უთხრა ესაიას დაერქმია თავისი ერთ-ერთი ვაჟისთვის „მაჰერ შალალ ხაშ ბაზი“, სახელი, რომელიც წარმოადგენდა იუდას მტრების მყისიერ სასჯელს.[281] იუდას გასაკვირად, ღმერთის უზენაესობა ასევე ვლინდება იუდას დასჯაშიც მისი განდგომის გამო.

საბოლოოდ, ისრაელის წმიდა აღადგენს თავის ხალხს. ესაიამ იწინასწარმეტყველა (იხილა) დღე, როცა ღვთის ხალხს აღარ ერქმეოდა „მიტოვებული“, არამედ „ჩემი სასურველი“. მან იწინასწარმეტყველა დღე, როდესაც ქვეყანას აღარ ერქვა "უკაცრიელი", არამედ "გათხოვილი.” [282] განდგომილი ერის ნაცვლად იუდას „წმინდა ხალხი“ დაერქმევა; გადასახლების ნაცვლად ისინი იქნებიან „უფლის მიერ გამოსყიდულნი“; უარყოფილის ნაცვლად, „მოძებნილნი“; მიტოვებულის ნაცვლად იერუსალიმს დაერქმევა „მიუტოვებელი ქალაქი.”[283]

მესიის მოსვლა

მომავალ მესიაზე აქცენტის გაკეთების გამო, ესაიას ზოგჯერ „მეხუთე სახარებად“ მოიხსენიებენ. ესაია წინასწარმეტყველებს, რომ მესია გამოისყიდის იუდას და ყველას, ვინც მას რწმენით მიმართავს. თავისი პირველი ქადაგებისას ნაზარეთში, იესომ წაიკითხა ესაია და განაცხადა, რომ წინასწარმეტყველის მიერ აღთქმულის შესასრულებლად მოვიდა.[284]

ესაიას ბოლო მონაკვეთში წინასწარმეტყველი წინასწარმეტყველებს მესიის, ღვთის ცხებულის მოსვლას. ის ქალწულისგან დაიბადება [285]; ის შეჭირვებულებს მოემსახურება [286]; ის დაიტანჯება

---

[279] ესაია 6:1-8
[280] ესაია 1:4; 5:19, 24; 10:17, 20; 12:6; 17:7; 29:19, 23; 30:11-12, 15; 31:1; 37:23; 40:25; 41:14, 16, 20; 43:3, 14-15; 45:11; 47:4; 48:17; 49:7; 54:5; 55:5; 60:9
[281] ესაია 8:1-3
[282] ესაია 62:4
[283] ესაია 62:12
[284] ლუკა 4:16-30; ესაია 61:1-2 და 58:6
[285] ესაია 7:14
[286] ესაია 61:1-3

კაცობრიობის გამოსასყიდად [287]; ერთ დღეს ის დიდებით იმეფებს.[288] მესიის წყალობით ღვთის ხალხის მომავალი ნათელია, მიუხედავად მათი ამჟამინდელი მდგომარეობისა.

ესაიას ავტორობა ახლო ხედით

ზოგიერთი ბიბლიური კრიტიკოსი ამტკიცებს, რომ ეს წიგნი მხოლოდ ესაიას არ დაუწერია. ამბობენ, რომ ესაია 1-39 თავები თვითონ ესაიას მიერ იყო დაწერილი, ხოლო 40-66 თავები დაწერილია მეორე ავტორის მიერ, რომელიც ცხოვრობდა ესაიას შემდეგ 100 წელზე მეტი ხნის შემდეგ. ისინი ამ ავტორებს „იერუსალიმელ ესაიას“ და „მეორე ესაიას“ უწოდებენ. ეს კრიტიკოსები ეჭვქვეშ აყენებენ ახალი აღთქმისმიერ დამოწმებას ესაიაზე, როგორც ავტორზე. ევანგელისტებს სჯერათ, რომ ღმერთმა მთელი წიგნი თავის წინასწარმეტყველს, ესაიას გაუცხადა. ამ ცხრილში ნაჩვენებია კრიტიკოსთა არგუმენტები და მახარებლების პასუხები.

პრობლემა	ლიბერალ კრიტიკოსების შეხედულებები	ევანგელისტების შეხედულებები
ესაია მსახურობდა ძვ. წ.-ის 740-680 წწ. ის ახსენებს გადასახლებიდან დაბრუნებას, რომელიც დაიწყო ძვ. წ.-ის 538 წ. ის კიროსს სახელით მოიხსენიებს 44:28-სა და 45:1-ში.	ვინაიდან კიროსი ესაიას სიკვდილიდან 100 წლის შემდეგ ცხოვრობდა, წინასწარმეტყველს ვერ იწინასწარმეტყველებდა მომავალ მმართველზე.	ღმერთმა ესაიას მომავალი განუცხადა - სპარსეთის მომავალი მმართველის კიროსის სახელის ჩათვლით.
ესაიას 1–39 თავები ძირითადად ასურეთსა და განკითხვას ეხება. ესაიას 40–66 თავები ძირითადად ბაბილონსა და ხსნას ეხება.	ავტორს არ ექნებოდა ასეთი მკვეთრი კონტრასტი თავის ნაწერში. ესაიას 40-66 თავები სხვა ავტორის მიერ უნდა იყოს დაწერილი.	ესაია მიმართავდა როგორც მის უშუალო მსმენელებს (ცოდვის დაგმობა) ასევე მომავალ მკითხველებს (აღდგენა ერთგულებისთვის). ეს არის დიდი კონტრასტის მიზეზი.
ესაიას 40–66 თავებში გამოყენებული ენა (განსაკუთრებით „ნუგეშის“ ენა) არ არის გამოყენებული ესაიას 1–39 თავებში.	ენის განსხვავება სხვა ავტორზე მიგვანიშნებს.	1–39 და 40–66 თავების სხვადასხვა თემები სხვადასხვა ენას მოითხოვს. თუმცა, ტერმინი, მაგალითად როგორიცაა „ისრაელის წმიდა“ გამოყენებულია წიგნის ორივე ნაწილში.

[287] ესაია 52:13 – 53:12
[288] ესაია 60–66

ესაიას მთელი წიგნის ავტორად აღიარების მიზეზები:

- ესაიას 1:1 ავტორად ასახელებს ესაიას, ამოცის ძეს.
- ესაიას ყველა ადრეული ებრაული ასლი წარმოაჩენს მას, როგორც ერთ წიგნს. არ არსებობს არანაირი მტკიცებულება, რომ ესაიას 1–39 და 40–66 თავები ოდესმე განიხილებოდა როგორც ორი ცალკეული წიგნი.
- ესაია ოცჯერ არის ნახსენები ახალ აღთქმაში. ეს ციტატები აღებულია ესაიას ორივე ნაწილიდან და მათში ესაია მოიხსენიება, როგორც მთელი წიგნის ავტორი.[289]

ესაია გველაპარაკება დრეს

ესაიას გზავნილი ისეთივე აქტუალური იყო მის დღეებში, როგორც ჩვენს დღეებშია. ერს, რომელიც არჩევნის წინაშე დგას, გაჰყოლოდა ისრაელს განდგომილებაში, თუ ღვთის ერთგული დარჩენილიყო, ესაია ელაპარაკა იმ სასჯელზე, რომელიც მოვიდოდა მათზე, ვინც ღმერთის მიმართ ორგული იყო. მან გააფრთხილა იუდაც და სხვა ერებიც, რომ ისრაელის წმიდას არ შეუძლია ცოდვის იგნორირება. დღევანდელ ყველაფრის დმშვებ კულტურაში უნდა გვახსოვდეს, რომ ღმერთი სჯის ცოდვას.

ერს, რომელიც მალე ბაბილონის ტყვეობაში მოექცეოდა, ესაიამ უამბო ღვთის კურთხევაზე იმ ხალხისთვის, რომელიც ღვთის ერთგული რჩება. ქრისტიანებისთვის დღეს არსებული საფრთხეების წინაშე უნდა გვახსოვდეს, რომ ღმერთი პატივს მიაგებს მათ, ვინც ერთგული რჩება. ის ჰპირდება, რომ მოუსმენს და აღადგენს მათ, ვინც მოინანიებს. ესაია ძლიერად საუბრობს 21-ე საუკუნის საჭიროებებზე.

დასკვნა: ესაია ახალ აღთქმაში

ესაია ძველი აღთქმის ერთ-ერთი წიგნია, რომელიც ყველაზე ხშირად არის ციტირებული ახალ აღთქმაში. ესაიას თემები, რომლებიც გამოიყენება ახალ აღთქმაში, მოიცავს:

- იოანე ნათლისმცემელი ხმა მღაღადებლისა უდაბნოში (ესაია 40:3; მათე 3:3)
- იესოს შობა ქალწულის მიერ (ესაია 7:14; მათე 1:23)
- იესოს მიერ იგავების გამოყენება (ესაია 6:9-10; მათე 13:13-15)
- იესოს მსახურება წარმართების მიმართ (ესაია 9:1-2 და 61:1-3; მათე 4:13-16 და ლუკა 4:14-21)
- ერების მოქცევა (ესაია 11:10 და 65:1; რომაელთა 15:12 და 10:20)

სახარების დამწერები, იესოს მთელი მსახურების განმავლობაში, მიიჩნევდნენ იესოს ესაიას წინასწარმეტყველებების აღსრულებად. ღმერთის აღთქმები, რომ აღადგენდა და გამოისყიდიდა

---

[289] მაგალითები მოიცავს მათეს 3:3, საქმეების 8:28 და რომაელთა 9:27-29. იოანეს 12:38-41 განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან იოანე ციტირებს ესაიას 6:10 და 53:1 მომდევნო მუხლებში. იოანე ორივე ციტატას ესაიასგან მომდინარედ მიიჩნევს.

თავის ხალხს, ნაწილობრივ შესრულდა ბაბილონიდან დაბრუნების დროს; ეს აღთქმები უფრო სრულად შესრულდა იესო ნაზარეველის გამოსყიდვის საქმით. საბოლოოდ და სრულად აღსრულებას ვიხილავთ, როდესაც ღვთის ოჯახი კვლავ გაერთიანდება თაყვანისცემაში ღვთის ტახტის გარშემო.

მე-9 გაკვეთილის დავალებები

მოახდინეთ ამ გაკვეთილში მოცემული მასალის სწორად აღქმის და გაგების დემონსტრირება შემდეგი დავალების შესრულებით:

(1) აირჩიეთ შემდეგი დავალებებიდან ერთ-ერთი:

ვარიანტი 1: ჯგუფური დავალება

განიხილეთ იესოს აღწერა ესაიას 53-ე თავში. წარმოაჩინეთ, როგორ აღასრულა იესომ ეს წინასწარმეტყველებები. დაწერეთ თქვენი ჯგუფის დისკუსიის მოკლე შეჯამება.

ვარიანტი 2: ინდივიდუალური დავალება

ესაიას წიგნის კითხვისას, შეადგინეთ წინასწარმეტყველებების სია მომავალი მესიის შესახებ. ჩამოთვალეთ ადგილები ესაიას წიგნიდან, რომლებიც შეიცავს მესიანურ წინასწარმეტყველებას, ხოლო შემდეგ ჩამოთვალეთ ადგილები ახალი აღთქმიდან, სადაც ნაჩვენებია წინასწარმეტყველებების აღსრულება.

(2) გაიარეთ ამ გაკვეთილის ტესტი. ტესტი მოიცავს საზეპირო მუხლებს წმიდა წერილებიდან.

მე-9 გაკვეთილის ტესტი

(1) რომელი ფრაზიდან ჩანს, რომ წინასწარმეტყველებს ღვთის სიტყვა მოჰქონდათ და არა საკუთარი გზავნილი?

(2) _____ სახელის გამოყენება წინასწარმეტყველების აღსაწერად გვიჩვენებს, რომ ღმერთმა მომავალი ჭეშმარიტება გაუმხილა თავის წინასწარმეტყველებს.

(3) ჩამოთვალეთ სამი თემა, რომლებიც გვხვდება წინასწარმეტყველურ წიგნებში.

(4) უფლის დღე მოიცავს სამ ასპექტს. ა ასპექტებია ეს?

(5) იუდას რომელი ოთხი მეფის დროს მსახურობდა ესაია?

(6) დაასახელეთ ესაიას წიგნის ორი მიზანი.

(7) ვინ არის ნატამალი ესაიას წიგნში?

(8) ღვთის რომელი სახელია გამოყენებული ესაიაში ღვთის სიწმინდისა და უზენაესობის საჩვენებლად?

(9) ჩამოთვალეთ სამი მიზეზი, რატომ უნდა ვაღიაროთ ესაია, ესაიას მთელი წიგნის ავტორად.

(10) დაასახელეთ ახალ აღთქმაში გამოყენებული ესაიას ორი განსახიერება.

(11) დაწერეთ ზეპირად ნასწავლი ესაიას 9:6-7.

გაკვეთილი 10
იერემია და გოდება:

მოტივალი წინასწარმეტყველი

გაკვეთილის მიზნები
ამ გაკვეთილის ბოლოს, სტუდენტმა უნდა:
(1) იცოდეს იერემიას დაწერის სავარაუდო თარიღი და ისტორიული გარემო.
(2) შეეძლოს იერემიას ძირითადი თემებისა და მიზნების გამოკვეთა.
(3)აღიარებდეს „წინასწარმეტყველურ სარჩელს“ წინასწარმეტყველთა წერილებში.
(4) შეიგრძნოს იერუსალიმის დაცემის ტრაგედია.
(5) დააფასოს იერემიას ნუგეშის მომცემი გზავნილი.
(6) დაუკავშიროს იერემიას გზავნილი დღევანდელი ქვეყნიერების საჭიროებებს.

ამ გაკვეთილისთვის მომზადება

წაიკითხეთ იერემია და გოდება.

დაიზეპირეთ იერემია 3:21-24.

შესავალი

იერემია და გოდება ერთი შეხედვით	
ავტორი	იერემია
სამიზნე აუდიტორია	იუდა
თარიღი	627-580 წ. ძვ. წ.
თემა	იერუსალიმის დაცემა
მიზანი	გაფრთხილება იუდას მომავალი სამსჯავროს შესახებ
	დაიწერა იერუსალიმის დანგრევის შესახებ
სახარება იერემიაში	იესო მოვიდა, როგორც მართალი ყლორტი, რომელიც ხსნას მოუტანდა იუდას (იერემია 23:1-8).
	იესოც, იერემიას მსგავსად, მისმა ხალხმა უარყო.
	იერემიას მსგავსად, პავლემ ღვთის მადლი დაინახა იგავში მეჭურჭლისა და თიხის შესახებ.

იერემია, ბიბლიის სიდიდით მეორე წიგნი, ასახავს იერუსალიმის დაცემამდე ბოლო დღეების სურათს. იერემია ცნობილია როგორც „მტირალი წინასწარმეტყველი“ რადგან გლოვობდა ღვთის ხალხის ცოდვისა და ღვთის ქალაქის დანგრევის გამო.

იერემიას წიგნში ჩვენ ვხედავთ წინასწარმეტყველის ბრძოლას იუდას ხალხამდე ღვთის გზავნილის მისატანად. გოდების წიგნში ჩვენ ვხედავთ წინასწარმეტყველის მწუხარებას, როდესაც უყურებს ბაბილონის მიერ განადგურებულ მის საყვარელ ქალაქს.

იერემიას წიგნის წინაპირობა

იერემიას და გოდების ისტორიული გარემო

იერემია იყო ლევიანთა ქალაქიდან, ანათოთიდან, რომელიც მდებარეობდა იერუსალიმიდან ჩრდილოეთით ხუთი კილომეტრის დაშორებით, ის იყო ანათოთელი მღვდლის ხილკიას ვაჟი. იმის ნაცვლად, რომ მამამისის მსგავსად მღვდელმსახურებას გაჰყოლოდა, იერემია წინასწარმეტყველად იქნა მოწოდებული. მისი ცხოვრების დარჩენილი ნაწილი მიეძღვნა ღვთის გზავნილის გადაცემას იუდასთვის მოახლოებული სასჯელის შესახებ. ნიშნად იერუსალიმზე მოახლოვებული უბედურებისა, ღმერთმა უთხრა იერემიას, რომ არ დაქორწინებულიყო.[290]

იერემიამ დიდი წინააღმდეგობა განიცადა, მათ შორის მკვლელობის მცდელობა, ცემა, ღალატში ბრალდებები და პატიმრობა. იერუსალიმის დაცემის შემდეგ, ჯგუფმა იერემია ეგვიპტეში მისი ნების საწინააღმდეგოდ წაიყვანა.[291]

იერემია იერუსალიმის დაცემამდე ორმოცი წლის განმავლობაში წინასწარმეტყველებდა. მან თავისი მსახურება, სავარაუდოდ, იუდას უკანასკნელი კარგი მეფის, იოშიას მეფობის დროს დაიწყო. იოშია მეგიდოში ეგვიპტელ ფარაონ ნექოსთან ბრძოლისას მოკლეს ძვ. წ. 609 წელს. ამით დაიწყო იუდას დაცემის პერიოდი. იოშიას ვაჟმა, იეჰოახაზმა, მხოლოდ სამი თვე დაჰყო, ეგვიპტეში წაყვანამდე. ფარაონმა ტახტზე მისი ძმა იეჰოიაკიმი დასვა. ძვ. წ. 605 წ. ბაბილონმა შეუტია იერუსალიმს და იუდეველ ტყვეთა პირველი ჯგუფი გადაასახლა.[292]

ძვ. წ. 598 წ. იეჰოიაკიმი აჯანყდა ბაბილონის წინააღმდეგ, მაგრამ გარდაიცვალა ბაბილონის მიერ იერუსალიმის ალყაში მოქცევის დროს. მისმა ვაჟმა, იეჰოიაქინმა, მხოლოდ სამი თვე იმეფა, სანამ ნაბუქოდონოსორმა დაამარცხა. იეჰოიაქინი გადასახლებულთა მეორე ჯგუფთან ერთად ბაბილონში გადაიყვანეს ძვ. წ. 597 წ.[293] ნაბუქოდონოსორმა ტახტზე ციდკია დასვა, იოშიას მეორე ვაჟი. ციდკია მართავდა ძვ. წ. 586 წ.-მდე, მაგრამ ეს იყო იუდას უწყვეტი დაცემის პერიოდი. ციდკიამ უარი თქვა იერემიას გაფრთხილებების შესმენაზე და წინასწარმეტყველი ციხეშიც კი ჩასვა.

---

[290] იერემია 16:1-4

[291] იერემია 11:18-23; 26:1-15; 20:2; 37:11-16; 38:1-13; და 43:1-7

[292] გადასახლებულთა პირველ ჯგუფში შედიოდნენ დანიელი და მისი მეგობრები (დანიელი 1:1-7).

[293] გადასახლებულთა მეორე ჯგუფში შედიოდა ეზეკიელი (ეზეკიელი 1:1-3).

ბაბილონის მმართველობის დამხობის მცდელობისას ციდკია ცდილობდა სხვა მეფეებთან მოკავშირეობას.[294] საპასუხოდ ნაბუქოდონოსორი კვლავ შეიჭრა იუდეაში ძვ. წ. 587-586 წწ. მესამე შემოსევის დროს ნაბუქოდონოსორმა დაარბია იერუსალიმი და დანიშნა გედალიაჰუ მეფისნაცვლად.[295] მთელი თავისი ეროვნული ისტორიის მანძილზე იუდას აღარასოდეს ეყოლება მეფე დავითის შტოდან.

იერემიას მსახურება შეიძლება დაიყოს სამ ეტაპად:

- ძვ. წ. 627-605 წწ. ის წინასწარმეტყველებდა, იმ დროს, როდესაც იუდას ასურეთი და ეგვიპტე ემუქრებოდნენ.
- ძვ. წ. 605-586 წწ. ის წინასწარმეტყველებდა იუდაზე ბაბილონის თავდასხმების დროს.
- ძვ. წ. 586-580 წწ. ის მსახურობდა იერუსალიმსა და ეგვიპტეში იუდას დაცემის შემდეგ.

მიზანი

იერემია უცხადებს იუდას ღვთის მოთმინებით სავსე გაფრთხილებებს. ვინაიდან მათ უარი თქვეს მონანიებაზე, ღვთის სასჯელი გარდაუვალი იყო. იერემიამ ასევე ღვთის ერთგული ნატამალის აღდგინების აღთქმა, ანუ დაპირება ამცნო. მიუხედავად იმისა, რომ იერემიას მსმენელები არ გამოეპასუხნენ მის ცნობას, წიგნი, რომელიც მან დატოვა, მოგვითხრობს ღვთის ერთგულების შესახებ იუდას ბოლო დღეებში.

იერემიას მიმოხილვა

იერემიაში არ არის დაცული ქრონოლოგიურ თანმიმდევრობა. ის მოკლებულია მკაფიო სტრუქტურას, რაც შეიძლება მივაწეროთ იმ დიდ სტრესს, რომელიც იერემიამ გადაიტანა თავის ცხოვრებაში.

თქვენ შეგიძლიათ შეიქმნათ ზოგადი წარმოდგენა იერემიას ცხოვრებისა და იერუსალიმის დაცემის შესახებ შემდეგი თავების ამ თანმიმდევრობით წაკითხვით:

---

[294] იერემია 27:1-15
[295] იერემია 39-40

თავი	სავარაუდო თარიღი (ძვ. წ.)	თემა
1	627	იერემიას მოწოდება
7	609-597	ტაძრის ქადაგება
11-13	გაურკვეველი	იერემიას მსახურების წინააღმდეგობა
26	608	იერემიას მოკვლით ემუქრებიან
25	605	სამოცდაათ წლიანი ტყვეობა
36	605	იეჰოიაკიმი წვავს იერემიას გრაგნილს
29	597	წერილი გადასახლებულებს
20	597-586	ფაშხურ მღვდლის წინააღმდეგობა
27-28	594	დაპირისპირება ხანანიასთან
32	588	იერემია ყიდულობს მინდორს
37-38	588	იერემია დაპატიმრებულია
39 & 52	586	იერუსალიმის დაცემა
40-41	586	გედალიაჰუს მმართველობა
42-43	586/585	იერემია მიჰყავთ ეგვიპტეში

დარჩენილ თავებში დაწერილია იერემიას გზავნილები ღვთის ხალხისთვის, გზავნილები, რომლებიც დიდწილად უგულებელყოფილია მისი მსმენელების მიერ.

იერემიას მონახაზი

იერემიას მოწოდება (იერემია 1)

► აღწერეთ თქვენი მსახურებაში მოწოდება. როგორი დამოწმება გქონდათ მსახურებაში თქვენს მოწოდებაზე?

იერემიას დაბადებამდე ღმერთმა ის ერების წინასწარმეტყველად დანიშნა. როდესაც ღმერთმა მას წინასწარმეტყველად მოუწოდა, იერემიამ უპასუხა, რომ ის ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო და მზად არ იყო ასეთი პასუხისმგებლობისთვის. ღმერთმა ამის პასუხად სამი ნიშნით დაამოწმა იერემიას მოწოდებაზე:

1. ღმერთი შეეხო იერემიას ბაგეს, რათა თავისი სიტყვები ჩაედო მის ბაგეში. (იერემია 1:9-10).

2. ღმერთმა იერემიას ნუშის ხის ტოტი დაანახა და უთხრა, რომ ის თვალყურს ადევნებდა თავისი სიტყვის შესრულებას. (იერემია 1:11-12).[296]

3. ღმერთმა იერემიას მდუღარე ქვაბის ხილვა მოუვლინა, რომელიც მიწაზე გადმოღვრილ რისხვას განასახიერებდა. (იერემია 1:13-14).

იუდას ურწმუნოება და ორგულობა აღთქმისადმი (იერემია 2–10)

ქადაგებების, საგნობრივი გაკვეთილებისა და იგავების მეშვეობით იერემია ასახავს იუდას ურწმუნოებას და ორგულობას აღთქმისადმი. იუდა ჰგავს მოღალატე ცოლს, რომელიც სხვა საყვარლებს მიჰყვება. იერემიას მე-7 თავში, "ტაძრის ქადაგებაში", წინასწარმეტყველი გმობს მორწმუნეებს, რომლებიც თვლიან, რომ ტაძრის გამო გადარჩებიან. ღმერთმა როგორც შილოს (ისრაელის ყოფილი თაყვანისცემის ადგილის) განადგურება დაუშვა, ესევე დაუშვებს ტაძრის დანგრევასაც. [297] ღვთის სახლი ავაზაკთა ბუნაგად იქცა და აღარ არის წმინდა, რადგან თაყვანისმცემლები არ არიან წმინდები.

იერემია იბრძვის ღმერთთან და იუდასთან (იერემია 11–20)

ეს მონაკვეთი, სახელწოდებით „იერემიას აღსარება“, მოიცავს ლოცვებს, რომლებშიც იერემია შესჩივის ღმერთს თავის მსმენელთა სიჯიუტის გამო. იერემია წარგზავნილია იმ ადამიანებისთვის საქადაგებლად, რომლებიც უარყოფენ მის გზავნილებს და შეთქმულებას აწყობენ ამ წარმოგზავნილი მაცნეს მოსაკლავად.

იერემია სასოწარკვეთილებას განიცდის ასეთი უიმედო გზავნილის ქადაგებისას. ღმერთი ეუბნება იერემიას: „თვით მოსე და სამუელი რომ დადგნენ ჩემ წინაშე, აღარ მომიბრუნდება გული ამ ხალხზე; მომაშორე, წავიდნენ.”[298] იმის გამო, რომ იუდა უარს აცხადებს მონანიებაზე, დასჯის გარდა არაფერი რჩება. ცრუ წინასწარმეტყველებმა უთხრეს ხალხს, რომ ღმერთი მშვიდობას მოუტანდა; ამის ნაცვლად კი, ისინი ან დაიხოცებიან, ან ტყვეობაში წავლენ.[299] განდგომილი იუდას მშვიდობა არ იქნება.

იერემიას დაპირისპირება იუდას მმართველებთან და წინასწარმეტყველებთან (იერემია 21–29)

იერემია დაუპირისპირდება მეფე იეჰოიაკიმს, რომელიც არ გაჰყვა მამის გზას, რაც ღმერთისადმი მორჩილებას გულისხმობდა. მეფის დაკრძალვასთან დაკავშირებული დეტალურად შემუშავებული რიტუალების ნაცვლად, იერემია წინასწარმეტყველებს, რომ იეჰოიაკიმს ქალაქის კარიბჭეს გარეთ გაათრევენ და მკვდარი ვირივით გადააგდებენ.

---

[296] ნუშის ხის ნიშანი ებრაული სიტყვების თამაშია. "ნუში" არის ებრაული სიტყვა shaqed; "თვალყურის დევნება" არის სიტყვა shoqed. ნუშის ხე იყო პირველი, რომელიც გაზაფხულზე ყვაოდა, ამიტომ ებრაელები ამბობდნენ, რომ ნუშის ხე „თვალყურს ადევნებდა გაზაფხულს“. ანალოგიურად ღმერთი ეუბნება იერემიას, რომ თვალს ადევნებს წინასწარმეტყველური გზავნილის შესრულებას.
[297] იერემია 7:14; 1 მეფეთა (1 სამუელი)1:3 და 4:2-11
[298] იერემია 15:1
[299] იერემია 14:3-16 და 15:2-9

იერემია უპირისპირდება ცრუ წინასწარმეტყველებს, რომლებიც ცრუ გზავნილებით იმედს აძლევენ ხალხს, ვისაც დანაშაული მიუძღვით ღვთის წინაშე.

ალყის დროს იერემია ტაძრის გარეთ დგას, რათა ხალხს სამსჯავროს გზავნილით დაუპირისპირდეს. ის ეუბნება, რომ მათ სამოცდაათწლიანი ტყვეობა ემუქრებათ. ღვთის რისხვის თასი სავსეა; იერუსალიმს მოუწევს შესვას ეს სასმისი ყველა იმ ერთან ერთად, რომლებმაც ღმერთი მიატოვეს.

იერემია კისერზე უღელს ატარებს, იერუსალიმის ბაბილონისადმი მომავალი მორჩილების სიმბოლოდ. ცრუ წინასწარმეტყველი ხანანია ამტვრევს უღელს და ამბობს, რომ ღმერთი მალე გაათავისუფლებს ერს ნაბუქოდონოსორისგან. განკითხვისას ღმერთი ხანანიას სიცოცხლეს ართმევს.

ბოლო წინასწარმეტყველება ამ ნაწილში, გვევლინება წერილის სახით ბაბილონში გადასახლებულთა მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ხანანია და სხვა ცრუწინასწარმეტყველები წინასწარმეტყველებენ ბაბილონის დამარცხებას, იერემია ეუბნება გადასახლებულებს, რომ ააშენონ სახლები, გააშენონ ბაღები და ილოცონ მშვიდობისთვის ბაბილონში, რადგან ისინი იქ სამოცდაათი წლის განმავლობაში იქნებიან.

მომავალი აღდგინების შეპირება (იერემია 30–33)

ამ თავებს ხშირად უწოდებენ "ნუგეშის წიგნს". მიუხედავად იმისა, რომ იერემიას გზავნილის დიდი ნაწილი განკითხვის გზავნილია, ის თავის მსმენელებს ეუბნება, რომ ღმერთი აღადგენს იუდას თავის მიწაზე. მიუხედავად იმისა, რომ ისრაელი არ იყო ერთგული აღთქმის მიმართ, ღმერთი დაწერს ახალ აღთქმას „მათ გულებზე“ და „აღარ გაიხსენებს მათ ცოდვას.”[300]

ღმერთი ეუბნება იერემიას, რომ იყიდოს მიწის ნაკვეთი მისი ბიძაშვილი ხანამეელისგან. ეს გასაკვირი დავალებაა, რადგან იერუსალიმი მალე განადგურდება! როდესაც იერემია ითხოვს ახსნას, ღმერთი იძლევა მშვენიერ დაპირებას, რომ დადგება დღე, როდესაც „ვერცხლით იყიდიან კაცები მინდვრებს, ნასყიდობის წერილებს დაწერენ, დაბეჭდავენ და მოწმეებს დაუძახებენ… რადგან მე აღვუდგენ მათ ქონებას”, - ამბობს უფალი.”[301] ღმერთს არ დავიწყებია თავისი ხალხი. დასჯის დროსაც კი, ის ჰპირდება მომავალ აღდგენას.

იერუსალიმის ბოლო დღეები (იერემია 34–45)

34-45 თავებში ჩაწერილია იერუსალიმის ბოლო დღეები. იუდას წინამძღოლები აგრძელებენ ღვთის სიტყვის უარყოფას ბოლო წუთამდე. იერემიას ექცევიან როგორც მოღალატეს და აპატიმრებენ იმის გამო, რომ ტყვეობის დროს, მათ მოახლოვებულ დაღუპვას ამცნობს. თუმცა ცნობა, ღვთის განაჩენის შესახებ სრულდება: იერუსალიმი დაეცა, მეფე ციდკიაჰუ ტყვედ ჩავარდა და მისი ვაჟები დახოცეს, ვიდრე დაბრმავდებოდა, ბოლო, რაც ციდკიაჰუმ დაინახა, მისი ვაჟების სიკვდილი იყო.

მას შემდეგ, რაც ბაბილონის მარიონეტული მმართველი, გედალიაჰუ მოკლეს, იუდეველთა ჯგუფი ეგვიპტეში გაიქცა და წაიყვანა იერემია და მისი დამხმარე, ბარუქი. ეგვიპტეშიც კი ბევრი იუდეველი

---

[300] იერემია 31:31-34
[301] იერემია 32:44

აგრძელებს კერპების თაყვანისცემას. იერემია, მათი გამუდმებული კერპთაყვანისმცემლობით გამოწვეული ტანჯვის გაგრძელებას წინასწარმეტყველებს.

წინასწარმეტყველებები სხვა ერებისთვის (იერემია 46–51)

მიუხედავად იმისა, რომ იერემიას წიგნის დიდი ნაწილი იუდას განკითხვის გზავნილებს ეძღვნება, ღვთის უზენაესობა სხვა ერებზეც ვრცელდება. წინასწარმეტყველურ გზავნილებს შორის, იერემია წინასწარმეტყველებდა ეგვიპტის, ფილისტიმელების, მოაბის, ყამონის, ედომის, დამასკოს, კედარის, ხაცორისა და ელამის წინააღმდეგ. ბოლოს კი, ასრულებამდე ორმოცდაათი წლით ადრე, იერემიამ ბაბილონს დაცემა და მიდიელების ხელში ჩავარდნა უწინასწარმეტყველა.[302]

ეს ნაწილი გვიჩვენებს, რომ ღმერთი უზენაესია და მეფობს ყველა ადამიანზე. ღმერთმა სხვა ერები გამოიყენა ისრაელის გასასამართლებლად, მაგრამ შემდეგ ის გაასამართლებს მათ და თავის ხალხს იერუსალიმში დააბრუნებს. ღმერთმა გამოიყენა ასურეთი ისრაელის დასასჯელად; შემდეგ მან ნაბუქოდონოსორს ასურეთის დამარცხების უფლება მისცა. გადასახლების შემდეგ ღმერთი აღადგენს და აპატიებს იუდას.[303]

იერუსალიმის დაცემის თხრობა (იერემია 52)

იერემიას წიგნი სრულდება იერუსალიმის დაცემის აღწერით. იერემია 52-ე თავი თანხვედრაშია 4 მეფეთა (ანუ 2 მეფეთა) 24-25 და იერემიას 39 თავებთან. წიგნი მთავრდება იმედის მომცემი ამბით. ნაბუქოდონოსორის მემკვიდრემ, ევილ მეროდაქმა, გაათავისუფლა მეფე იეჰოიაქინი ციხიდან და ნება დართო, მეფის სუფრასთან ეჭამა. ეს იერემიას მკითხველს შეახსენებს, რომ დავითის შტო შენარჩუნებულია. ღმერთი აგრძელებს თავის ხალხზე ზრუნვას, გადასახლებაშიც კი.

„წინასწარმეტყველურ სარჩელი" ახლო ხედით

ხუთწიგნეულში, ჩვენ დავინახეთ აღთქმის მნიშვნელობა ისრაელის ისტორიაში. მოსეს რჯული ბევრად მეტი იყო, ვიდრე უბრალოდ წესები და კანონები ისრაელის მმართველობისთვის. ღმერთის აღთქმა ისრაელთან დაფუძნებული იყო სიყვარულით ურთიერთობაზე. ისრაელის დაუმორჩილებლობამ დაარღვია აღთქმა, რომელიც ღმერთსა და ისრაელს ერთმანეთთან აკავშირებდა.

წინასწარმეტყველები ხშირად მიუთითებდნენ მოსეს რჯულზე, რათა ეჩვენებინათ, რომ ისრაელმა დაარღვია ღმერთთან დადებული აღთქმა. ჩვენ ამ ბრალდებებს ვუწოდებთ „წინასწარმეტყველურ სარჩელს“, ბრალდებების სიას იუდას წინააღმდეგ. იერემია აჩვენებს, რომ იუდამ დაარღვია ღმერთთან დადებული შეთანხმება და უნდა განიცადოს წყევლა, რომელიც აღთქმის ნაწილი იყო. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს წინასწარმეტყველური სარჩელის ელემენტებს იერემიაში.

---

[302] იერემია 51:11. ძვ. წ.-ს 550 წ., კიროსმა მოახდინა მიდიელების ასიმილირება სპარსეთის იმპერიაში. ამ იმპერიამ ძვ. წ.-ით 539 წ. გაანადგურა ბაბილონი და ნება დართო ისრაელის ხალხს დაბრუნებულიყვნენ იერუსალიმში.
[303] იერემია 50:17-20

წინასწარმეტყველური სარჩელი	იერემია
გამოწვევა დამნაშავე მხარისთვის	“ისმინე უფლის სიტყვა, იაკობის სახლო, და ისრაელის სახლის ყოველო ოჯახო.” (იერემია 2:4).
ღვთის სიკეთის შეხსენება იუდასთვის	“მოგიყვანეთ ნაყოფიერ ქვეყანაში, რათა გეჭამათ მისი ნაყოფი და დოვლათი” (იერემია 2:5-7).
ბრალდებები ისრაელის წინააღმდეგ	“ამიტომ კიდევ დაგიწყებთ დავას, ამბობს უფალი, თქვენ და თქვენს შვილთაშვილებსაც მოვედავები... ჩემმა ხალხმა კი უსარგებლო კერპებზე გაცვალა თავისი დიდება... რადგან ორი ბოროტება ჩაიდინა ჩემმა ხალხმა: მე, ცოცხალი წყლების წყარო, მიმატოვეს და ამოკვეთეს თავიანთთვის ჭები, დანგრეული ჭები, წყალს რომ ვერ იკავებენ” (იერემია 2:9-13).
მოწოდება იუდას წინააღმდეგ მოწმობისთვის	“გაოგნდით, ცანო, ამ ამბის გამო, შეძრწუნდით და შეშფოთდით” - ამბობს უფალი” (იერემია 2:12).
გლოვა იუდას ღალატზე	“განა დაივიწყებს ქალწული თავის სამკაულს, პატარძალი - თავის მორთულობას? ჩემმა ხალხმა კი დამივიწყა და დავიწყების დღეებს რიცხვი არა აქვს” (იერემია 2:31-32).
დაპირება აღდგენის შესახებ, თუ იუდა მოინანიებს	“მობრუნდით, განდგომილო ძეებო, ამბობს უფალი... იმ დროს "უფლის ტახტს” უწოდებენ იერუსალიმს, უფლის სახელით შეიკრიბება ყველა ხალხი იერუსალიმში” (იერემია 3:13-17).

იერემია

გოდების ისტორიული ფონი და სტრუქტურა

მიუხედავად იმისა, რომ გოდების წიგნში არ არის მითითებული ავტორი, ებრაული და ქრისტიანული ტრადიცია წიგნს იერემიას მიაწერს. იგი დაწერილია იერუსალიმის დაცემის შემდეგ, რაც წიგნის მთავარი თემაა. სავარაუდოა, რომ იერემიამ გოდება დაწერა ეგვიპტეში ტყვედ წაყვანამდე.

გოდება შედგება ხუთი ლექსისგან, რომლებშიც იერუსალიმის განადგურების გლოვაა. ეს ლექსები გამოხატავს პოეტის პირად მწუხარებას.

ყოველი თავი, გარდა გოდების მე-5 თავისა, არის გადმოცემული სპეციალური ფორმით, რომელსაც აკროსტიკა ეწოდება. ებრაული ანბანი შეიცავს ოცდაორ ასოს. გოდების 1, 2 და 4-ე თავებში, ყოველი მუხლი ანბანის შემდეგი ასოთი იწყება. გოდების 1:1 იწყება ალეფ-ით, ებრაული ანბანის პირველი ასოთი. გოდების 1:2 იწყება ბეთ-ით და ამგვარად გრძელდება მთელი თავი. გოდების მე-3 თავი შეიცავს სამოცდაექვს მუხლს, ოცდაორ სამი მუხლისგან შემდგარ ჯგუფს. ამ პოეტური ფორმის გამოყენება, იერემიას მწუხარების გადმოღვრას, სტრუქტურას ანიჭებს.

გოდების მიზანი

ეს ლექსები აღწერს ავტორის დიდ მწუხარებას იერუსალიმის დაცემის გამო. ისინი ცხადყოფენ, რომ იერუსალიმის ტანჯვა იუდას ცოდვის შედეგი იყო და არა ღმერთის გეგმის ჩავარდნის. იერემიას წიგნი იერუსალიმის მომავალი დაცემის მოლოდინია; ხოლო გოდება, ქალაქის დაცემის გახსენება.

იერუსალიმის დაცემის ორი ხედვა		
იერემია **მოლოდინშია** (გაფრთხილება)	იერუსალიმის დაცემა	გოდება **იხსენებს** (გლოვა)

გოდების გზავნილი

გოდება მწუხარებიდან ლოცვაში გადადის. იგი იწყება გოდებით, რომელიც აღწერს იერუსალიმის ტრაგიკულ დასასრულს. ეს ოდესღაც დიდი ქალაქი დაქვრივდა. ის ორგული იყო ღმერთის მიმართ და ახლა მან „დაამწუხრა იგი მრავალი დანაშაულის გამო.” [304] გოდების თეოლოგია ეთანხმება მეფეებისა და იერემიას წიგნებს. ეს წიგნები აჩვენებს, რომ იერუსალიმი დაეცა:

- ხალხის ცოდვის გამო (იერემია 1:18)
- ცრუწინასწარმეტყველებისა და ცოდვილი მღვდლების გამო (იერემია 4:13)

გოდების მე-3 თავი აგრძელებს იერუსალიმის გლოვას, მაგრამ შემოაქვს ღვთის წყალობის თემა. გოდების 3:19-39 არის ღვთის სიკეთისა და ურყევი სიყვარულის ანარეკლი.

მორიგი გლოვის შემდეგ, რომელიც აღწერს იერუსალიმის ალყის დროს არსებულ პირობებს (იერემიას მე-4 თავი), პოეტი ამთავრებს აღდგენის ლოცვით. გოდება აღიარებს, რომ იუდას ერთადერთი იმედი ღვთის წყალობაა: „შენკენ მოგვაბრუნე, უფალო, და მოვბრუნდებით!“[305]

იერემია ლაპარაკობს დღეს

თანამედროვე ეკლესიის ნაწილი დატყვევებულია სწავლებით, რომელიც ჰპირდება ქრისტიანებს ჯანმრთელობასა და სიმდიდრეს, განსაკუთრებით მსახურებს. ზოგიერთ ქვეყანაში „აყვავების სახარების“ მქადაგებლები ერის უმდიდრეს ადამიანებს შორის არიან; ღარიბები თავგანწირვით გასცემენ ამ ლიდერების მდიდრული ცხოვრების წესის მხარდასაჭერად. ეს მიდგომა შორს არის ბიბლიური მოდელისგან.

იერემია გვიჩვენებს, რომ ღვთის სიტყვისადმი ერთგულება ძვირი ჯდება. იერემია იტანჯებოდა ღვთის მოწოდებისადმი ერთგულების გამო; იესო იტანჯებოდა მამის მისიისადმი მორჩილებისთვის; დღეს მსახურები ერთგულებისკენ არიან მოწოდებულნი, როდესაც წინააღმდეგობას აწყდებიან.

იერემიას 29:11-ის დაპირება უნდა წავიკითხოთ ბაბილონში გარდაუვალი გადასახლების კონტექსტში. იერემიას წიგნი ჰპირდება ხალხს: „ვინაიდან მე ვიცი ზრახვანი, რაც თქვენზე განვიზრახე, ამბობს

---

[304] გოდება 1:5
[305] გოდება 5:21

უფალი, სასიკეთო და არა საბოროტო ზრახვანი, რომ მომავალი და იმედი მოგცეთ“. თუმცა, ღვთის ხალხი მალე დიდ ტანჯვას გადაიტანდა. ღმერთის გეგმა თავისი ხალხისთვის კეთილია; რაც არ იძლევა ტანჯვის გარეშე ცხოვრების გარანტიას. ცოდვისა და ჩვენს სამყაროზე მისი ზეგავლენის გამო, ღვთის ხალხიც კი იტანჯება.

თუმცა, როგორც გოდება გვიჩვენებს, ტანჯვის დროსაც ღმერთი თავისი ხალხის ერთგულია. უბედურებაშიც კი შეგვიძლია ვენდოთ ღვთის სიკეთეს. „უფლის მოწყალება არ დასრულებულა, რომ მისი სიბრალული არ გამოლეულა. განახლდება ყოველ დილით, დიდია შენი ერთგულება.”[306]

დასკვნა: იერემია ახალ აღთქმაში

იერემიას ხშირად ციტირებდნენ ახალი აღთქმის ავტორები. გამოცხადების წიგნში მოყვანილია იერემიას ციტატები, რომლებიც ასახავს „ბაბილონის“, ღვთის ხალხის მტრის, მოახლოებულ განადგურებას.[307]

ბევრი თანხვედრაა იერემიას მსახურებასა და იესოს მიწიერ მსახურებას შორის. როგორც იერემია ტიროდა იერუსალიმის დანგრევაზე, იესოც ტიროდა ქალაქზე და იწინასწარმეტყველა ტაძრის დანგრევა.[308] ტაძრის განწმენდისას იესომ იერემიას ენა გამოიყენა ღვთის სახლის ავაზაკთა ბუნაგად გადაქცევის აღსაწერად. [309] ორივე, იერემიაც და იესოც იმ ხალხმა უარყვეს, რომლების სამსახურებლადაც მოვიდნენ.

პავლემ გამოიყენა იერემიას ენა, როდესაც წერდა ღვთის უზენაესობის შესახებ წარმართების ხსნისკენ მოსაწოდებლად. მექოთნეს უფლება აქვს თიხაზე და აუწყა თავისი დიდების სიუხვე წყალობის ჭურჭლებზე.”[310]

რაც მთავარია, სახარება ჩანს ღვთის ხალხისთვის იერემიას დაპირებებში მომავალი აღდგენის შესახებ. ეს აღდგენა ისრაელის ისტორიაში არასოდეს განხორციელებულა. იესოს სიკვდილითა და აღდგომით, ეს აღდგენა ხდება ეკლესიაში და მისი მეშვეობით.

---

[306] გოდება 3:22-23
[307] მაგალითები მოიცავს გამოცხადების 18:4, 8, და 24.
[308] ლუკა 19:41-44 და მათე 24:1-2
[309] იერემია 7:11 და მათე 21:13
[310] რომაელთა 9:20-24

მე-10 გაკვეთილის დავალებები

მოახდინეთ ამ გაკვეთილში მოცემული მასალის სწორად აღქმის და გაგების დემონსტრირება შემდეგი დავალების შესრულებით:

(1) აირჩიეთ შემდეგი დავალებებიდან ერთ-ერთი:

ვარიანტი 1: ჯგუფური დავალება

განიხილეთ იერემიას „აღიარებანი“ იერემიას 11-20თავებში. შეადგინეთ იერემიას ჩივილებისა და ღვთის პასუხების სია. შეადარეთ იერემიას ჩივილი იმ სირთულეებთან, რომლებსაც თქვენ აწყდებით მსახურებაში. რა გაკვეთილების გამოტანა შეუძლია თქვენს ჯგუფს იერემიას მაგალითიდან? დაწერეთ თქვენი დისკუსიის ერთგვერდიანი შეჯამება, ანუ რეზიუმე.

ვარიანტი 2: ინდივიდუალური დავალება

- დაწერეთ იერემიასა და გოდებაზე დაფუძნებული ქადაგების დეტალური მონახაზი ღვთის ერთგულების და წყალობის შესახებ.
- დაწერეთ იერემიასა და გოდებაზე დაფუძნებული ქადაგების დეტალური მონახაზი ღვთის სამსჯავროს შესახებ.

(2) გაიარეთ ამ გაკვეთილის ტესტი. ტესტი მოიცავს საზეპირო მუხლებს წმიდა წერილებიდან.

მე-10 გაკვეთილის ტესტი

(1) რატომ ჰქვია იერემიას „მტირალი წინასწარმეტყველი“?

(2) როგორი იყო იერემიას ოჯახი და გარემო?

(3) ჩამოთვალეთ ტყვეთა სამი ჯგუფის გადასახლების თარიღები. დაასახელეთ პირველი ორი ჯგუფის გადასახლებისას წაყვანილი ერთი წინასწარმეტყველი.

4) რა არის იერემიასა და გოდების წიგნების ძირითადი მიზნები?

(5) რა არის „წინასწარმეტყველური სარჩელი“?

(6) რა არის „იერემიას აღსარება“?

(7) რა არის „ნუგეშის წიგნი“ იერემიაში?

(8) რა პოეტური ფორმაა გამოყენებული გოდების ხუთი თავიდან ოთხში?

(9) დაწერეთ ზეპირად ნასწავლი გოდება 3:21-24.

გაკვეთილი 11
ეზეკიელი და დანიელი: წინასწარმეტყველები გადასახლებაში

გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს, სტუდენტმა უნდა:
(1) იცოდეს ეზეკიელისა და დანიელის დაწერის სავარაუდო თარიღი და ისტორიული გარემო.
(2) გამოკვეთოს ეზეკიელისა და დანიელის ძირითადი თემები და მიზნები.
(3) ესმოდეს აპოკალიფსური წინასწარმეტყველების განმარტების საკითხები.
4) პატივს სცემდეს ღვთის უზენაესობას კაცობრიობის ისტორიაზე.
(5) უკავშირებდეს ეზეკიელისა და დანიელის გზავნილს დღევანდელი ქვეყნიერების საჭიროებებს.

ამ გაკვეთილისთვის მომზადება

წაიკითხეთ ეზეკიელი და დანიელი.

დაიზეპირეთ ეზეკიელი 36:25-27.

შესავალი

ეზეკიელს და დანიელს ბევრი რამ აქვთ საერთო იერემიასთან. სამივე წიგნი მომდინარეობს იერუსალიმის დაცემის წლებიდან. დანიელი და ეზეკიელი ბაბილონში არიან, ხოლო იერემია იერუსალიმში. სანამ იერემია საკუთარი თვალით უყურებდა იერუსალიმის განადგურებას, ეზეკიელი ბაბილონში მდებარე თავისი სახლიდან ხილვებში ხედავდა მის განადგურებას. იერემიასა და ეზეკიელზე უმცროსი დანიელი, ბაბილონში წაიყვანეს იერუსალიმის პირველი დაპყრობის დროს.

მიუხედავად იმისა, რომ თითოეული ეს წიგნი შეიცავს იმედისა და აღდგენის გზავნილს, მომავალ აღდგენაზე მეტი ფოკუსირება ხდება ეზეკიელსა და დანიელში, ვიდრე იერემიაში. იერემიას მთავარი გზავნილი იყო იერუსალიმის განკითხვა; ეზეკიელმა დაინახა აღდგენის შთამაგონებელი ხილვა; დანიელმა იწინასწარმეტყველა ღვთის განზრახვების საბოლოო შესრულება შორეულ მომავალში.

ეზეკიელისა და დანიელის ქრონოლოგია	
თარიღი	**მოვლენა**
605 წ. ძვ. წ.	დანიელი წაიყვანეს ბაბილონში
597 წ. ძვ. წ.	ეზეკიელი წაიყვანეს ბაბილონში
586 წ. ძვ. წ.	იერუსალიმის დაცემა
571 წ. ძვ. წ.	ეზეკიელის მსახურების დასასრული
539 წ. ძვ. წ.	სპარსეთი იპყრობს ბაბილონს
538 წ. ძვ. წ.	პირველი დაბრუნება გადასახლებიდან
536 წ. ძვ. წ.	დანიელის მსახურების დასასრული

ეზეკიელის წიგნის წინაპირობა

ეზეკიელი ერთი შეხედვით	
ავტორი	ეზეკიელი
სამიზნე აუდიტორია	გადასახლებულები ბაბილონში
თარიღი	593-571 წწ. ძვ. წ.
თემა	განკითხვა და აღდგინება
მიზანი	გაფრთხილება მოახლოებულ განკითხვის შესახებ
	მომავალი აღდგენის დაპირება (აღთქმა)
სახარება ეზეკიელში	ეზეკიელმა იხილა დღე, როდესაც ღმერთი კვლავ თავის ხალხთან იქნებოდა. ეს აღსრულდა იესოში (იოანე 1:14).
	ეზეკიელმა იხილა მდინარე, რომელსაც სიცოცხლე მიჰქოდა ყველგან, სადაც მიედინებოდა. იესომ საკუთარ თავზე დაამოწმა, როგორც მაცოცხლებელი წყლის სათავეზე (იოანე 4:10-14).

ეზეკიელის ისტორიული გარემო

ეზეკიელის სახელი ნიშნავს „ღმერთმა გააძლიერა“. ის იოშიას მიერ კანონის აღმოჩენამდე ცოტა ხნით ადრე დაიბადა, ძვ.წ. 621 წელს. როგორც მღვდლის შვილი, ეზეკიელი შეესწრო იმ აღორძინებას, რომელიც თან ახლდა იოშიას რეფორმებს და სავარაუდოდ მოისმინა იერემიას ქადაგებაც.

ეზეკიელი წაყვანილ იქნა ბაბილონში იეჰოიაკიმის აჯანყების შემდეგ ძვ. წ. 597 წ. ის დამკვიდრდა გადასახლებულთა თემის დასახლებაში ქაბარის არხზე ქალაქ ნიპურთან. ეზეკიელი დაქორწინებული იყო, მაგრამ მისი შვილები არ არის ნახსენები.

იერუსალიმში მღვდლად მსახურების ნაცვლად, ეზეკიელი წინასწარმეტყველად მსახურობდა გადასახლებულთა შორის.[311] მღვდლის მსახურება ოცდაათი წლის ასაკში იწყებოდა და ორმოცდაათი წლის ასაკში სრულდებოდა.[312] ეზეკიელმა პირველი ხილვა იხილა დაახლოებით ოცდაათი წლის ასაკში, ხოლო ხილვა, რომლითაც წიგნი მთავრდება, ეზეკიელმა იხილა, როდესაც ორმოცდაათი წლის იყო.[313] იერემიას მსგავსად, ეზეკიელის გზავნილებიც ყოველთვის არ არის ქრონოლოგიურად თანმიმდევრული. ეზეკიელის წინასწარმეტყველება ნაბუქოდონოსორის მიერ ეგვიპტის დამარცხების თაობაზე,[314] ძვ. წ. 571 წ. იყო წარმოთქმული, ორი წლის შემდეგ იმ ხილვიდან, რომლითაც წიგნი მთავრდება.

იერემიას მთავარი აუდიტორია იერუსალიმის მოსახლეობა იყო, მაგრამ ის წერილებს წერდა ბაბილონში გადასახლებულებს. ეზეკიელის ძირითადი აუდიტორია ბაბილონის ებრაელები იყვნენ, მაგრამ ის წერილებს წერდა იერუსალიმის მკვიდრებს.

მიზანი

ბაბილონში გადასახლებულებს ბევრი კითხვა ჰქონდათ:

- „რამდენ ხანს გაგრძელდება გადასახლება?
- "რა მოუვა ჩვენს ქალაქს?"
- "არსებობს მომავლის იმედი?"

ეზეკიელმა უპასუხა, რომ ტყვეობა მრავალი წელი გაგრძელდება. მან დაწერა იერუსალიმის ხალხის გასაფრთხილებლად, რომ ისინი მალე შეუერთდებოდნენ ბაბილონში გადასახლებულებს. ქალაქის დანგრევის შემდეგ ეზეკიელმა აღადგინა ღვთის აღთქმა. საბოლოო ჯამში, ეზეკიელის წიგნი იმედის გზავნილია; ღმერთმა არ უარყო თავისი ხალხი.

---

[311] ეზეკიელი 8:1; 14:1; 20:1
[312] რიცხვნი 4:3
[313] ეზეკიელის ხილვა წიგნის ბოლოში (40:1) მოხდა ოცი წლის შემდეგ, მისი პირველი ხილვიდან, ეზეკიელის 1:2-ში.
[314] ეზეკიელი 29:17-21

გადასახლებულთა კითხვა	ეზეკიელის პასუხი
ბაბილონი მალე დამარცხდება?	არა. ბაბილონი იუდაზე მეტ გამარჯვებას მოიპოვებს. იერუსალიმში მყოფთაგან ბევრი იქნება გადასახლებული (ეზეკიელი 12).
რა მოუვა იერუსალიმს?	იერუსალიმი განადგურდება (ეზეკიელი 5).
რატომ ვისჯებით ჩვენი მამების დანაშაულის გამო?	ყველა თავის ცოდვაზე აგებს პასუხს. „ცოდვილი კაცი კი მოკვდება!" (ეზეკიელი 18).
არსებობს იმედი ღვთის ხალხისთვის?	დიახ! ღმერთი დიდებულ მომავალს გვპირდება (ეზეკიელი 40-48).

ეზეკიელის მიმოხილვა

ეზეკიელის მონახაზი

ეზეკიელის მოწოდება (ეზეკიელი 1–3)

ეზეკიელის მოწოდება, ისევე როგორც მისი მრავალი გზავნილი, მიეცა ღვთისგან ხილვის სახით. ხილვა შედგებოდა ხუთი ეპიზოდისგან:

- გარემო, ვითარება (1:1-3)
  - მიახლოება ღვთის ტახტთან (1:4-28)
    - მოწოდება (2:1-3:11)
  - ღვთის ტახტიდგან წასვლა (3:12-13)
- გარემო, ვითარება (3:14-15)

ესაიასა და იერემიას მსგავსად, ეზეკიელიც მოწოდებული იყო ექადაგა ხალხისთვის, რომელიც მას არ მოუსმენდა. ღმერთმა უთხრა ეზეკიელს, რომ სხვა ენაზე მოლაპარეკე ხალხთან საუბარი უფრო ადვილი იქნებოდა, ვიდრე იუდას მეამბოხე ხალხთან. ის „ჯიუტი და თვითნებაა". მაგრამ ღმერთმა დაარწმუნა ეზეკიელი: „გავამაგრებ შენს სახეს მათი სახის პირისპირ და შენს შუბლს მათი შუბლის პირისპირ."[315] ღმერთმა გააძლიერა ეზეკიელი მისი რთული მისიისთვის.

იუდას განსამართლება (ეზეკიელი 4–24)

მთელი რიგი ხილვებითა და სიმბოლური ქმედებებით ეზეკიელმა ბაბილონში გადასახლებულებს განკითხვის ამბავი მიუტანა. წიგნის გზავნილში მთავარი ადგილი უკავია ეზეკიელის ხილვას 8-11 თავებში. ეზეკიელმა იხილა სისაძაგლენი თავად ტაძარში; უხუცესები ტაძარში კერპთაყვანისმცემლობას ეწეოდნენ. ამის საპასუხოდ ღმერთმა ექვს ჯალათს უბრძანა ხალხის

[315] ეზეკიელი 3:7-8

განადგურება და „გვამებით აევსოთ ეზოები.”[316] ეზეკიელი უყურებდა, როგორ ტოვებდა ღვთის დიდება ტაძარს. ეს ნაწილი (ეზეკიელი 10–11 თავები) თანხვედრაშია იერემიას ტაძრის ქადაგებასთან (იერემიას მე-7თავი) გზავნილით ტაძრის განკითხვის შესახებ.

ეზეკიელმა წარმოთქვა მთელი რიგი ქადაგებები და იგავები, რითიც წინასწარ ამცნო იერუსალიმის დაცემა. განკითხვის გზავნილებმა კულმინაციას მიაღწია ეზეკიელის ცოლის გარდაცვალებასთან ერთად. ღმერთმა უბრძანა ეზეკიელს, არ ეჩვენებინა გლოვის და მწუხარების გარეგანი გამოვლინება. როდესაც ხალხმა ჰკითხა მას, თუ რატომ არ გლოვობდა ცოლის გარდაცვალებას, ეზეკიელმა უპასუხა, რომ იერუსალიმი ისეთ საშინელებებს გადაიტანდა, რომ გადარჩენილები ვერც კი შეძლებდნენ თავიანთი საყვარელი ადამიანებისთვის გლოვის რიტუალების შესრულებას.[317]

უცხო ერების განკითხვა (ეზეკიელი 25–32)

წინასწარმეტყველურ წიგნებში მნიშვნელოვანი თემაა ღმერთის უზენაესობა ყველა ერზე. ისრაელის მეზობლების ცრუ ღმერთებისგან განსხვავებით, იაჰვე ადგილობრივი ღვთაება არ არის. ღვთის უზენაესობის დემონსტრირებით ყველა ხალხზე, ეზეკიელმა წინასწარ გამოაცხადა მსჯავრი ყამონის, მოაბის, ედომის, ფილისტიის, ტვიროსის, სიდონისა და ეგვიპტის წინააღმდეგ. ისრაელის მტრები „მიხვდებიან, რომ მე ვარ უფალი, როცა აღვასრულებ მასში სამართალს და წმიდად გამოვჩნდები მასში.”[318]

ისრაელის აღდგენა (ეზეკიელი 33–39)

იერუსალიმის დაცემის შემდეგ ეზეკიელის გზავნილი განკითხვიდან აღდგინებაზე გადადის. თავისი სახელის გულისთვის ღმერთი აღადგენს მის ხალხს.[319] ფიზიკური აღდგენისას ღმერთი მათ თავიანთ მიწაზე დააბრუნებს; სულიერი აღდგენისას ღმერთი განაახლებს მათ გულებს. ღმერთი ჰპირდება ისრაელს წყლით განწმენდას (რაც გარეგნულად წმენდს) და მისცემს ახალ გულს და ახალ სულს (რაც შინაგანად განწმენდს).[320] ისრაელის ახალი ცხოვრება ასახულია ეზეკიელის ხილვაში გამომშრალი ძვლებით სავსე ველის შესახებ, რომელიც აღდგება ღვთის სულის შთაბერვით.

ისრაელის ახალი ტაძარი (ეზეკიელი 40–48)

ეზეკიელი ასრულებს ხილვით, რომელიც წასაკითხად შთამაგონებელია, მაგრამ ძნელია განსამარტად. ღმერთმა ეზეკიელი მაღალ მთაზე წაიყვანა და ახალი ტაძრის ხილვა უჩვენა. ეზეკიელმა იხილა ახალი ტაძარი, სამსხვერპლო და შესაწირავი, მდინარე, რომელიც მიედინებოდა ტაძრიდან ერებისთვის განკურნების მოსატანად, აღდგენილი ერის ტომობრივი საზღვრები და იერუსალიმის თორმეტი კარიბჭე. რაც მთავარია, ეზეკიელმა დაინახა, რომ ღვთის დიდება დაბრუნდა იერუსალიმში.[321]

---

[316] ეზეკიელი 9:7
[317] ეზეკიელი 24:15-27
[318] ეზეკიელი 28:22
[319] ეზეკიელი 36:16-23
[320] ეზეკიელი 36:24-25. წყლით განბანა გარეგანი განწმენდისთვის მიუთითებს რიცხვთა 19:19-21-ზე. იოანეს 3:5-ში იესო ამ ენას იყენებს ნიკოდემოსთან საუბრისას.
[321] ღვთის დიდება ტოვებს ისრაელს ეზეკიელის 11 თავში; და ბრუნდება ეზეკიელის 43-ე თავში.

ბიბლიის კომენტატორები ვერ თანხმდებიან ამ ხილვის ზუსტ მნიშვნელობაზე. იმის გამო, რომ ღვთისმოსავი ქრისტიანები, რომლებიც ერთგულნი არიან წმიდა წერილის ჭეშმარიტებისადმი, ვერ თანხმდებიან ხილვის დეტალებზე, ჩვენ უნდა ვიყოთ დიდსულოვნები იმ მორწმუნეების მიმართ, რომლებიც შეიძლება ჩვენგან განსხვავებულად განმარტავენ ამ ხილვის მნიშვნელობას. ხედვის ინტერპრეტაციის რამდენიმე ვარიანტი მოიცავს:

1. ზოგი აღიქვამს ამ ხილვას, როგორც დაპირებას, რომ ტაძარი აღდგება იუდას იერუსალიმში დაბრუნების შემდეგ. ამ თვალსაზრისით, რწმენის ნაკლებობამ ხელი შეუშალა ადამიანებს მიეღწიათ ყველაფრისთვის, რაც ღმერთმა აჩვენა ეზეკიელს.

2. ზოგი ამ ხილვაში მიწიერი მილენიუმის (ათასწლიანი მეფობის) სურათად ხედავს. ამ თვალსაზრისით, დედამიწაზე ქრისტეს ათასწლიანი მეფობის დროს ტაძარი აღდგება და მსხვერპლშეწირვა აღდგება, როგორც შეხსენება ქრისტეს გამომსყიდველი სიკვდილის შესახებ.

3. ზოგი ამ ხილვაში ხედავს ღმერთის მოქმედების სურათს დღევანდელი ეკლესიის მეშვეობით. ამ გადმოსახედიდან ღმერთი ეკლესიის მეშვეობით ასრულებს მის მიერ აღთქმულს.

4. ზოგი ამ ხილვას აღიქვამს, როგორც ღვთის თანდასწრების მეტაფორას მის ხალხთან, ახალ ცასა და ახალ დედამიწაზე. ამ თვალსაზრისით, ტაძარი და მსხვერპლშეწირვა არის სამოთხეში ღვთისმსახურების ასახვა; პირდაპირი მნიშვნელობით ისინი აღარ აღდგება.

5. და ბოლოს, ზოგიერთს მიაჩნია, რომ ხილვა შეიცავს როგორც პირდაპირი, ასევე სიმბოლური მნიშვნელობის ელემენტებს. ამ თვალსაზრისით, ეზეკიელის 40-48 თავები ნაწილობრივ შესრულდა იერუსალიმში დაბრუნებისას და სრულად შესრულდება ბოლო დღეებში.

ეზეკიელის წინასწარმეტყველური სტილი

ეზეკიელის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ასპექტი არის ის, თუ როგორ აწვდის წინასწარმეტყველი ღვთის გზავნილს თავის მსმენელებს. წიგნის აღსაქმელად და გასაგებად მნიშვნელოვანია ეზეკიელის წინასწარმეტყველებების ორი ასპექტი: ეზეკიელის მიერ დრამატიზმის გამოყენება და მისი ხილვები.

ეზეკიელს ზოგიერთი მისი გზავნილის განსახიერება ევალება. ის თიხის აგურზე წერს სახელს „იერუსალიმი“ და ალყაში აქცევს აგურს, ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის ალყაში მოქცევის საწინასწარმეტყველოდ.[322] ის წევს მარცხენა მხარეს 390 დღის განმავლობაში, რათა წარმოაჩინოს ისრაელის ურჯულოება; ორმოცი დღე წევს მარჯვენა მხარეს, რათა წარმოაჩინოს იუდას ურჯულოება.[323]

---

[322] ეზეკიელი 4:1-3
[323] ეზეკიელი 4:4-8

ეზეკიელი თავს იპარსავს და თმას ნაწილებად ყოფს. 1/3 დაწვა, რაც ხანძარს სიმბოლირებს იერუსალიმში; 1/3 ხმლით დააქუცმაცა, რაც ბრძოლაში სიკვდილს სიმბოლირებს; 1/3 ქარში გაფანტა, რაც გადასახლებაში მყოფი ებრაელების გაფანტვას სიმბოლირებს. ღმერთი ეუბნება ეზეკიელს, შეინახოს მოჭრილი თმის ნაწილი და მოსასხამის კიდეებში გამოიკრას; ეს არის ნატამალი, რომელიც გადარჩება იერუსალიმში.[324]

ეზეკიელის ხილვების განმარტება შეიძლება რთული იყოს. ზოგიერთ მკითხველს იმდენად იტაცებს ხილვების დეტალები, რომ მხედველობიდან კარგავს ძირითად გზავნილს. ეზეკიელი იყენებს ენას, რომელიც გვაჩვენებს, რომ იგი არ ცდილობს ზუსტად წარმოაჩინოს ის, რაც ნახა; თხუთმეტჯერ ახსენებს, რომ რაღაცას „ჰგავდნენ“ და სამჯერ აღწერს დანახულს სიყვით „თითქოს“ ან "როგორც". ის ადამიანურ ენას იყენებს ისეთი რამის ასაღწერად, რაც ადამიანის აღქმის მიღმაა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არ გვესმის ეზეკიელის ხილვების ყველა დეტალი, საერთო გზავნილი ნათელია: ღმერთი განსჯის თავის ხალხს ცოდვის გამო. შემდგომში, განკითხვის აღსრულების შემდეგ, ღმერთი აღადგენს თავის ხალხს. მისი დიდება კვლავ დამკვიდრდება თავის ხალხში.

დანიელის წიგნის წინაპირობა

დანიელის ისტორიული გარემო

დანიელი ბაბილონში წაიყვანეს ძვ. წ. 605 წ. გადასახლებულ ებრაელთა პირველ ჯგუფთან ერთად. სავარაუდოდ იმ დროისთვის მოზარდი იყო, მან თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის დარჩენილი ნაწილი ბაბილონში წინასწარმეტყველად გაატარა. დანიელის წიგნში ჩაწერილია მოვლენები ძვ. წ. 536 წ.-მდე, ეს იყო სპარსეთის მეფე კიროსის მმართველობის მესამე წელი.[325] დანიელმა უშუალოდ იხილა იუდას დაცემა, ბაბილონის იმპერიის დაცემა და სპარსეთის იმპერიის აღზევება.

[324] ეზეკიელი 5:1-12
[325] დანიელი 10:1

დანიელი ერთი შეხედვით	
ავტორი	დანიელი
სამიზნე აუდიტორია	ღვთის ხალხი ყველა დროში
თარიღი	ძვ. წ. 605-536 წ.
თემა	ღვთის სამეფო (სასუფეველი)
მიზანი	ღვთის ერთგულების დემონსტრირება (დანიელი 1-6)
	ღვთის უზენაესობის ჩვენება ისტორიაში (დანიელი 7-12)
სახარება დანიელში	ღვთის გამარჯვების დაპირება ნაწილობრივ სრულდება ქრისტეს სიკვდილსა და აღდგომაში.
	ეს დაპირება სრულად შესრულდება ქრისტეს მეორედ მოსვლისას.

სახელი დანიელი ნიშნავს „ღმერთი ჩემი მოსამართლეა“, შესაბამისი სახელია წინასწარმეტყველისთვის, რომელიც ქადაგებდა ღვთის უზენაესობის შესახებ მთელ მსოფლიოში. დანიელი აჩვენებს, რომ ღმერთი არის სამყაროს მსაჯული. ღმერთი შეასრულებს თავის განზრახვას ისტორიაში.

მიზანი

ჩაგვრისა და არეულობის დროს დანიელი წერს ორ მნიშვნელოვან ჭეშმარიტებას: ღვთისადმი ერთგულების მნიშვნელობასა და ღმერთის უზენაესობის რეალობას კაცობრიობის ისტორიაზე. მიუხედავად არსებული ვითარებისა, ღმერთი საბოლოო ჯამში გაამართლებს თავის ხალხს. დანიელი აჩვენებს, რომ მთელი მსოფლიო ისტორია და არა მხოლოდ ისრაელის ისტორია, ახორციელებს ღვთის განზრახვებს.

დანიელის მიმოხილვა

დანიელის სტრუქტურა

ერთგულება ბაბილონის კარზე (დანიელი 1–6)

დანიელისა და მისი სამი მეგობრის ამბავი გადასახლების დროს ერთგულების ნიმუშებს იძლევა. ისინი აჩვენებენ, რომ წარმართულ სამყაროშიც კი შესაძლებელია ერთგულების შენარჩუნება.

დანიელის პირველივე წინადადებები ადგენს ღვთის უზენაესობის თემას:

იუდას მეფის იეჰოიაკიმის მეფობის მესამე წელს ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორმა გამოილაშქრა იერუსალიმზე და ალყა შემოარტყა მას. და გადასცა მას უფალმა იუდას მეფე იეჰოიაკიმი და ღვთის ტაძრის ჭურჭლეულის ნაწილი.[326]

ნაბუქოდონოსორმა ალყა შემოარტყა იერუსალიმს; მაგრამ თვით უფალი იყო, ვინც, „ხელში ჩაუგდო მას“. ღმერთმა მიანიჭა ბაბილონს გამარჯვება.

ვინაიდან ღმერთი უზენაესი და სუვერენულია, ღვთის ხალხი უნდა იყოს მისი ერთგული მაშინაც კი, როდესაც თითქოს ღვთის მტრები განაგებენ სიტუაციას. დანიელის წიგნი გვაჩვენებს ღვთისადმი ერთგულებას მთელი რიგი ილუსტრაციებით:

- დანიელი და მისი მეგობრები უარს ამბობენ ბაბილონის წეს-ჩვეულებებით თავის „შებილწვაზე“. ღმერთი აფასებს მათ ერთგულებას და ანიჭებს წარმართი მეფის კეთილგანწყობას (დანიელი 1).
- ღმერთი აძლევს დანიელს ნაბუქოდონოსორის სიზმრის განმარტებას. ღმერთი დანიელსა და მის მეგობრებს ბაბილონში გავლენიან პოზიციებზე აყენებს (დანიელი 2).
- დანიელის მეგობრები უარს ამბობენ წარმართული კერპის წინაშე პირქვე დამხობით თაყვანისცემაზე.[327] ღმერთი პატივს მიაგებს მათ ერთგულებას ცეცხლოვან ღუმელში მათი სიცოცხლის გადარჩენით. მეფე გაოგნებულია, როდესაც ცეცხლში ხედავს სამის გარდა მეოთხესაც, რომელიც „ღვთის ძესა ჰგავს” (დანიელი 3).
- ღმერთი თავის უზენაესობას ნაბუქოდონოსორის დამდაბლებით ავლენს (დანიელი 4).
- ღმერთი თავის უზენაესობას იმით აჩვენებს, რომ წაართვა სამეფო ბელშაცარის და გადასცა დარიოს მიდიელს (დანიელი 5).
- როდესაც დანიელი ღვთისადმი ერთგულების გამო ლომების ხაროში ჩააგდეს, ღმერთმა ის სიკვდილისგან იხსნა (დანიელი 6).

ეს გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალო საბავშვო ისტორიები; ისინი გვაძლევენ ერთგულების მძლავრ ილუსტრაციებს ყველა სიტუაციაში. როდესაც დანიელი და მისი მეგობრები ღმერთის ერთგულნი დარჩნენ, ღმერთიც მათი ერთგული იყო.

ხილვები ღვთის უზენაესობის შესახებ (დანიელი 7–12)

ეს ნაწილი საგულდაგულოდ არის დაკავშირებული წიგნის პირველ ნახევართან. ორი ნაწილი ენითაა დაკავშირებული (2–7 თავი არის არამეულ ენაზე და არა ებრაულზე). ეს ორი ნაწილი ერთმანეთთან დაკავშირებულია ასევე აქცენტირებით ღვთის უზენაესობის თემაზე.

---

[326] დანიელი 1:1-2

[327] შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დანიელი არ იმყოფებოდა კერპისადმი თაყვანისცემის ბრძანების გაცემის დროს.

დანიელი ხედავს ხილვებს, რომლებიც მოწმობენ ღვთის უზენაესობაზე კაცობრიობის ისტორიაში. ღმერთი არ არის მხოლოდ ებრაელთა ღმერთი; ის მთელი დედამიწის ღმერთია.

ხილვები დანიელის 7–12 თავებში არ არის ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. სამაგიეროდ, ისინი ერთსა და იმავე მოვლენას მრავალჯერ ეხებიან. ერთერთი მწერლის ვარაუდით, დანიელის 7-12 თავები სპირალურ კიბეს ჰგავს; რადგან ყოველ თავს უფრო მაღალ საფეხურზე ავყავართ, რაც სულ უფრო მკაფიო ხედვას გვაძლევს ღვთის მოქმედების შესახებ კაცობრიობის ისტორიაში.[328]

ოთხი მხეცის ხედვა (დანიელი 7)

ზღვიდან ამოსული ოთხი დიდი მხეცი უპირისპირდება ტახტზე მჯდარი დღეებით ძველის დიდებას. ყველაზე საშინელი იყო მეოთხე მხეცი; ათი რქა და რკინის კბილები ჰქონდა და შთანთქავდა ყველაფერს, რაც სხვა მხეცებისგან დარჩა. მხეცების დამარცხების შემდეგ, დღეებით ძველმა კაცის ძეს დიდება და ძალაუფლება გადასცა.

როდესაც დანიელმა განმარტება ითხოვა, მას ეთქვა, რომ ოთხი დიდი მხეცი არის ოთხი სამეფო, რომელიც წარმოიშობა დედამიწაზე. მეოთხე სამეფო სხვებს შთანთქავს. ათი რქა არის ათი მეფე, რომელიც მოვა ამ მეოთხე სამეფოდან. ყველაზე პატარა დაიმორჩილებს სამ მეფეს და ილაპარაკებს უზენაესის წინააღმდეგ. ის წმინდანებს დაუპირისპირდება „დროის, ორი დროისა და ნახევარი დროის მანძილზე“, რის შემდეგაც წმინდანები იცხოვრებენ მარადიულ სასუფეველში.

ვერძისა და ვაცის ხილვა (დანიელი 8)

ამ ხილვაში ვერძი ორი რქით (ერთი რქა უფრო გრძელი ჰქონდა მეორეზე) უძლიერესი იყო. თვალებს შორის ერთი რქის მქონე ვაცმა ვერძი დაამარცხა, მაგრამ მას მოსტყდა დიდი რქა და მის ნაცვლად ოთხი რქა ამოუვიდა. მათგან ერთ-ერთი მეტისმეტად გაიზარდა და ზეცამდე აღწევდა. დედამიწაზე დაანარცხა და გათელა მხედრობისა და ვარსკვლავთა ნაწილი და თავი პრინცად გამოაცხადა. გაბრიელმა დანიელს აუხსნა, რომ ორრქიანი ვერძი წარმოადგენდა მიდიისა და სპარსეთის მეფეებს. ვაცი იყო საბერძნეთი; დიდი რქა იყო მისი მეფე; პატარა რქები საბერძნეთიდან წარმოქმნილი მცირე სამეფოები იყო; რქა, რომელიც ზეცამდე გაიზარდა, იყო ბოროტი მეფე, რომელიც გაანადგურებდა წმინდა ხალხს. ეს მეფე განადგურდებოდა, მაგრამ არა ადამიანის ძალით.

ხილვა სამოცდაათი კვირის შესახებ (დანიელი 9)

როდესაც დანიელი შუამდგომლობდა ტანჯული ებრაელებისთვის, გაბრიელმა უთხრა, რომ ისრაელს სამოცდაათი შვიდეული მოუწევს იტანჯოს თავისი ცოდვებისთვის. შემდეგ აღადგენდნენ იერუსალიმს და ცხებული მმართველის მოსვლამდე, სამოცდაცხრა შვიდეული უნდა დალოდებოდნენ. სხვა მმართველი გაანადგურებს იერუსალიმს, დადებს ისრაელთან აღთქმას ერთ შვიდეულში და დაამკვიდრებს გაპარტახების სისაძაგლეს, ანამ დადგენილი განადგურება არ ეწევა.

---

[328] დ. ა. კარსონი და დონალდ გატრი. ბიბლიის ახალი კომენტარი. (დაუნერს გროუვ: ინტერ ვარსიტი პრეს, 1994 წ).

ისრაელის მომავლის ხილვები (დანიელი 10–11)

დანიელმა იხილა მამაკაცი, რომელიც სელით იყო შემოსილი, ოქროს ქამრით, სახე ელვის მსგავსი, თვალები ანთებული ლამპრებივით და მკლავები და ფეხები ბრინჯაოს მსგავსი. წარმოგზავნილმა უთხრა დანიელს, რომ სამი მეფე აღდგება სპარსეთში, ხოლო მეოთხე უხელმძღვანელებს საბერძნეთის წინააღმდეგ ბრძოლას. ძლევამოსილი მეფის გამოჩენის შემდეგ მისი სამეფო ოთხ ნაწილად გაიყოფა. სამხრეთისა და ჩრდილოეთის მეფეებს შორის ომი დასრულდება ჩრდილოეთის მეფის მიერ ძალაუფლების მოპოვებით. ის განდევნის მორწმუნეებს და დაამყარებს „გაპარტახების სისაძაგლეს."

დანიელის ხილვების დასკვნა (დანიელი 12)

საბოლოო ჯამში, მთავარანგელოზი მიქაელი აღდგება დიდი ჭირის დროს, რათა გადაარჩინოს ყველა, ვისი სახელიც წიგნშია ჩაწერილი. ეს მოხდება „დადგენილი დროის, დროებსა და დროის ნახევარის" შემდეგ."[329] ანგელოზმა უთხრა, რომ ეს იქნება 1290 დღე გაპარტახების სისაძაგლედან.

იმპერიები დანიელის ხილვებში

იმპერიების ზოგადი გაგება დანიელის ხილვებში ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

იმპერიები დანიელის ხილვებში			
სამეფო	**ქანდაკება დანიელის მე-2 თავში**	**მხეცი დანიელის მე-7 თავში**	**მხეცი დანიელის მე-8 თავში**
ბაბილონი	წმიდა ოქროს თავი	ლომის მსგავსი არწივის ფრთებით	
მიდია-სპარსეთი	ვერცხლის მკერდი და მკლავები	დათვის მსგავსი	ვერძი ორი რქით
საბერძნეთი	სპილენძის მუცელი და თეძოები	ავაზის მსგავსი, ოთხი ფრთით და ოთხი თავით	ვაცი ერთი დიდი რქით, ოთხი რქით და პატარა რქით
რომი	რკინის წვივები და რკინის და თიხის ტერფები	გამორჩეული მხეცი ათი რქით და პატარა რქით	
ღვთის სამეფო (სასუფეველი)	ქვა, რომელიც დიდ მთად იქცა	მესია და წმინდანები იღებენ სამეფოს	

[329] დანიელი 12:7

თემები დანიელში

მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერები არ ეთანხმებიან დანიელის ხილვების დეტალებს, წიგნში ნაჩვენებია სამი თემა.

ღვთის უზენაესობა

ღვთის მფარველობის ისტორიებით 1-6 თავებში და ხილვებით 7-12 თავებში, დანიელმა აჩვენა, რომ ღმერთი უზენაესია არა მხოლოდ იერუსალიმზე, არამედ მთელ მსოფლიოზეც. უცხო ქვეყანაში მცხოვრები დევნილებისთვის ეს ძლიერი გზავნილი იყო. დაწყებული შესავალშივე ღმერთის უზენაესობაზე მოწმობით, რომელმაც იუდა გადასცა ნაბუქოდონოსორს და დამთავრებული დღეთა უძველესის წინასწარმეტყველური აღწერით, რომელიც აფუძნებს მარადიულ სამეფოს თავისი ხალხისთვის, დანიელი გვიჩვენებს, რომ ღმერთი განაგებს კაცობრიობის ისტორიას.

კაცობრიობის სიამაყე

დანიელი გვასწავლის, რომ ღმერთი იხსნის ერთგულებს და განსჯის ამაყებს. 1-6 თავებში ბაბილონის მმართველები ღმერთსა და მის ხალხს უპირისპირდებოდნენ. ამბები ნაბუქოდონოსორის დამდაბლების (დანიელი 4) და ბელშაცარზე ღვთის სამსჯავროს შესახებ (დანიელი 5) გვაჩვენებს, რომ ღმერთი ამდაბლებს ამპარტავნებს.[330]

7–12 თავებში მთელი რიგი მსოფლიო ლიდერები ეწინააღმდეგებიან ღვთის განზრახვებს. თითოეული მათგანი საბოლოოდ დამარცხდა. დღეთა უძველესი და ძე კაცისა ანაცვლებს ამ მიწიერ მმართველებს. დანიელის ბოლო თავებში ზეციური ძალები ანადგურებენ ღვთის მტრებს.

ღვთის ხალხის საბოლოო გამარჯვება

მიუხედავად იმისა, თუ როგორ განიმარტება სამეფოები დანიელის ხილვებში, ღვთის ხალხის საბოლოო გამარჯვება აშკარაა. დანიელი აღწერს ღვთის მარადიული სამეფოს მოსვლის შეყოვნებას, დაყოვნებას, რომლის დროსაც ღვთის ხალხი განსაცდელს და დევნას განიცდის. თუმცა, ვინც ერთგულია, საბოლოოდ გამარჯვებით ტკბება.

დანიელის მთავარი გზავნილი დღეს ერთგულებისკენ მოწოდება და გამოწვევაა. ღმერთისა და მისი ხალხის საბოლოო გამარჯვების გამო, მორწმუნეებმა დღეს ერთგულად უნდა იცხოვრონ.

ეზეკიელი და დანიელი ლაპარაკობენ დღეს

ეკლესია ხანდახან ცდუნებას განიცდიდა ქვეყნიერებიდან გასულიყო „სულიერი“ საზრუნავების გეტოში, ხოლო ცხოვრების სხვა სფეროები მიეტოვებინა. აბრაამ კუიპერმა თქვა: **“ჩვენი ადამიანური არსებობის მთელს ტერიტორიაზე არ არსებობს არც ერთი სანტიმეტრი, რომელზედაც, ყველაფრის**

[330] ყურადღება მიაქციეთ, როგორ საუბრობს დანიელი ბელშაცარის სიამაყეზე, რაც მის მორჩილებაზე უარში ვლინდება ღმერთისადმი, რომელმაც ასე დრამატულად დაამდაბლა მისი მამა, ნაბუქოდონოსორი (დანიელი 5:17-28).

უფალი, ქრისტე არ წამოიძახებდა: "ჩემია!" მე-19 საუკუნის ეს ჰოლანდიელი მეცნიერი, პოლიტიკოსი და ქრისტიანი მიხვდა, რომ ღმერთი უზენაესი და ყველაფრის მფლობელია.

ეზეკიელის ბოლო თავები და დანიელის ბოლო ნახევარი აცხადებს ღვთის უზენაესობას მთელ კაცობრიობის ისტორიაზე. ღმერთი აღასრულებს თავის მიზნებს. ეს მნიშვნელოვანია ორი მიზეზის გამო:

1. **ეს გულდაჯერებულობას იძლევა ამქვეყნიური წინააღმდეგობის წინაშე.** როგორც უცხო ქვეყანაში გადასახლებულები, დანიელი და ეზეკიელი ენდობოდნენ ღმერთს მისი მიზნების შესრულებაში. დანიელი იმისთვის ცხოვრობდა, რომ ზოგიერთი ამ მიზნის შესრულება ენახა; ეზეკიელს სავარაუდოდ არ უცოცხლია იმდენ ხანს, რომ გადასახლებიდან დაბრუნება ენახა. თუმცა, ორივემ იცოდა, რომ ღმერთი თავის განზრახვებს შეასრულებდა. როგორც 21-ე საუკუნის ქრისტიანები, ჩვენ ვცხოვრობთ დარწმუნებულნი, რომ ღმერთი აკონტროლებს ჩვენს სამყაროს. ვერაფერი დაძლევს მის მიზნებს და განზრახვებს.

2. **ის გვახსენებს ჩვენს პასუხისმგებლობას, ვიცხოვროთ ერთგულად ყოველდღიურ ცხოვრებაში.** ქრისტიანებმა არ უნდა დაუთმონ სატანას პოლიტიკური პროცესი, განათლების სისტემა, კულტურული ღონისძიებები ან გავლენის სხვა სფეროები. სადაც არ უნდა მოგვათავსოს ღმერთმა, ჩვენ უნდა ვიცხოვროთ, როგორც უზენაესი ღმერთის წარმომადგენლებმა. ეზეკიელისთვის ეს ნიშნავდა გადასახლებული წინასწარმეტყველის ერთგულებას. დანიელისთვის ეს ნიშნავდა მთავრობის გავლენიანი წევრის ერთგულებას. სად სურს ღმერთს თქვენი გამოყენება თავის სამეფოში?

დასკვნა: ეზეკიელი და დანიელი ახალ აღთქმაში

ახალ აღთქმაში ეზეკიელის შესახებ სულ მცირე სამოცდათხუთმეტი მინიშნებაა. აქედან თითქმის ორმოცდაათი არის გამოცხადების წიგნში.

დანიელი გვპირდება, რომ ღმერთი დაამარცხებს ბოროტებას და განაგებს სამყაროს; თუმცა იერუსალიმში დაბრუნებამ ძვ. წ. 538 წ. არ მოიტანა ბოროტების დამარცხება. ახალი აღთქმა გვიჩვენებს ამ დაპირების შესრულებას. პავლე გვიჩვენებს, რომ ჯვარზე იესომ დაამარცხა ბოროტების ძალები.[331]

დანიელის დაპირება საბოლოოდ სრულდება გამოცხადებაში. გამოცხადების წიგნი გვიჩვენებს ღვთის საბოლოო გამარჯვებას სატანაზე. დანიელის მე-7თავში ოთხი მხეცი ამოდის ზღვიდან; გამოცხადების მე-13 თავში, მხეცი ამოდის ზღვიდან. გამოცხადების 19:11-21-ში იესო არის ღვთაებრივი მეომარი, რომელიც ამარცხებს ბოროტ ძალებს.

აპოკალიფსური ლიტერატურა ახლო ხედით

დანიელს, გამოცხადებას და ნაწილს ეზეკიელისა და ზაქარიას წიგნებიდან აპოკალიფსურ ლიტერატურას უწოდებენ. ებრაულ სამყაროში კარგად იყო ცნობილი აპოკალიფსური მწერლობა; ამ

[331] კოლასელთა 1:13-15

სახეობის მრავალი არაბიბლიური მაგალითი არსებობს. აპოკალიფსური ლიტერატურა განსხვავდება ბიბლიური მწერლობის სხვა სტილისგან და მოითხოვს უფრო ფრთხილად განმარტებას.

აპოკალიფსური მწერლობა ცხადყოფს დაფარულ სიმართლეს. ბიბლიური აპოკალიფსური ლიტერატურა მსოფლიო ისტორიის მოვლენებს ღვთის განზრახვების ფონზე განიხილავს. ის განსაკუთრებით ორიენტირებულია ღმერთის საბოლოო მიზნების შესრულებაზე დროთა დასასრულს. სადაც ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა უმეტესობა ყურადღებას ისრაელზე და აღთქმაზე ამახვილებს, დანიელი საერო მსოფლიო იმპერიებს ღვთის საბოლოო მიზნების გათვალისწინებით უყურებს.

აპოკალიფსური ლიტერატურა ასახავს წინასწარმეტყველურ ჭეშმარიტებას ხილვების მეშვეობით. დანიელი ოცდაათჯერ იყენებს ტერმინს „ხილვა“. ხილვები ხშირად ნაწილობრივ თანმხვედრია, ამიტომ ძნელია ზუსტი ქრონოლოგიური თანმიმდევრობის ჩამოყალიბება. მრავალი ხილვა შეიძლება წარმოადგენდეს ერთი და იგივე მოვლენის სხვა და სხვა თვალსაწიერიდან ასახვას, რათა წარმოადგინოს მოვლენა განსხვავებული პერსპექტივებიდან. ამ ხილვების მეშვეობით დანიელმა (და მოგვიანებით იოანემ გამოცხადებაში) გააღო ფანჯარა სულიერ სამყაროში. აპოკალიფსური მწერლობა აჩვენებს, რომ სულიერი სამყარო ისეთივე რეალურია, როგორც ფიზიკური სამყარო.

აპოკალიფსური ლიტერატურა იყენებს დრამატულ სიმბოლოებს ჭეშმარიტების გადმოსაცემად. დანიელსა და გამოცხადებას ბევრი საერთო სიმბოლო აქვთ. როგორც დანიელში, ასევე გამოცხადებაში, გროტესკული მხეცები წარმოადგენენ ბოროტ სამეფოებს. მხეცები ხშირად სხვადასხვა სახეობის ჰიბრიდები არიან, რაც მათ ისრაელისთვის სისაძაგლედ აქცევს.[332]

აპოკალიფსური მწერლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩაგვრის დროს. დანიელი ამხნევებდა ებრაელ ხალხს ანტიოქე ეპიფანეს დევნის დროს. გამოცხადება დაიწერა რომაელთა მიერ ეკლესიის დევნის დროს. იმ დღეებში აპოკალიფსური ლიტერატურა აჩვენებდა, რომ ღმერთი არის ღვთიური მეომარი, რომელიც იბრძვის თავისი ხალხის სახელით. ბიბლიური აპოკალიფსური მწერლობის მთავარი მიზანი დღეს არის ერთგულების წახალისება ჩვენი დარწმუნებულობის გამო ღვთის სამომავლო გეგმაში.

აპოკალიფსური ლიტერატურის მკითხველმა ყურადღება უნდა გაამახვილოს მთავარ თემებზე, დეტალებით გადატვირთვის გარეშე. დანიელის მთავარი თემაა ღმერთის უზენაესობა და უფლობა კაცობრიობის ისტორიაზე. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი იმპერია ეწინააღმდეგება ღმერთს, მისი საბოლოო გამარჯვება უდაო და გარდაუვალია. დანიელი შთააგონებს თავის მკითხველებს, იყვნენ ერთგულები და არწმუნებს მათ, რომ ღმერთი მოიტანს საბოლოო გამარჯვებას.

---

[332] მაგალითად, დანიელის მე-7 თავის პირველი მხეცი „ლომის მსგავსი იყო და არწივის ფრთები ჰქონდა.”

მე-11 გაკვეთილის დავალებები

მოახდინეთ ამ გაკვეთილში მოცემული მასალის სწორად აღქმის და გაგების დემონსტრირება შემდეგი დავალების შესრულებით:

(1) აირჩიეთ შემდეგი დავალებებიდან ერთ-ერთი:

ვარიანტი 1: ჯგუფური დავალება

წაიკითხეთ ეზეკიელის ხილვა ახალი ტაძრის შესახებ ეზეკიელის 40–48 თავებში. გადაუნაწილეთ თქვენი ჯგუფის თითოეულ წევრს ამ გაკვეთილზე განხილული განმარტების მიდგომებიდან ერთ-ერთი. თითოეულმა წევრმა უნდა შეისწავლოს ეზეკიელის 40–48 თავები და ახსნას, თუ როგორ ხდება ეზეკიელის ხილვის ინტერპრეტაცია მათთვის მიცემული მიდგომის გამოყენებით.

ვარიანტი 2: ინდივიდუალური დავალება

- დაწერეთ ერთგვერდიანი (450 სიტყვიანი) ესე, ანუ ნარკვევი ეზეკიელის ხილვაზე ახალი ტაძრის შესახებ. აირჩიეთ ამ გაკვეთილზე განხილული ინტერპრეტაციის მიდგომებიდან ერთ-ერთი და განმარტეთ ხილვა ამ ინტერპრეტაციის სინათლეზე.
- დაწერეთ ქადაგების ერთგვერდიანი (450 სიტყვიანი) დეტალური გეგმა-მონახაზი, ღვთის გეგმაზე კაცობრიობის ისტორიისთვის დანიელის 7–12 -ზე დაყრდნობით.

(2) გაიარეთ ამ გაკვეთილის ტესტი. ტესტი მოიცავს საზეპირო მუხლებს წმიდა წერილებიდან.

მე-11 გაკვეთილის ტესტი

(1) რას ნიშნავს სახელი „ეზეკიელი“?

(2) რა არის ეზეკიელის წიგნის მიზანი?

(3) რა არის ეზეკიელის შესატყვისი იერემიას ტაძრის ქადაგებასთან?

(4) ჩამოთვალეთ ეზეკიელის ახალი ტაძრის შესახებ ხილვის ინტერპრეტაციის ხუთი ვარიანტი.

(5) ეზეკიელი წაიყვანეს ბაბილონში _____ წ. ძვ. წ.

დანიელი წაიყვანეს ბაბილონში _____ წ. ძვ. წ.

(6) რომელია დანიელის წიგნის სამი ცენტრალური თემა?

(7) რომელი ორი ენაა გამოყენებული დანიელის წიგნში?

(8) ტრადიციული ინტერპრეტაციით, რომელი იმპერია არის წარმოდგენილი თითოეული ამ სიმბოლოში?

- ლომი არწივის ფრთებით: _____
- დათვი: _____
- მამალი თხა ერთი დიდი რქით: _____
- რკინის ფეხები, რკინის და თიხის ტერფები: _____
- • ქვა, რომელიც დიდ მთად იქცევა: _____

(9) რომელი ბიბლიური წიგნები შედგება ძირითადად ან ნაწილობრივ აპოკალიფსური წერილებისგან?

(10) ახალი აღთქმის რომელი წიგნი ციტირებს ყველაზე ხშირად ეზეკიელსა და დანიელს?

(11) დაწერეთ ზეპირად ნასწავლი ეზეკიელი 36:25-27.

გაკვეთილი 12
მცირე წინასწარმეტყველები 1: ოსია, იოველი, ამოსი

გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს, სტუდენტმა უნდა:
(1) იცოდეს ოსიას, იოველისა და ამოსის დაწერის სავარაუდო თარიღი და ისტორიული გარემო.
(2) შეეძლოს ოსიას, იოველისა და ამოსის ძირითადი თემებისა და მიზნების გამოკვეთა.
(3) ესმოდეს სამართლიანობის / სიმართლის თემა მცირე წინასწარმეტყველებში.
(4) გრძნობდეს ღმერთის გულს, როცა ის ხედავს თავისი ხალხის ორგულობას.
(5) უკავშირებდეს ოსიას, იოველისა და ამოსის გზავნილს დღევანდელი ქვეყნიერების საჭიროებებს.

ამ გაკვეთილისთვის მომზადება

წაიკითხეთ ოსია, იოველი, და ამოსი.

დაიზეპირეთ ოსია 10:12; იოველი 2:13; ამოსი 5:24.

შესავალი

ძველი აღთქმის ბოლო თორმეტ წიგნს მცირე წინასწარმეტყველები ეწოდება. ებრაულ ბიბლიაში ეს წიგნები ერთ გრაგნილშია მოთავსებული, რომელსაც „თორმეტის წიგნს“ ეძახიან.

იმის გამო, რომ მცირე წინასწარმეტყველები მოცულობით უფრო მცირეა, ვიდრე დიდი წინასწარმეტყველები, ზოგიერთი მკითხველი მიიჩნევს, რომ ეს წიგნები უმნიშვნელოა. თუმცა, ეს წინასწარმეტყველები არ იყვნენ „მცირე“ თავიანთი გზავნილისა თუ გავლენის თვალსაზრისით. განსაზვრება „მცირე“ ეხება წიგნების ზომას და არა მათი გზავნილების მნიშვნელობას. ამ წინასწარმეტყველთა გზავნილმა დიდი გავლენა მოახდინა ძველი ისრაელისა და იუდას სამყაროზე და დღემდე ელაპარაკება ეკლესიას.

მცირე წინასწარმეტყველთა სავარაუდო თარიღები	
მე-8 საუკუნე ძვ. წ.	იონა, ამოსი, ოსია, მიქა
მე-7th საუკუნე ძვ. წ.	ნაუმი, სოფონია, აბაკუმი
მე-6 საუკუნე ძვ. წ.	აბდია, ანგია, ზაქარია
მე-5 საუკუნე ძვ. წ.	მალაქია, იოველი (სავარაუდოდ)

ოსია: ღმერთის გულისტკივილი

ოსია ერთი შეხედვით	
ავტორი	ოსია
სამიზნე აუდიტორია	ჩრდილოეთის სამეფო
თარიღი	მე-8 საუკუნის ბოლო ნახევარი
თემა	ღმერთის გულისტკივილი
მიზანი	ისრაელის სულიერ მრუშობასთან დაპირისპირება
სახარება ოსიაში	პასუხი ისრაელის სულიერ მრუშობაზე არის ღმერთთან და დავითის სახლიდან მოსულ მეფესთან დაბრუნება (ოსია 3:5). ეს მოხდება მესიის დროს, როცა მარადიული მეფე იესო გააერთიანებს ყველა ერთგულს თავისი მმართველობის ქვეშ.

ოსიას ისტორიული გარემო

ოსია და ამოსი მე-8 საუკუნის ჩრდილოეთ სამეფოს წინასწარმეტყველები იყვნენ.[333] ისინი ესაიას თანამედროვენი იყვნენ იუდაში.

ძვ. წ. მე-8 საუკუნის დასაწყისში იერობყამ მე-II ჩრდილოეთ სამეფოს მეფე იყო. ეს ისრაელის აყვავების დრო იყო. ასურეთის ძლიერება დროებით შემცირდა შიდა კონფლიქტების გამო. ისრაელმა გააფართოვა საზღვრები და სარგებელი მიიღო მეზობლებთან ვაჭრობით. ისრაელი და იუდა ახლა იმხელა ტერიტორიას აკონტროლებდნენ, როგორც ისრაელის მეფე დავითის დროს.

სამწუხაროდ, მიუხედავად ისრაელის ეკონომიკური აყვავებისა, მან სულიერი აღზევება ვერ განიცადა. სულიერად ისრაელი განდგომილი იყო; ჩრდილოეთ სამეფოს ხალხი იაჰვესთან ერთად ბაალს სცემდა თაყვანს.[334]

სავარაუდოდ, ოსიამ, მსახურება იერობყამ II-ის მეფობის ბოლოს დაიწყო. ასურეთი კვლავ ძლიერდებოდა და მალე გახდა მსოფლიო დომინანტური იმპერია ტიგლათფილესერ III-ის დროს. რამდენიმე წელიწადში ასურეთი დაიპყრობს სამარიას და გაანადგურებს ჩრდილოეთ სამეფოს.

---

[333] ოსია ისრაელის ჩრდილოეთ სამეფოს ოცდათხუთმეტჯერ უწოდებს „ეფრემს“.

[334] ტერმინი, რომელიც აერთიანებს იაჰვესა და სხვა ღმერთების თაყვანისცემას, არის „სინკრეტიზმი“. ეს იყო განმეორებადი პრობლემა ისრაელისთვის, მათ შორის ოქროს ხბოს თაყვანისცემა გამოსვლის 32-ე თავში და შემდეგაც, როცა სოლომონმა თავისი უცხოტომელი ცოლების ღმერთების თაყვანისცემა დაიწყო.

ოსიას მიზანი

ოსია ქადაგებდა ისრაელის სულიერი მრუშობის წინააღმდეგ. ის აფრთხილებდა, რომ ბაალის თაყვანისცემა ღვთის სასჯელს მოიტანდა. მან დაანახა ის ტკივილი, რომელსაც ისრაელის ორგულობა აყენებდა ღმერთს.

► ბიბლია ხშირად იყენებს ქორწინების მეტაფორას ღმერთსა და მის ხალხს შორის ურთიერთობის აღსაწერად. თუ ადამიანთა ქორწინება ემყარება ღვთის ურთიერთობას თავის ხალხთან, რას გვასწავლის ეს ქორწინების შესახებ?

თემები ოსიას წიგნში

სულიერი მრუშობა

მთელ წმინდა წერილში, ქორწინება არის ღვთის ურთიერთობის სურათი თავის ხალხთან. ქორწინება არის უწყვეტი ვალდებულება მამაკაცსა და ქალს შორის. ანალოგიურად, ღმერთმა დადო მარადიული აღთქმა, ანუ შეთანხმება ისრაელთან. ქორწინება და ღმერთთან შეთანხმება ექსკლუზიური ურთიერთობებია. როგორც ცოლმა ან ქმარმა არასოდეს უნდა უღალატოს მეუღლეს, ასევე ღვთის ხალხმა არ უნდა უღალატოს ღმერთს. ოსიაში ღმერთმა აჩვენა, რომ ისრაელი დამნაშავე იყო სხვა ღმერთებთან სულიერ მრუშობაში, ისევე, როგორც ცოლი, რომელიც გაიჩენდა საყვარლებს, დამნაშავე იყო მრუშობაში.

ოსიას გრაფიკული ენა კარგად შეეფერება ისრაელის კერპთაყვანისმცემლობის ბუნებას. ბაალი იყო სირია-პალესტინის ამინდის ღმერთი. მას მიაწერდნენ, რომ განაგებდა წვიმის მოსვლას, სოფლის მეურნეობას და ნაყოფიერებას. წარმართულ სალოცავებში ხალხი „თაყვანს სცემდნენ“ ბაალს რიტუალური პროსტიტუციით. მათ სჯეროდათ, რომ მათ სექსუალურ ქცევას ბაალი უპასუხებდა მიწისთვის ნაყოფიერი ნათესით და წვიმით. ოსიას ხატოვანი მწერლობა აჩვენებს, რომ ისრაელის შეცოდება საკულტო მეძავებთან არის მათი სულიერი მრუშობის ანარეკლი.

ღმერთმა უბრძანა ოსიას, რომ მოეყვანა ცოლად გომერი, „გარყვნილი ქალი.”[335] ზოგიერთი კომენტატორი თვლის, რომ გომერი ქორწინებამდე უკვე მეძავი იყო. რადგან რთული აღსაქმელია, რომ ღმერთმა მოუწოდა ასეთი საქციელისკენ, ზოგიერთები თვლიან, რომ ღმერთმა უბრძანა ოსიას ცოლად შეერთო ქალი, რომელიც მოგვიანებით გახდა მოღალატე. და ბოლოს, ზოგი თვლის, რომ გომერი იყო კერპთაყვანისმცემელი, რომელიც წარმოადგენდა ერის სულიერ მრუშობას. მიუხედავად ფრაზის კონკრეტული ინტერპრეტაციისა, გომერის ღალატი ოსიასადმი არის ისრაელის ორგულობის ამსახველი იაჰვეს მიმართ.

ოსიას შვილების სახელები წინასწარმეტყველური იყო. იზრეყელს იმ ველის სახელი ეწოდა, სადაც ასურეთმა მალე დიდი გამარჯვება მოიპოვა ისრაელზე. ლორუხამა ნიშნავდა "არშეწყალება", რადგან

---

[335] ოსია 1:2. ძველი აღთქმის დანარჩენ ნაწილში ეს ფრაზა აწმყო ან წარსულ ორგულობაზე მიუთითებს; ის არასოდეს მიუთითებს მომავალ ღალატზე. ეს გარკვეულწილად მინიშნებას იძლევა ღვთის ნაბრძანების პირველი განმარტების სასარგებლოდ.

ღმერთი არ შეიწყალებს მეამბოხე ხალხს. ლოყამი ნიშნავდა "არა ჩემი ხალხი", რადგან ღმერთი უარყოფს ხალხს, რომელიც სხვა ღმერთებისკენ შებრუნდა.

ოსიას ოჯახი	
გომერი	აჩვენებს ისრაელის სულიერ მრუშობას
იზრეყელი	ველი, სადაც ასურეთი დაამარცხებს ისრაელს
ლორუხამა	"არშეწყალება"
ლოყამი	"არა ჩემი ხალხი"

მას შემდეგ, რაც მისმა ორგულობამ გამოიწვია გომერის მონად გაყიდვა, ღმერთმა უთხრა ოსიას, რომ უკან გამოესყიდა. ანალოგიურად, მას შემდეგ რაც ისრაელი ცრუ ღმერთებმა მიატოვეს, ღმერთი მას კვლავ სახლში მოიყვანდა.

ღმერთის სარჩელი ისრაელის წინააღმდეგ

მე-10 გაკვეთილში ჩვენ განვიხილეთ წინასწარმეტყველური სარჩელი, რომელშიც ღმერთმა ისრაელს აღთქმისადმი ორგულობის ბრალი წაუყენა. იგივე ენაა გამოყენებული ოსიას 4-5 თავებში, როდესაც ღმერთი ბრალს სდებს ისრაელს.

ოსია აფრთხილებს, რომ ისრაელმა რეალურად აღარ იცის (აღარ იცნობს) ღმერთს. ებრაულად „ცოდნა" უფრო მეტია, ვიდრე ინტელექტუალური შემეცნება; ეს უფრო ურთიერთობის აღმნიშვნელი ტერმინია. ვინმეს გაცნობა ნიშნავს მასთან ემპირიულ ურთიერთობას. ისრაელი აღარ იცნობდა ღმერთს; მათ უარყვეს ღვთის კანონი და წინასწარმეტყველები; ისინი დაიღუპნენ „ცოდნის უქონლობის გამო"..."[336] მათ ღმერთის შემეცნება ბაალის შემეცნებაში გაცვალეს.

აღდგენის იმედი

სხვა წინასწარმეტყველების მსგავსად, ოსიაც ასრულებს წინასწარმეტყველებას აღდგენის დაპირებით, თუ კი ისრაელი მიატოვებს სულიერ მრუშობას და დაუბრუნდება იაჰოვეს. ღმერთმა შეიყვარა ისრაელი და გამოიყვანა ის ეგვიპტიდან. ახლა კი ცდილობდა მის თავისთან დაბრუნებას.

ოსიას მე-14 თავი შეიცავს მოწოდებას მონანიებისკენ და განკურნების დაპირებას. მიუხედავად იმისა, რომ ისრაელი იმედოვნებდა, რომ ასურეთი მათი მოკავშირე გახდებოდა, ის მათი მტერი გახდა და არა მეგობარი. თუმცა, თუ ისრაელი მოინანიებდა, ღმერთი დაჰპირდა: „განვკურნავ მათი განდგომისგან, შევიყვარებ მათ ჩემი ნებით."[337] ღმერთს უნდა განესაჯა ისრაელი მათი ცოდვებისთვის, მაგრამ ის ასევე აღდგენის იმედსაც აძლევდა.

---

[336] ოსია 4:6
[337] ოსია 14:4

ოსია ახალ აღთქმაში

ოსია მრავალჯერ არის ციტირებული ახალ აღთქმაში. მათეში ნაჩვენებია, რომ იესოს ეგვიპტიდან დაბრუნება ოსიას წინასწარმეტყველების აღსრულება იყო.[338] ოსიას სიტყვების გამოყენებით იესომ შეახსენა თავის მეტოქეებს, რომ წყალობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მსხვერპლი.[339] პავლემ მიუთითა ოსიაზე, როდესაც ასწავლიდა, რომ ღმერთი ქმნის ერს, რომელიც მოიცავს როგორც იუდეველებს, ასევე წარმართებს.[340] ღმერთის ცოდნა (ის ცოდნა, რაც ისრაელმა მიატოვა) მალე წარმართებთანაც მიაღწევდა.

იოველი: უფლის დღე

იოველი ერთი შეხედვით	
ავტორი	იოველი
სამიზნე აუდიტორია	იუდა
თარიღი	სავარაუდოდ 500-450 წ. ძვ. წ.
თემა	უფლის დღე
მიზანი	მომავალი განკითხვის დღის წინასწარმეტყველება
	მომავალი აღდგენის დღის წინასწარმეტყველება
სახარება იოველში	იოველის დაპირება ორმოცდამეათე დღის დღესასწაულზე, სულთმოფენის დღეს შესრულდა.

იოველის ისტორიული გარემო

იოველი მსახურობდა კალიების საშინელი შემოსევის შემდეგ. იოველმა გამოიყენა ეს ბუნებრივი სტიქიური უბედურება, როგორც მომავალი განკითხვის დღის მეტაფორა, „უფლის დღე."

წინასწარმეტყველ იოველის შესახებ ცოტა რამ არის ცნობილი, მხოლოდ მისი სახელის (ის ნიშნავს „იაჰვე ღმერთია") და მისი მამის შესახებ (ის იყო ფეთუელის ძე).

წიგნის თარიღიც კი გაურკვეველია; არ არსებობს მოვლენები, რომლებიც ადასტურებენ თარიღს. რადგან იოველი არ ახსენებს არც ჩრდილოეთ სამეფოს და არც იუდას მეფეს, სავარაუდოა, რომ იოველი ქადაგებდა გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ. ამასთან, ბიბლიის მკვლევარებს შორის ბევრი უთანხმოებაა.

---

[338] მათე 2:15; ოსია 11:1
[339] მათე 9:13; ოსია 6:6
[340] რომაელთა 9:25-26; ოსია 1:10-11 და 2:23

იოველის მიზანი

იოველი მოუწოდებდა იუდას ღმერთთან დაბრუნებისკენ. კალიების შემოსევა ურჩებზე მომავალი სამსჯავროს სიმბოლოდ იქცა. თუმცა, იოველმა ასევე ერთგულებისათვის იწინასწარმეტყველა აღდგენის მომავალი დღე.

თემები იოველში

კალიების შემოსევის სასჯელი და უფლის დღე (იოველი 1:1–2:17)

იოველი 1:2–2:17 არის გოდება კალიების შემოსევით სასჯელის შესახებ. ეს ჭირი იმაზე უარესი იყო, ვიდრე ვინმეს მანამდე ენახა; ის ჰგავდა ლაშქარს, რომელმაც ქვეყანა გაანადგურა.

კალიების შემოსევა უარესი მოვლენების მომასწავებელი ნიშანი იყო. აღდგენის პერიოდის ნაცვლად, იქნება განკითხვის დრო ღვთის ხალხისთვის, თუ ისინი არ მოინანიებენ. გარე ნიშანის, ანუ „სამოსელის დაგლეჯა“ საკმარისი არაა; ჭეშმარიტი მონანიება გულიდან უნდა მოდიოდეს. ღმერთმა მოითხოვა, რომ იუდას „გულები დაეგლიჯათ“. თუ ხალხი ღმერთს მიუბრუნდებოდა, აღმოაჩენდნენ, რომ „შემწყნარებელი და მწყალობელია იგი, სულგრძელი და დიდადმოწყალე და წუხს ბოროტებაზე.”[341]

წინასწარმეტყველური გზავნილი მომავლისთვის (იოველი 2:18–3:21)

განკითხვასთან ერთად ღმერთმა აღუთქვა აღდგინება. ღმერთი ჯერ მიწას აღადგენს. ის „გადაგიხდით იმ წლებისას, როცა ჭამდა მღრღნელი და კალია.”[342] შემდეგ ღმერთი სულიერ აღდგენას დაჰპირდა.

ისევე როგორც კალიების შემოსევა იყო სულიერი კატასტროფის სიმბოლო, მიწის აღდგენაც მომავალი სულიერი გამოღვიძების სიმბოლო იყო. ღმერთი გადმოღვრის თავისი სულისგან საწოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელზე.

იმ დროს მთელ დედამიწას ეცოდინებოდა ღვთის უზენაესობის შესახებ. ღვთის ხალხის მტრები დაისჯებიან, ხოლო იუდა ღვთის განსაკუთრებულ კურთხევას მიიღებს.

იოველი ახალ აღთქმაში

იოელი გვპირდება, რომ ღმერთი თავის სულს ყოველ ხორციელზე გადმოღვრის. ეს უფრო მეტია, ვიდრე ისრაელის ისტორიაში დროდადრო მომხდარი აღორძინება-გამოღვიძებები. ამ აღორძინებებმა შეაჩერა ისრაელის განუხრელი განდგომა ღვთის გეგმიდან, მაგრამ ეს აღორძინებები აღმოჩნდა დროებითი და არა მუდმივი ცვლილებები. აგრეთვე, ისინი მხოლოდ ისრაელით შემოიფარგლებოდნენ.

იოველი მოუთმენლად ელოდა დროს, როცა ღვთის სული „ყოველ ხორციელზე“ გადმოიღვრებოდა. ორმოცდამეათე დღის დღესასწაულზე პეტრემ განაცხადა, რომ იოველის წინასწარმეტყველება

---

[341] იოველი 2:13
[342] იოველი 2:25

სრულდებოდა.[343] ზედა ოთახში სულიწმიდის გადმოღვრის შემდეგ მოციქულებმა წაიღეს სახარება იერუსალიმში, იუდეასა და სამარიაში და დედამიწის კიდემდე.

ეს არ იყო დროებითი აღდგინება, ანუ გამოღვიძება. ამის ნაცვლად, უფლის დღის აღთქმა კვლავაც სრულდება ეკლესიის მსახურების მეშვეობით. როდესაც ჩვენ ვახარებთ და ხალხს მოვიმოწაფებთ, ჩვენ ამას იმ რწმენით ვაკეთებთ, რომ ჩვენი მეშვეობით ღვთის სული მოქმედებს, კაცობრიობაზე მისი განზრახვის შესასრულებლად. ეკლესიის საქმიანობის მეშვეობით მისი სული კვლავაც იღვრება ყოველ ხორციელზე.

ამოსი: მწყემსი ჭეშმარიტი სიმართლისთვის

ამოსი ერთი შეხედვით	
ავტორი	ამოსი
სამიზნე აუდიტორია	ჩრდილოეთის სამეფო
თარიღი	ძვ. წ. მე-8 საუკუნის შუა პერიოდი
თემა	მწყემსი ჭეშმარიტი სიმართლისთვის
მიზანი	წინასწარმეტყველება ღვთის სასჯელის შესახებ ისრაელზე მისი უმართლო საქციელის გამო - როგორც ღმერთის, ისე მისი მოყვასის მიმართ.
სახარება ამოსში	ამოსის მსგავსად, იესო გვიჩვენებს, რომ ღმერთისადმი სიყვარული (პირველი დიდი მცნება) უნდა დავინახოთ ჩვენი მოყვასის სიყვარულში (მეორე დიდი მცნება). იაკობის წერილს ბევრი საერთო თემა აქვს ამოსთან.

ამოსის ისტორიული გარემო

ამოსი იყო მწყემსი თეკოადან, იერუსალიმის სამხრეთით მდებარე პატარა ქალაქიდან. ზაფხულში მწყემსებს ფარა დაბალ სიმაღლეებზე გადაჰყავდათ. ამ თვეების განმავლობაში ამოსი უვლიდა ლეღვისებრ მთის ნეკერჩხლებს.

ღმერთმა ამოსს ჩრდილოეთ სამეფოში გამგზავრება დაავალა. როგორც მწყემსს, ამოსს აკლდა წინასწარმეტყველის რწმუნებულება. უარესი, როგორც იუდას წინასწარმეტყველს, ამოსი არ სარგებლობდა ხალხის ნდობით ჩრდილოეთ სამეფოში.[344]

გარდა მისი გზავნილის წინააღმდეგობისა, ამოსი ქადაგებდა განკითხვის შესახებ იმ დროს, როდესაც ჩრდილოეთ სამეფო უპრეცედენტო ეკონომიკურ და პოლიტიკურ წარმატებას განიცდიდა. ბევრი ისრაელი თვლიდა, რომ კეთილდღეობა ღვთის კურთხევის ნიშანი იყო. ამოსის განკითხვის

[343] იოველი 2:28-32; საქმე 2:14-21
[344] ამოსი 7:10-13

გზავნილი გაუფასურდა მათ თვალში ისრაელის ხილული კეთილდღეობის გამო. თუმცა ამოსი ღვთის მოწოდების ერთგული იყო და განკითხვის გზავნილი მოჰქონდა.

ამოსის მიზანი

ერს, რომელიც კეთილდღეობას განიცდიდა, ამოსმა განკითხვა, სასჯელი უწინასწარმეტყველა. კეთილდღეობის ახალი დღის ნაცვლად ისრაელს განკითხვის დღე დაუდგა. ღვთის განაჩენი გამოწვეული იყო ისრაელის უარით სამართლიანად მოქცეოდა საზოგადოების ყველაზე დაბალი ფენის წარმომადგენლებს. ამოსი ქადაგებდა, რომ სიმართლე უფრო მეტია, ვიდრე ტაძრის რიტუალების დაცვა; სამართლიანობა მოითხოვს სწორ ქცევას ჩვენი მოყვასის მიმართ.

თემები ამოსის წიგნში

განკითხვა, ანუ სამსჯავრო (ამოსი 1:1–9:10)

ამოსის წიგნის დიდი ნაწილი განკითხვის გზავნილია. ამოსი პასუხობს სამ კითხვას:

1. **ვინ აგზავნის სასჯელს?** წიგნში ასურეთი არ არის ნახსენები; ამოსი გვიჩვენებს, რომ მომავალი განაჩენი ღვთისგან მოდის. არაერთხელ ცდილობს ამ გზავნილს ცნობიერებამდე მოტანას: „უფალი დაიგრგვინებს... ასე ამბობს უფალი... არ დავინდობ...არ გავაუქმებ მის სასჯელს... ცეცხლს დავცემ... დავლეწ დამასკოს ურდულს.”[345]
2. **როგორ მოვა სასჯელი?** შიმშილი, გვალვა, ჭირი და ეპიდემიები იქნება ღვთის განკითვის იარაღი.[346] ასურეთი შეიჭრება ქვეყანაში და მას ისევე საგულდაგულოდ გაანადგურებს, როგორც ლომი ანადგურებს ცხვარს და მისგან მხოლოდ წვივი ან ყურის ნაგლეჯი რჩება.[347] ერის წინამძღოლები წაყვანილ იქნებიან [348] და მიწას დაიპყრობენ.[349]
3. **რატომ აგზავნის ღმერთი სასჯელს?** ღვთის სამსჯავრო ისრაელის ცოდვის შედეგია. ყველა ერს შორის, ღმერთი მხოლოდ ისრაელს და იუდას სცნობდა. ისრაელი სარგებლობდა აღთქმის პრივილეგიებით; მან დაივიწყა აღთქმის ვალდებულებები. რადგან ის ღმერთმა სცნო, ისრაელს ღვთის სასჯელი ემუქრება. [350] აღთქმამ მოუტანა პრივილეგიაც და პასუხისმგებლობაც.

განკითხვის გამოცხადება მოცემულია რიგი წინასწარმეტყველური გზავნილების მეშვეობით. ამოსის თითოეული ნაწილი ამ გზავნილს სხვადასხვანაირად გადმოსცემს. ამოსის გზავნილი მოიცავს:

---

[345] ამოსი 1:2-8
[346] ამოსი 4:6-11
[347] ამოსი 3:11-12
[348] ამოსი 4:2-3 და 5:27
[349] ამოსი 6:14
[350] ამოსი 3:1-2. გავიხსენოთ ოსიადან, რომ ტერმინი „ცოდნა“ (ცნობა) ეხება ურთიერთობებს და არა მხოლოდ გონებით ცოდნას.

წინასწარმეტყველებები ერების წინააღმდეგ სამსჯავროს შესახებ (ამოსი 1–2)

ამოსი იწყებს სხვა ერების განკითხვით: დამასკო, ფილისტიმელთა მხარე და ტვიროსი. შემდეგ ის გადავიდა ისრაელის სისხლით ნათესავ ერებზე: ედომი, ყამონი და მოაბი. ამ ქვეყნებმა ჩაიდინეს სასტიკი დანაშაული ისრაელის წინააღმდეგ. ამოსი შემდეგ ლაპარაკობს იუდას სულიერ ცოდვებზე - რჯულის მიტოვება და ცრუ ღმერთების მიმდევრობა.



1 = სხვა ერები: დამასკო, ფილისტიმელთა მხარე და ტვიროსი.
2 = ისრაელის სისხლით ნათესავი ერები: ედომი, ყამონი და მოაბი.
3 = იუდა (სამხრეთ სამეფო).
4 = ისრაელი (ჩრდილოეთ სამეფო).

მას შემდეგ, რაც ამოსმა ისრაელის გარშემო მყოფ ერებს მიმართა, ის ჩრდილოეთ სამეფოს მიმართავს მათი ცოდვების გამო. აქამდე ამოსის მსმენელები ეთანხმებოდნენ მის გზავნილს. თუმცა, ამოსი მოულოდნელად ამბობს, რომ უფლის დღე ისრაელისთვისაც განკითხვის დღე იქნება. ისრაელი გასამართლდება მისი ცოდვების გამო: სუსტების ჩაგვრის (ისინი წყვილ ფეხსაცმელზე ყიდიან ღარიბებს"[351]), სექსუალური ცოდვებისა და წარმართული დღესასწაულების გამო.

წინასწარმეტყველებები ისრაელის წინააღმდეგ (ამოსი 3–6)

ამოსმა დასვა რიგი კითხვები, რათა ეჩვენებინა, რამდენად სამართლიანი იყო ღმერთის მსჯავრი ისრაელზე.[352] მან ისრაელის ცოდვა ფილისტიმელებსა და ეგვიპტელებს შეადარა.[353] მან მიმართა ისრაელიანთა გარკვეული ჯგუფების ცოდვებს: შემწყნარებელ სამარიელ ქალებს, ვინც ცოდვაში ცხოვრებისას მსხვერპლს სწირავდა და ლიდერებს, რომლებიც ქედმაღალნი იყვნენ თავიანთი სიმდიდრითა და აშკარა დაჯერებულობით.[354]

ამოსმა სამგლოვიარო გოდება, მიცვალებულთა გლოვისათვის განკუთვნილი სიმღერა უმღერა ისრაელს.[355] გაფრთხილებების მიუხედავად, ისრაელმა უარი თქვა მონანიებაზე. ისინი ელოდნენ, რომ ღმერთი სხვა ერებს გაასამართლებდა; ისინი ვერ იაზრებდნენ, რომ ღმერთი ისრაელს გაასამართლებდა მისი ცოდვის გამო.

განკითხვის ხილვები (ამოსი 7:1 – 9:10)

ღმერთმა ამოსს ხუთი ხილვა მისცა, რომლებიც მომავალ განკითხვას ასახავდა. ამოსმა იხილა:

1. კალიების შემოსევა, რაც მიწას განადგურებით ემუქრებოდა. ეს იყო ღვთის სასჯელი ისრაელზე. ამოსმა იშუამდგომლა ისრაელისთვის და ღმერთმა შეიბრალა.

---

[351] ამოსი 2:6
[352] ამოსი 3:3-6
[353] ამოსი 3:9-15
[354] ამოსი 4:1-11 და 6:1-14
[355] ამოსი 5:1-3

2. ცეცხლის სასჯელი, ისეთი ძლიერი, რომ ხმელთაშუა ზღვა შთანთქა. კვლავ ამოსმა იშუამდგომლა ისრაელისთვის და ღმერთმა კვლავ შეიბრალა.

3. შვეული კედლის სისწორის შესამოწმებლად. ღვთის სიმართლის თარაზოსთან შედარებით, ისრაელი არაკეთილსინდისიერი იყო. ამის გამო ღმერთი კედელი უნდა დაენგრია.

4. მწიფე ხილის კალათა. ის ასახავდა ისრაელის მდგომარეობას; ის მზად იყო დაუყოვნებლივი გასამართლებისთვის. ხალხი შაბათს იცავდა; მაგრამ შაბათის დასრულების შემდეგ, სხვა ადამიანებს არაკეთილსინდისიერად ექცეოდნენ. ჭეშმარიტი სიმართლე მოიცავს სწორ ქცევას; რელიგიური რიტუალები საკმარისი არ არის.

5. საკურთხეველთან მდგომი ღმერთი აცხადებს განკითხვის გარდაუვალობას. ხსნა არ არსებობს. თავისი ადრინდელი დაპირებების, რომ ადევნებდა თვალყურს თავის ხალხს, საშინელი პერიფრაზით ღმერთმა თქვა: „საბოროტოდ დავადგამ თვალს და არა სასიკეთოდ."[356]

აღდგენა (ამოსი 9:11-15)

ამოსი, ოსიას მსგავსად, იმედის გზავნილით დასრულდა. ღმერთს არ დავიწყებია თავისი ხალხი. წიგნი მთავრდება მომავალი აღდგენის გზავნილით.

დიდი შემობრუნება	
განკითხვა (1:1-9:10)	**აღდგენა (9:11-15)**
დაცემა: დაეცა და ვეღარ დგება ქალწული ისრაელი! (5:2).	**წამოდგომა:** იმ დღეს აღვმართავ დავითის დაცემულ (9:11).
დანგრეული კედლები: გარღვეული კედლებიდან გაგრეკავენ (4:3).	**აღდგენილი კედლები**: შევკრავ გარღვეულ კედელს (9:11).
ნგრევა: ზამთრის სახლს ზაფხულის სახლთან ერთად დავანგრევ, განადგურდება სპილოსძვლის სახლები; ბევრი სახლი აღმოიფხვრება (3:15).	**ხელახლა აშენება**: ნანგრევებიდან აღვადგენ (9:11).
შიმშილი: საუცხოო ვენახები გექნებათ, მაგრამ მათ ღვინოს ვერ დალევთ (5:11).	**ლხინი**: ვენახებს ჩაყრიან და მათ ღვინოს დალევენ, ბაღებს გააშენებენ და მათ ნაყოფს შეჭამენ (9:14).
გადასახლება: ამიტომაც დამასკოს იქით გადაგასახლებთ (5:27).	**დაბრუნება**: თავიანთ მიწაზე დავნერგავ მათ და აღარ აღმოიფხვრებიან თავიანთი მიწიდან, მათ რომ მივეცი (9:15).

[356] ამოსი 9:4

ამოსი ახალ აღთქმაში

მთაზე ქადაგებისას იესო ამოსის მსგავს გზავნილს ქადაგებს: სიმართლე უნდა ჩანდეს ჩვენს ქმედებებში მოყვასის მიმართ. იგივე აზრი ჩანს იაკობის წიგნშიც. რწმენის აღსარება საკმარისი არ არის; ეს რწმენა ყოველდღიურ ცხოვრებაში უნდა გამოვლინდეს.

► ზოგჯერ ეკლესია უგულებელყოფს საზოგადოების ცოდვებს, რადგან დაკავებულია ევანგელიზაციით. სხვა შემთხვევებში ეკლესია უგულებელყოფს სახარების გზავნილს სოციალური დაავადებების წინააღმდეგ ქადაგებისას.[357] როგორ შეუძლია ეკლესიას თქვენს საზოგადოებაში, ეფექტურად ისაუბროს საზოგადოების ცოდვებზე, ამავე დროს ინარჩუნებდეს ბიბლიურ აქცენტს მახარებლობაზე?

"სიმართლე" ახლო ხედით წინასწარმეტყველებში

ამოსის ერთ-ერთი საკვანძო მუხლია 5:24: „მაგრამ წყალივით იდინოს სამართალმა და სიმართლემ - დაუშრეტელ ნაკადულივით." ეს მუხლი იქცა თემად მრავალი სოციალური სამართლიანობის მოძრაობისთვის, რომელთა შორისაც ზოგიერთმა სოციალურ ქმედებებზე ზრუნვის გამო დაივიწყა სახარება.

თუმცა ამოსის გზავნილი შორს არის „სოციალური სახარებისაგან", რომელიც იესო ქრისტეს მიერ ხსნის გზავნილს ანაცვლებს სოციალური მოქმედებით. ამის ნაცვლად, ამოსი გვაჩვენებს, რომ ჭეშმარიტი სიმართლე დაფუძნებულია ღვთის ბუნებაზე. ჭეშმარიტი სიმართლე ღვთის წინაშე გამოიწვევს სწორ ქცევას ჩვენი მოყვასის მიმართ. ეს გზავნილი მეორდება მთელს წმინდა წერილში:

- თქვა ღმერთმა: „იყავით წმიდა, რადგან წმიდა ვარ მე, უფალი, თქვენი ღმერთი". ამას მოჰყვება რიგი დავალებები, რომლებიც ეხება ისრაელის მოპყრობას ღარიბების, თანამშრომლების, უნარშეზღუდულთა და მოყვასთა, ანუ ისრაელიანების მიმართ.[358]
- იობმა განაცხადა თავისი უდანაშაულობის შესახებ ღვთის წინაშე. თავის დასაცავად მან დაამოწმა თავის სამართლიან მოპყრობაზე თანამემამულეების, ანუ მოყვასების მიმართ.[359]
- ფარისევლები აკრიტიკებდნენ იესოს ცოდვილებთან ერთად ჭამისთვის. ამაზე იესომ უპასუხა ციტატით ოსიას 6:6-დან: „თქვენ კი წადით და ისწავლეთ, რას ნიშნავს: წყალობა მსურს და არა მსხვერპლი; მართალთა კი არა, ცოდვილთა მოსახმობად მოვედი."[360]
- იაკობი უპირისპირდებოდა ქრისტიანებს, რომლებიც მიკერძოებულნი იყვნენ მდიდრების მიმართ, რომლებიც არ ზრუნავდნენ მშივრების გამოკვებაზე და შიშველების შემოსვაზე და დამნაშავენი იყვნენ ბოროტ, ენის აულაგმავ საუბარში. იაკობმა შეაჯამა რას ნიშნავს „წმიდა

---

[357] ამას ხშირად „სოციალურ სახარებას" უწოდებენ."
[358] ლევიანები 19:2-დან ქვემოთ
[359] იობი 31
[360] მათე 9:13

> და უმწიკვლო მსახურება“: „მიხედო ქვრივ-ობლებს მათ გასაჭირში და შეურყვნელად დაიცვა თავი ქვეყნიერებისგან.”[361]

სიმართლე აღწერს ღმერთის ბუნებას; მოყვასისადმი სამართლიანად მოპყრობა ნიშნავს ღმერთის ბუნების არეკვლას. როგორც 21-ე საუკუნის ქრისტიანებმა, ჩვენ უნდა ვაჩვენოთ ღმერთის ბუნება ურწმუნო სამყაროს. ღმერთთან სწორი ურთიერთობა ცვლის ჩვენს ურთიერთობებს მოყვასებთან. ასეთია სიმართლის მნიშვნელობა ამოსში; ასეთია სიმართლის მნიშვნელობა დღევანდელ სამყაროში.

დასკვნა

ქრისტიანთა შორის ცოტამ თუ გამოიმუშავა უფრო ეფექტური მიძღვნა სახარების გავრცელებისა და ქრისტიანული სამართლიანობის პრინციპის მიმართ, ვიდრე უილიამ უილბერფორსმა, ინგლისელმა პოლიტიკოსმა, რომელიც ცხოვრობდა 1759–1833 წლებში.

უილბერფორსი თემთა პალატაში 21 წლის ასაკში აირჩიეს. ოთხი წლის შემდეგ ის ქრისტიანი გახდა. ამ ახალგაზრდა არისტოკრატის მთელი ცხოვრება მისმა ღვთისკენ მოქცევამ გარდაქმნა. ეს არ იყო უბრალოდ პირადი „რწმენის აღსარება“. მისი შეხედულება მის პოლიტიკურ კარიერაზე, მისი ეგოცენტრული ცხოვრების წესი და მისი სიმდიდრის გამოყენება შეიცვალა მისი მოქცევით, გაქრისტიანებით.

უილიამ უილბერფორსს სჯეროდა, რომ ქრისტიანები უნდა ზრუნავდნენ როგორც დაკარგულთა ევანგელიზაციაზე, ასევე ტანჯვაში მყოფთა ფიზიკურ საჭიროებებზე. შედეგად, ის მრავალ ორგანიზაციასთან მუშაობდა ღარიბების დასახმარებლად და სახარების გასავრცელებლად. ის აფინანსებდა მისიონერებს ინდოეთსა და აფრიკაში. ის იღწვოდა უკეთესი საავადმყოფოებისთვის, თავშესაფრებისთვის, სკოლებისთვის და ციხეებისთვის. იგი მხარს უჭერდა საკვირაო სკოლებს, ლტოლვილებს, მარტოხელა დედებს და მშრომელ ღარიბებს. თავისი ცხოვრების დიდი ნაწილის განმავლობაში, უილბერფორსი წლიური შემოსავლის მეოთხედს ღარიბებს აძლევდა.

უილბერფორსმა, როგორც პოლიტიკურმა ლიდერმა, ყველაზე ხანგრძლივი მოქმედების წვლილი მონობის წინააღმდეგ ბრძოლაში შეიტანა. დარწმუნებული იყო, რომ მონობა შეუთავსებელი იყო მოყვასისადმი ქრისტიანულ სიყვარულთან, უილბერფორსმა თავისი კარიერის უმეტესი ნაწილი ამ ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლას მიუძღვნა. თავიდან ცოტას თუ ეგონა, რომ მას რაიმე შანსი ჰქონდა დაემარცხებინა ძლიერი ლობი, რომელიც მონობას იცავდა. ინგლისელ ვაჭრებს წელიწადში დაახლოებით 50000 მონა გადაყავდათ აფრიკიდან ატლანტიკური ოკეანის გადაღმა. ამ ვაჭრობას პოლიტიკოსები იცავდნენ, როგორც ბრიტანულ „უფლებას“, ბიზნესმენები იცავდნენ მას, როგორც ეკონომიკურ აუცილებლობას და მრავალი ქრისტიანის მიერ აღიქმებოდა, როგორც სამწუხარო, მაგრამ აუცილებელი ბოროტება.

უილბერფორსი ვერ შეეგუა ამ ბოროტებას. ის ღმერთმა მოათავსა გავლენის მდგომარეობაში. ის ამ თანამდებობას ღმერთს მსახურების შესაძლებლობად თვლიდა. მას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ „სამსჯავრო წყლებივით ედინებინა და სიმართლე, როგორც ძლიერი ნაკადი“. მონობის

---

[361] იაკობი 1:27

მანკიერებების შესახებ რომ შეიტყო, უილბერფორსმა თავი მიუძღვნა ამ სამარცხვინო ცოდვის გაუქმებას. ის წერდა: „დაე შედეგი ის იყოს, რაც იქნება: ამ დროიდან გადავწყვიტე, რომ აღარასოდეს მოვისვენებ, სანამ მის გაუქმებას არ მივაღწევ.”

1789 წლიდან მოყოლებული, უილბერფორსს ყოველწლიურად შეჰქონდა კანონპროექტები მონებით ვაჭრობის წინააღმდეგ. 1789-დან 1805 წლამდე მონობის საწინააღმდეგო თორმეტი კანონპროექტი უარყვეს. საბოლოოდ, 1807 წელს პარლამენტმა გააუქმა მონებით ვაჭრობა ბრიტანეთის იმპერიაში.

შემდეგ უილბერფორსმა დაიწყო ბრძოლა თვითონ მონობის (და არა მხოლოდ ახალი მონებით ვაჭრობის) გასაუქმებლად მთელს იმპერიაში. უილბერფორსმა კიდევ ოცდახუთი წელი იმუშავა, რათა მოეხდინა მონობის გაუქმება. მის გარდაცვალებამდე სამი დღით ადრე, თემთა პალატამ მიიღო კანონპროექტი, ბრიტანეთის იმპერიაში ყველა მონის გათავისუფლების შესახებ.

მე-12 გაკვეთილის დავალებები

მოახდინეთ ამ გაკვეთილში მოცემული მასალის სწორად აღქმის და გაგების დემონსტრირება შემდეგი დავალების შესრულებით:

(1) შეასრულეთ შემდეგი დავალებებიდან **ერთ-ერთი**.

ვარიანტი 1: ჯგუფური დავალება

განიხილეთ უსამართლობის სფერო თქვენს საზოგადოებაში, რომელზეც ეკლესიამ უნდა ისაუბროს. ამოსის მოდელის გამოყენებით, წარმოაჩინეთ, როგორ უნდა გაუმკლავდეს ეკლესია ამ სიტუაციას. დაწერეთ თქვენი დისკუსიის ერთგვერდიანი დასკვნა.

ვარიანტი 2: ინდივიდუალური დავალება

მოამზადეთ ქადაგების დეტალური მონახაზი თემაზე „ღვთის განკითხვა და სიყვარული მოღალატე ერის მიმართ“. ასახეთ, როგორ ესაუბრება ოსიას გზავნილი ჩვენს სამყაროს დღეს.

(2) გაიარეთ ამ გაკვეთილის ტესტი. ტესტი მოიცავს საზეპირო მუხლებს წმიდა წერილებიდან.

მე-12 გაკვეთილის ტესტი

(1) რას ეწოდება მცირე წინასწარმეტყველები ებრაულ ბიბლიაში?

(2) რა განსხვავებაა დიდ და მცირე წინასწარმეტყველებს შორის?

(3) აღწერეთ ჩრდილოეთ სამეფოს ეკონომიკური და სულიერი მდგომარეობა ძვ. წ. მე-8 საუკუნეში.

(4) რა არის ოსიას მთავარი მიზანი?

(5) რას უწინასწარმეტყველებს ისრაელს ოსიას თითოეული შვილის სახელი?

(6) რას ნიშნავს სიტყვა „ცოდნა“ ძველ აღთქმაში?

(7) რა არის იოველის მთავარი თემა?

(8) იოველში რომელი სტიქიური უბედურებაა მომავალი სამსჯავროს წინასწარმეტყველება?

(9) ახალი აღთქმის თანახმად, როდის აღსრულდა იოველის წინასწარმეტყველება მომავალი სულიერი გამოღვიძების შესახებ?

(10) რა არის ამოსის წიგნის მიზანი?

(11) ჩამოთვალეთ ამოსის ხუთი ხილვა სამსჯავროს შესახებ და განმარტეთ მათი მნიშვნელობა.

(12) დაწერეთ ზეპირად ნასწავლი ოსია 10:12; იოველი 2:13; ამოსი 5:24.

გაკვეთილი 13
მცირე წინასწარმეტყველები 2: წინასწარმეტყველები ერების მიმართ

გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს, სტუდენტმა უნდა:
(1) იცოდეს აბდიას, იონას, მიქას, ნაუმის, აბაკუმის და სოფონიას დაწერის სავარაუდო თარიღი და ისტორიული გარემო.
(2) შეეძლოს აბდიას, იონას, მიქას, ნაუმის, აბაკუმისა და სოფონიას ძირითადი თემებისა და მიზნების გამოკვეთა.
(3) ესმოდეს ძველი აღთქმის წინასწარმეტყველების ინტერპრეტაციის ძირითადი პრინციპები.
(4) პატივს მიაგებდეს ღვთის უზენაესობას ყველა ერზე.
(5) შეეძლოს აბდიას, იონას, მიქას, ნაუმის, აბაკუმის და სოფონიას გზავნილის დაკავშირება დღევანდელი ქვეყნიერების საჭიროებებთან.

ამ გაკვეთილისთვის მომზადება

წაიკითხეთ აბდია, იონა, მიქა, ნაუმი, აბაკუმი, და სოფონია.

დაიზეპირეთ მიქა 6:8; ნაუმი 1:7-8; აბაკუმი 3:2.

შესავალი

ძველი სამყაროს ცრუ ღმერთებისგან განსხვავებით, იაჰვე არ იყო ადგილობრივი ღმერთი. იაჰვე იყო და არის მთელი სამყაროს უზენაესი ღმერთი. ეს ჩანს მცირე წინასწარმეტყველთა გზავნილში ისრაელს მიღმა მყოფი ერებისადმი. ამ გაკვეთილზე შესწავლილ წიგნებში ღმერთი თავისი წინასწარმეტყველების მეშვეობით ედომს, ნინევეს, ისრაელს, იუდას და სოფონიას მეშვეობით კი მთელ მსოფლიოს ელაპარაკებოდა. ამ თავში ჩვენ ვხედავთ ღვთის უზენაესობას ადამიანებზე, რომლებიც არც კი ცნობენ მის ავტორიტეტს. ღმერთი არის უზენაესი მთელს მსოფლიოსა და სამყაროში.

აბდია: გზავნილი ედომისთვის

აბდია ერთი შეხედვით	
ავტორი	აბდია
სამიზნე აუდიტორია	ედომი
თარიღი	ძვ. წ. 587 და 553 წწ.-ს შორის პერიოდში
თემა	ედომის დაცემა
მიზანი	წინასწარმეტყველება ედომის განადგურების შესახებ მისი სისასტიკის გამო იუდას მიმართ ბაბილონის ტყვეობის დროს.
სახარება აბდიაში	გადასახლების შემდეგ იუდა აღდგება. მისი მეშვეობით სახარება მივა წარმართებთან.

აბდიას ისტორიული გარემო

აბდიას წიგნი უნდა წაიკითხოთ ხანგრძლივი კონფლიქტის კონტექსტში, რომელიც ედომს, ესავის შთამომავლებს და ისრაელს, იაკობის შთამომავლებს შორის მიმდინარეობდა. გამოსვლის დროს ედომს აეკრძალა ისრაელში შესვლა. [362] ბაბილონის ალყის დროს ედომელები მიესალმნენ იერუსალიმის განადგურებას. მათმა სისასტიკემ იუდას მიმართ ძვ. წ. 587 წ. გამოიწვია ფსალმუნის 136:7-9-ის წყევლა, ისევე როგორც აბდიას წინასწარმეტყველური გზავნილი.

ჩვენ არაფერი ვიცით წინასწარმეტყველ აბდიას შესახებ, გარდა მისი სახელისა. მისი სახელი ნიშნავს "ის, ვინც ემსახურება იაჰვეს" და არის გავრცელებული სახელი ძველ აღთქმაში.[363]

აბდიას გზავნილი

აბდიას წინასწარმეტყველება არის როგორც ედომის განკითხვის გზავნილი, ასევე იუდას ნუგეშისცემა. უპირველეს ყოვლისა, აბდია გვამცნობს სამსჯავროს ედომის წინააღმდეგ. ედომს ამპარტავნულად სჯერა, რომ მისი დედაქალაქის, სელას მდებარეობა ადვილად დასაცავ, მაღალ კლდეზე, დაიცავს მას მტრებისგან. [364] მაგრამ იუდას წინააღმდეგ ძალადობის გამო ღმერთი გაანადგურებს ედომს. სამართლიანი ღმერთი არ დაუშვებს, რომ ედომის ცოდვა დაუსჯელი დარჩეს. აბდიას წინასწარმეტყველება აღსრულდა ედომის დაპყრობისას ძვ. წ. 553 წელს.

---

[362] რიცხვნი 20:14-21

[363] მცირე წინასწარმეტყველი აბდია არ არის ობადიაჰუ, რომელიც თანამდებობის პირი იყო ახაბის სახლში 3 მეფეთა (ანუ 1 მეფეთა) მე-18 თავში.

[364] აბდია 1:3

აბდიას ასევე მოაქვს ნუგეშისცემა. ის ახსენებს იუდას ღვთის აღთქმისეულ სიყვარულს თავისი ხალხის მიმართ. იერუსალიმის განადგურების შემდეგაც კი ღმერთი თავის ხალხს იმედს ჰპირდება. აბდიას საკვანძო მუხლი (1:15) გვპირდება, რომ უფლის დღე მოახლოებულია *ყველა* ერისთვის.

იონა: უხალისო წინასწარმეტყველი ნინევეში

იონა ერთი შეხედვით	
ავტორი	იონა
სამიზნე აუდიტორია	ნინევე
თარიღი	ძვ. წ. 793 და 753 წწ.-ს შორის პერიოდში
თემა	ღვთის წყალობა *ყველა* ხალხის მიმართ
მიზანი	დაგვანახოს ღმერთის სურვილი, გამოისყიდოს ყველა ადამიანი, მათ შორის ისრაელის მტრებიც კი
სახარება იონაში	იესომ მიუთითა იონაზე, როგორც აღდგომის ნიშანზე.
	მოციქულთა და ადრეული ეკლესიის მსახურთა მიერ სახარება ყველა ერს ექადაგა.

იონას ისტორიული გარემო



იონამ იწინასწარმეტყველა ასურეთის იმპერიის სისუსტის პერიოდში. მან იწინასწარმეტყველა ჩრდილოეთ სამეფოს გაფართოება იერობყამ II-ის დროს.[365]

აგრესიული იმპერია, ასურელები უდიდეს საფრთხეს წარმოადგენდნენ ისრაელის დამოუკიდებლობისთვის. შემორჩენილი ხელოვნების ნიმუშებიდან ჩანს, რომ ასურელები მტრების მიმართ სისასტიკეს იჩენდნენ. [366] როდესაც იონამ მოისმინა ღვთის მოწოდება, ნინევეში ექადაგა, ის თარშიშში გაიქცა.

მას არ სურდა ექადაგა სიტყვა, რომელსაც შეეძლო ნინევე მონანიებამდე მიეყვანა. მან იცოდა, რომ თუ ნინევე მოინანიებდა, ღმერთი არ

[365] 4 მეფეთა (2 მეფეთა)14:25

[366] Image: "KCE Lachish impale" taken by kevincellis36109, retrieved from https://www.flickr.com/photos/36339698@N00/17005960457/ licensed under CC BY 2.0, desaturated from the original.

გაანადგურებდა ქალაქს.[367] იონას, როგორც ერთგული ისრაელიანის თვალსაზრისით, ნინევიის განადგურება კურთხევა იქნებოდა ისრაელისთვის.

იონას წიგნის მიზანი

იონას წიგნი გვაჩვენებს ღვთის წყალობას ისრაელის მტრების მიმართაც კი. იონა გვიჩვენებს, რომ ღვთის თანაგრძნობა არ არის მხოლოდ „ჩვენ“ (ისრაელის) მიმართ; ღმერთის თანაგრძნობა აგრეთვე „მათ“ (ნინევიის) მიმართაც არის.

ღმერთისგან განსხვავებით, იონა წინასწარმეტყველს არ აქვს ნინევიის მიმართ თანაგრძნობა. იონას წიგნი გვიბიძგებს, დავფიქრდეთ: „იონას ვგავარ თუ ღმერთს?”

იონა - ნამდვილი ამბავია?

ზოგიერთი მწერალი ამტკიცებს, რომ იონას ამბავი სიმართლეს არ შეესაბამება, არამედ იგავია, რომლის მიზანიც იყო, ისრაელის უუნარობის ჩვენება ღვთის მისიის შესრულების თვალსაზრისით ერების მიმართ. თუმცა, იონას წიგნში არაფერია, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ ის იგავად იყო ჩაფიქრებული. სიუჟეტი წარმოდგენილია, როგორც ნამდვილი ამბავი და შეიცავს იმ ისტორიულ და გეოგრაფიულ დეტალებს, რასაც ნამდვილი ისტორიისგან ველით.

იონას ერთ-ერთი გზავნილი არის ღმერთის უზენაესობა. ღმერთმა „ძლიერი ქარი ამოაგდო“; მან „დიდი თევზი მოავლინა... რომ გადაეყლაპა იონა“; იონას საჩრდილობლად „აღმოაცენა... აყირო“, აყიროს გასანადგურებლად კი „მოუხმო მატლს“. გზავნილი ღმერთის უზენაესობის შესახებ იკარგება, თუ ამბავი სიმართლეს არ შეესაბამება.

იესო იონას ამბავს ისტორიად მიიჩნევდა. მან გააფრთხილა, რომ „ნინეველები აღდგებიან სამსჯავროზე ამ თაობასთან ერთად და მსჯავრს დასდებენ მას, ვინაიდან მათ მოინანიეს იონას ქადაგებით და აჰა, აქ არის იონაზე დიდი.”[368]

ამ ყველაფრის გამო, ჩვენ ვიცით, რომ იონა ნამდვილი ამბავია.

იონას გზავნილი

პირველი ნაწილი: მორჩილების გაკვეთილი (იონა 1-2)

1 და 2 თავები გვასწავლის მორჩილების გაკვეთილს. როდესაც ღმერთი იონას ნინევეში უწოდებს, იონას პირველი პასუხი საპირისპირო მიმართულებით გაქცევაა. "ადგა იონა, რომ თარშიშში გაქცეულიყო." ის ჯდება ხომალდში, რათა გაიქცეს „უფლის პირისგან.”[369] უფლის წინასწარმეტყველს სჯერა, რომ მას შეუძლია გაექცეს ყოვლისშემძლე ღმერთის თანდასწრებას. თუმცა ღმერთი უზენაესია. "ძლიერი ქარი ამოაგდო უფალმა", რომელიც გემს განადგურებით ემუქრებოდა.

---

[367] იონა 4:2
[368] მათე 12:41
[369] იონა 1:3

როდესაც მეზღვაურებმა წილი ყარეს ქარიშხლის მიზეზის დასადგენად, მათ აღმოაჩინეს, რომ იონაა დამნაშავე. იონასგან განსხვავებით (რომელსაც არ აინტერესებს ნინევე), მეზღვაურები საკმაოდ ზრუნავენ თავიანთ მეგობრებზე, იმისათვის, რომ ეცადონ იონას სიცოცხლის გადარჩენას. წარმართი მეზღვაურები უფრო მეტ თანაგრძნობას იჩენენ, ვიდრე ღვთის წინასწარმეტყველი. როდესაც მეზღვაურები საბოლოოდ ჩააგდებენ იონას ზღვაში, ქარიშხალი მაშინვე ჩაცხრება. იონას სიცოცხლე გადარჩა, რადგან "დიდი თევზი მოავლინა უფალმა, რომ გადაეყლაპა იონა".

ეს პირველი ნაწილი ღვთის წყალობისთვის იონას მადლიერების ლოცვით მთავრდება. იონა ჰპირდება „რაც აღმითქვამს, შევასრულებ“; მან ისწავლა მორჩილების გაკვეთილი.

მეორე ნაწილი: თანაგრძნობის გაკვეთილი (იონა 3-4)

პირველი თავის მსგავსად, იონას მე-3 თავიც იწყება ღვთის მოწოდებით. ამჯერად იონა ემორჩილება; "ადგა იონა და უფლის სიტყვის თანახმად წავიდა ნინევეში." იონამ ისწავლა მორჩილების გაკვეთილი; ახლა ღმერთი მას თანაგრძნობის გაკვეთილს ასწავლის.

იონა ქადაგებს განკითხვის გზავნილს ნინევეში. როგორც პირველ თავში, წარმართები უფრო მეტად გრძნობენ ღვთის თანაგრძნობას, ვიდრე იონა. პირველ თავში წარმართი მეზღვაურები ცდილობდნენ იონას სიცოცხლის გადარჩენას. მე-3 თავში ნინევეს წარმართი მეფე ვარაუდობს, რომ ღმერთს შეუძლია შეიწყალოს ქალაქი. "ვინ იცის, იქნებ შეინანოს ღმერთმა, დაუცხრეს მგზნებარე რისხვა და აღარ დაგვღუპოს?" ღვთის წინასწარმეტყველი მხოლოდ სამსჯავროს ქადაგებს; წარმართი მეფე კი ღვთის წყალობას ქადაგებს.

მე-2 თავის მსგავსად, იონას მე-4 თავიც შეიცავს ლოცვას. იონას მე-2 თავში არის მადლიერების ლოცვა ღვთის წყალობისთვის *იონას* მიმართ; იონას მე-4 თავში კი ვხედავთ უკმაყოფილობის ლოცვას ღვთის წყალობისთვის *ნინევეს* მიმართ. იონა წუწუნებს, რადგან ღმერთმა შეიწყალა ქალაქი ნინევე. თავი მთავრდება ღვთის გაკვეთილით იონასთვის, გაკვეთილით ღვთის დიდი თანაგრძნობის შესახებ დაკარგულთა მიმართ.

იონა ახალ აღთქმაში

იონას წიგნი ახალ აღთქმაში სულ მცირე ორი გზით არის ასახული. პირველ რიგში, იესომ მიუთითა იონას თევზის მუცლიდან ხსნაზე, როგორც მისი საფლავიდან აღდგომის ანალოგია.[370]

მეორე, იონა ასახავს ისრაელის უუნარობას შასრულოს მისია ერების მიმართ. დაბადების 12:2-3-ში აბრაამის აღთქმიდან ნათლად ჩანს, რომ ისრაელი იკურთხა, რათა სხვებისთვის კურთხევის გამტარი გამხდარიყო. იონას წიგნიდან ჩანს, რომ ისრაელმა ვერ შეძლო ამ მისიის შესრულება. ქრისტეს მოსვლით ეს მისია განახლდა, როცა მოწაფეებს დაევალათ: „წადით და დაიმოწაფეთ ყველა ხალხი.”[371]

---

[370] მათე 12:39-40
[371] მათე 28:19

იონა 21-ე საუკუნეში

ადვილია იონას, უხალისო წინასწარმეტყველის დაცინვა, რომელსაც არ სურდა ღმერთს შეეწყალებინა ნინევე; თუმცა, იონა გვიბიძგებს შევხედოთ ჩვენს სამყაროს ღვთის თვალით. როცა იონას ვკითხულობ, უნდა ვკითხო საკუთარ თავს:

- რა მანიჭებს სიხარულს: ჩემი მტრის განადგურება თუ ჩემი მტრის მონანიება?
- ვქადაგებ თუ არა ღვთის წყალობას ისეთივე მგზნებარებით, როგორც ღმერთის განკითხვას?
- მსურს მათთან მისვლა, ვინც ღვთის ხალხს მტრობენ?
- იონას ბუნება მაქვს თუ ღმერთის?

მიქა: გზავნილი იუდას და ისრაელის მიმართ

მიქა ერთი შეხედვით	
ავტორი	მიქა
სამიზნე აუდიტორია	იუდა
თარიღი	ძვ. წ. 740-700 წწ.
თემა	ჭეშმარიტი აღთქმის ცხოვრება
მიზანი	რათა ეჩვენებინა, რომ ღმერთი გაასამართლებს იუდას აღთქმის დარღვევის გამო
სახარება მიქაში	მიქა წინასწარ იმსჭვალება იესოს უწყებით გულიდან მომდინარე რელიგიის შესახებ. ჭეშმარიტი რელიგია რიტუალზე მეტია; ჭეშმარიტი რელიგია შეჯამებულია მიქას 6:8-ში: „სამართლიანი მოქმედება, მოწყალების სიყვარული და შენი ღმერთის წინაშე თავმდაბლად სიარული.”

მიქას ისტორიული გარემო

ჩრდილოეთ სამეფოს დაცემამდე ცოტა ხნით ადრე, მიქა, წინასწარმეტყველი მორეშეფიდან, იუდეაში ქადაგებდა. მისმა გზავნილმა გამოღვიძება, სულიერი აღორძინება გამოიწვია ხიზკიაჰუს მეფობის დროს.

მიქას მიზანი

აღთქმისეული სარჩელის ფორმის გამოყენებით მიქამ აჩვენა, რომ იუდა ორგული იყო აღთქმის მიმართ.[372] მიქა გასამართლებას უქადდა მათ, ვინც არღვევდა აღთქმას ხოლო იმედს უქადაგებდა მათ, ვინც მოინანიებდა. მიქამ აჩვენა, რომ სიმართლე უფრო მეტია, ვიდრე რიტუალების დაცვა; ჭეშმარიტი

[372] აღთქმის თაობაზე "სულიერი სარჩელის" სტრუქტურაში გასარკვევად იხილეთ ამ კურსის მე-10 გაკვეთილი.

სიმართლე არის „სამართლიანი მოქმედება, მოწყალების სიყვარული და შენი ღმერთის წინაშე თავმდაბლად სიარული.”[373]

მიქას გზავნილი

მიქამ სამი წინასწარმეტყველება გვამცნო. თითოეული მონაკვეთი იწყება სიტყვით „ისმინეთ“. ყოველი გზავნილი იწყება განკითხვით და შემდეგ გადადის აღდგენის დაპირებაზე.

გზავნილი 1 (მიქა 1–2)

მიქას პირველი წინასწარმეტყველება გვამცნობს სამსჯავროს სამარიასა და იერუსალიმზე, ისრაელისა და იუდას დედაქალაქებზე. ღმერთი სამარიას ნანგრევების გროვად აქცევს და მის კერპებს გაანადგურებს. იერუსალიმს ღმერთი ჰპირდება სიქაჩლის სირცხვილს, როდესაც იუდას გადაასახლებენ.

მიქას 1:10-15-ში წინასწარმეტყველი ხაზს უსვამს გზას, რომელიც მოგვიანებით გაიარა სინახერიბმა იერუსალიმისკენ მიმავალ გზაზე ძვ. წ. 701 წელს. იუდეაზე თავდასხმისას სინახერიბმა დაიპყრო ქალაქები გათი, ბეთ-ლეყაფრა, შაფირო, ცაანანი, ბეთ-ეცელი, მაროთი, ლაქიში, მორეშეთ-გათი და აქზიბი. მიქას წინასწარმეტყველება კონკრეტულად ღვთის განაჩენის შესახებ მის მიერ წინასწარ გამოცხადებაში მდგომარეობს.

განკითხვის ეს წინასწარმეტყველება მთავრდება ნატამალის აღდგენის დაპირებით. უფალი წაუძღვება თავის ხალხს ბრძოლაში.

გზავნილი 2 (მიქა 3–5)

მიქას მეორე გზავნილი იუდას კორუმპირებული ლიდერების გმობით იწყება. სამოქალაქო ლიდერები აღწერილია, როგორც კაციჭამიები, რომლებიც ჭამენ თავიანთ მიმდევრებს (3:1-4). წინასწარმეტყველები კი „დაქირავებული მაცნეები“ არიან, რომლებიც მშვიდობას და კურთხევებს წინასწარმეტყველებენ მათზე, ვინც კარგად უხდიან და გმობენ მათ, ვისაც არაფრის გადახდა არ შეუძლია (3:5-8). მმართველები, მღვდლები და წინასწარმეტყველები ყველა დაგმობილნი არიან.

პირველი გზავნილის მსგავსად, ეს გზავნილი განკითხვიდან იმედზე გადადის. დგება დღე, როცა „უფლის სახლის მთა მთათა სათავეში განმტკიცდება“; ხალხი მრავალი ერიდან მოვა, რათა ისწავლონ ცაბაოთ უფლის გზები. ღმერთი გადაარჩენს ერთგულ ნატამალს და იმეფებს მათზე. ის გამოისყიდის სიონს ბაბილონიდან და დამწყემსავს თავის ფარას.

იუდას საბოლოო გამოსყიდვა მაშინ მოვა, როცა ეფრათას ბეთლემიდან გამოვა "ხელმწიფე ისრაელში; დასაბამიდან არის მისი წარმოშობა, საუკუნო დღეებიდან". მათეს სახარება მიქაზე მიუთითებს, როგორც იესო ქრისტეს დაბადების წინასწარმეტყველებაზე.[374]

---

[373] მიქა 6:8

[374] მიქა 5:2 და მათე 2:4-6

გზავნილი 3 (მიქა 6–7)

ღმერთის ბრალდება იუდას წინააღმდეგ (მიქა 6:1-8)	
6:1-2	მოწმეების მოხმობა (მთები და ბორცვები არიან იუდას ორგულობის მოწმენი)
6:3	პასუხის გაცემის შესაძლებლობა იუდასთვის
6:4-5	წარსულში იუდას მიმართ ღვთის კეთილგანწყობის შეხსენება
6:6-7	ხალხის დამცინავი პასუხი
6:8	ღმერთის პასუხი - რჯულის მოთხოვნები მოკლედ: სამართლიანობა, მოწყალება, და თავმდაბლობა

მიქას ბოლო გზავნილი იღებს აღთქმის სარჩელის ფორმას. ღმერთი ადანაშაულებს თავის ხალხს აღთქმისადმი ორგულობაში. იმის ნაცვლად, რომ აღიარონ თავიანთი შეცდომა, ხალხი სარკასტული კითხვებით პასუხობს:

- ღმერთს ერთწლიანი ხბორების ყოვლადდასაწველი შესაწირავი სურს?
- განა ეამება უფალს ათასობით ვერძი, თუნდაც ზეთის ათი ათასი ნაკადული?
- ღმერთს ჩვენი ბავშვების მსხვერპლად მიტანა სურს?

ღმერთი პასუხობს კანონის უცვლელი მოთხოვნების გამეორებით: სამართლიანობა, წყალობა და ღმერთთან თავმდაბალი სიარული.

ბრალდების შემდეგ ღმერთს განაჩენი გამოაქვს იერუსალიმისთვის (6:9–7:7). რადგან იუდა გაჰყვა ახაბის განდგომას, ღმერთი გაანადგურებს ამ ერს.

მიქა კვლავ განკითხვიდან იმედზე გადადის. იუდაში ღვთისმოსავი ადამიანების წარუმატებელი ძიების შემდეგ (7:1-7), მიქა ამთავრებს ლოცვით ღმერთისადმი, „დამწყემსე შენი ხალხი შენი კვერთხით“ და აღადგინე ისინი ერების თვალში. ის თავდაჯერებულად ასრულებს: ღმერთი არის დანაშაულის მპატეპელი და წყალობის და სიკეთის მოყვარული ღმერთი.

მიქას გზავნილი 21 საუკუნისთვის

იერემიას 26:17—19 გვიჩვენებს, რომ მიქას სიტყვამ გამოღვიძება მოიტანა. შედეგად, იუდა 100 წელზე მეტი ხნის განმავლობაში გადაურჩა ღვთის სასჯელს. ამან უნდა წაგვახალისოს, როცა ჩვენ ღვთის გზავნილს ვავრცელებთ დღევანდელობაში. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი უარყოფს ღვთის სიტყვას, ნატამალი გამოეპასუხება მას; ღვთის სიტყვა უშედეგოდ არ დარჩება. ამან უნდა გაგვამხნევოს რომ ჩვენს დროში ვუერთგულოთ ღვთის სიტყვის ხალხში გავრცელებას.

ნაუმი: გზავნილი ნინევეს

ნაუმი ერთი შეხედვით	
ავტორი	ნაუმი
სამიზნე აუდიტორია	ნინევე
თარიღი	ძვ. წ. 663 და 612 წწ.-ს შორის პერიოდში
თემა	ნინევეს განადგურება
მიზანი	ბოროტ ქალაქ ნინევესა და ასურეთის იმპერიაზე ღვთის სამსჯავროს წინასწარმეტყველება.
სახარებაin ნაუმი	ნაუმი 1:15 მოუწოდებს იუდას ერთგულებისკენ. მას სასიხარულო ამბავი აქვს მშვიდობის შესახებ; მესია მოვა!

ნაუმის ისტორიული გარემო

ნაუმმა იქადაგა სიტყვაა, რომლის ქადაგებაც იონას სურდა: ნინევეს განადგურებაზე. იონას წიგნი გვიჩვენებს ღვთის წყალობას ნინევეს მონანიების საპასუხოდ; ნაუმის წიგნი გვიჩვენებს ღვთის განაჩენს ნინევეს ჯანყის საპასუხოდ.

ნინევეში იონას ჩასვლით გამოწვეული გამოღვიძება ხანმოკლე აღმოჩნდა. იონამ ძვ. წ. 793-753 წწ.-ში იქადაგა. ხოლო ძვ. წ. 745 წ. ტიგლათფილესერ III მოვიდა ხელისუფლებაში და დააარსა ასურეთის იმპერია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი იმპერია კაცობრიობის ისტორიაში. 722 წელს ასურეთმა გაანადგურა ჩრდილოეთ სამეფო.

სინახერიბი, რომელიც ასურეთის იმპერიას ძვ. წ. 704-681 წწ.-ში მართავდა, ნინევე დედაქალაქად აქცია. მან იუდას დიდი ნაწილი დაიპყრო, თუმცა ღმერთმა შეიწყალა იერუსალიმი და მოგვიანებით იუდა ასურელთა კონტროლისგან გაათავისუფლა. ძვ. წ. სადღაც 663 წ., ნაუმმა ღვთის სამსჯავრო იწინასწარმეტყველა ნინევესა და ასურეთის იმპერიაზე.[375] ეს წინასწარმეტყველება აღსრულდა ძვ. წ. 612 წ. როცა ნინევია განადგურდა. ძვ. წ. 609 წ., ასურეთის იმპერიის საბოლოო ნაშთებიც დაიპყრეს და ეს იმპერია ისტორიიდან გაქრა. ღვთის სამსჯავრო სარწმუნო და გარდაუვალია.

[375] ნაუმი 3:8 ეხება ეგვიპტეში თებეს განადგურებას. ეს მოხდა 663 წელს. ნაუმი ქადაგებდა თებეს დაცემასა (ძვ. წ. 663 წ.) და ნინევეს დაცემას შორის პერიოდში (ძვ. წ.612 წ.).

ნაუმის მიზანი

აბდიამ იქადაგა ედომის სრული და გარდაუვალი განადგურების შესახებ; ნაუმმა იქადაგა ნინევეს სრული და გარდაუვალი განადგურება. ამჯერად მონანიება აღარ იქნებოდა; "არ არის კურნება შენი წყლულისთვის."[376] ნაუმის წიგნი აცხადებს ნინევეს განადგურებას და იმედს აძლევს იუდას ხალხს და არწმუნებს მათ, რომ ღმერთი განიკითხავს მათ მტერს..

ნაუმის გზავნილი

ნაუმის მთელი წიგნი ეხება ღვთის სამსჯავროს ნინევეს მიმართ. 1-ლი თავი ასახავს ღმერთს, როგორც ღვთაებრივ მეომარს, რომელიც იბრძვის თავისი ხალხის სახელით. ღმერთი მართალი მსაჯულია; ის „შურს იძიებს უფალი თავის მოწინააღმდეგეებზე; რისხვას უნახავს თავის მტრებს."

მიუხედავად იმისა, რომ მანამდე ღმერთმა გამოიჩინა თავისი წყალობა ნინევეს მიმართ მათ მიერ მონანიების გამო, ის ასევე „ძლევამოსილია და დამნაშავეს დაუსჯელად არ დატოვებს". ნინევემ უარყო ღმერთი და ახლა ის შურს იძიებს მათზე.

წიგნის ცენტრალური კონტრასტი ჩანს ნაუმის 1:7-8-ში. მართალთათვის: „კეთილია უფალი, თავშესაფარია გაჭირვების დღეს". ბოროტებს კი: „ღვარცოფივით წალეკავს."

მე-2 თავი აღწერს ნინევეს განადგურებას ქუჩის ბრძოლების ასახვით და ლომის მეტაფორით, რომელიც მსხვერპლს ნაწილებად ფლეთს.

მე-3 თავი ასრულებს ნაუმის გზავნილს „ვაი-ს წინასწარმეტყველებით", სადაც ის აცხადებს „სისხლიანი ქალაქის" დანაშაულს, რომელიც „სიცრუითა და ძალადობით არის სავსე". ნაუმს ჩამოთვლილი აქვს ნინევეს დანაშაულებები და შემდეგ აცხადებს ღვთის საბოლოო განაჩენს: „დავანახებ შენს სიშიშვლეს ხალხებს და შენს სირცხვილს - სამეფოებს. მოგაყრი სიბინძურეს, წაგბილწავ და სასეიროდ გაქცევ."[377] მსოფლიო გაიხარებს ასურეთის დაცემის ამბით. „ვინც კი მოისმენს შენს ამბავს, ტაშს შემოჰკრავს შენზე, რადგან ვის არ მისწვდენია შენი გაუთავებელი სიავე?"[378]

ნაუმი გვასწავლის, რომ წმინდა ღმერთი არ დატოვებს ცოდვას დაუსჯელად. მიუხედავად იმისა, რომ ღმერთმა გამოიყენა ასურეთი ისრაელისა და იუდას ცოდვებისთვის დასასჯელად, მან არ უგულებელყო ასურეთის ცოდვები. საბოლოოდ მან იუდაში ერთგული ნატამალი შეინარჩუნა და მისი მტრები დაამარცხა. ღმერთის ერთგულება თავისი ხალხის მიმართ არ შეცვლილა.

---

[376] ნაუმი 3:19
[377] ნაუმი 3:5-6
[378] ნაუმი 3:19

აბაკუმი: დიალოგი ღმერთსა და მის წინასწარმეტყველს შორის

აბაკუმი ერთი შეხედვით	
ავტორი	აბაკუმი
სამიზნე აუდიტორია	სამხრეთ სამეფო
თარიღი	სავარაუდოდ ძვ. წ. 608 და 605 წწ.-ს შორის პერიოდში
თემა	ღვთის გზების გაგება
მიზანი	აბაკუმისთვის ღმერთის განზრახვების გაცხადება
სახარებain აბაკუმი	აბაკუმი 2:4 სამჯერ არის ციტირებული ახალ აღთქმაში. „მართალი იცხოვრებს რწმენით“- ეს არის ღმერთის ყველა დროის გეგმა თავისი ხალხისთვის.

აბაკუმის ისტორიული გარემო

წინასწარმეტყველურ წიგნებს შორის აბაკუმი უნიკალურია; ის არ ეხება კონკრეტულ აუდიტორიას. ამის ნაცვლად, წიგნი შედგება დიალოგისგან ღმერთსა და წინასწარმეტყველს შორის.

აბაკუმი წლების განმავლობაში მსახურობდა, იერუსალიმის დაცემამდე. მეცნიერთა უმეტესობა თვლის, რომ აბაკუმის დიალოგი შედგა ნაბუქოდონოსორის ძვ. წ. 605 წ. ხელისუფლებაში მოსვლამდე. აბაკუმისთვის ღვთისგან მიცემული გამოცხადებიდან ოცი წლის პერიოდში, ეს წინასწარმეტყველება ახდება.

აბაკუმის მიზანი

აბაკუმის წიგნი უცხადებს წინასწარმეტყველს ღვთის განზრახვებს. აბაკუმის კითხვებითა და ღვთის პასუხებით წინასწარმეტყველმა ისწავლა ღვთის უზენაეს, სუვერენულ გეგმაზე დანდობა.

აბაკუმის გზავნილი

შეკითხვა 1: რატომ არის უმართლო იუდა წარმატებული? (აბაკუმი 1:1-11)

როდესაც აბაკუმი უყურებდა იუდას სულიერ და მორალურ დაცემას, მას აწუხებდა ღმერთის მიერ ამის აშკარად უპასუხოდ დატოვება. აბაკუმმა ჰკითხა: „რატომ მაჩვენებ ურჯულოებას და მახილვინებ ბოროტებას?”[379] აბაკუმს ეჩვენება, რომ სამართლიანობა გაუკუღმართებულია.

[379] აბაკუმი 1:3

ღვთის პასუხი აოცებს წინასწარმეტყველს. ღმერთი ეუბნება აბაკუმს, რომ ის ქალდეველებს წამოაყენებს იუდას გასასამართლებლად.[380] მათი ცხენები ჯიქზე უსწრაფესნი არიან; მათი მხედრები კი, მსხვერპლზე შემართული არწივებივით.

შეკითხვა 2: როგორ შეუძლია ღმერთს გამოიყენოს ბაბილონი იუდას გასასამართლებლად? (აბაკუმი 1:12 – 2:20)

მიუხედავად იმისა, რომ პირველმა პასუხმა აჩვენა, რომ ღმერთი არ უგულებელყოფს ბოროტებას, ამან კიდევ უფრო დიდი კითხვა წამოჭრა. როგორ შეეძლო ღმერთს იუდას გასამართლება კიდევ უფრო ბოროტი ხალხის მეშვეობით? მართალია, იუდამ დაიმსახურა სასჯელი, მაგრამ ბაბილონი იუდაზე უფრო ბოროტი იყო. აბაკუმმა ჰკითხა ღმერთს: როგორ შეგიძლია "დუმდე, როცა ყლაპავს მართალს ბოროტეული?"'[381]

პასუხად ღმერთმა აბაკუმს უთხრა, რომ ჩაეწერა ხილვა. სამსჯავრო გარდაუვალი იყო და მოხდებოდა ისე, როგორც ღმერთმა აღუთქვა. აბაკუმმა არჩევანი უნდა გააკეთოს ორ პასუხს შორის. მას შეუძლია ამპარტავნობით მიუგოს ან რწმენით დაემორჩილოს ღვთის განზრახვებს.

ამ ცნობას მოჰყვება ღმერთის გეგმის გამოცხადება ბაბილონის განსჯის შესახებ. ხუთგზის "ვაი"-ს წინასწარმეტყველების მეშვეობით, აბაკუმი აჩვენებს, რომ ბაბილონი იძულებული იქნება შესვას ღვთის რისხვის თასი. ისინი კერპებს ეყრდნობიან, მაგრამ კერპებისადმი მათი მინდობა ამაო იქნება. უსარგებლო კერპებისგან განსხვავებით, „უფალი თავის წმიდა ტაძარშია“. ერთადერთი სწორი პასუხი არის დადუმება მისი უზენაესობის წინაშე.

აბაკუმის ლოცვა მორჩილებისთვის (აბაკუმი 3)

ღვთის გამოცხადების საპასუხოდ, აბაკუმი დაემორჩილა ღვთის განზრახვებს. ის ლოცულობდა, რომ ღმერთს მის სამსჯავროსთან ერთად წყალობაც გამოეჩინა; მან აღწერა ღვთის ძალა და უზენაესობა; და ღვთის მიზნებს დაემორჩილა. წინასწარმეტყველი თავის წიგნს მტკიცე რწმენით სავსე სიტყვით ასრულებს: „უფალი, ღმერთი ჩემი ძალაა, ფურ-ირმის ფეხებს შემაბამს და ჩემს მაღლობებს მომატარებს.”

აბაკუმი ახალ აღთქმაში

აბაკუმის გამონათქვამი „მართალი კი თავისი რწმენით იცოცხლებს“ სამჯერ არის ციტირებული ახალ აღთქმაში. რომაელების 1:17-ში პავლე ციტირებს აბაკუმს, რათა გვაჩვენოს, რომ რწმენით ვმართლდებით ღვთის წინაშე. გალატელების 3:11 ამ გამოთქმას უპირისპირებს იუდეველების მცდელობას გამართლდნენ რჯულის საქმეებით. პავლე გვასწავლის, რომ გამართლება არ მიიღწევა რჯულის მორჩილებით, არამედ „მართალი იცოცხლებს რწმენით“. ებრაელთა 10:38-ში ეს ფრაზა ხაზს უსვამს რწმენის მუდმივ ასპექტს. იმის ნაცვლად, რომ „უკან მიიქცეს“, მართალი განაგრძობს „რწმენით

[380] ქალდეველები ბაბილონელების კიდევ ერთი სახელია.
[381] აბაკუმი 1:13

ცხოვრებას“. ახალ აღთქმაში, ისევე როგორც ძველში, ღვთის განზრახვებისადმი რწმენა და ნდობაა, რაც გვაძლევს საშუალებას, ვაამოთ მას.

სოფონია: გზავნილი მთელი დედამიწისთვის

სოფონია ერთი შეხედვით	
ავტორი	სოფონია
სამიზნე აუდიტორია	იუდა და ყველა ერი
თარიღი	ძვ. წ. 640 და 612 წწ.-ს შორის პერიოდი
თემა	უფლის დღე
მიზანი	იუდას და ყველა ხალხის გაფრთხილება უფლის დღის მოახლოების შესახებ
სახარება სოფონიაში	სოფონია მოუთმენლად ელის იმ დღეს, როდესაც ყველა ერი თაყვანს სცემს ისრაელის ღმერთს. ეს ეკლესიაში სრულდება, რომელიც როგორც ებრაელებისგან, ასევე წარმართებისგან შედგება (ეფესელთა 3:1-6).

სოფონიას ისტორიული გარემო

სოფონიას სახელი ნიშნავს „იეჰვე დაიმალა“, სახელი, რომელიც აჩვენებს, რომ მისი მშობლები, სავარაუდოდ, ღვთის ერთგულები იყვნენ იუდას განდგომილების დღეებშიც კი, მეფე ახაზის დროს. სოფონიამ იუდას უკანასკნელი კარგი მეფის, იოშიას მეფობის დროს იწინასწარმეტყველა. ის იყო აბაკუმისა და იერემიას თანამედროვე. ვინაიდან სოფონია ნინევეს დაცემას მომავალ მოვლენად მოიხსენიებს, მისი მსახურება, როგორც ჩანს, ძვ. წ. 612 წ.-მდე დასრულდა.[382]

სოფონიას წარმომავლობის მიკვლევა ოთხი თაობით უკან შეიძლება, რასაც მეფე ხიზკიაჰუმდე მივყავართ.[383] ის სამეფო ოჯახის წევრი იყო და შესაძლოა მეფე იოშიას ნათესავი ყოფილიყო.

სოფონიას მიზანი

ყველა სხვა წინასწარმეტყველზე მეტად სოფონია აცხადებდა უფლის დღეს. ამ პატარა წიგნში წინასწარმეტყველი ექვსჯერ ახსენებს უფლის დღეს. იოველის, ეზეკიელისა და ამოსის მსგავსად, სოფონია გვაჩვენებს, რომ ამ დღეს ორივე მოაქვს: განკითხვა დაუმორჩილებლებზე და კურთხევა ერთგულებზე. სოფონია გვაჩვენებს, რომ უფლის დღე ყველა ადამიანზე მოახდენს გავლენას და არა მხოლოდ იუდაზე და აღთქმაში მყოფ ხალხზე.

---

[382] სოფონია 2:13
[383] სოფონია 1:1

სოფონიას გზავნილი

სოფონიამ პირველმა ილაპარაკა ღვთის სამსჯავროს შესახებ იუდაზე. იმის გამო, რომ იუდა მიუბრუნდა ბაალის, „ციური ლაშქრის უფლის“ და სხვა ღმერთების თაყვანისცემას, ღმერთი დასჯის ამ ერს. სახლები იერუსალიმში გაპარტახდება. უფლის დღე გამოვლინდება, როგორც „რისხვის დღეა ეს დღე! უბედურებისა და გაჭირვების დღე, ნგრევისა და გაუდაბურების დღე, სიბნელისა და წყვდიადის დღე, ღრუბლებისა და ბურუსის დღე, ციხე-ქალაქთა და მაღალ კოშკთა წინააღმდეგ საყვირისა და საბრძოლო შეძახილების დღე!”[384]

შემდეგ სოფონია ელაპარაკება ერებს. ფილისტიმელებს ელის ღვთის სამსჯავრო; მოაბი და (ყ)ამონი გაიძარცვებიან; ეთიოპია (ქუში) გაიჟლიტება; და ასურეთი განადგურდება. უფლის დღე იქნება ყველა ამ ერის განკითხვის დღე.

სოფონიას ებრაელ მსმენელებს შესაძლოა გაუხარდათ მათი მტრების გმობის მოსმენა. თუმცა სოფონია მალევე დაუბრუნდა იუდას განკითხვის თემას. „ვაი მეამბოხე და წაბილწულ, მოძალადე ქალაქს!!” [385] სამწუხაროდ, ეს შებილწული და შეურაცხყოფილი ქალაქი იერუსალიმი იყო. მისი პოლიტიკური ლიდერები, მოსამართლეები, წინასწარმეტყველები და მღვდლები დადანაშაულებულნი არიან, რადგან უარს აცხადებენ ღვთის მხილების მიღებაზე. შედეგად, „ერებზე“ გადმოღვრილი მსჯავრი, იუდაზეც გადმოვა.

უფლის დღე განკითხვის დღეა. მაგრამ თუ ხალხი მოინანიებს, ეს შეიძლება იყოს აღდგენის დღე. ღმერთი გვპირდება, რომ იუდაში შემონახულ იქნება ნატამალი, რომელნიც „უფლის სახელში ჰპოვებენ თავშესაფარს“. ისინი „არ ჩაიდენენ უსამართლობას და აღარ იცრუებენ.”[386] ამ ხალხს ღმერთი მტრებისგან დაცვას დაპირდა.

სოფონიას ბოლო მუხლებში ღმერთი ჰპირდება იერუსალიმის საბოლოო აღდგენას. ის აღადგენს თავის ხალხს და მისცემს „დიდ სახელსა და ქებას დედამიწის ყველა ხალხში.”

► მცირე წინასწარმეტყველებმა ღვთის გზავნილი მიუტანეს ყველა ერს. გზავნილი ხშირად ძალიან სპეციფიკურია და გათვლილია წინასწარმეტყველის აუდიტორიისთვის. 2 ტიმოთეს 3:16-ის თანახმად, მთელი წმინდა წერილი სასარგებლოა ყველა დროის ყველა ქრისტიანისთვის. რას ეუბნება მცირე წინასწარმეტყველთა გზავნილი ჩვენს სამყაროს?

ძველი აღთქმის განმარტება ახლო ხედით

მრავალი მკითხველისთვის ძველი აღთქმის წინასწარმეტყველური წიგნები ბიბლიის ყველაზე რთულ წიგნებს შორისაა. ზოგიერთი მკითხველი ვარაუდობს, რომ წინასწარმეტყველების ამ უძველეს წიგნებს დღეს ჩვენთვის არანაირი გზავნილი აღარ გააჩნიათ. სხვა კომენტატორები ამ წიგნებში

[384] სოფონია 1:15-16
[385] სოფონია 3:1
[386] სოფონია 3:12-13

ფარულ შეტყობინებებს ეძებენ. ამ ორივე მიდგომით იკარგება ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა ცენტრალური ჭეშმარიტებები.

როგორ ესაუბრება ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებები თანამედროვე ქრისტიანებს? სკოტ დიუვალი და დენიელ ჰეისი გვთავაზობენ ბიბლიის განმარტებისა და ჩვენს სამყაროში გამოყენების შემდეგ მოდელს. ეს მოდელი ძალიან კარგად მუშაობს წინასწარმეტყველური წიგნების ინტერპრეტაციისთვის. ეს მოდელი ბიბლიურ ტექსტს უსვამს ხუთ შეკითხვას.[387]



(1) მათი ქალაქი: რა იყო წინასწარმეტყველის თავდაპირველი გზავნილი?

ეს კითხვა არკვევს, თუ როგორ მოუსმინეს თავდაპირველმა მსმენელებმა წინასწარმეტყველს. რა იყო წინასწარმეტყველის გზავნილი თავისი დროისთვის? ეს დაგვეხმარება დავუკავშიროთ ჩვენმიერი განმარტება თავდაპირველ გზავნილს. სახიფათოა „ამოიკითხო“ საღვთო წერილში გზავნილი, რომელსაც თავდაპირველი მსმენელი ვერც კი ამოიცნობდა.[388]

მაგალითად, ნაუმმა იქადაგა ნინევეს მსჯავრდადების სიტყვა. მისმა მსმენელებმა მოისმინეს გამოცხადებული წინასწარმეტყველება, რომ ნინევე განადგურდებოდა მისი დაუნდობლობის,

---

[387] ადაპტირებულია ჯ. სკოტ დიუვალისა და ჯონ დენიელ ჰეისის "ღმერთის სიტყვის აღქმა"-დან, მე-3 გამოცემა. (გრანდ რაპიდსი: ზონდერვანი, 2012 წ). Image: "Interpreting the Bible" drawing by Anna Boggs, available from https://www.flickr.com/photos/sgc-library/52377290578, licensed under CC BY 2.0.

[388] წმინდა წერილის განმარტების ტექნიკური ტერმინია ეგზეგეზა - ინტერპრეტაცია ანუ ტექსტიდან მნიშვნელობისკენ „გაძღოლა“. ეგზეგეზის საპირისპიროდ არსებობს ეისეგეზისი. ეისეგეზისი ჩემივე იდეებიდან იღებს სათავეს და ამავე იდეებს კითხულობს ტექსტში. როგორც წმინდა წერილის შემსწავლელებმა, ჩვენ უნდა დავიწყოთ საწყისი მნიშვნელობიდან და არა საკუთარი იდეებიდან.

სექსუალური უზნეობისა და სხვა ღმერთებისადმი თაყვანისცემის გამო. ეს იყო წინასწარმეტყველის თავდაპირველი გზავნილი.

(2) მდინარე: რა ყოფს პირველ მსმენელებს დღევანდელობისგან?

ეს კითხვა სწავლობს, თუ როგორ განსხვავდება დღევანდელი კულტურა, ენა, დრო და სიტუაცია ბიბლიური გარემოსგან. ის ასევე აკვირდება განსხვავებას ძველ და ახალ აღთქმებს შორის.

ნაუმი კონკრეტულ დროს კონკრეტულ ქალაქს მიმართავს. როცა ნაუმს ვკითხულობთ, ვიცით, რომ ქალაქი ნინევე აღარ არსებობს. დღეს მკითხველთა უმეტესობა არ ცხოვრობს ერში, რომელიც დაუნდობლად თელავს დანარჩენ მსოფლიოს. გარდა ამისა, ჩვენ ვცხოვრობთ ახალი აღთქმის პერიოდში, სადაც ღვთის დაუყოვნებელი სამსჯავრო ერებზე ყოველთვის არ ჩანს ისე ნათლად, როგორც ძველ აღთქმაში.

(3) ხიდი: რა პრინციპი დგას წინასწარმეტყველის თავდაპირველი გზავნილის უკან?

ეს შეკითხვა სთავაზობს მკითხველს გასცდეს წინასწარმეტყველის უშუალო დამოკიდებულებებს, რათა იპოვოს პრინციპი, რომელსაც ის ასწავლის. ეს პრინციპი ვრცელდება ყველა ასაკში და ყველა კულტურაზე. არ შემოიფარგლება წინასწარმეტყველის უშუალო აუდიტორიით.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი და ნაუმის სამყაროებს შორის ბევრი განსხვავებაა, ღვთის სამართლიანობის პრინციპი უნივერსალურია. წმიდა და მართალი ღმერთი ასურეთის ცოდვებს გვერდს ვერ აუვლის. ღვთის სამართლიანობა ჩანს მთელ წმინდა წერილში და კაცობრიობის ისტორიაში; გზავნილი არ შემოიფარგლება ძველი ნინევეთი.

(4) რუკა: როგორ არის ეს პრინციპი დანახული წმინდა წერილის დანარჩენ ნაწილში?

ეს კითხვა შესასწავლ ამონარიდს განიხილავს ყველა ბიბლიური გამოცხადების სინათლეზე. ეს გვეხმარება იმის უზრუნველყოფაში, რომ არ ამოვგლიჯოთ მუხლი მისი ბიბლიური კონტექსტიდან და არ "აღმოვაჩინოთ" პრინციპი, რომელიც ეწინააღმდეგება წმინდა წერილის დანარჩენ ნაწილს. ძველი აღთქმის ტექსტებში ამ ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმას, თუ რას ცხადყოფს იესო ქრისტეს მოსვლა პრინციპის თვალსაზრისით.

თუკი განვიხილავთ ღვთის სამართლიანობის პრინციპს წმინდა წერილის დანარჩენ წიგნებში, დავინახავთ, რომ ნაუმი ეთანხმება სხვა ბიბლიურ სწავლებას ღვთის ბუნების შესახებ. ხუთწიგნეული გვასწავლის, რომ ღმერთმა უნდა დასაჯოს ცოდვა. ისტორიული წიგნები გვაჩვენებს მის სამართლიანობას მოქმედებაში - თუნდაც საკუთარი ხალხის ისრაელის წინააღმდეგ. წინასწარმეტყველები არაერთხელ ამოწმებენ ღვთის სამართლიანობაზე. ახალ აღთქმაში იესო საუბრობს ღვთის სიყვარულით სავსე წყალობაზე, მაგრამ ის ასევე საუბრობს ღვთის სამსჯავროზე.[389] პავლე შეგვახსენებს, რომ „ღმერთი დასაცინი არ ხდება, ვინაიდან, რასაც თესავს კაცი, იმას იმკის!”[390]

---

[389] მათე 11:20-24 არის იესოს მრავალი გზავნილიდან მომავალი სამსჯავროს შესახებ ერთ-ერთი მაგალითი.
[390] გალატელთა 6:7

(5) ჩვენი ქალაქი: როგორ მოქმედებს ეს პრინციპი დღევანდელ სამყაროში?

ეს ის წერტილია, როდესაც მკითხველი განმარტებიდან გამოყენებაზე გადადის. ეს საფეხური წამოჭრის კითხვას, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ ეს პრინციპი დღეს, ცხოვრებისეულ პრაქტიკაში.

როცა ნაუმს ვკითხულობთ, გვიჩნდება კითხვები: „როგორ დაინახავს ღვთის სამართლიანობას მსოფლიო დღეს? და "როგორ უნდა ვიცხოვროთ ღვთის სამართლიანობის სინათლეში?" ღვთის სამართლიანობა შეიძლება აღარ გამომჟღავნდეს ისე პირდაპირ და დრამატულად, როგორც ძველ აღთქმაში. თუმცა, ღვთის სამართლიანობა უცვლელი რჩება და მისი განკითხვა გარდაუვალი. როდესაც ჩვენ შემოგვაქვს ღვთის სიტყვა დღევანდელ სამყაროში, ჩვენ უნდა ვისაუბროთ არა მხოლოდ მის წყალობაზე, არამედ მის სამსჯავროზეც. მიუხედავად იმისა, რომ ეს გზავნილი არც დღეს არის იმაზე პოპულარული, ვიდრე ძველი აღთქმის წინასწარმეტყველების დროს, ის გახლავთ ცენტრალური ჭეშმარიტება და ის უნდა იქადაგონ მათ, ვინც ღვთის მთელი სიტყვის ერთგულია.

მცირე წინასწარმეტყველების თვითმასწავლი სახელმძღვანელო

(1) წაიკითხეთ მთელი წიგნი ერთ ჯერზე, რათა შეიქმნათ ზოგადი წარმოდგენა წინასწარმეტყველის გზავნილის შესახებ.[391]

(2) შეისწავლეთ ავტორი. წინასწარმეტყველური წიგნის დასაწყისში მოცემული ინფორმაციიდან, უპასუხეთ რაც შეიძლება მეტ კითხვას წინასწარმეტყველის შესახებ:

- სიდან იყო?
- რა ვიცით მისი მშობლების შესახებ?
- რას საქმიანობდა?
- რა ვიცით მისი ოჯახის შესახებ?
- როდის და რამდენ ხანს მსახურობდა?

(3) შეისწავლეთ ისტორიული გარემო. მოიძიეთ შემდეგი ინფორმაცია:

- ვის უწინასწარმეტყველა?
- რომელი მეფეები მართავდნენ მისი მსახურების დროს?
- როგორი იყო მისი დროის სულიერი და სოციალური პირობები?
- კიდევ რომელი წინასწარმეტყველები მსახურობდნენ იმავე პერიოდში?

(4) ხელახლა წაიკითხეთ წიგნი და თითოეულ თავს მოუფიქრეთ სათაური, რომელიც შეაჯამებდა მის შინაარსს. კითხვისას, ხაზი გაუსვით ან მონიშნეთ სიტყვები, რომელიც ხშირად მეორდება. როდესაც დაასრულებთ, განსაზღვრეთ ამ წიგნის მნიშვნელოვანი თემები.

(5) ჩამოთვალეთ წიგნში ნახსენები მთავარი ცოდვები.

(6) ჩამოთვალეთ წიგნში ასახული მომავლის ძირითადი წინასწარმეტყველებები.

---

[391] მთელი ეს მონაკვეთი აღებულია დენი მაკკეინის, *"შენიშვნები ძველი აღთქმის შესავალზე"*-დან. (ჯოსი, ნიგერია: აფრიკული ქრისტიანული სახელმძღვანელოები, 2002), 347-348.

(7) ზემოთ მოცემულ კითხვებზე გაცემული პასუხების საფუძველზე, დაწერეთ წიგნის ერთგვერდიანი მოკლე დასკვნა.

მე-13 გაკვეთილის დავალებები

(1) შეასრულეთ შემდეგი დავალებებიდან ერთ-ერთი.

ვარიანტი 1: ჯგუფური დავალება

გააანალიზეთ ერთ-ერთი მცირე წინასწარმეტყველი „ძველი აღთქმის განმარტება ახლო ხედით“-ში შემოთავაზებული მოდელის გამოყენებით. იმსჯელეთ წინასწარმეტყველის თავდაპირველ გზავნილზე, განსხვავებებზე წინასწარმეტყველთა დროისა და ჩვენი დროის სამყაროს შორის და პრინციპზე, რომელსაც გვასწავლის წინასწარმეტყველი. იპოვეთ 2-3 მიმართულება, სადაც შეიძლება, რომ წინასწარმეტყველის გზავნილი იყოს გამოყენებული დღევანდელ სამყაროში.

ვარიანტი 2: ინდივიდუალური დავალება

გააანალიზეთ ერთ-ერთი მცირე წინასწარმეტყველი “მცირე წინასწარმეტყველების თვითმასწავლი სახელმძღვანელო“-ს გამოყენებით.”

(2) გაიარეთ ამ გაკვეთილის ტესტი. ტესტი მოიცავს საზეპირო მუხლებს წმიდა წერილებიდან.

მე-13 გაკვეთილის ტესტი

(1) რა არის აბდიას წიგნის მიზანი?

(2) რა არის იონას წიგნის თემა?

(3) დაასახელეთ ორი გზა, რომლითაც იონას წიგნი გვაჩვენებს ღვთის უზენაესობას.

(4) რომელ ორ გაკვეთილს გვასწავლის იონა?

5) მიქას თანახმად, რომელი სამი მახასიათებელი აჯამებს რჯულის მოთხოვნებს?

(6) რომელი წინასწარმეტყველებაა მოცემული მიქაში იესოს დაბადების შესახებ?

(7) ვინ იყო ნაუმის წიგნის სამიზნე აუდიტორია?

(8) ჩამოთვალეთ აბაკუმის ორი შეკითხვა და ღმერთის პასუხები.

(9) რა არის სოფონიას მთავარი თემა?

(10) რომელი ხუთი ნაბიჯია შემოთავაზებული ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებების განსამარტად?

(11) დაწერეთ ზეპირად ნასწავლი მუხლები: მიქა 6:8, ნაუმი 1:7–8 და აბაკუმი 3:2.

გაკვეთილი 14
მცირე წინასწარმეტყველები 3: წინასწარმეტყველები გადასახლების შემდეგ

გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს, სტუდენტმა უნდა:
(1) იცოდეს ანგიას, ზაქარიას და მალაქიას დაწერის სავარაუდო თარიღი და ისტორიული გარემო.
(2) შეეძლოს ანგიას, ზაქარიას და მალაქიას ძირითადი თემების და მიზნების გამოკვეთა.
(3) აღიარებდეს ღვთის კანონისადმი ერთგულების შენარჩუნების მნიშვნელობას.
(4) აფასებდეს ძველი აღთქმის მესიანურ დაპირებებს.
(5) უკავშირებდეს ანგიას, ზაქარიას და მალაქიას გზავნილებს დღევანდელ ქვეყნიერებას.

ამ გაკვეთილისთვის მომზადება

წაიკითხეთ ანგია, ზაქარია, და მალაქია.

დაიზეპირეთ ანგია 2:7-9 და მალაქია 3:1.

გადასახლების შემდგომი წინასწარმეტყველების ისტორიული გარემო

გადასახლების შემდგომი წინასწარმეტყველები საუბრობდნენ იმ სირთულეებზე, რომლებიც იუდას შეექმნა გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ:

- **პოლიტიკური სირთულეები**: იუდას სპარსეთი განაგებდა, არ ჰყავდათ მეფე დავითის შტოდან და იერუსალიმის მახლობლად მცხოვრებნი ეწინააღმდეგებოდნენ ქალაქის აღდგენის მცდელობებს.

- **სულიერი გამოწვევები**: ტაძარი არ იყო აღდგენილი, ურწმუნო წარმართებთან ქორწინებებმა გამოიწვია რელიგიური სინკრეტიზმი და ბევრი ებრაელი აღარ იცავდა შაბათს.

- **სოციალური პრობლემები**: არსებობდა დაძაბულობა დაბრუნებულებსა და იერუსალიმში დარჩენილებს შორის, მდიდრები ცუდად ეპყრობოდნენ ღარიბებს, ფართოდ გავრცელდა განქორწინებები.

ძვ. წ. 539 წ., ბაბილონი დაეცა სპარსეთის წინაშე. სპარსეთის მმართველმა კიროსმა გამოსცა განკარგულება, რომელიც უფლებას აძლევდა ებრაელებს იუდაში დაბრუნებულიყვნენ. მომდევნო წელს ზერუბაბელი 50 000 ადამიანს წაუძღვა ბაბილონიდან იერუსალიმში. ჩასვლიდან მალევე, მათ დაიწყეს ტაძრის აღდგენა. თუმცა, მტრები ეწინააღმდეგებოდნენ ამ საქმეს და ტაძარზე მუშაობა მალე შეწყდა.

ძვ. წ. 520 წ., ანგიამ და ზაქარიამ ხალხს შთააგონეს განეახლებინათ ტაძარზე მუშაობა. ამის გამო მათ იცნობენ, როგორც „ტაძრის წინასწარმეტყველებს“. ტაძარზე მუშაობა ძვ. წ. 520 წ.-ში განახლდა ხოლო ტაძრის აღდგენა დასრულდა ძვ. წ. 516 წ.

ძვ. წ. 458 წ., ეზრამ გადასახლებულთა ნაწილი იერუსალიმში დააბრუნა. აღთქმაზე აქცენტის გაკეთებით, ეზრა ხელმძღვანელობდა ღვთისმსახურების აღორძინებას და სოციალურ რეფორმებს.

ნეემია დაბრუნდა იერუსალიმში ძვ. წ. 444 წ. და ქალაქის კედლების აღდგენის მცდელობებს ხელმძღვანელობდა. ისიც ბევრ მსაგავს პრობლემას წააწყდა, რაც ეზრას წინაშე იდგა: ქორწინების პრობლემები, შაბათის დაუცველობა და აღთქმისადმი ერთგულების ნაკლებობა. მალაქიაც, რომელიც იმავე პერიოდში მსახურობდა, საუბრობდა ბევრ მსგავს საკითხზე.

ანგია: ტაძრის აღდგენა

ანგია ერთი შეხედვით	
ავტორი	ანგია
სამიზნე აუდიტორია	იუდა გადასახლების შემდეგ
თარიღი	ძვ. წ. 520 წ.
თემა	ტაძრის აღდგენა
მიზანი	ღვთის ხალხის შთაგონება, რომ აღედგინათ ღვთის სახლი
სახარება ანგიაში	ანგიას 2:9-ში აღთქმული, ლუკას 2:28-32-ში აღსრულდა.

ანგიას მიზანი

ანგიამ ქადაგება ძვ.წ. 520 წლის ბოლოს დაიწყო. მან გადმოგვცა ტაძართან დაკავშირებული ოთხი გზავნილი. იერუსალიმში ცხოვრების სირთულის გამო, ხალხმა ტაძრისადმი მოშურნეობა დაკარგა. ზერუბაბელის დაბრუნებიდან თითქმის ორი ათწლეულის შემდეგ ტაძარი ჯერ კიდევ დანგრეული იყო. ანგია იყო ღვთის მაცნე ღვთის სახლის სახელით.

ანგიას გზავნილი

გზავნილი პრიორიტეტების შესახებ (ანგია 1)

ხალხმა აღადგინა თავიანთი სახლები, მაგრამ ღვთის ტაძარი არ აღუდგენიათ. ღმერთმა ჰკითხა: „იმის დრო ხომ დადგა, რომ შეფიცრულ სახლებში ცხოვრობდეთ, ეს სახლი კი მიგდებული იყოს?”[392]

[392] ანგია 1:4

ხალხი საკუთარ საჭიროებებს უფრო მეტ ყურადღებას უთმობდა, ვიდრე ღვთის სახლს. ღმერთმა გააფრთხილა, რომ მათი ცუდი მოსავალი, საკვების ნაკლებობა, შეუსაბამო ტანსაცმელი და შემოსავალი, რომელიც უცებ ქრებოდა - ანუ ყველაფერი, რასაც განიცდიდნენ, იმის გამო იყო, რომ ისინი მას არ აყენებდნენ პირველ ადგილზე.

ღმერთმა მოუწოდა ხალხს, მისი პრიორიტეტები საკუთარ ინტერესებზე მაღლა დაეყენებინათ. ამის საპასუხოდ, „შეშინდა ხალხი უფლის წინაშე“ და „მივიდნენ და დაიწყეს მუშაობა ცაბაოთ უფლის, მათი ღმერთის სახლში.”[393]

იძლევა თუ არა სულიერი კეთილდღეობა მატერიალური კეთილდღეობის გარანტიას?

ანგაის 1-ლი თავის გზავნილი თანხვედრაშია 3 იოანეს 1:2-თან. „საყვარელო! ვლოცულობ, რომ ჯანმრთელად იყო და მიაღწიო ისეთ წარმატებას, როგორ წარმატებასაც შენი სულით მიაღწიე.“ ეს ასევე ჩანს მეორე რჯულის 27-28-ე თავებში, სადაც ღმერთმა აღუთქვა მატერიალური კურთხევა მორჩილებს, ხოლო ურჩებს კი მატერიალური წყევლა.

მიუხედავად იმისა, რომ ეს მნიშვნელოვანი სწავლებაა, ის არ არის ბიბლიის სრული გზავნილი. ზოგიერთმა მქადაგებელმა აიღო წმინდა წერილი, როგორიცაა ანგიას 1-ლი თავი, რათა ასწავლოს, რომ ყოველ ერთგულ მორწმუნეს ფინანსური კეთილდღეობა და ფიზიკური ჯანმრთელობა ექნება. ჩვენ ანგაის 1-ლი თავი და 3 იოანეს 1:2 წმინდა წერილების სინათლეზე უნდა წავიკითხოთ, როგორიცაა მაგალითად იობის წიგნი და ებრაელთა 11:37, ისევე როგორც იერემიას მსგავსი ადამიანების გამოცდილების გათვალისწინებით, რომლებიც ერთგულად ემსახურებოდნენ ღმერთს, მატერიალური კურთხევის გარეშე. მართლაც, ბევრმა ადამიანმა განიცადა მატერიალური ზიანი ღვთისადმი მორჩილების გამო. სულიერი აყვავება, მიწიერი კურთხევების ხილვის გარეშე, შესაძლებელია. ანგია კონკრეტულ სიტუაციაზე ლაპარაკობდა; მას არ ჩამოუყალიბებია უნივერსალური პრინციპი, რომელიც ღვთის ყოველ ერთგულ შვილს კეთილდღეობას უქადის.

ანგია: ტაძრის აღდგენა (გაგრძელება)

ანგიას გზავნილი (გაგრძელება)

შეტყობინება იმედგაცრუების, სასოწარკვეთის შესახებ (ანგია 2:1-9)

პირველი გზავნილიდან ექვსი კვირის შემდეგ ანგია დაბრუნდა ღვთის კიდევ ერთი გზავნილით. მან ჰკითხა: "თქვენს შორის ვინ შემორჩა, ვისაც ეს სახლი აქვს ნანახი მისი პირვანდელი დიდებისას? ახლა როგორ გიჩანთ თვალში? განა არარაობა არაა თქვენს თვალში მასთან შედარებით?" ზოგიერთი უხუცესი, რომლებსაც ახსოვდათ სოლომონის ტაძრის დიდება, ატირდა, როდესაც დაინახეს ამ ახალი ტაძრის შემცირებული ზომები და უხარისხო მშენებლობა.[394]

---

[393] ანგია 1:12, 14

[394] ეზრა 3:12 გვიჩვენებს, რომ იმ დროს როცა, ტაძრის აღდგენის გამო ზოგი სიხარულისგან ყვიროდა, ზოგიც ტიროდა.

საპასუხოდ, ღმერთმა აღუთქვა, რომ ახალი ტაძრის დიდება უფრო დიდი იქნებოდა, ვიდრე პირველი ტაძრისა. ეს დაპირება შესრულდა, როდესაც ჩვილი იესო მიიყვანეს ტაძარში. სიმონი ლოცულობდა: „რადგან იხილეს ჩემმა თვალებმა ხსნა შენმიერი... შენი ხალხის, ისრაელის სადიდებლად."[395]

გზავნილი დაუმორჩილებლობის შესახებ (ანგია 2:10-19)

ორი თვის შემდეგ ანგია დაბრუნდა ღვთის სხვა გზავნილით. მან შეახსენა მღვდლებს სიწმინდისა და უწმინდურების კანონები. კანონის თანახმად, მსხვერპლშეწირვის საგანი უწმინდურდებოდა, თუ ის, რაიმე უწმინდურს შეეხებოდა. უწმინდურება გადამდები იყო.

შემდეგ ანგიამ მიუთითა იერუსალიმის მკვიდრთა ცხოვრებაზე. ისინი ტაძარზე მუშაობდნენ, მაგრამ მათმა უწმინდურმა ცხოვრებამ წაახდინა მათი შრომა. ანგიამ თავის მსმენელს შეახსენა გზავნილი, რომელსაც დღეს დიდი მნიშვნელობა აქვს ქრისტიანი მუშაკებისთვის; **"*ღმერთთან* თქვენი სიარული უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თქვენი შრომა *ღმერთისთვის*."**

ანგიამ ხალხს მორჩილებისკენ მოუწოდა. მან თავისი გზავნილი ღვთის დაპირებით დაასრულა: „ამ დღიდან ვაკურთხებ!."

გზავნილი შიშის შესახებ (ანგია 2:20-23)

ანგიას კითხვისას უნდა გვახსოვდეს, რომ იერუსალიმი მტრებით იყო გარშემორტყმული. ამ მტრებმა ერთხელ უკვე მოახერხეს ტაძრის სამუშაოების შეჩერება.[396] ღმერთი დაჰპირდა, რომ დაამხობდა მათ, ვინც იუდას ეწინააღმდეგებოდა. მიუხედავად იმისა, რომ იუდეა უმნიშვნელო იყო გარშემომყოფ ერებთან შედარებით, ის ღმერთმა აირჩია და მისი კუთვნილება იყო. ის დაიცავს თავის ხალხს ბოროტებისგან. მათ არ ჰქონდათ შიშის საფუძველი.

---

[395] ლუკა 2:28-32
[396] ეზრა 4

ზაქარია: ღმერთი აღადგენს თავის სამეფოს

ზაქარია ერთი შეხედვით	
ავტორი	ზაქარია
სამიზნე აუდიტორია	გადასახლების შემდგომი იუდა
თარიღი	ძვ. წ. 520 წ.
თემა	ღვთის სამეფოს აღდგენა
მიზანი	ღვთის სამეფოს მოახლოებული აღდგენის შესახებ წინასწარმეტყველება. დადგება დღე, როცა ყველა ერი იერუსალიმში სცემს თაყვანს.
სახარება ზაქარიაში	იესოში სრულდება თავმდაბალი მეფის, ერთგული მწყემსის და მართალი შტოს (მორჩის) დანაპირები.

ზაქარიას მიზეზი

ზაქარია იყო მღვდლთა ოჯახის წევრი, რომლებიც ზერუბაბელთან ერთად დაბრუნდნენ იუდეაში.[397] ანგიას მსგავსად, ზაქარია იყო „ტაძრის წინასწარმეტყველი". მისი პირველი წინასწარმეტყველების გაჟღერება მოხდა ანგიას პირველი წინასწარმეტყველებიდან დაახლოებით ორი თვის შემდეგ. ტაძარზე გაკეთებულ აქცენტთან ერთად, ზაქარია ხაზს უსვამს, რომ ღმერთი აღადგენს თავის სამეფოს დღესაც და მომავალშიც.

ზაქარიას გზავნილი

რვა ღამეული ხილვა (ზაქარია 1:1 – 6:8)

ზაქარია იწყებს იუდას ღმერთთან დაბრუნების მოწოდებით. ვინაიდან მათმა წინაპრებმა უარყვეს წინასწარმეტყველები, ღმერთმა ისინი გადასახლებაში გაგზავნა. ახლა ისინი დაბრუნდნენ და ზაქარია მათ განახლებული ერთგულებისკენ მოუწოდებს.

ამ შესავალს რვა ღამისეული ხილვის რიგი მოჰყვება. ზაქარია რვაჯერ ხედავს ხილვას, ახსნას სთხოვს ზეციურ მაცნეს და იღებს ხილვის განმარტებას. ეს ხილვები ეხმიანება გადასახლების შემდგომ საზოგადოებასთან დაკავშირებულ საკითხებს: იმ ერების სამსჯავროს, რომლებიც ჩაგრავდნენ იუდას, დაცვას მათი მტრებისგან, ტაძარს და ცოდვას საზოგადოებაში.

[397] ნეემია 12:4

ხილვა 1: მხედრები პატრულირებენ მიწას (ზაქარია 1:7-17)

გზავნილი: ღმერთი ემზადება აღადგინოს თავისი ხალხი და განსაჯოს მათი მჩაგვრელები.

ხილვა 2: ოთხი რქა და ოთხი მჭედელი (ზაქარია 1:8-21)

გზავნილი: ღმერთი განსჯის იუდას მტრებს. ისინი გაიფანტებიან ისევე, როგორც ღვთის ხალხი გაიფანტა.

ხილვა 3: კაცი საზომი საბელით (ზაქარია 2:1-13)

გზავნილი: ღმერთმა იერუსალიმი თავის საკუთრებად მონიშნა. ის არის კედელი, რომელიც იცავს ქალაქს.

ხილვა 4: იეშუა მღვდელმთავარი (ზაქარია 3:1-10)

გზავნილი: მღვდლობის აღდგენა. იერემიას 13:1-11-ში მღვდლობის სელის ტანსაცმელი დაბინძურებული იყო. მიუხედავად იმისა, რომ სატანა იდგა მღვდელმთავარი იეშუას მარჯვნივ, რათა ბრალი დაედო მისთვის, ღმერთმა გახადა მას დალაქავებული ტანისამოსი და სუფთა ტანსაცმელი მისცა. ღმერთი მუდამ აღადგენდა მღვდლობას და გამოგზავნის მომავალ „შტოს“ (მორჩს), რომელიც ისრაელში მშვიდობის ახალ დღეს დაადგენს.

ხილვა 5: სასანთლე და ორი ზეთისხილის ხე (ზაქარია 4:1-14)

გზავნილი: ტაძრის ხელახლა აშენება. ტაძრის აღდგენა ღვთის საქმეა და მისი მხარდაჭერა ექნება.

ხილვა 6: აფრიალებული გრაგნილი (ზაქარია 5:1-4)

გზავნილი: ცოდვის განკითხვა. დიდი გრაგნილი, რომლის ზომაცაა 9 მეტრი 4,5 მეტრზე, შეიცავდა აღთქმისეულ წყევლას მათთვის, ვინც არღვევდა ღვთის კანონს. ცოდვა გადასახლების შემდგომ საზოგადოებაში ისევე გასამართლდება, როგორც გადასახლებამდე.

ხილვა 7: ქალი საწყაულში (ზაქარია 5:5-11)

გზავნილი: ცოდვა გადასახლების შემდგომ საზოგადოებაში. ქალი, რომელიც სიმბოლურად ცოდვას წარმოადგენდა, ჩასვეს საწყაულში და ტყვიის საფარით დალუქეს. ფრთიანმა ანგელოზებმა საწყაული ბაბილონში წაიღეს და ცოდვა მოაშორეს იერუსალიმს.

ხილვა 8: ოთხი ეტლი (ზაქარია 6:1-8)

გზავნილი: იუდას მტრების სამსჯავრო. ეს ხილვა თანხვედრაშია პირველ ხილვასთან. ოთხი ეტლი, რომლებიც წარმოადგენენ ღვთის სულის მოქმედებას ქვეყნიერებაზე, გვაჩვენებს მის უზენაესობას მთელს სამყაროზე. ღმერთმა გაასამართლა იუდას მტრები და განაგრძობს თავისი ხალხის აღდგენას.

წინასწარმეტყველებები (ზაქარია 6:9-14:21)

ზაქარია მოიცავს მთელ რიგ წინასწარმეტყველებებს. ღმერთი აგზავნის ზაქარიას, რათა გვირგვინი დაადგას მღვდელმთავარ იეშუას. ეს განასახიერებდა მომავალ „შტოს“ (მორჩს), რომელიც იმეფებს და მღვდლობასაც გასწევს. ეს მესიანური გზავნილი მიუთითებს იესო ქრისტეს მოსვლაზე.

ზაქარია 7-8-ე თავებში წინასწარმეტყველმა უპასუხა ბეთელიდან წარმოგზავნილების შეკითხვას. გადასახლების დროს ხალხი წლის მეხუთე თვეს მარხულობდა ტაძრის დანგრევაზე გლოვის ნიშნად. ამ დელეგაციამ იკითხა, იყო თუ არა საჭირო ეს მარხვა ახლა, როცა ტაძრის აღდგენა თითქმის დასრულდა.

ზაქარიას პასუხი ბევრად უფრო ფართო იყო, ვიდრე თავდაპირველი შეკითხვა. ღმერთმა ჰკითხა: "თქვენი მარხვა ჭეშმარიტი მონანიების ნიშანი იყო, თუ მხოლოდ და მხოლოდ რიტუალი?" თუ მარხვა იყო ჭეშმარიტი მონანიების ნიშანი და თუ იუდამ გადასახლებაში ისწავლა გაკვეთილი, მაშინ მარხვა საჭირო აღარ იყო. თუ მარხვები რიტუალის მეტს არაფერს წარმოადგენდა, მათ არც მაშინ და არც ახლა აზრი არ ჰქონია.

შემდეგ ღმერთი დაჰპირდა დროს, როცა იუდას მარხვას დღესასწაულად გადააქცევდა. დადგება დღე, როდესაც ებრაელ ხალხს დედამიწის ყველა ხალხზე მეტად მიაგებენ პატივს. „მარხვა მეოთხე თვისა...სიხარულად, ლხინად და საამურ ზეიმად იქცევა იუდას სახლისთვის... და მოვლენ ხალხნი მრავალნი და ერნი ძლიერნი, რათა ეძიონ ცაბაოთ უფალი იერუსალიმში და ილოცონ მის წინაშე."[398]

ზაქარიას 9-14 თავები ასახავს მესიის მოსვლას. ისრაელის მტრები (სირია და ფილისტიმელები) აღიგვებიან ქვეყნიდან. ღმერთი საოცარი გამოხატულებით გვპირდება, რომ გადაარჩენს წარმართთა ნატამალს.[399] ზაქარია წინასწარმეტყველებს იმ დღეს, როდესაც ისრაელის ჭეშმარიტი მეფე ვირზე ამხედრებული შევა იერუსალიმში და გადაარჩენს თავის ხალხს. ამაყი მმართველებისგან განსხვავებით, რომლებმაც იუდა უბედურებამდე მოიყვანეს, ეს მმართველი თავმდაბალი და მართალი იქნება. ის იმოქმედებს როგორც მწყემსი კეთილი, რომელიც დაიცავს ფარას. როცა ცხვრები უარყოფენ ამ მწყემსს, ისინი გაიფანტებიან. თუმცა, საბოლოოდ, ღმერთი გამოისყიდის თავის სამწყსოს და გადაარჩენს იერუსალიმს. იუდეა აღდგება და ყველა ერი მოვა იერუსალიმში თაყვანისცემის მიზნით.

---

[398] ზაქარია 8:19, 22

[399] ზაქარია 9:5-7. წარმართთა ეს ნატამალი გახდება ღვთის ხალხის ნაწილი.

ზაქარია ახალ აღთქმაში

ზაქარიას ციტირება ხშირად ხდება ახალ აღთქმაში. კომენტატორებმა ახალ აღთქმაში შენიშნეს სამოცდაშვიდი ციტატა ზაქარიას წინასწარმეტყველებიდან.[400] სახარებისეულ ვნების კვირის ამბებში, ზაქარიას 9-14 თავები არის ძველი აღთქმის ყველაზე ხშირად მოხსენიებული ნაწილი. ზაქარია მეორეა ეზეკიელის შემდეგ, რომელიც ასევე ხშირად არის ციტირებული გამოცხადების წიგნში. ზაქარიას მესიანური წინასწარმეტყველებები მოიცავს:

- მართალი შტო, ანუ მორჩი (3:8; 6:12-13)
- თავმდაბალი, ამხედრებული სახედარზე (9:9-10)
- მწყემსს უარყოფენ და ოცდაათ შეკელ ვერცხლად ყიდიან (11:4-13; 13:7)
- ის ვინც განგმირეს (12:10)
- მომავალი მსაჯული (14)

მალაქია: ღმერთი ითხოვს ერთგულებას

მალაქია ერთი შეხედვით	
ავტორი	მალაქია
სამიზნე აუდიტორია	იუდა გადასახლების შემდეგ
თარიღი	სავარაუდოდ ძვ. წ. 475 და 425 წწ.-ს შორის პერიოდი
თემა	ღმერთი ითხოვს ერთგულებას
მიზანი	უბიძგოს იუდას ღმერთის ერთგულებისკენ
სახარება მალაქიაში	მალაქია მთავრდება დაპირებით წარმოგზავნილის შესახებ, რომელიც გაუმზადებს გზას უფალს; მათე და მარკოზი იწყება იმით, რომ იოანე ნათლისმცემელი ამზადებს გზას მესიისთვის.

მალაქიას მიზანი

სახელი მალაქია ნიშნავს "ჩემს წარგზავნილს". ვინაიდან ის ლაპარაკობდა ეზრასა და ნეემიას მიერ ნახსენები მრავალი ცოდვის შესახებ, სავარაუდოა, რომ მალაქია ამ ორი ლიდერის თანამედროვე იყო. მალაქია სავარაუდოდ ქადაგებდა ძვ. წ. 475-425 წლებს შორის პერიოდში

მიუხედავად იმისა, რომ იუდა არ დაბრუნებია კერპთაყვანისმცემლობას, მათი რელიგიური მსახურება სულიერობისგან დაცლილი იყო. იაჰვესადმი ერთგულების სიტყვიერ აღიარებებს არ ახლდა ცხოვრების შეცვლა. მალაქია დაიწერა იმისთვის, რათა გაცხადებულიყო ღმერთის ბრალდებები იუდას წინააღმდეგ.

---

[400] საწავლო ბიბლიის ინგლისური სტანდარტული ვერსია.

მალაქიამ ასევე უპასუხა იუდას წუწუნს იაჰვეს წინააღმდეგ. ანგია და ზაქარია დაჰპირდნენ, რომ ტაძრის აღდგენა მოიტანდა მშვიდობას, კეთილდღეობას და ღვთის თანდასწრების დაბრუნებას. ამის ნაცვლად, იუდა გვალვას, ეკონომიკურ ბრძოლებს და პოლიტიკურ სისუსტეს განიცდიდა. ხალხი იაჰვეს ადანაშაულებდა მისი დანაპირების შეუსრულებლობაში. მალაქია დაიწერა, რათა მათთვის ამ ჩივილებზე ღვთის პასუხი მიეტანა.

► მალაქია დაუპირისპირდა იუდას, რადგან ის არ აკმაყოფილებდა ღვთის მოთხოვნებს. მიუხედავად იმისა, რომ ისინი მსხვერპლს სწირავდნენ ტაძარში და იცავდნენ რჯულის წესებს, ისინი პატივს არ სცემდნენ ღმერთს. ვიდრე მალაქიას ბრალდებებს წაიკითხავთ, განიხილეთ, თუ რითი შეიძლება თანამედროვე ქრისტიანებმა შეურაცხყონ ღმერთი.

მალაქიას გზავნილი

მალაქიას წიგნი შედგება ექვსი „დავის“ (კამათის) ანუ განხილვისგან. თითოეული განხილვა წარმოდგენილია სამ ნაწილად:

1. ღმერთი აკეთებს განცხადებას იუდას საქციელთან დაკავშირებით.
2. ხალხი პასუხობს შეკითხვით.
3. ღმერთი პასუხობს კითხვას.

განხილვა 1: ღვთის სიყვარული თავისი ხალხის მიმართ (მალაქია 1:2-5)

1. შესავალი: “მე შეგიყვარეთ“ - ამბობს უფალი.
2. შეკითხვა: “როგორ შეგვიყვარეო?”
3. პასუხი: ღმერთმა პატივი მიაგო ისრაელს (იაკობს), იმ დროს როცა დასაჯა ედომი (ესავი).[401]

განხილვა 2: მღვდლების უპატივიმცემლობა ღმერთის მიმართ (მალაქია 1:6-2:9)

1. შესავალი: ძე პატივს სცემს მამას, თუ მამა ვარ, სად არის ჩემი პატივისცემა? რატომ მოიძულეთ ჩემი სახელი, მღვდლებო?

2. შეკითხვა: “როგორ მოვიძულეთ შენი სახელი?”

3. პასუხი: შებილწული პური მოგაქვთ ჩემს სამსხვერპლოზე. უფლის სამსხვერპლოს პატივისცემის ნაცვლად, მღვდლები კოჭლ და სნეულ ცხოველებს სწირავდნენ.

განხილვა 3: ქორწინების აღთქმის უპატივცემულობა და შეუსრულებლობა (მალაქია 2:10-16)

1. შესავალი: იუდა ორგული იყო და შებღალა აღთქმა.

2. შეკითხვა: “როგორ შევბღალეთ აღთქმა?”

3. პასუხი: (1) კერპთაყვანისმცემლებზე დაქორწინებით და (2) ქორწინების აღთქმის დარღვევით განქორწინების გზით.

---

[401] ღვთის მიერ ედომის განკითხვა იხილეთ აბდიას წიგნში.

განხილვა 4: ღვთის სამართლიანობა (მალაქია 2:17-3:5)

1. შესავალი: “დაღალეთ უფალი თქვენი სიტყვებით.”
2. შეკითხვა: “რითი დავღალეთ?”
3. პასუხი: ღმერთის დადანაშაულებით ბოროტების უგულებელყოფაში.

ღმერთი არწმუნებს იუდას, რომ წარმოგზავნის მაცნეს, რომელიც მოუმზადებს გზას თვით უფალს, რათა ის თავის ტაძარში მივიდეს. ის ყველგან განიკითხავს ცოდვას სადაც მას იპოვის.

განხილვა 5: ღვთის მეათედის ქურდობა (მალაქია 3:6-12)

1. შესავალი: “რადგან მე, უფალი, არ ვიცვლები. მოიქეცით ჩემკენ და მეც მოვიქცევი თქვენკენ.”
2. შეკითხვა: “როგორ მოვიქცეთ?”
3. პასუხი: ერთგულების გამოჩენით ღვთის მეათედის გადახდაში.

განხილვა 6: ქედმაღლური სიტყვები უფლის მიმართ (მალაქია 3:13-4:3)

1. შესავალი: “ქედმაღლური იყო თქვენი სიტყვები ჩემს მიმართ - ამბობს უფალი.”
2. შეკითხვა: “რა გვითქვამს შენზე?”
3. პასუხი: ამბობდით: "ფუჭია ღმერთის წინაშე მსახურება“. ხალხი ღმერთს ადანაშაულებს, რომ ის არ აკურთხებს მორჩილებს და არ განიკითხავს ურჩებს. ამის საპასუხოდ ღმერთი გვპირდება, რომ უფლის დღე მოდის. იმ დღეს ღმერთი გაასამართლებს ბოროტმოქმედებს და დაინდობს ერთგულებს.

დასკვნა (მალაქია 4:4-6)

თავის დასკვნაში მალაქია კვლავ იმეორებს მთელი წიგნის გზავნილს. ის მოუწოდებს იუდას, გაიხედოს უკან („გახსოვდეთ მოსეს... რჯული“) და გაიხედოს წინ („აჰა, გამოგიგზავნი... ელიას“, რათა მოგამზადოს „უფლის უდიდესი და საშინელი დღის მოსვლისთვის“).

ქრისტე ძველ აღთქმაში ახლო ხედით

როდესაც დავასრულებთ ძველი აღთქმის კვლევას, დაუთმეთ დრო და მოძებნეთ რამდენიმე წინასწარმეტყველება, რომლებიც შესრულდა ქრისტეს მოსვლისას. იესოს დაბადებამდე ასობით წლით ადრე ღმერთმა გაამხილა მისი ცხოვრების ზუსტი დეტალები. ამ წინასწარმეტყველებების შესრულება მოწმობს იესოზე, როგორც აღთქმულ მესიაზე.

წინასწარმეტყველება	ძველი აღთქმის წინასწარმეტყველება	აღსრულება ახალ აღთქმაში
მესია დაიბადება ბეთლემში.	მიქა 5:2	მათე 2:1-6; ლუკა 2:1-20
მესია ეგვიპტიდან გამოემგზავრება.	ოსია 11:1	მათე 2:12-15
მესიის დაბადების შედეგად ჩვილებს დახოცავენ.	იერემია 31:15	მათე 2:16-18
მესია გალილეაში იმსახურებს. (ეს წინასწარმეტყველება მნიშვნელოვანი იყო, რადგან ებრაელი ხალხი ელოდა, რომ მესია თავის მსახურებას ძირითადად იერუსალიმში წარმართავდა.)	ესაია 9:1-2	მათე 4:12-16
მესია ტრიუმფით შევა იერუსალიმში.	ზაქარია 9:9	მათე 21:1-9; იოანე 12:12-16
მესია უარყოფილ იქნება თავისიანების მიერ.	ესაია 53:1-3	მათე 26:3-4
მესიას ოცდაათ ვერცხლად გაყიდიან.	ზაქარია 11:12	მათე 26:14-15
მესიას მისი მიმდევრები მიატოვებენ.	ზაქარია 13:7	მათე 26:56
მესია მდუმარე იქნება მისი ბრალმდებლების წინაშე.	ესაია 53:7	მათე 27:12-14; ლუკა 23:8-10
მესიას სცემენ და აფურთხებენ.	ესაია 50:6	მათე 27:30
მესია ჯვარცმით მოკვდება.	ფსალმუნი 21:14-17	მათე 27:31
მესია ღმერთის მიერ მიტოვებულად იგრძნობს თავს.	ფსალმუნი 21:1	მათე 27:46
მესიას ძმარს მისცემენ დასალევად.	ფსალმუნი 68:21	იოანე 19:28-30
მესიას ძვლები არ დაიმტვრევა.	ფსალმუნი 33:20; გამოსვლა 12:46	იოანე 19:31-36
მესია დამნაშავეებთან ერთად დაიტანჯება და ილოცებს თავისი მდევნელებისთვის.	ესაია 53:12	მათე 27:38; ლუკა 23:32-34
მესია დაიკრძალება მდიდარი კაცის სამარხში.	ესაია 53:9	მათე 27:57-60
მესია მკვდრეთით აღდგება.	ფსალმუნი 15:8-10	მათე 28:1-10

ანგია, ზაქარია, და მალაქია ესაუბრებიან ეკლესიას დღეს

ანგია გვახსენებს, რომ ჩვენ ღვთის ხალხი ვართ და რომ ის თავის მიზანს ეკლესიის მეშვეობით ასრულებს. ანგიას 2:9-ში ჩაწერილი დაპირება აღდგენილ ტაძარზე სრულად არასოდეს შესრულებულა. წმიდათა წმიდაში აღარასოდეს ყოფილა აღთქმის კიდობანი და ღვთის დიდება აღარასოდეს გამოჩენილა იმ ხარისხით, რაც თან ახლდა პირველი ტაძრის მიძღვნას.[402]

და მაინც, დაწყებული ჩვილი იესოს მიერ ტაძრის მონახულებით და ეკლესიის მსახურების გაგრძელებით დღეს, ეს დაპირება სრულდება. იესოს მიწიერი მსახურებისას „ჩვენ ვიხილეთ მისი დიდება, როგორც მამისგან მხოლოდშობილის დიდება.“ [403] ადრეული ეკლესიის მსახურებისას ღვთის დიდება მთელ რომის იმპერიაში ჩანდა. დღეს, როგორც ღვთის ტაძრები,[404] ჩვენ ვაგრძელებთ ქვეყნიერებისთვის ღვთის დიდების ჩვენებას.

წმიდა, თუ უწმინდური?

ანგიას გზავნილის ნაწილი ეფუძნება რიტუალური სიწმინდის ძველ აღთქმისეულ კანონებს. მოსეს რჯულში რიტუალურად წმიდაა ნივთი, რომელიც შეხებაში იყო უწმინდურ ნივთთან, უწმინდურდებოდა. თუმცა, იესოს მოსვლით, ყველაფერი შეიცვალა. იესო (წმიდა) ეხება კეთროვნებს (უწმინდურებს) და წმენდს მათ. ქრისტიანებს დედამიწის მარილს უწოდებენ, ვისაც უწმინდურ სამყაროში სიწმინდე უნდა შემოჰქონდეთ. ფილიპელებში პავლე შეახსენებს თავის მკითხველებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ „ჭირვეულ და უკუღმართ თაობაში“ ვცხოვრობთ, ჩვენ უნდა „ვანათებდეთ, როგორც მნათობები სამყაროში“. [405] ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს უწმინდურ სამყაროსთან შეხების. პირიქით, ჩვენ მოწოდებულნი ვართ შემოვიტანოთ ღვთის სიწმინდე ჩვენს სამყაროში და გარდავქმნათ ისინი, ვისთან შეხებაშიც ვართ.

ანგია, ზაქარია, და მალაქია ესაუბრებიან ეკლესიას დღეს (გაგრძელება)

ზაქარია და მალაქია აჩვენებენ, რომ ღმერთი მუდმივ ერთგულებას მოითხოვს. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ დაწერილი ეს წინასწარმეტყველებები აჩვენებენ, რომ გუშინდელ კურთხევებს ვერ დავენდობით. შესაძლოა მოსალოდნელი იყო, რომ გადასახლებისას ნასწავლი გაკვეთილები შეაკავებდა ისრაელს თავის ორგულობაში დაბრუნებისგან. თუმცა ზაქარია ძვ. წ. 520 წ. და მალაქია ორი თაობის შემდეგ გვაჩვენებენ, თუ რამდენად სწრაფად შეგვიძლია დავივიწყოთ ის გაკვეთილები, რომლებსაც ღმერთი გვასწავლის. ჩვენ მუდმივად უნდა დავუბრუნდეთ ღვთის სიტყვის ავტორიტეტს.

---

[402] 2 ნეშტთა 5:13-14
[403] იოანე 1:14
[404] 1 კორინთელთა 3:16
[405] ფილიპელთა 2:15

მე-14 გაკვეთილის დავალებები

(1) შეასრულეთ შემდეგი დავალებებიდან ერთ-ერთი.

ვარიანტი 1: ჯგუფური დავალება

მე-13 გაკვეთილში წარმოდგენილი მოდელის გამოყენებით (თავდაპირველი გზავნილიდან „მათი ქალაქი“ გადადით მის გამოყენებაზე „ჩვენი ქალაქი“), გამოიყენეთ მალაქიას ერთ-ერთი "დავა" დღევანდელი ეკლესიის მიმართ. განიხილეთ თავდაპირველი გზავნილი იუდასადმი, განსხვავებები იუდასა და თანამედროვე ეკლესიას შორის, მალაქიას მიერ ნასწავლი პრინციპი და როგორ გამოიყენება ის თანამედროვე ეკლესიაში.

ვარიანტი 2: ინდივიდუალური დავალება

მოამზადეთ ქადაგების ან ბიბლიის შესწავლის დეტალური გეგმა მალაქიას თანახმად, თემაზე „ღმერთისადმი ერთგულება“. გამოიყენეთ "დავების" სტრუქტურა იმის საჩვენებლად, თუ როგორ შეუძლია ღმერთს დაელაპარაკოს ეკლესიას დღეს.

(2) გაიარეთ ამ გაკვეთილის ტესტი. ტესტი მოიცავს საზეპირო მუხლებს წმიდა წერილებიდან.

მე-14 გაკვეთილის ტესტი

(1) რომელ სამ სულიერ პრობლემას შეეხნენ წინასწარმეტყველები გადასახლების შემდეგ?

(2) რა დროით არის დათარიღებული ანგიას და ზაქარიას წიგნები?

(3) ანგიამ ოთხი გზავნილი გადმოგვცა. მიუთითეთ თითოეული გზავნილის თემა.

(4) რა არის ზაქარიას თემა?

(5) დაასახელეთ ზაქარიას ორი მესიანური წინასწარმეტყველება.

(6) რატომ გვჯერა, რომ მალაქია ქადაგებდა ძვ.წ. 475-425 წლებში?

(7) ჩამოთვალეთ მალაქიაში ღმერთის თითოეული „დავის“ სამი ნაწილი.

(8) დაწერეთ ზეპირად ნასწავლი მუხლები: ანგიის 2:7-9 და მალაქია 3:1.

რეკომენდებული რესურსები

ამ კურსის განმავლობაში გამოყენებული წყაროები

არნოლდ ბილ ტ. და ბრაიან ე. ბეიერი. შეხვედრა ძველ აღთქმასთან. ადა: ბეიკერ ბუქს, 1999.

ESV სასწავლო ბიბლია. უიტონი: ქროსვეი ბაიბლს, 2008.

ჯენსენი, ირვინგი. ჯენსენის გამოკითხვა ძველი აღთქმის შესახებ. ჩიკაგო: მუდი პრეს, 1978.

მაკკეინი, დენი. შენიშვნები ძველი აღთქმის შესავალზე. ჯოსი, ნიგერია: აფრიკის ქრისტიანული სახელმძღვანელოები, 2002.

უილკინსონი, ბრიუსი და კენეტ ბოა. იარე ბიბლიის გავლით. ნეშვილი: თომას ნელსონი, 2002.

გაკვეთილი 1

მეტის გასაგებად ძველი აღთქმის სანდოობის შესახებ, გთხოვთ იხილოთ შემდეგი რესურსები.

ბეჭდური მასალები

ღმერთის ბიბლიური სკოლა და კოლეჯის ბიბლიური ფაკულტეტი. მე მჯერა: ქრისტიანული რწმენის საფუძვლები. ცინცინატი: რივაიველისტ პრეს, 2006.

მაკდაუელი, ჯოშ. ახალი მტკიცებულება, რომელიც განაჩენს მოითხოვს. ნეშვილი: თომას ნელსონი, 1999.

ინტერნეტ მასალები

აპოლოგეტიკის პრეს. http://www.apologeticspress.org

მაკდაუელი, ჯოშ. ბიბლია: ფაქტი, ფიქცია თუ სიცრუე. ონლაინ ვიდეო სერიები. http://www.josh.org/video-2/bible-fact-fiction-or-fallacy/

“ნამდვილად გვჭირდება ძველი აღთქმა? მისამართზე: http://www.seedbed.com/seven-minute-seminary/

ორ-ევინგი, ემი. ხელნაწერების სანდოობა. ონლაინ ვიდეო რავი ზაქარიასის მსახურებიდან. იხილეთ: http://www.youtube.com

გაკვეთილი 2

დაბადების წიგნის შესახებ მეტის გასაგებად, გთხოვთ, იხილოთ შემდეგი რესურსები.

ბეჭდური მასალები

ჰამილტონი, ვიქტორ პ. სახელმძღვანელო ხუთწიგნეულის შესახებ. ადა: ბეიკერ ბუქს, 1982.

კიდმანი, დერეკი. ტინდეილის ძველი აღთქმის კომენტარი: დაბადება. დოუნერს გრუვ: ინტერვარსიტი, 2008.

მორისი, ჰენრი მ. დაბადების დაწერა. ადა: ბეიკერ ბუქს, 1976.

ინტერნეტ მასალები

პასუხები დაბადებაში: http://www.answersingenesis.org

"ქრისტიანები და გარემო" მისამართზე http://www.seedbed.com/seven-minute-seminary/

"მეცნიერება და ქრისტიანული მსოფლმხედველობა" მისამართზე http://www.seedbed.com/seven-minute-seminary/

უესლი, ჯონი. უესლის განმარტებითი შენიშვნები ძველი აღთქმის შესახებ. http://www.biblestudytools.com/commentaries/wesleys-explanatory-notes/

გაკვეთილი 3

ხუთწიგნეულის შესახებ მეტის გასაგებად, გთხოვთ, იხილოთ შემდეგი რესურსები.

ბეჭდური მასალები

ფულერი, ლოის. ხუთწიგნეული. ჯოსი, ნიგერია: აფრიკის ქრისტიანული სახელმძღვანელოები, 1995.

ჰამილტონი, ვიქტორ პ. სახელმძღვანელო ხუთწიგნეულის შესახებ. ადა: ბეიკერ ბუქს, 1982.

კიჩენ, კენეტ ა. ძველი აღთქმის სანდოობის შესახებ. გრანდ რეპიდს: ერდმანს, 2003.

უოლტონი, ჯონ ჰ. და ვიქტორ ჰ. მეთიუსი. IVP ბიბლიის წინაპირობის კომენტარი: დაბადება - მეორე რჯული. დოუნერს გრუვ: ინტერვარსიტი პრეს, 1997.

ინტერნეტ მასალები

ბიბლიური კვლევის პარტნიორები: http://www.biblearcheaology.org

ლექცია. "დოქტორი ჯეიმს ჰოფმაიერი - ეგვიპტოლოგი." მოიძიეთ: http://www.youtube.com

ლექცია. „მოხდა თუ არა გამოსვლა?" www.seedbed.com

უესლი, ჯონი. უესლის განმარტებითი შენიშვნები ძველი აღთქმის შესახებ. http://www.biblestudytools.com/commentaries/wesleys-explanatory-notes/

გაკვეთილი 4

იესო ნავეს ძესა და რუთის შესახებ მეტის გასაგებად, გთხოვთ, იხილოთ შემდეგი რესურსები.

ბეჭდური მასალები

კარპენტერი, ევგენი ე. და უეინ მაკკოუნი. ასბერის ბიბლიის კომენტარი. გრანდ რაპიდსი: ზონდერვანი, 1992.

კოპანი, პოლ. არის თუ არა ღმერთი მორალური მონსტრი: ძველი აღთქმის ღმერთის გაგება. ადა: ბეიკერს ბუქს, 2011.

ჰესი, რიჩარდ ს. ტინდეილი ძველი აღთქმის კომენტარი: იესო ნავეს ძე. დოუნერს გრუვ: ინტერვარსიტი პრეს, 2008.

ჰოვარდ, დევიდ მ. უმცროსი, შესავალი ძველი აღთქმის ისტორიულ წიგნებში. ჩიკაგო: მუდი პრეს, 1993.

ჰოვარდი, დევიდ მ., უმცროსი და მაიკლ ა. გრიზანტი. აზრის გამოტანა: ძველი აღთქმის ისტორიული ტექსტების გაგება და გამოყენება. გრანდ რეპიდს: კრეგელ პუბლიკეიშენს, 2003.

ინტერნეტ მასალები

“ძალადობა ძველ აღთქმაში” მისამართზე http://www.seedbed.com/seven-minute-seminary/

უესლი, ჯონი. უესლის განმარტებითი შენიშვნები ძველი აღთქმის შესახებ. http://www.biblestudytools.com/commentaries/wesleys-explanatory-notes/

გაკვეთილი 5

ისრაელის მონარქიის შესახებ მეტის გასაგებად, გთხოვთ, იხილოთ შემდეგი რესურსები.

ბეჭდური მასალები

ჰოვარდ, დევიდ მ. უმცროსი, შესავალი ძველი აღთქმის ისტორიულ წიგნებში. ჩიკაგო:: მუდი პრეს, 1993.

ლესტონი, სტივენ. ბიბლია მსოფლიო ისტორიაში. ურიქსვილ: ბარბორ პაბიშინგ, 2011.

პროვან, იენ, ვ. ფილიპს ლონგ და ტრემპერ ლონგმან III. ისრაელის ბიბლიური ისტორია. ლუისვილი: ვესტმინსტერი ჯონ ნოქს პრეს, 2003.

უილკოკი, მაიკლ. მატიანეების გზავნილი: ერთი ეკლესია, ერთი რწმენა, ერთი უფალი. დოუნერს გრუვ: ინტერვარსიტი, 1987.

ინტერნეტ მასალები

“როგორი იყო ისრაელის მთავრობა?” http://www.seedbed.com/seven-minute-seminary/

უესლი, ჯონი. უესლის განმარტებითი შენიშვნები ძველი აღთქმის შესახებ. http://www.biblestudytools.com/commentaries/wesleys-explanatory-notes/

გაკვეთილი 6

გადასახლებიდან დაბრუნების შესახებ მეტის გასაგებად, გთხოვთ, იხილოთ შემდეგი რესურსები.

ბეჭდური მასალები

ჰოვარდ, დევიდ მ. უმცროსი, შესავალი ძველი აღთქმის ისტორიულ წიგნებში. ჩიკაგო:: მუდი პრეს, 1993.

ჯობსი, კარენ. ახალი საერთაშორისო ვერსიის აპლიკაციის კომენტარი: ესთერი. გრანდ რაპიდსი: ზონდერვანი, 1999.

კიდნერი, დერეკ. ეზრა და ნეემია: შესავალი და კომენტარი. ტინდალის ძველი აღთქმის კომენტარი. დოუნერს გრუვ: ინტერვარსიტი პრეს, 1979.

პროვან, იენ, ვ. ფილიპს ლონგ და ტრემპერ ლონგმან III. ისრაელის ბიბლიური ისტორია. ლუისვილი: ვესტმინსტერი ჯონ ნოქს პრეს, 2003.

ინტერნეტ მასალები

უესლი, ჯონი. უესლის განმარტებითი შენიშვნები ძველი აღთქმის შესახებ. http://www.biblestudytools.com/commentaries/wesleys-explanatory-notes/

გაკვეთილი 7

იობისა და ფსალმუნების შესახებ მეტის გასაგებად, გთხოვთ, იხილოთ შემდეგი რესურსები.

ბეჭდური მასალები

ბულოკი, ს.ჰასელი. ფსალმუნების წიგნთან შეხვედრა. ადა: ბეიკერ, 2001.

ლონგმანი, ტრემპერი, III. როგორ წავიკითხოთ ფსალმუნები. დოუნერს გრუვ: ინტერვარსიტი, 1988.

იანსი, ფილიპ. სად არის ღმერთი როცა მტკივა? გრანდ რაპიდსი: ზონდერვანი, 1977.

ინტერნეტ მასალები

“გოდება ფსალმუნებში” http://www.seedbed.com/seven-minute-seminary/

“ბოროტების პრობლემა” http://www.seedbed.com/seven-minute-seminary/

უესლი, ჯონი. უესლის განმარტებითი შენიშვნები ძველი აღთქმის შესახებ. http://www.biblestudytools.com/commentaries/wesleys-explanatory-notes/

გაკვეთილი 8

სოლომონის წიგნების შესახებ მეტის გასაგებად, გთხოვთ, იხილოთ შემდეგი რესურსები.

ბეჭდური მასალები

კერტისი, ედვარდ მ. და ჯონ ჯ. ბრუგალეტა. სიბრძნის გზის აღმოჩენა. გრანდ რეპიდს: კრეგელ აკადემიკ, 2004.

ესტეს, დანიელ ჯ. სახელმძღვანელო სიბრძნის წიგნებისა და ფსალმუნების შესახებ. ადა: ბეიკერს ბუქს, 2005.

გეზელეინი, ფრენკი. ბიბლიის განმმარტებლის კომენტარები: ფსალმუნები - ქებათა-ქება. გრანდ რაპიდსი: ზონდერვანი, 1991.

კაიზერ, ვოლტერ ს. ეკლესიასტე: მთელი ცხოვრება. ჩიკაგო: მუდი პრეს, 1979.

ლონგმანი, ტრემპერი, III. როგორ წავიკითხოთ იგავები. დოუნერს გრუვ: ინტერვარსიტი პრეს, 2002.

ლონგმანი, ტრემპერ III. ძველი აღთქმის ახალი საერთაშორისო კომენტარი: ქებათა-ქება. გრანდ რეპიდს: ერდმანს, 2005. (ლონგმანი განმარტავს ქებათა-ქებას პოეტურად.)

ტეილორი, ჯ.ჰადსონი. ერთობა და ზიარება. ჩიკაგო: მუდი პრეს, (ტეილორი განმარტავს ქებათა-ქებას ალეგორიულად.)

გაკვეთილი 9

ესაიას შესახებ მეტის გასაგებად, გთხოვთ, იხილოთ შემდეგი რესურსები.

ბეჭდური მასალები

ბულოკი, ს.ჰასელი. ძველი აღთქმის წინასწარმეტყველური წიგნების შესავალი. ჩიკაგო: მუდი პრეს, 1986.

მოტიერი, ჯ. ალეკი. ტინდალი ძველი აღთქმის კომენტარი: ესაია. დოუნერს გრუვ: ინტერვარსიტი, 1999.

ოსვალტი, ჯონ ნ. ესაია. NIV აპლიკაციის კომენტარი. გრანდ რაპიდსი: ზონდერვანი, 2003.

ინტერნეტ მასალები

“იაჰვე და უძველესი ღმერთები” http://www.seedbed.com/seven-minute-seminary/

უესლი, ჯონი. უესლის განმარტებითი შენიშვნები ძველი აღთქმის შესახებ. http://www.biblestudytools.com/commentaries/wesleys-explanatory-notes/

გაკვეთილი 10

იერემიას შესახებ მეტის გასაგებად, გთხოვთ, იხილოთ შემდეგი რესურსები.

ბეჭდური მასალები

ფრეტჰეიმი, ტერენს ი., იერემია. მაკონი: სმიტი და ჰელვისი, 2002.

ლალმანი, ჰეტი. ტინდალის ძველი აღთქმის კომენტარები: იერემია და გოდება. დოუნერს გრუვ: ინტერვარსიტი პრეს, 2013.

ტომპსონი, ჯ.ა. ახალი საერთაშორისო კომენტარი ძველი აღთქმის შესახებ: იერემია. გრანდ რეპიდს: ედმანს პაბლიშინგ კომპანი., 1980.

ვარუჟე, ალექს. ნიუ ბიკონის ბიბლიის კომენტარები: იერემია (2 ტომი). ბოსტონი: ბიკონ ჰილ პრეს, 2008-2010.

ინტერნეტ მასალები

უესლი, ჯონი. უესლის განმარტებითი შენიშვნები ძველი აღთქმის შესახებ. http://www.biblestudytools.com/commentaries/wesleys-explanatory-notes/

გაკვეთილი 11

ეზეკიელისა და დანიელის შესახებ მეტის გასაგებად, გთხოვთ, იხილოთ შემდეგი რესურსები.

ბეჭდური მასალები

ბულოკი, ს.ჰასელი. ძველი აღთქმის წინასწარმეტყველური წიგნების შესავალი. ჩიკაგო: მუდი პრეს, 1986.

კრეიგი, პიტერი. ბიბლიის ყოველდღიური შესწავლა: ეზეკიელი. ლუისვილი: ვესტმინსტერის ჯონ ნოქს პრეს, 1983.

დუგუიდი, იაინ. NIV აპლიკაციის კომენტარი: ეზეკიელი. გრანდ რაპიდსი: ზონდერვანი, 1999.

ლონგმენი, ტრემპერი. NIV აპლიკაციის კომენტარი: დანიელი. გრანდ რაპიდსი: ზონდერვანი, 1999.

ინტერნეტ მასალები

უესლი, ჯონი. უესლის განმარტებითი შენიშვნები ძველი აღთქმის შესახებ. http://www.biblestudytools.com/commentaries/wesleys-explanatory-notes/

გაკვეთილი 12

მცირე წინასწარმეტყველების შესახებ მეტის გასაგებად, გთხოვთ, იხილოთ შემდეგი რესურსები.

ბეჭდური მასალები

ბულოკი, ს.ჰასელი. ძველი აღთქმის წინასწარმეტყველური წიგნების შესავალი. ჩიკაგო: მუდი პრეს, 1986.

ჰაბარდი, დევიდ ალანი. ტინდალის ძველი აღთქმის კომენტარი: ოსია, იოელი და ამოსი. დოუნერს გრუვ: ინტერვარსიტი პრეს, 1989.

მაკკეინი, დენი. შენიშვნები ძველი აღთქმის შესავალზე. ჯოსი, ნიგერია: აფრიკის ქრისტიანული სახელმძღვანელოები, 2002.

ინტერნეტ მასალები

დიუ, დაიანა. "განდგომილი გულში." http://www.dianedew.com/backsldg.htm

უესლი, ჯონი. უესლის განმარტებითი შენიშვნები ძველი აღთქმის შესახებ. http://www.biblestudytools.com/commentaries/wesleys-explanatory-notes/

გაკვეთილი 13

მცირე წინასწარმეტყველების შესახებ მეტის გასაგებად, გთხოვთ, იხილოთ შემდეგი რესურსები.

ბეჭდური მასალები

ბეიკერი, დევიდ ვ., ტ. დესმონდ ალექსანდრე და ბრიუს კ. უოლტკე. ტინდალის ძველი აღთქმის კომენტარი: აბდია, იონა, მიქა. დოუნერს გრუვ: ინტერვარსიტი პრეს, 1988.

ბეიკერი, დევიდ ვ., ტინდალის ძველი აღთქმის კომენტარი: *ნაუმი, აბაკუმი, სოფონია.* დოუნერს გრუვ: ინტერვარსიტი პრეს, 1988.

ბულოკი, ს. ჰასელი. ძველი აღთქმის წინასწარმეტყველური წიგნების შესავალი. ჩიკაგო: მუდი პრეს, 1986.

მაკკეინი, დენი. შენიშვნები ძველი აღთქმის შესავალზე. ჯოსი, ნიგერია: აფრიკის ქრისტიანული სახელმძღვანელოები, 2002.

ინტერნეტ მასალები

უესლი, ჯონი. უესლის განმარტებითი შენიშვნები ძველი აღთქმის შესახებ. http://www.biblestudytools.com/commentaries/wesleys-explanatory-notes/

გაკვეთილი 14

გადასახლების შემდგომი წინასწარმეტყველების შესახებ მეტის გასაგებად, გთხოვთ, იხილოთ შემდეგი რესურსები.

ბეჭდური მასალები

ბოლდუინი, ჯოის ტინდილი ძველი აღთქმის კომენტარი: ანგია, ზაქარია, მალაქია. დოუნერს გრუვ: ინტერვარსიტი პრეს, 1972.

ბულოკი, ს.ჰასელი. ძველი აღთქმის წინასწარმეტყველური წიგნების შესავალი. ჩიკაგო: მუდი პრეს, 1986.

მაკკეინი, დენი. შენიშვნები ძველი აღთქმის შესავალზე. ჯოსი, ნიგერია: აფრიკის ქრისტიანული სახელმძღვანელოები, 2002.

მერილ, იუჯინ ჰ. ანგია, ზაქარია, მალაქია: ეგზეგეტიკური კომენტარი. ჩიკაგო: მუდი პრეს, 1994.

ინტერნეტ მასალები

უესლი, ჯონი. უესლის განმარტებითი შენიშვნები ძველი აღთქმის შესახებ. http://www.biblestudytools.com/commentaries/wesleys-explanatory-notes/

ძველი აღთქმის გამოკვლევა
დავალებების ჩაწერა

სტუდენტის სახელი და გვარი _____

თავდაპირველად დააწერეთ სახელი გვარი და როდის შესრულდა თითოეული დავალება. Shepherds Global Classroom–ისგან სერთიფიკატის მისაღებად, ყველა დავალება წარმატებით უნდა იყოს შესრულებული.

გაკვეთილი	დავალება	ტესტი
1		
2		
3		
4		
5		
6		
7		
8		
9		
10		
11		
12		
13		
14		

შეპერდს გლობალ კლასრუმისგან სერთიფიკატის მოთხოვნა

Shepherds Global Classroom-ის (SGC) დასრულების სერტიფიკატის მისაღებად განაცხადი შესაძლებელია შეავსოთ ჩვენს ვებ – გვერდზე: www.shepherdsglobal.org. SGC- ს პრეზიდენტი, გადასცემს სერთიფიკატებს, ციფრული სახით, ინსტრუქტორებსა და კურატორებს, რომლებიც შეავსებენ განაცხადს მათი სტუდენტის(ების) სახელით.

შეფერდს გლობალ ქლასრუმ კურსების აღწერა

დოქტრინალური საფუძვლების კურსები

ქრისტიანული მრწამსი

ეს არის სისტემატიზებული თეოლოგიის კურსი, რომელშიც აღწერილია ქრისტიანული მოძღვრებები ბიბლიის, ღმერთის, ადამიანის, ცოდვის, ქრისტეს, ხსნის, სულიწმინდის, ეკლესიისა და უკანასკნელ მოვლენების შესახებ.

რომაელები

ეს კურსი ასწავლის ხსნის თეოლოგიას და მისიებს, როგორც განმარტებულია რომაელთა წიგნში, განიხილავს რამდენიმე საკითხს, რომლებიც სადავო იყო ეკლესიაში.

ესქატოლოგია

ეს კურსი ასწავლის დანიელისა და გამოცხადების ბიბლიურ წიგნებს, წინასწარმეტყველური წერილების სხვა მონაკვეთებთან ერთად და ხაზს უსვამს ისეთ მნიშვნელოვან მოძღვრებებს, როგორიცაა ქრისტეს დაბრუნება, უკანასკნელი სამსჯავრო და ღვთის მარადიული სამეფო.

წმიდა ცხოვრების დოქტრინა და პრაქტიკა

ამ კურსში მოცემულია წმინდა ცხოვრების ბიბლიური აღწერა, რომელსაც ღმერთი ელის და ძლასაც აძლევს ქრისტიანს.

ეკლესიის დოქტრინა და პრაქტიკა

ეს კურსი განმარტავს ღმერთის ჩანაფიქრსა და გეგმას ეკლესიისა და ბიბლიური თემების შესახებ, როგორიცაა ეკლესიის წევრობა, ნათლობა, ზიარება, მეათედი და სულიერი ლიდერობა.

ბიბლიის შესასწავლი კურსები

ძველი აღთქმის გამოკვლევა

ეს კურსი ასწავლის ძველი აღთქმის 39 წიგნის არსებით შინაარსს და სწავლებებს.

ახალი აღთქმის გამოკვლევა

ეს კურსი ასწავლის ახალი აღთქმის 27 წიგნის არსებით შინაარსსა და სწავლებებს.

ბიბლიური განმარტებების პრინციპები

ეს კურსი ასწავლის ბიბლიის სწორად განმარტების პრინციპებსა და მეთოდებს, რათა ამან განსაზღვროს ჩვენი ცხოვრება და ღმერთთან ურთიერთობა.

მახარებლობისა (ევანგელიზაციის) და მოწაფეობის კურსები

აპოლოგეტიკის შესავალი

ეს კურსი ასწავლის ქრისტიანული მსოფლმხედველობის სამეცნიერო, ისტორიულ და ფილოსოფიურ საფუძვლებს და აჩვენებს, თუ რამდენად შეესაბამება ქრისტიანული სარწმუნოება გონიერებას და რეალობას.

მსოფლიო რელიგიები და კულტები (ცრუ რელიგიები)

ეს კურსი უზრუნველყოფს სახარებისეულად მორწმუნეს მოძღრებების სწორი გაგებით და სათანადო პასუხებით თვრამეტი რელიგიური ჯგუფისათვის.

ბიბლიური ევანგელიზმი და მოწაფეობა

ამ კურსში მოცემულია ბიბლიური პრინციპები, რომლით ხელმძღვანელობაც შესაძლებელია მახარბელობის (ანუ ევანგელიზაციის) მეთოდებში. ის აღწერს მახარებლობის ფორმებს და გთავაზობთ გაკვეთილებს, რომლებიც უნდა გამოიყენოთ ახალმოქცეულთა მომოწაფებისთვის.

სულიერი ფორმირება

ამ კურსში სტუდენტები სწავლობენ: როგორ იქონიონ იესოს ზრახვანი, ღმერთთან ისეთივე კავშირი და ერთობა, როგორც იესოს აქვს მამასთან; თავის დამდაბლებას იესოს მსგავსად; იესოს სულიერი და პირადი დისციპლინების დაცვას, რათა იესოს მსგავსად გაუძლონ ტანჯვას და ჩაერთონ იესოს მიერ ჩამოყალიბებულ ქრისტიანულ ერთობაში (ეკლესიაში).

პრაქტიკული ქრისტიანული ცხოვრება

ამ კურსში ხდება ბიბლიური პრინციპების მისადაგება ფულის, ურთიერთობების, გარემოს, მთავრობასთან ურთიერთობის, ადამიანის უფლებებისა და პრაქტიკული ცხოვრების სხვა სფეროების გამოყენებასთან.

ქრისტიანული ქორწინება და ოჯახი

ეს კურსი იძლევა ქრისტიანულ პერსპექტივას ადამიანის განვითარებაზე ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე და იყენებს ბიბლიურ პრინციპებს ოჯახში ფუნქციებთან, ანუ როლებთან და ურთიერთობებთან მიმართებაში.

ქრისტიანული ლიდერობის კურსები

ლიდერობა მსახურებაში

ეს კურსი ხაზს უსვამს ქრისტიანულ ხასიათს, ხოლო ლიდერებს ასწავლის ორგანიზაციებს გაძღოლას, ფასეულობების აღმოჩენის, მიზნის რეალიზების, ხედვის გაზიარების, ამოცანების დასახვის, სტრატეგიის დაგეგმვის, მოქმედების და მიღწევების განცდის საშუალებით.

იესოს ცხოვრება და მსახურება

ეს კურსი შეისწავლის იესოს ცხოვრებას, როგორც ნიმუშს 21–ე საუკუნის მსახურებისა და ხელმძღვანელობისთვის.

კომუნიკაციის პრინციპები

ეს კურსი ასწავლის ურთიერთობების თეოლოგიას, ეფექტური მეტყველების მეთოდებს და ბიბლიური ქადაგების მომზადების და წარდგენის მეთოდებს.

ქრისტიანული თაყვანისმცემლობის შესავალი

ამ კურსში განმარტებულია, თუ როგორ მოქმედებს თაყვანისცემა მორწმუნის ცხოვრების ყველა ასპექტზე და მოცემულია პრინციპები, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოთ ინდივიდუალური და კრებულში ერთობლივი თაყვანისცემის დროს.

ეკლესიის ისტორიის კურსები

ეკლესიის ისტორია I

ეს კურსში აღწერს, თუ როგორ შეასრულა ეკლესიამ თავისი მისია და დაიცვა ძირითადი დოქტრინა ადრეული ეკლესიის დროიდან რეფორმაციამდე.

ეკლესიის ისტორია II

ამ კურსში აღწერილია, თუ როგორ იზრდებოდა ეკლესია და როგორ ხვდებოდა სირთულეები რეფორმაციის დროიდან დღემდე.